

644  
973/3

2-35



# ԳԻՆԵՄ

12

1973



# სესე

12 423

199

გამოცემის მენიღება წელი

12

დეკემბერი

1973

თბილისი

საქ. კვ. ც. -ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მუხარამთა კავშირის ორგანო

## უინკარსი

### ქოზგის სივლირა

3. ნელი თარბა — ლექსები. აფხაზურიდან თარგმნეს ხუტა ვაგუამ, მურმან ხურცილავამ  
6. ნიკოლოზ კვიციანი — ლექსები. აფხაზურიდან თარგმნა ვივი ძნელაძემ.

### პროზა, პოეზია

8. გიორგი ველაშვილი — გვიწარავს მრავალი ვი-რი. რომანი. დასასრული.  
99. მელა კახიძე — ლექსები  
100. გუგამ კლდიაშვილი — ლექსები  
104. დალილა ბეღინიძე — ლექსები  
106. იმარ შალაგაძე — ლექსები  
107. გიორგი სოროგოშვილი — მიწის ლუკვა. მოთხრობა  
114. ნოდარ ხვედელიძე — ლექსები  
115. მურმან ჯგუჯურია — ლექსები  
117. ბეჟან ხვანიძე — ლექსები

### წერილები

118. კახა შიშიგური — ქართული მარქსისტული ლი-ბერატურული კრიტიკის ისტორიიდან  
127. სარგის ცაიშვილი — ვაჟა-ფშაველას სიბრძნის საშუაროები  
135. ამირან ავალიანი — სამშობლო ქართველისა...  
141. შალვა ვანოშვილი — ქართველი საზოგადოების ბრძოლა საბრძოლო თვითმმართველობისათვის  
150. გუგამ ბათიაშვილი — მწერალი თეატრში  
156. შურნალ „ცისკრის“ 1973 წლის ნომრების უი-ნარსი

მთავარი რედაქტორი  
ჯანსუღ ნარკვეთაძე

სარედაქციო კოლეგია:

გუგამ ახათიანი,  
პაპი ბაქრაძე,  
გივი გეგეჭორი,  
გუგამ გვერდუთელი,  
მერაბ ელიოვიშვილი,  
ბარლო კალაძე.

კონსტანტინე

ლორთქიფანიძე,  
ოტია პავლოვა,

(პახუხისმგებელი მდივანი),  
ნუგზარ ფოფხაძე,  
ნოდარ ფულიძე,  
ბარბაქადე მანუჩარი,  
სერგი შილაია,  
თამაზ შილაძე,  
ლუა ჯანაშია.

# ქ ე რ ბ ი ს ს ი ე ჯ ე რ ე

ნული თარგა

## იური გაგარინისაღმ

ბევრი სიბერემ დაიმონა და დაახვასა,  
ის კი შიშსა და დაბრკოლებას  
აგდებდა არად;  
როგორსაც ყველა იცნობდა და სცემდა თაყვანსაც  
ხალხის ხსოვნაში ახალგაზრდა  
დარჩება მარად.

მისი ღიმილი, აღბეჭდილი მრავალ სურათზე,  
ახალ თაობებს გმირობისკენ გზას გაუნათებს;  
სულში ჩამწვდომი, იდუმალი,  
ნაზი და სათნო  
სულ იციმციმებს,  
ვით ვარსკვლავი,  
წყვდიადს რომ აღნობს.

მისი ღიმილი შემოდგომის მთვარეა სავსე,  
რომელიც ცოდვილ დედამიწას იმედით დამზერს.

და სულ ერთია, მწყემსი ხარ თუ  
მალაროელი,  
გასწი, იარე, არ ჩამორჩე  
დროის დინებას!

მისი ღიმილი — გაზაფხულის მახარობელი —  
ცხოვრებას შენსას გამარჯვებად მოვევლინება.

დიას, იური გაგარინის ჯადოსნურ ღიმილს  
ძალუძს წყვდიადის გადნობა და ნათელი სხივის  
მოკლდინელი, უეცარი აციაგება,  
და გასაჭირში ჩავარდნილი კაცის გაგებაც...

ვერა, იური გაგარინის ჯადოსნურ ღიმილს  
ვერ ჩააქრობენ,

ვერ წაშლიან ღვარები წვიმის.  
მისგან ისწავლეს,  
ვისაც შეენის ფრთები არწივის,  
ყადრი გმირობის, ვაჟკაცობის და თავგანწირვის.

დავ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. ბიბლიოთეკა

და თუ კოსმონავტს,  
ვინც პირველად ესტუმრა მთვარეს  
მიატილებდა იმედღივით ღიმილი მისი,  
ასი წლის მიღმაც,  
ვინც გაახელს შეუმკრთალ თვალებს,  
მჯერა, ამ ღიმილს თანამგზავრად გაიხდის ისიც.

ბევრი სიბერემ დაიმონა და დაახავსა,  
ის კი ყოველგვარ დაბრკოლებას აგდებდა არად;  
როგორსაც ყველა იცნობდა და სცემდა თაყვანსაც,  
ხალხის ხსოვნაში ახალგაზრდა  
ღარჩება მარად.

მე ის მავალებს:  
ვით წერტილი სტრიქონის ბოლოს,  
არ გავიყინო,  
მუდამ ვძლევედე გზას ნარეკლიანს...  
ო, მაპატიეთ,  
თუ ეს ლექსი მხოლოდ და მხოლოდ  
მისი ღიმილის უხეირო ანარეკლია.

შეუბღალავი ბავშვის ცრემლივით  
ღილის სინკუმე ჰყვავის იისფრად;  
ზღვის ზედაპირი ქათქათებს — ვხედავ —  
ეს თოლიების გუნდია, ნეტავ,  
თუ წუხელ ციდან ჩამოცვენილი  
ყვავილებია მაგნოლიისა?

ზღვაო, შენს ტალღებს უხმოდ ვემთხვევი.  
მე აქ ნიჟარებს ვახარისხებდი.

ასე მუნჯი და ასე მეტყველი  
რით მაჯადოებ, რა ხარ ისეთი!

და მე ვისრუტავ ამ ღილის ფერებს,  
მსურს გითხრა ლექსი, როგორც გშვენის,  
რომ გამახსენოს დიდი ხნის მერეც  
ნიჟარის მსგავსად ხმაური შენი.

განა არ მინდა,  
ვით ბულბულმა, დაგიტკებთ ხმენა?  
მეც, კარგად ვიცო,  
ტკბილ ხმათათვის ავიდგი ენა.  
ვინ არ ოცნებობს,  
ლექსი ჟღერდეს მუსიკის მსგავსად,  
მუდამ რომ სულშიც გახედვებს და  
გავიწყებს თავსაც?..

იყოს უბრალო,  
როგორც ლაღი სიმღერა მწყემსის;  
ბერიკაცების გულახდილი საუბარივით  
ხიბლავდეს ყველას და არ აკლდეს სიტყვას  
მარლი, —  
შემიმსუბუქოს მძიმე ტვირთის მხრებზე  
ტარება.

მაგრამ, რატომღაც,  
ზოგჯერ მინდა, რომ ჩემი ლექსი

... აღარ მახსოვდეს  
აღარც რითმა, არც შედარება.

ვისია, ვისია ქალი ღამაში?

სალამოვდება და სასიძონი  
აღებენ ჭიშკარს.

მე ჩუმად ვდელავ;  
ბაგიდან თაფლი მოწვეთავს ყველას,  
სიტყვას იტყვიან — ოქროდ იწონის.

ერთი თამამად შემიტებს ნაწნავს,  
მეორე იტყვის:

— შენი კენესამე,  
გამომწეურდი... ხოლო მესამე  
ცდილობს შორიდან თვალებით დამწვას.

შე ვშლი თეთრეულს და ვაუთოვებ.  
ეზოში ატამს კრეფენ ისინი,  
მეხუმრებიან და მე ვიცინი —  
პატარა იმედს ყველას ვუტოვებ.

ხან ღიღინებენ ერთხმად: „ვისია?“  
ხან აწვალებენ ასანთის კოლოფს.  
მათ არ იციან — შენი ვარ მხოლოდ,  
და მიხარია, რომ არ იციან.

აფხაზურიდან თარგმნა ხუბა გაგუამ

ნუ გეშინია, მე შენი ვარ, შენი — მარადის,  
შენი ერთგული მეგობარი — კუბოს კარამდის.

მიწა გამისკდეს, თუ რამ გულში ცუდი გავივლო,  
შენი ვარ შენი, ვგრე ტურფად შენთვის ვყვავილობ.

მე მოგკვდე, თუკი გაგიჩინე ბზარიც მცირედი,  
თუ რამ შეეცოდე და წაგართვი დიდი იმედი.

ნუ გეშინია, მე შენი ვარ, შენი — მარადის,  
შენი ერთგული მეგობარი — კუბოს კარამდის.

ის სიხარული, აღმაფრენა, ჩემშია რაიც,  
ის, რითაც დღემდე სული მიდგას და ვხვდები აისს,

ჩემო ძვირფასო, მხოლოდ შენთვის არის შთენილი,  
ვგრძნობ და მიხარის: მხოლოდ შენთვის ვარ გაჩენილი.

ნუ გეშინია, მე შენი ვარ, შენი — მარადის,  
შენი ერთგული მეგობარი — კუბოს კარამდის.

ერთ დღეს ვიშივი და გაეთავდები, ასევე. ერთ დღეს,  
ენდე ჩემს სიტყვას — ჩემს გულისთქმას, მიჰყევ და ენდე

ორი თარიღი — სხვა რაღაა ჩემი ცხოვრება,  
ორივე ჩემია, — მიტომაც არ მეუცსოვება.

შენთვის ყვავილობს, შენთვის ჩემი სიცოცხლის ყლორტი,  
შენც ერთი გზა გაქვს, — ეს ერთი გზაც ჩემამდე მოდის.

აფხაზურიდან თარგმნა მურმან ხურცილაძემ

## ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა

ბედნიერებას არამართ უბედო ეძებს  
და არამართ უბედური ოცნებობს ბედზე —  
ბედნიერიც კი კმაყოფილი არ არის ბედის,  
ბედნიერიც კი მსურველია მეტის და მეტის...

კეთილი კაცი იზიარებს სისარულს სხვისას,  
კეთილ საქმეთა კეთება ჰსურს კეთილ კაცს მარად,  
კეთილი კაცი ვერ მიიჩნევს დიდების ღირსად,  
ვინც ჰქმნა სიკეთე ერთი-ორჯერ,  
მერე თქვა: — „კმარა!“

გინდათ თავს გრძნობდეთ ბედნიერად? —  
— სიკეთე თქვით!

თქვით სიკეთე და ფერადი გვეწებათ ძილი...  
ეს არი გრძნობა —  
გრძნობათაგან საუკეთესო,  
უფაქიზესი,  
მოელვარე და განწმენდილი!..

ბედნიერება მიუწვდომელ ვარსკვლავად ელავს,  
უახლოვდები,  
აჰა, ხელით ეხები კიდევ...  
დასაბამიდან მისკენ იოტვის,  
ისწრაფვის ყველა,  
გგონია მისწვდი,  
მაგრამ, არა —  
შორს არი კიდევ!..

მზე ჩამავალი, —  
გარდამფრენი ფრინველის დარად, —  
ისვენებს ქუდზე და გვიცინის ნათელი ზეცა;  
ნუ დასჯერდები მიღწეულს და ნუ იტყვი:  
— „კმარა!“, —  
დღევანდელივით ნუ დაჰკარგავ ხვალინდელ დღესაც!..

სული კაცისა უსასრულოდ ისწრაფვის მუდამ, —  
ლტოლვა იმისი — უსაზღვროა,  
არა აქვს ბოლო...  
ბედნიერებას, ძმავ ჩემო, ჰპოვებდე უნდა  
ბედნიერების ძიებაში, — მსოლოდ და მხოლოდ!..

რა შეედრება ოცნებას კაცთა, —  
დაჰკარ ფეხი და... შეუჩერებლად —  
თუ გინდა წამში სივრცეებს გასცდი  
და დაესახლე — სადაც გენებოს...

ვერც თვითმფრინავით და ვერცა გემით,  
ვერც მატარებლით და ვერცა ცხენით —  
მხოლოდ ოცნებით, მხოლოდ ოცნებით  
მიადწევ —  
სადაც არავინ გელის!..

მე ვხედავ ახლა: მომავლის ცის ქვეშ  
მზესე მოხუცის პრიალებს ცელი;  
შავტუხა ბიჭი ხელს მზისკენ იშვერს, —  
ხალხია სხვა და ცა არი ძველი!..

მე ვხედავ, მაგრამ... მე მხედავს ვინმე?  
იქედან ვინმე მიყურებს ახლა?..

ოცნებას, როგორც უცხო რამ ფრინველს,  
მივყვები ლაღად და მივჰქრი მაღლა!..

არ მემეტებით მიწავ და ცაო!..  
მაგრამ ცის ფერიც და ბრწყინვაც მზეთა, —  
მომავლის ცის ქვეშ მცხოვრებო ძმაო, —  
თუ გამისხნებ — შევარგოს ღმერთმა!..

თუ მომიგონებ ზომ კარგი!..  
თუმცა,

ამ ცის და მიწის  
ფერი და სითბო,  
ამის გარეშეც, —  
ვით ძველებს უთქვამთ, —  
ალალი იყოს!  
ალალი იყოს!..

სხვაგვარ ჰრბის ჩემი ეტლი..

განსაზღვრულია ყოველი ქვეყნად, —  
მეც მერგო ჩემი წუთი...  
გინდაც ასმაგი ჯაფმანი გერტყას —  
თავს მარადისად ნუ თვლი!..

პირდაღებული შეჰყურებს ზოგი, —  
დღისით — მზეს,  
ღამით — მთვარეს...

და არც კი ფიქრობს  
ამ ქვეყნად როსმე  
თუ შეიცვლება რამე;

ტკუა აქვს — მოკლე,  
ჯიბე აქვს — სქელი.

ახალ სალაფავს ეძებს;  
არც არაფერი ცუდი არ ელის —  
ღმერთია მისი შეჰყე!..  
თვით ფიქრობს ასე...

მაგრამ არსებობს  
რალაც ზღუდე და ზღვარი,  
ხელს ჩაავლებენ ყურში! —  
ასე, რომ —  
მისიც ჩამოჰკრავს ზარი!

მე კი...

ო, მე კი სხვაგვარად ვფიქრობ,

სხვაგვარ ჰრბის ჩემი ეტლი, —  
ოცნება ჩემი — ლაქვარდში მიჰქრის  
და მიუღწევებს ველტვი...  
მე კი...

ო, მე კი სხვაგვარად მესმის  
კაცთა არსების აზრი!..  
გულში გუგუნებს ალალი ლექსი —  
მტერი ყოველი საზღვრის!..

მტერი — ქიშპობის,  
შურის და ჯიბრის, —  
ღამის წყვილადში მკევისი —  
გალაღებული,  
ამაღლებული,  
გამარჯვებული ლექსი!..

ო, ჩემო სიტყვავ, —  
სხივად მიენთე  
მიზანს — სპეტაკს და სუფთას...  
გაგიყოლიებს და შეგიერთებს,  
მარადისობის სუნთქვა!..

პოეტს რომ გულში ცეცხლი უნთია —  
შუქი სივრცეებს ერთვის!..  
ვინმეს ან რამეს ღმერთი თუ ჰქვია, —  
პოეზიაა ღმერთი!..

გიორგი ბელაშვილი

## გვიფარავს მრავალი ჭერი

24

ზოგ მაღლიან კუთხეს ზამთარშიც კი მოკლე ხნით მაინც თითქოსდა გამოგაზაფხულება ახასიათებს. დეკემბერში მაისური დარი იდგა არაგვის პირებზეც. ამინდი აღარც ილაღატენდა. მოკრიალებული ცა ღრუბელს აღარ გაიკარებდა, თან მიწიერ ბუნებას აამებდა და ბუნებაც უშფოთველობას მიეცემოდა. გაბმული წვიმების წყალობით წლის ანგარიშში უკანასკნელად მოფერხორციანებული მცენარეული მთელ თავის შეფერადებულ დიდებულ სილამაზეს გულუხვად აჩვენებდა. ხეთა შორის უმაღლესთა ნაირი თარგის წითლად და ყვითლად შეფერილი, ძალზე შეთხლებული ვარჯები კი მეტად მკაფიოდ გამოკვეთილიყვენენ ლურჯ ცისიერზე. ხოლო მათ ფერხითი ხაოიანი ჭრელი ყვავილნარევი წმინდა მოლი გაფენილიყო, დამცხრალიყო, სრულ გამკვირვალეებამდე დასულიყო და რიყეებში წვრილად დატოტვილიყო მეტწილ თავნება არაგვი. ამით კუნძულს დროებით ნაპირები გაფართოებულყო.

ლეგამ, გურიმ და ტიტემ, რომელთაც კუნძული ძალიან ეგუნებათ, ბანაკის ცხოვრებაში ახალი ხალისი შეიტანეს ბიჭებმა მშვენიერი სიმღერებით

გაგრძელება. დასაწყ. იხ. „ცისკარი“ № 10, 11.

წამოიწყეს. აქამდე კუნძულზე მხოლოდ თებროს ფანდური და დამღერება გაისმოდა ხოლმე. ახლა კი გარემოს მოეფინა საუცხოოდ შეწყობილი ლამაზი ხმები, მღეროდა ნამდვილი თვითმოქმედი გუნდი და ყველა სხვა ნეტარებით გაინაბა.

ბადური მათ აღტაცებული უსმენდა და გაკვირვებას ვერ ფარავდა. ბადურმა არ იცოდა თუ მათ ჩინებული სმენა და ტკბილი ხმა ჰქონდათ. არადა, ბიჭები მის თვალწინ გაიზარდნენ და უნდა სცოდნოდა. მაგრამ ყველა აღმზრდელმა არასდროს არ იცის აღსაზრდელის არა თუ ყოველი ნაკლი, არამედ ღირსებაც, და ეს უცოდნელობა იმდენ დანაშაულად არ ჩაითვლება, როგორც მათი ცოდნა, მაგრამ უყურადღებოდ დატოვება.

სასიამოვნო იყო ისიც, რომ ახალგაზრდები დიდი სიყვარულით და გავებით მოიცავდნენ ბერხნოვანს, მაგრამ უბერებელ სალაშქრო, სალაღობო, საშრომო თუ სანადგლო ქართულ სიმღერებს, რომელთა მივიწყების შიშს გულში ტკივილით ატარებს ხოლმე საზოგადოებრიობა.

ბადურს უმეტესი გულისყური ლეგასკენ ჰქონდა და სიმღერასთან ერთად, რომელსაც გატაცებით ისმენდა, ყურ-



ში ჩასძახოდა პატარა ბიჭის ლაღი „დილილმე, დილილმეც“, ოდესღაც წყრალით რომ მოედებოდა ხოლმე მთელ იდუმალს. რამდენი რა გადაიტანა იმ მრისხანე ომის დროს საომეთიდან დიდზე დიდი მანძილით დაშორებულმა მრავალმა ისე პატარა სოფელმაც კი, როგორც იდუმალი იყო და რამდენი ისეთი თითისტოლა ბავშვის გული შეკუმშა მძიმე დარდით ავებელითობამ, როგორც ომის დროს ლეგა იყო. რა ვუყოთ რომ მას შემდეგ რვა წელი გავიდა! ასეთი დარდი ძველდება, მაგრამ არ ქრება.

ლეგა გრძნობითა და განცდით, მეგობრებთან უზადო თანხმეობით მღეროდა, მაგრამ როცა ბაადურის თვალებს ხედებოდა თითქოს სინდისისგან იქნეზებოდა, როგორც წმიდათაწმიდა ფიცის გამტეხი. ლეგას ფიცი არ დაუდევს, რომ მშობლებისა და ძმის სიკვდილის შემდეგ შუბლს აღარასდროს გახსნიდა. ფიცი კი კანონს ეთანაბრება. მაგრამ კანონი განცდებს ვერ წარმართავს. კანონი მხოლოდ კეთილშობილურად აფრთხილებს, უკარნახებს, სწორ გზას მიუთითებს ადამიანებს. კანონი რომ განცდების მომწესრიგებელიც იყოს, იქნებ ეტყოდა ღირსეულთ: არ დაივიწყო ვინც და რაც დასავიწყებელი არ არის, მაგრამ არც იცხოვრო მხოლოდ იმის ხსოვნით. ცხოვრება წარსულთა და წარსულის ხსოვნის გარდა უამრავ სამომავლო ზრუნვასაც მოითხოვს თვითეული ადამიანისაგან, ვინც კაცი არს!

ბაადურს ჭრელი ფიქრები უფრო მაშინ ეხვეოდა, როცა გუნებაზე ვერ იყო. სწორედ დღესაც მოიშხამა იგი მსახურში, როდესაც შემთხვევით ყურა მოჰკრა ელდარის ნატარტარეუს: გამომცემლობის დირექტორის მოადგილემ თავზე თავისი კაცი, ეს ვიღაც ჯანო ვარსიამაშვილი ტვირთად დაგვასვა, თვითონ კი მასთან საღდაც კუნძულზე დროს ატარებდა.

ბაადურს ამის შემდეგ კუნძულისკენ გამოხედვაც აღარ უნდოდა, მაგრამ ლე

გასთან უკვე შეპირობებული იყო და ივერ დაალაღატა. ბაადური უგუნდობობას მაინც არ იმჩნევდა და ამაში მას სიმღერებიც ეხმარებოდა, რაზეც მომღერლები არავის ახვეწინებდნენ. მას თავისი მოთმინებისა და თავშეკავების იმედი ჰქონდა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ძარღვები მეტად დაეკიმა და შიში შეეპარა ელდარს ისე არ შესტაკებოდა, რომ ორივესთვის სამარცხვინო შედეგით დასრულებულიყო.

კარგი სიმღერის მოსმენა ისევე ვერ ეთმობა კაცს, როგორც გუნებისმიერი ღამის აღქმა. მაგრამ გულშიჩამწვდომი სიმღერა ძილისპირულიც ხდება და ადამიანი ველარ უძლიანდება ტკბილი ძილის ცდუნებას. იმის გამო, რომ უკვე მომავლებელი არ გამოჩენილიყო ყველაზე ეშხიანი სიმღერაც კი, ნელ-ნელა მოგუდეს ხმები მომღერლებმა, ხოლო დანარჩენთ სიმღერები მოჩვენებითად კიდევ ჩაესმოდათ და ასეთი შეგონებით თანდათან ჩაეძინათ.

კოცონთან დაუთქმელად მხოლოდ ბაადური და ლეგა დარჩნენ.

დაფიქრებული ბაადური ჯოხით ნაკვერჩხლებს ქექავდა და ლეგა მას უცებ გაახსენდა.

— შენ რაღას უყურებ? ადქი და დაიძინე!

— თქვენ?

— მეც დავიძინებ.

— მაშ რაღას უტყობ?

— ენაზე მომადგა ერთი ძველად ნასწავლი ლექსი, ოღონდ ბოლომდე ვერ გავიხსენე. ახლა თავს ვეჭიბრები, რომ მთლიანად აღვიდგნო.

— ნამდვილად? თუ საიდუმლო გაუჩინრებას ამჯერად ღამით აპირებ?

— რა საიდუმლო გაუჩინრებაზე მელაპარაკები?

— მე მიმალავთ, ძია ბაადურ?

— შენთან დასამალი რა მაქვს, ბიჭო?

გიორგი ველაზიძე  
გვიფარავს მრავალი ზერი



— ვიცი, რომ არაფერს დამიმალავთ. მით უმეტეს არ დაუშალავთ ბედისას და ქეთევანს, მაგრამ მათ არ უთხოვიათ საიდუმლოს გამხელა. მე კი გთხოვთ.

ბაადურს უცებ ხმამაღლა გაეცინა.

— მე მეგონა რომ შეუშინებდად ვმოქმედებდი. ბედია და ქეთევანი კი რალაცას თურმე მაინც მიხვედრილან!

— ბედიას და ქეთევანს თქვენი არაფერი გამოეპარებათ. ბედიამ და ქეთევანმა თქვენ დღეს ისიც შეგატყვეს, რომ ხასიათზე ვერ ხართ. მაგრამ შეგნებული ადამიანები, საერთოდ, მათთვის ძვირფასი ადამიანის უგუნებობას არ ჩაეჭიდებიან ხოლმე, რომ ამან ის მეტად არ გააუგემუროს.

— ეგ ჩემი თითქოსდა უგუნებობა კი ბედიას და ქეთევანს ნამდვილად მოსჩვენებიათ. მე თქვენმა სიმღერებმა ჩამაფიქრა და შეიძლება ასე მოწყენილი ვჩანდი. მაშ, შენ ჩემი აქაური საიდუმლოს გაგება გინდა?

— გთხოვთ, თუ ამით ძალიან არაფერი დაშავდება.

— მართლაც უნდა გაგენდო, რომ არ გეგონოს რამე შავ საქმეს ჩადვივარ და იმტომ ვმალავ. მაშ ადექი და წამომყევ! აი, ასეთ დროს, ნაშუალამევს, თვითონაც არ მივსულვარ ჩემს საიდუმლოსთან და ახლა ერთად ვნახოთ.

ბანაკში ყველას უკვე მშვიდად ეძინა, მაგრამ ბაადური და ლევა მაინც დაუყურადღებ ყოველ ჩამიჩუმს და რა დარწმუნდნენ, რომ ეს ადამიანთა ჩურჩული არ იყო, ფრთხილი ნაბიჯით ხევს აღმა აუყვნენ.

ფონის ძებნა საჭირო არ იყო. ბაადურმა და ლევამ მდინარის ვიწრო ტოტებზე ფეხდაუსველებლივ გადავლებით ხევი გეზად აჭრეს, შემდეგ ქანით აირბინეს დამრეცი ნაპირი და ტყეში შეყვინდნენ.

გიტოს სახლისკენ მიმავალი მცენარეთა მჭიდრო ქსოვილში გაღრუტნული ხეივანი მრუმე ღამეს ნამდვილ შავ გვირაბად გადაექცია და ლევა ბილიკს ვერ

არჩევდა. იგი უფრო გრძობდა, რე ხედავდა წინ მიმავალ ბაადურს და ხმამაუღლებლივ მისდევდა. ლევას წინასწარ წარმოადგენაც არ ჰქონდა ბაადურის საიდუმლოზე. არაფერს ძიობდა კი იმიტომ, რომ საიდუმლოსთან უშუალო უცარი შეხვედრა, საიდუმლოს გამოკითხვით გაგებაზე მეტად იტაცებდა.

მართლაც, მთლად საიდუმლოებით სუნთქავდა ვარემო, რომელშიც ლევას ტყეში ძროხილის შემდეგ თითქოსდა თვალი ხელახლა აეხილა.

სუსტი შუქი, რომელიც სახლის ღია კარ-ფანჯრიდან გამოდიოდა, ფრჩხილისოდენა კარმიდამოს მაინც ყოფნიდა და მისი სიკოპწიავე თვალშესახები იყო. კეკლუცად გამოიყურებოდა თვით თავისთვის მობუღებული სახლიც, ხოლო ოთახში სანატრელად გულმისავალი სისუფთავე სუფევდა. ჰერი და კედლები თეთრად ქათათებდა და იატაკის ფიცრებიც სითეთრემდე გაღვრეპილი იყო. მთელ ავეჯს კი შეადგენდა ტახტი, მაგიდა, თარო და რამდენიმე სამფეხა სკამი — ყველაფერი სათამაშო ზომისა და საღა.

გიტო დაბალ ტახტზე ფეხებაკეცილი იჯდა და მოპირდაპირე ღია სარკმლიდან ბნელ გარესიერესს მიშტერებოდა.

მოულოდნელი სტუმრების, მათგან ერთი უცნობის დანახვაზე გიტოს მოუსვენრობა დაეტყო, მაგრამ ბაადურმა დაამშვიდა.

— ეს ყმაწვილი ლევა მორბედაძე, ჩემი უმცროსი გულისმესაიდუმლეა, გიტო. მაშასადამე, მიზანშეწონილია ლევა იცნობდეს იმათაც, ვისთანაც მე ვეგობობ.

როდესაც ბაადური გიტოს ასე მიმართავდა, მას საშუალება ჰქონდა დაკვირვებოდა მასპინძლისა და ლევას სახესაც, რადგან ისინი უფრო ერთმანეთისკენ აცილებდნენ თვალს, ვიდრე ბაადური იაკენ. ხოლო ბაადურის მიზანი იყო გაერკვია თუ რა შთაბეჭდილება მოახდინეს მათ ერთმანეთზე. განსაკუთრებით საგულისხმო იყო ზიზღი ხომ არ



მორია ლევას შემადრწუნებელ სიმახინ-  
ჯესთან უცაბედმა შეხვედრამ.

— მე მთლად დარწმუნებული არ ვი-  
ყავი, რომ დაძინებული არ დამხვდებო-  
დი. — ისევ გიტოს მიმართა ბაადურმა,  
მასპინძელმა კი ყური წანახა.

— თუ დაძინებული დაგხვდებოდი,  
რას იზამდი? — იკითხა მან.

— რა თქმა უნდა, არ გავაღვიძებდი.  
ლევასთან ერთად კარიდანვე ჩუქად გავ-  
ტრიალებოდი.

— მერე? მე რომ მაგას გავიგებდი,  
რაც დამემართებოდა, იმას აღარ კითხუ-  
ლობ? ახალგაზრდა კაცი, რომელსაც  
მეგობრები გახვევია, კიდევ უფრო ახა-  
ლგაზრდა გულისმესაიდუმლოს თანხ-  
ლებით ამ გადაკარგულში, ისიც ნაშუა-  
ღამეებზე ჩემს სანახავად თავი შეიწუხო  
და მე მის უდიდებულესობას ძილიც არ  
დამირღვიო! მე, ერთი მაჭლაჭუნა კაცი  
ან აქამდე რად უნდა ვიყო ცოცხალი?  
ჰოდა, მაგის გაგება და ღვთის გამკით-  
ხავისგან თავისი ამ შეცდომის გამოსწო-  
რება ერთი იქნებოდა!

— ეს კიდევ ახალი თვითგვემა მესმას  
შენგან, გიტო — მაჭლაჭუნა. ჩვენ კი  
ამის თაობაზე, თუ არ ვცდებით, შევთანხ-  
მდით.

— როგორ არ შევთანხმდით! კარგა-  
დაც მახსოვს — იმ შეთანხმების ძალით  
მე უნდა გავიძახოდე, რომ ახალგაზრ-  
დობაში ეშხიანი ვიყავი, ახლა კი სანდო-  
მანი ვარ! კარგიდა, დაიჯერებს ეს ყმაწ-  
ვილი ამას?

— შენ ნუ აზვიადებ, გიტო. მე მაგ-  
გვარი რამ არ მითხოვია შენთვის. ნურც  
ბობოქრობ. ისე კი, მართლაც რატომ  
არ გძინავს ამ ნაშუაღამევს?

— იმიტომ, რომ დროს ვეშურები. მე  
ვერაფერში ვვარგვივარ. მხოლოდ ფიქ-  
რი შემიძლია. დაძაბული, დაქანცავი  
ფიქრი კი არა — თავის ნებაზე იალა-  
დად მიშვებული ფიქრი. მაგრამ ასეთი  
ქარაფშუტული ფიქრიც რაღაც ნაყო-  
ფია, ყოველშემთხვევაში, ჩემი ტვინის  
ნაწვალები ნაწველია და ამ ნაწველით  
მინდა ავავსო მთელი ჩემი დარჩენილი  
დრო, ჩემი სიცოცხლის ჭურჭელი.

— გიტო პაპა, — მოულოდნელად ჩა-  
ერია საუბარში ლევა, — თუ თქვენ  
თლა ფიქრის მეტი არაფრის ილაჯი  
გაქვთ, მართო თქვენი ფიქრიც ღირს  
რამედ. ყველაფერი ხომ ფიქრებიდან  
იწყება! ცხადია, ფიქრებმა მიგიყვანეს  
აი აქ სახლის აშენების აზრამდეც. შემ-  
დეგ კი, მე ასე ვხვდები, ეს კობტა სახ-  
ლი მართოს წამოგიპიმიათ, მთელი ეს  
ავეჯიცი საკუთარი ხელებით დაგმიზადე-  
ბათ. თქვენ კი იძახით, თითქოს ფიქ-  
რის გარდა არაფრის უნარი შეგწევთ.

ლევას დასკვნის თავისთავადობა გი-  
ტომ ემაქვემ დააყენა, რადგან წარმოუ-  
დგენელი იყო საქმის არსში ჩაუხედავი  
კაცის სინამდვილესთან ესოდენი მიახ-  
ლოება. მაგრამ გულწრფელი გაკვირ-  
ვება გამოხატა იგივეზე ბაადურმაც და  
გიტოს აღარ შეეძლო არ დაეჯერებინა,  
რომ ლევას მისმა გუჟანმა უმართლა.

ახალი სტუმრისადმი მადლიერებით  
აესილი გიტო აღელვებისგან ტახტიდან  
უცემ კალისავით ახტა და ლევას წინ  
დაესო.

— შენ როგორ გამოიცანი, რომ ეს  
ყველაფერი მართლაც ჩემი დაბდურა  
ხელებით არის მოცოდვილებული?

— გულთმისნობას ვერ დავიბრალებ.  
უბრალოდ, როდესაც კარგი ადამიანის  
ირგვლივ გარემოსაც მოსაწონს ვხედავ,  
თავს ვარწმუნებ, რომ ეს უპირატესად  
მისივე დამსახურებაა, და ზოგჯერ ალ-  
ჩუ მომდის ხოლმე. თქვენი და ბაადუ-  
რის გაოცებიდან ვგრძნობ, რომ ახლაც  
ალჩუ მომივიდა.

— ამასთან ერთად კი, შენ უკვე იმა-  
შიც დაარწმუნე საკუთარი თავი, რომ მე  
კარგი ადამიანი ვარ?

— ამაში მე ახლაც არ დავარწმუნდი.  
წინასწარვე ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ  
თუ მე ამალამ ვინმე უცნობს უნდა შევ-  
ხვედროდი, ის უთუოდ კარგი ადამიანი  
იქნებოდა, რადგან მასთან ბაადურ ამი-  
რიძეს მოვყავდი.

— ბაადურ ამირიძე ჩემთვისაც სასინ-

ზიორავი გულაზვილი  
გვიფარავს მრავალი შირი



ჯი ქვაა. მე შენი და ბაადურის მეგობრობას შევხარბი.

— მე კი, ვატყობ, უკვე მეგობრებობ ხართ თქვენ და ბაადურიც.

— ბედნიერი ვიქნები თუ მიმეგობრებს. ყოველ შემთხვევაში, სოსო მოლოდინის შემდეგ მე არავისგან მახსოვს ისეთი გულის სითბო, როგორც ბაადურისგან.

— ამიტომ, მე ჩემი მხრიდან თქვენს მეგობრობას შევხარბი.

გიტო და ლეგა საუბარში ისე გაერთნენ, რომ თითქოს ველარც ამჩნევდნენ ცალკე მდგომ ბაადურს, რომელიც გულხელდაკრეფილი იდგა და კვლავ ორივეს აკვირდებოდა, ბაადურმა ყასილათ ნაწყენი სახე მიიღო.

— თქვენ, ჩემო ძვირფასებო, პირველადვე ისე ააწყეთ ენა, რომ საუბარში მეკავშირე აღარც გვირდებათ. მეც ავდგები და სიგარეტს ჰაერზე მოვწევ.

ბაადურმა, როდესაც გიტოსთან ლეგას წამოყვანა გადაწყვიტა, გაიხსენა თავისი ერთი ძველი ხერხი, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ თუ თვითონ გულახდილი იქნებოდა ლეგასთან, თავის მხრივ არაფერს დაუმალავდა მას ლეგა.

აი, ბაადურმა გაუხსნა ლეგას თავისი საიდუმლო, რომელზეც ექვი აეღოთ ცალკე ბედიას და ცალკე ქეთევანს, და მათგან ბუნდოვნად გაეგო ლეგასაც. ახლა ჭერიც ლეგაზე იყო. მას გულახდილობაზე გულახდილობითვე უნდა ეპასუხნა ანუ ბოლოსდაბოლოს გაემხილა ბაადურისთვის ხშირად მთელი კვირადღეები სად იკარგებოდა.

ამასთანავე, როდესაც ისინი გიტოსკენ მოეპარებოდნენ, ბაადურს ძლიერ ეშინოდა იმის, რომ ლეგას უცებ არ შეეცხადებინა გიტოს საზარელი გარეგნობა, რაც უთვისტომო დავრდომილისთვის ნამდვილი ლახვრის ჩაცემა იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ასეთი უსიამოვნებისგან თავის დასაზღვევად მან ლეგა წინასწარ არ შეამზადა თუ როგორი იერის კაცთან შეხვედრა ელოდა.

ეს ლეგას სულის გამოცდა იყო. ბაადურს უხაროდა, რომ გიტოს ვარე ლეგას ისევე არაფერი დასტუბოდა სახეზე, როგორც თურმე არ იმჩნევდა სოსო, რომლის ნათელ ხსოვნას ბედისგან დაჩაგრული კაცი სასოებით უთრთხილდებოდა.

ბაადურს ოთახში მოწვევასაც არავინ დაუშლიდა, მით უფრო, რომ კარიცა და ფანჯრებიც ღია იყო და ჰაერი მოძრაობდა. მაგრამ გარეთ გასვლასაც თავისი მიზანი ჰქონდა. გამოჩნდებოდა მართლაც თუ შეეწყობოდნენ ერთმანეთს გიტო და ლეგა, როდესაც ორნი დარჩებოდნენ.

ორ ახალგაყნობილს ხშირად გამცნობის დასწრება უადვილებს საუბარს, მაგრამ საკმარისია მესამე პირმა ისინი ერთმანეთს შეატოვოს, რომ მათ საუბრის ძაფი მაშინვე გაუწყდეთ. ასეთ უხერხულ ვითარებაში ჩავარდნილი ახალგაყნობილი იგივე ან ვინმე სხვა მესამე პირის მოხმობას დაეშურებიან, რომ ერთმანეთი მთქნარებით არ დაღალონ. გიტოს და ლეგას შეექლოთ მოეხმოთ მხოლოდ ბაადური, რადგან ახლომანლო მის გარდა კაციშვილი არ ეგულებოდათ. მაგრამ გავიდა საკმაო ხანი, ბაადურს კი არავინ დაუძახა და ის თვითონ დაბრუნდა ოთახში.

გიტო და ლეგა ბაადურს მდუმარე დახვდნენ, ოღონდ არა ისე, როცა თანამოსაუბრეებს სიტყვა შემოეღევათ ხოლმე.

ყველაფრით იგრძნობოდა, რომ მათ გრძელი საუბარი ჰქონდათ და ერთიმეორის მთელი თავგადასავალიც უკვე იცოდნენ. დუმილი კი ერთურთ მძიმე ხვედრზე ფიქრს გამოეწვია.

მათ ერთიმეორის მუხლზე ხელი დაედოთ და თავჩახრილნი და გარინდულნი ასე იჯდნენ სამფეხა სკამებზე პირით-პირ.

ბაადური ყოველივეს ერთი შეხედვით მიხვდა.

I

ბევრი ადამიანისთვის შეუმჩნეველად, ნიჟეპარივით სწრაფად, სხეებისთვის კიდევ გულისგამაწვრილებელი ზოზინით გადის დრო. ამასთანავე დრო ზოგს ყოფნის, ზოგს არა. ასეა თუ ისე, დრო მის მიერვე მოსურვებულ უამთავანასაზღვრულობის ფარგლებში თავის საქმეს დაჯერებით აკეთებს და მოიცავს წვრილმანსაც და საკაცობრიოსაც. ისე რომ, თავათ მოცულობით მარად უმეტნაკლო დრო ერთიდაიგივე ჩარჩოებში მოვლენათა ნებისმიერ რაოდენობას იტევს.

ომისშემდგომმა დრომ უკვე ჩაიტიავითარებათა მრავლისმრავალი ცვლილება, აგრეთვე სიახლე, და უთვალავჯერ განიშეორა თავის გარდღევალი კანონები, რომელთაც დასასრული არცა აქვთ. ეს იყო მთელი მსოფლიოს მომცველი ძვრები და დიდი თუ პატარა შინადასაქვეყნო საჭირობოროტო საქმეებიც, რომელთა მიმართ განურჩეველი არავინ რჩებოდა.

ეს იყო ადამიანთა პირადი განცდებიც. დღითიდღე ახარებდა ოჯახებს ახალშობილთა პირველი ჭყვილი, მაგრამ სიცოცხლისაც ეთხოვებოდნენ საქვეყნოდ აღიარებული, ხალხზე გადაგებული მამულიშვილები და ახლობლები, რომელთაც ვერავითარი ცრემლი ვერ ეყოფოდა. დარღს ისევ თვითონ დრო ანელებდა, უჩენდა რა ადამიანებს სხვადასხვა მოვალეობრივ საზრუნავს, რასაც თან სდევდა აწმყოსადმი მადლიერება და მომავლის იმედი.

სხვადასხვა დარდი და სიხარული ხვდათ განვლილ დროში ბაადურს და მის ახლობლებსაც, ისე რომ მძაფრი განცდები არავის ასცდენია.

ყველაზე მძიმე დარტყმა ბაადურისთვის დედის სიკვდილი იყო. დედას საძის ჭერქვეშ მთავარი დიასახლისის ყველა უფლება ჰქონდა დათმობილი, მაგრამ სიძე მაინც სხვისი შვილია. ამიტომ დედა ცოტა არ იყოს თავს შებოროკილად გრძნობდა ქალიშვილის ოჯახში.

დედები მოხუცებულობაში პირადისი გვლივ უთქმელი ხდებიან და მათ ამ დროს შვილებმა მეტი უნდა გაუგონ, კიდევ გაანებვირონ გადანატანის საზღაურად, განსაკუთრებით ვაჟებმა, რომლებზეც დედების მეტი ამაგი იხარჯება, ვიდრე ქალიშვილებზე. მაშინ, როცა თავად ვაჟებს ნაკლები საზრუნავი აქვთ. გავრცელებულია აზრი, რომ ქალიშვილი უფრო ყურადღებიანია მშობლებისადმი. მაგრამ მშობელთაგან მეტ ამაგდარს — დედას, მუდამ იგრძნობა სიბერეში ვაჟიშვილთან ყოფნა უჯობს. ბაადური და მაია უწლოვანნი იყვნენ, როცა უმამოდ დარჩნენ, დედამ კი მათ უმამობა არ აგრძნობინა. როცა დედა დაცალდა, კიდევ ახალგაზრდა იყო, მაგრამ მას მეორედ გათხოვება არც უფიქრია და მთლად შვილებს შემოეველო, შემდეგ მღვდომარეობამ მოითხოვა გათხოვილ ქალიშვილთან გადასულიყო, გული კი მას ვაჟისკენ უწევდა. ხოლო როცა წამოიხარდნენ ნათელა და ავთო და მათ მოვლას მაია უკვე მარტოც აუჯადოდა, ვალმონდილ დედას საშუალება ეძლეოდა ბაადურთან დაბრუნებულიყო. მაგრამ დედამ სწორედ ის წამოზრდილი და მას თავდავიწყებით შეჩვეული შვილიშვილები ვეღარ დასთმო. ხოლო თვითონ ნათელასა და ავთოს მათგან ბებიას წასვლის შესახებ სიტყვის გაგონებაც არ უნდოდათ. დედას ჯანი და მხნეობა, საღი შესახედაობაც ხანგრძლივ შერჩა, მაგრამ როგორც ემართება ხოლმე საღსალამათ ადამიანს, ისიც მოულოდნელად უცებ მოტყდა, განცდილმა და თავდაუზოგავმა ჯაფამ თავი შეასხენეს. ბაადური მხუთავმა შიშმა აიტანა. მან დედის სანახავად მაისთან სიარულს უხშირა. მისდამი მთლად ყურადღებად გადაიქცა, ფრთხილად ეხუმრებოდა კიდევ. დედა ლოვინად არ იყო ჩაუარდნილი, თუმცა ფეხზე ტრიალსაც ვეღარ უქლებდა. თავს ებრძოდა და წვალობდა. ბაადურის ალერსსა და ხუმრობას უნიათო ღიმილითა პასუხობდა.

გიორგი ველაჯილი  
გვიფარავს მრავალი ჰერი



ასე ზეზეურად დაიფერვლა დედა. ბა-  
ადურს კი დარჩა მწარე სინანული, რომ  
მშობელს ისე ვერ მიუფრახილდა, რო-  
გორც შეეძლო. მას ნუგეშს ვერ აძლევ-  
და ის სინამდვილე, რომ დედას ისე,  
როგორც ეკუთვნის, საერთოდ ვერავინ  
უფრახილდება. დედის სიკვდილის შემ-  
დეგ ბაადურსა და მაიას მეტი თვალყუ-  
რი უნდა სჭეროდეთ ერთმანეთზე, სი-  
ნამდვილეში კი ისინი როგორღაც გა-  
შორდნენ. აღარ იყო ადამიანი, ვინც  
მათი დაბადებიდან მოკიდებული ორი-  
ვეში ერთერთ სიყვარულს შეუმჩნევ-  
ლად აღვივებდა.

მიწამ დაიბარა ტკბილი და გულწა-  
თელი ბესო-პაპაც. დაოჩნებული სოფიო  
კი ერთ-ერთმა ქალიშვილმა თავისთან  
წაიყვანა და ეზო უიმართოდ თითქოს  
დაობლდა.

სულაც ღვთის რისხვა იყო რაღაც სა-  
შინელი სწრაფშემტვეი სენი, რომელ-  
მაც მეგობრებს შორის ერთ-ერთი ყვე-  
ლაზე სულგაშლილი და გულგაუტეხა-  
ვი სიცოცხლით სავსე გიგი ლუტიძე  
უცაბედად გააქრო.

მაგრამ ცრემლს ჩვეული მონაცვლე-  
ობით ახლდა სისაზრულიც.

უკვე მეორე შვილი, ისევ გოგონა  
შეეძინათ ნანის და ბედიას.

უკვე ცოლ-ქმარი იყვნენ თებრო და  
ლაუთი.

თავთავის ბედი აბოვეს ზურაბ ლო-  
რაიმ და ემზარ ვიოშვილმა, დიდმა ელე-  
რდაშვილმა და რამინ ჯარიაშვილმა.

ნაცნობებისთვის სასიამოვნო იყო  
ისიც, რომ უკვე მშობლები გახდნენ ყუ-  
ყუნა და ელდარიც, თუმცა ყველას  
ყურს სჭრიდა მათი უხამსობა, როდეს-  
საც თავიანთ ცუგრუმელა გოგოს ვომ-  
ბიოდ მოიხსენებდნენ. ყველას ეჩოთი-  
რებოდა ისიც, რომ ელდარმა როგორც  
სოფელში, ისევე თბილისშიც ორივე  
საკუთარი სახლი ფულად აქცია და  
ცოლშვილიანად ბინა ყუყუნას მშობ-  
ლებთან დაიდო. მართალია, ელდარის  
ეს ღონისძიება სარფიანი გამოდგა, მაგ-  
რამ უკვე როგორც ზედსიძე, ეტყობო-  
და, სიღვდრთან და სიმამრთან მოკაც-

გული იყო. ოღონდ ეს ყველაფერი  
სხვებს შორიდან სწვდებოდა,  
თვითთული თვითშეგონებით ელდართან  
და ყუყუნასთან შეხვედრაზე თავს არ  
იკლავდა.

ერთი თაობის ვაჟებიდან ცალად  
დარჩენილი იყვნენ მხოლოდ ლაბუა  
აბელ მინაძე და ბაადური. აბელს შე-  
სახებ, მისი საერთოდ განუყრელი, თავ-  
თავის ოჯახის შექმნის შემდეგ კი მის-  
გან როგორღაც მოწყვეტილი ზურაბი  
და ემზარი ამბობდნენ, რომ აბელისთანა  
ბრწყინვალე ადამიანის ირაოდ დარჩენა  
ქვეყნის წინაშე ცოდვა იქნებო. ხო-  
ლო ვერავინ ვერაფერს ამბობდა ბაადუ-  
რზე, რადგან მისი და ქეთევანის ურთი-  
ერთობა მთლად ნათელი კიდევ არ იყო.  
ბოლო დროს, ალბათ უცოლოდ დარჩე-  
ნამ ძალზე დაახლოვა აბელი და ბაადუ-  
რი, მაგრამ როცა კი ხშირად ერთად იყ-  
ვნენ, ლაპარაკობდნენ ყველაფერზე,  
ოღონდ არა ცოლის მოყვანაზე. ბაადუ-  
რი თავის მომავალზე თვითონვეც ცოტა  
გაურკვეველობაში იყო. ამაზე არც ის,  
არც ქეთევანი სიტყვას აღარ სძრავდნენ,  
თან ბაადურს გულის კუნჭულში თავი-  
სი თავისა ეშინოდა, რომ გაჭიანურებუ-  
ლი ლოღინისგან გრძნობა არ გადასწვო-  
და.

მაგრამ უკან დარჩა ქეთევანის სტუ-  
დენტობაც...

2

ქეთევანსა და ბაადურს ქორწილი  
დათამ გადაუხადა. ეს უფლება მან ქე-  
თევანის მშობლებს გრძელი დავისა და  
ჩიჩინის შემდეგ გამოსძლია. ალექსი და  
ვარინკა დიდხანს ცივ უარზე იდგნენ,  
ჯიუტობდნენ, როგორ იქნებო, სად გა-  
გონილაო, ჩვენ აგერვე გვერდზე ვცხოფ-  
რობთ, თავზე ჭერი გვაქვს და საარხო  
გვაბადია, ქალიშვილი კი, ისიც ერთად-  
ერთი შვილი, სხვისი სახლიდან გვიბო-  
ვდებოდესო!

დათამ თავისი არ დაიშალა, სხვა რა-  
და ვარო, მთელი სოფელი ნათესავები  
ვართო, ეგევ არ იყოს, იმ დალოცვილ  
კაცს, იმ ჩვენ ბაადურ ამირიძეს, ამღე-





უამიერი ყოფილიყოს ეს ჩვენი, შენი არ იყოს, მაღლიანი ვაჟაკი, ბაადურა. მაგრამ ქალზე რაღას გვიბრძანებ? როგორია?

— ქალი სოფლის თვალია! — ომბიანად ბრძანა თამადამ და მას გუგუზნით მხარი აუბეს ყველა მაგიდაზე.

ლევა უკვე თავის ადგილზე იჯდა გურისა და ტიტეს შორის და ბაადურსა და ქეთევანს თვალს არ აშორებდა. ლევამ იცოდა, რომ ქეთევანი სოფელში საცხოვრებლად ვეღარ დაბრუნდებოდა. ამიტომ მას თავისი ადრინდელი ვარაუდი ახსენებოდა და საიდუმლოდ ედიმებოდა. ქეთევანი უკვე იყო ისტორიკოსი, მაგრამ სოფლის სკოლას ამით არაფერი ემატებოდა. ისევ ფარნაოზ მასწავლებელს ან ვინმე სხვას მოუხდებოდა ისტორიის შეთავსება. თვითონ ლევა კი ჯერ მხოლოდ მესამე კურსზე გადადიოდა და კიდევ შორი იყო მის ისტორიკოსობამდე. არც თებროთ უშველა რაჟე მშობლიურ სკოლას. თებროთ მისმა დაუთმა ნახევრად გეოლოგად აქცია და ორივე მეტწილ ვეღარ იყო გაჭირვლი.

3

მოვლენები ისე განვითარდა, რომ ქეთევანს მასწავლებლობა თუ სხვა სამსახური არც თბილისში ხვდა. პირველმა თვეებმა საქორწინო მოგზაურობასა და ბინის ახლებურად მოწყობაში გაიზბინეს. მეორე ქეთევანს ხან დედა, ხან მამა გაუხნდა ავად და რამდენჯერმე კვირობით ჩარჩა სოფელში. ხოლო როცა ყველაფერი მოგვარდა და მას რამდენადმე თავისუფლება მიეცა, ქვეყანას სოსო ამირიძე მოველინა.

სოსო, იოსები საყოველთაოდ გავრცელებული სახელია. ეს სახელია ყველა დროთა და ხალხთა უმძღავრესი პიროვნებისაც, რომლის იმ ხანად სიკვდილმა მთელი მსოფლიო დააბნია. ქეთევანმა და ბაადურმა კი მის სიდიადეს ვერ შეებედეს და ეს სახელი თავიანთ პირმშოს სოსო მოლოდინის ხსოვნის პატივსაცემად დაარქვეს. ქეთევანი ამჯერად

სოფელში უკვე სოსოს გულისთვის ემგზავრა იმ აზრით, რომ ბავშვს დედის რძესთან ერთად მშობლიური სოფლის ჯანსაღი ჰაერის მაღლიც თავიდანვე შეეწოვა.

ქეთევანის წყალობით სახლში სამუერი სითბო და სიმყუდროვე იყო დამკვიდრებული, მაგრამ როგორც კი ქეთევანი სოფლისკენ გაენთებოდა ხოლმე, ბინაზე ყველაფერს ეშხი ეკარგებოდა და ბაადურს სახლში გული აღარ უჩერდებოდა.

ამას დაერთო გულდასაწყვეტი ამბავი, რომელიც სამსახურში მოხდა. საქმე ის იყო, რომ მოულოდნელად პენსიაზე გასვლა დაუყენეს ნიკოლოზ ბარბიშვილს. ნიკოლოზმა წინადადება პირველად ხუმრობად ჩათვალა, რადგან საპენსიოდ ჯერ არაფერი უქირდა. არც ჯანს უჩიოდა, არც გონს. მუშაობის დაუცხრომელ ხალხის კი მთელ დაწესებულებას აწვდენდა. მაგრამ ის, რაც პირველად თითქოსდა შეაპარეს, მეორედ სრულიად უბოდიშოდ მკაფიოდ განუცხადეს და ის ორჯერადი წინადადების პირდაპირ აზრში ამის შემდეგლა დარწმუნდა. ნიკოლოზს წარბიცი არ შესტოკებია, ასე ნაადრევად რომ გაწირეს უქმი ჯდომისთვის. მხოლოდ მწარედ გაეცინა თავის გულუბრყვილობაზე, რომ რის წინამეც ახლა უკვე მოურიდებლად დააყენეს, თავიდანვე არ დაიჯერა.

ახალი დირექტორი უშანგი ჯენიძე გახდა. მას ძველ ადგილზე თავგასულობისთვის თავში წამოუტიალეს, მაგრამ ძალზე მაღალი თანამდებობიდან მთლად დაბალზე ჩამოგდება არ ჰკადრეს. საშუალო შესაძლებლობის, კარგად აწყობილი გამომცემლობის ხელმძღვანელად დაყენებაც პატარა საქმე არ იყო.

ნიკოლოზმა მას მშვიდად და დაწვრილებითი განმარტების თანხლებით გადააბარა საქმეები, რისდამიც უშანგი ჯენიძე ყურადღებას თითქმის არ გამოხატავდა, შემდეგ კი იხერხა ისე გასულიყო შენობიდან, რომ დერეფანში ან კიბეზე ყოფილ თანამშრომლებს არ



მესჩებებოდა. ნიკოლოზმა ასე იმიტომ იზრუნა, რომ თავს თითქმის დათხოვილად სთვლიდა და მასთან ნებსით თუ უნებლიეთ დასამშვიდობებლად შეყოვნებულნი ახალ დირექტორს არ აეთვალწუნებინა.

იღბლად, ნიკოლოზს არავინ შეეჩხვა. მაგრამ ქუჩაში ის უცებ მოიკაკვა და ისე ნაცემივით გაეცალა გამომცემლობის შენობას, რომელშიც მას მერე ფეხიც აღარ შეუღვამს.

სახლში კი მას რამდენჯერმე მორიდებით დაუეკუნა ბაადურმა.

ნიკოლოზი ბაადურს მადლიერ ღებულობდა, მაგრამ თან ნაღვლიანი ღიმილით მოაგონებდა, რომ ეს შეიძლება არ საამოვნებდა ახალ დირექტორს.

ბაადური ამ შენიშვნებს უყურადღებოდ სტოვებდა, რადგან ვერც წარმოედგინა ვინმეს სააშბლად პატივსაცემადამინთან ურთიერთობის გაწყვეტა. ბაადური ხმას არ სძრავდა საერთოდ გამომცემლობის შესახებაც. რომ ეთქვა რამე, სიმართლეს ვერ დამალავდა. სიმართლე კი ის იყო, რომ ადრე საათივით აწყობილი გამომცემლობის საქმეები ბოლო დროს ძალზე აიწეწა. და ასე მოხდა არა იმის გამო, თითქოს თანამშრომლებმა მუშაობას უკლეს. მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ უშანგი ჯენიძე ყველაფერს მარტო სწყვეტდა. ყურს არ უგდებდა მოადგილის აზრსაც კი. ნიკოლოზს ყოველივე ამის გაგება ეწყინებოდა. თუმცა მას უმადურად მოექცნენ, მაგრამ თვით დაწესებულება, რომელსაც მრავალი წელი გატაცებით განაგებდა, საშუალოდ უყვარდა. ბაადური საუბარში იმიტომაც ფრთხილობდა, რომ გამომცემლობის ძველი და ახალი მდგომარეობის შედარება ნიკოლოზ ბარიშვილს მლიქვნელობად არ მიეღო, რასაც ნიკოლოზი ვერ იტანდა, რასაც ვერ იტანდა ბაადურიც, მაგრამ შეიძლება არ იცოდა მისი ბუნება ნიკოლოზმა.

4

ნიკოლოზ ბარიშვილი დიდხინის ქვრივი იყო და სახლში მარტო ცხოვრობდა.

ყოველდღიურ მოვალეობას ჩამოშორებამ, მის კვალად უცებ მოძალეტეს სევდიანმა ფიქრებმა, ნიკოლოზს თავისი მარტობა უფრო მეტად აგრძნობინა.

— გული რას გადაგაყოლო, — უმწეოდ შესჩვილა ერთხელ მან ბაადურს, — კატები გავიჩინო თუ ჭრელი ჩიტები? ზოგონებების წერას მოვკიდო ხელი? — რაღა დროს ჩემი მწერლობა! დავჯდვ და წიგნები ვიკითხო? — სულერთთავად მხოლოდ კითხვა საშინლად ქანცს სწყვეტს ჩემდროულ კაცს. ბაღში ჯდომა და კრიალოსნის მარცვლა კი გუნებში არ მომდის. სამი შვილიდან ერთ-ერთთან გადავიდოდი ბინად, მაგრამ იქაც ორჭოფობაში ვარ. ქალიშვილს მივეჩიხნო, ვაი თუ სიძემ არ მიქაშნიკოს. ვაუებს დავუჯდვ სახლში და, ვაი თუ რძლებმა ცხვირი ამიბზუნონ. იქნებ ველარ გამიგონ შვილებმაც! ანდა მეუღლეების აყოლით ჭკუის დარიგება და ყოველ ნაბიჯზე შენიშვნების მოცემა დამიწყონ, მათმა შემხედვარე შვილიშვილებმაც მიუცხოონ და არ შემიჩვიონ.

— რა ექვები გამოგიგონიათ, ბატონო ნიკოლოზ! — ძალდატანებით გაიცინა ბაადურმა. — თქვენისთანა სათნო კაცს არ შეიფერებენ შვილები, სიძე და რძლები, რაც მთავარია, შვილიშვილები? რომლებსაც, მაპატიონ თქვენმა ამ ახლობლებმა და, ჭკუის დამრიგებლად ისევ თქვენ გამოადგებთ. მაგრამ, თუ რაც თქვენ თქვით მხოლოდ ექვები არ არის, თუ თქვენ საბაბი ვაქვთ გულისხმიერებას არ მოელოდეთ თქვენი შვილების ოჯახებში, მაშინ სხვა საქმეა.

— რას ამბობ, ბაადურ!

— მაპატიეთ, თუ შეცტობე, ბატონო ნიკოლოზ.

— რა უნდა გაპატიო, ჩემო კეთილო? განა, გავიწყური და ხმა იმიტომ ამივარდა! ამით ჩემი თავი მოვაგე გონს, რომ თვითონაც არ ვიცი რატომ შვილებსა

**გიორგი ბაღვაშილი**  
გვიფარავს მრავალი ხმერი

დოქ. სსრ კ. მიქელსონი  
სახ. სახ. რედაქცი.



და მათ ოჯახებს კინაღამ ცილი შეეწამე. ეს, ალბათ, სიბერის ბრალია. სიბერემ ექვემდებარება აკვირება იცის. ხოლო, იცი, როდის ვივარდენი პირველად რომ ახალგაზრდა აღარ ვიყავი? უძლურობა როგორც ასეთი — არა, მაგრამ ხსოვანება — მაშინ, როცა ჩემმა უფროსმა ვაჟმა ჩემი შარვალი და ფეხსაცმელი მოირგო. ახლა კი, ნამდვილი სიბერეც მაგრძნობინებს.

ნიკოლოზმა ღრმად ამოიოხრა და სვედინანი თვალეზი ოთახის კედლებს დინჯად მოავლო, თითქოს ხანდაზმულობას ეს უტყვი მოწმენი დაუდასტურებდნენ. ნახევრად ბნელ და გრძელ ოთახში, სადაც ნიკოლოზი და ბადური ისხდნენ ბუვრი ნივთი არ იდგა. რაც იდგა, ისიც ძველებური და შელახული იყო. ნიკოლოზს საზოგადოებაში ყოფნა ავალებდა, რომ თანამედროვედ, გემოვნებით სცნოდა და ასეც იყო ხოლმე, ბინას კი სიძველის ელფერი იმიტომ დაჰკრავდა, რომ იგი უცვლელად ისე იყო დაცული, როგორც გამოიყურებოდა ნიკოლოზის მეუღლის სიცოცხლეში. ერთი შეხედვით უცნაური იყო, მაგრამ მთელი სიცოცხლე წიგნზე მოამაგე კაცს ბანა წიგნებით არ ჰქონდა გამოქედლი. ღია თარონი ოთახის მხლოდ ერთ კედელზე იყო ასართულებული, რომელიც მთლიანად ეკავა მსოფლიოს მამამთავარ კლასიკოსთა რჩეულ თხზულებებსა და თანამედროვე მწერლებსგან გამომცემელისათვის ავტორისეული წანაწერებით ბოძებულ წიგნებს.

ბადურის შეხედვლებით კატების გაჩენა ოთახს გულმოუვალს გახდიდა. სამაგიეროდ, მგალობელი ჭრელი ჩიტების გალია და ქოთნის ყვავილები მას ძალიან მოუხდებოდა.

5

ახალთახალი თეთრი გალია, რომელზეც ჭრელი ჩიტები ჭიკჭიკებდნენ და რამდენიმე მომცრო ქოთანიც სხვადასხვა ყვავილებით, ნიკოლოზს შემდეგ სტუმრობაზე ბადურმა მოუტანა.

საჩუქრებით ცოტა გახალისებულმა

ნიკოლოზმა ჩიტებს საკენკი შეუყვარა ხოლო ყვავილებს წყალი ასხურა. შემდეგ კი ის ბადურის გვერდით დაჯდა აქრცილი დივანზე ისევე მოწყენილი, როგორც ბადურის გამოჩენამდე იყო. ბადურმა ნაღვლიანად გაიფიქრა, რომ ხალხში ტრიალს შეჩვეულ ნიკოლოზს მარტობას ჩიტები და ყვავილები ვერ გაუქარებდნენ.

— ისევ ძველ საუბარს დავუბრუნდეთ. როგორ ვქნათ, რომ მარტო არ იყოთ?

— რას ამიხირდი, ყმაწვილო! — რბილად დატუქსა ნიკოლოზმა სტუმარი, — სულით კი არ დავცემულვარ! დროდადრო კი შეილებიც მნახულობენ და მარტობას ძლიერ არ ვგრძნობ. შეილები თავთავის სახლებშიც მიბირებენ.

— თქვენ კი, გატყობთ, არ თანხმდებით. რატომ?

— იმიტომ, რომ ერთთან თუ გადავედი, ამით დანარჩენი ორი არ ვაწყენიო.

— თქვენც ხან ერთთან დაჰყავით ხოლმე, ხან მეორესთან, ხან კი მესამესთან. შემდეგ ისევ თავიდან დაიწყეთ ხოლმე.

— ასე არ ივარგებს. ხშირი დაბარგებითა და აბარგებით სამივე ოჯახს მყუდროებას დავურღვევ.

— მაშ იქნებ ჩემთან გადმოხვიდეთ? მე და ქეთევანი ამას გულწრფელად ვთავაზობთ. გთხოვთ კიდევ. ვიფიქრეთ, ვიმსჯელებთ და ვთქვით, რა კარგი იქნება, რომ დავგთანხმდესო.

ნიკოლოზმა უცებ თვალეზზე ხელი აიფარა და თითებსშუა გამოიხედა. ეს მისი ცნობილი ზერხი იყო, როცა არ უნდოდა სახეზე აღბეჭდილი ალღელება სხვისთვის დაენახებინა.

— მჯერა, რომ გულწრფელად მეუბნები, მაგრამ ასე რომ გავაკეთო, მაშინ უკვე სამივე შვილი შემომწყურება.

— თვითონ თანხმობა მითხარით და თქვენს შვილებს მე დავარწმუნებ, რომ ეს მათ თავმოყვარეობას არ შელახავს.

— ვერ დაარწმუნებ. მაგრამ თუ მოხდა და დაგიჯერეს, მე გული მეტკინება. დღეძლი შვილები სხვა დედამამის შვილს



მხილოდ მოძღვრებულ მშობელს გადა-  
ულოცავენ.

კარზე მოკლე კაკუნნი გაისმა და ოთახ-  
ში რბილი ნაბიჯით და თბილი ღიმილით  
შემოვიდა სილოვან კირთაძე. სილოვანს  
ყველი დაქმუჭენილი შლიაპა ეხურა,  
მხრებში მოწუთხული და კალთებგაშ-  
ლილი თხელი პალტო ეცვა, იღლივში  
ბალიწივით გაბერილი ლიდერინის სა-  
ქალაღღე, წიგნები, ყურნალები და ნა-  
ვაჭირი სანოვავის შეკრულები ჰქონდა  
ამოჩრილი. ყველაფერი ეს კი, ისედაც  
დაბალსა და მსხვილს უფრო განიერად  
აჩენდა. სილოვანმა ხალისიანი ყურად-  
ღება პირველად მეგობრის სტუმარს მი-  
აპყრო. გულისხმიერად მოიკითხა კი-  
დეც, მისი აწინდელი სამსახურის საქ-  
მეებს კი იგივე ნიფრთხილით, რასაც  
მულდამ იცავდა ნიკოლოზთან საუბარში  
თვითონ ბაადური რომ პენსიაზე გაყვა-  
ნილი კაცი არ აღევლინებულყო, სილო-  
ვანიც გაკვირთაც არ შეეხსო.

ბაადური სილოვანს ფეხზე ამდგარი  
შეხვდა და აღარც დაჯდა.

წიგნან მეგობრებს თავისთვის მყუდ-  
რო საქუჭუჭუკო ექნებოდათ და ბაადურს  
შექძლო წასულიყო. ბაადური მათ  
გულში სითბო ჩამდგარი დაემშვიდობა.  
სითბო იმის ხილვამ მოჰგვარა, რომ ძვე-  
ლი მეგობრები ერთმანეთს არ კარგავენ.

6

— თუ კაცს სამსახურში ანგარიშს შეგ-  
ნებულად აღარ უწევენ, მისთვის კი  
უხერხულია ამაზე აურზაური ატეხოს,  
მაშინ სჯობს ასეთ გარემოს იგი თვითონ  
გაეცალოს. ოღონდ არ უნდა გაეცალოს  
ლაჩრულად, რომ თავისით წასვლა  
უხერხულობის აღიარებდად არ ჩაუთვა-  
ლონ. არც ორომტრიალით ან დაჯინე-  
ბით გაცლა ვარგა, რომ არ იფიქრონ  
ჩვენს იქეთ გზა არ ჰქონიაო. უნდა გაე-  
ცალოს გარეშე ერთისა და მეორისაც,  
პირადი ღირსების დონეზე. მხედველო-  
ბაშია აუტანელი ვითარება, როცა და-  
წესებულების ხელმძღვანელი ხელქვე-  
ითხ აბუჩად იგდებს.

ბაადური ასეთ დასკვნამდე მის მი-

პართ უშანგი ჯენიძის აშკარა დაუღვე-  
რობამ მიიყვანა. მაგრამ მას ისიც ენაშ-  
და, რომ უფლება არ ჰქონდა სამსახუ-  
რი თვითნებურად მიეტოვებინა. არსე-  
ბობდა გავლენიანი მაღალი დაწესებუ-  
ლებები, რომლებიც სხვა მნიშვნელოვან  
საქმეებთან ერთად მათდამი დაქვემდებ-  
ბარებულ უბნებზე ადამიანთა სამსახუ-  
რებზე ივ განლაგებასაც განაგებდნენ. ბა-  
ადურს არც უფიქრია ნაგულისხმევ და-  
წესებულებათა ხელმძღვანელებთან მო-  
თათობირების გარეშე სამსახურის დატო-  
ვება. მაგრამ იყო სამიშროვბაც. შეიძ-  
ლება ეფიქრათ, ნაწყენია, რომ ღირეკ-  
ტორობა არ ხვდა და ახალ ღირეკტორს  
თვითონ აუყირავდაო.

მოხდა კი ისე, რომ ბაადურს ყველა-  
ფერი თვითონ ახალმა ღირეკტორმა გა-  
უთადვილა.

უშანგი ჯენიძემ ბაადური კაბინეტში  
გამოიძახა და ზედმიწევნით თავაზიანად  
მიიღო. ღირეკტორი პირველად ამინდ-  
სა და ფეხბურთს შეეხსო. ბაადური მიხ-  
ვდა, რომ ფეხბურთი საუბარში შეტ-  
ყუების უსუსური ფანდი იყო. ჯენიძეს  
ფეხბურთში ბევრი არ გაეგებოდა, თუმი-  
ცა თავს ღიღ მცოდნედ სდებდა. ბა-  
ადურს კი ფეხბურთიც უყვარდა და მის  
ირგვლივ მსჯელობაც. მაგრამ ჯენიძემ  
მას ფეხბურთზე სიტყვა ვერ დააძრევი-  
ნა და საქმეს შემოუთარა.

— მე პირდაპირი კაცი ვარ.

ბაადურმა ოდნავ მხრები შეატოკა და  
არაფერი უპასუხა. მან კარგად იცოდა,  
რომ ეს ორმოცზე მეტი წლის უკვე  
სრულიად გამელოტებული კაცი, რომე-  
ლიც კაბინეტში ზურგზე ხელედაწყო-  
ბილი ღინჯად დააბიჯებდა, ღვარძლიანი  
ადამიანი იყო და გამომცემლობაში მო-  
ადგილედ დახვედრილ მეტიჩარას ძვე-  
ლი „ცოდვებისთვის“ ახლა გაუსწო-  
რებოდა.

— მიკიბ-მოკიბული ლაპარაკი არ მი-  
ყვარს. — მეორედ დაიხასიათა თავი  
ღირეკტორმა.

**გიორგი ზელაფილი**  
ბიზნარაპს მრავალი ჰმირი



ბადურმა ჭერ ისევ დუმილი არჩია.

— ახლა ვიტყვი შენზეც, რამდენადაც შეგისწავლე. — განაგრძო ჭენიძემ, — სპეტაკი და საიმედო ადამიანი ხარ, საქმის მცოდნე, ერთგული მუშაკი. თანამშრომლებშიც ამიტომ დამსახურებული პატივისცემით სარგებლობ. მე კი, უცნაური არ გეჩვენოს, სწორედ ამ ღირსებათა გამო არ გამომადგები. ხანი გაგა და მეც სახელს მოვიპოვებ. მაგრამ თუ შენ კვლავაც გვერდში მეყოლე, ვშიშობ, რომ ჩემი ღვაწლი გამოჩნდეს. კაცმა რომ თქვას, ზოგი მოქნილი ხელმძღვანელი შენნაირ მოადგილეს არ შეეღევა. კარგი საქმე ხომ ვინც არ უნდა გააკეთოს დაწესებულებაში, უბირველესად ხელმძღვანელს მიეწერება? ანუ, მას შეუძლია ყველა მიღწევა მისივე ხელისა. მე ამგვარ უსამართლობას არ ვიკადრებ. მე მინდა წარმატებები უშუალოდ ჩემი ხელმძღვანელობით მოვიპოვო ჩემდამი რწმუნებულ დაწესებულებაში. ოღონდ არ მინდა ჩემი პირადი დამსახურება მიეწეროს შედარებით ძველ მუშაკს, აქაოდა, მის სახელთან იყო დაკავშირებული დაწესებულების ადრინდელი, ასე ვთქვათ, არა ცუდი მაჩვენებლები. გამიგე?

— ძალიან კარგად გაგიგეთ. ოღონდ ადრინდელი მართლაც. არა ცუდი მაჩვენებლები დაკავშირებული იყო, უბირველესად, ნიკოლოზ ბარიშვილის სახელთან.

— აი, ბარიშვილისა და შენი მეტისმეტი შეხმატებულობის შესახებაც მინდა გითხრა.

— აჯობებდა, რომ მე და ბატონი ნიკოლოზი დანასისხლად ცყოფილიყავით და ერთმანეთზე საცემრად გვეწივნა?

— არა, რა თქმა უნდა. მაშინ ორივეს ერთად გაყრიდნენ. მაგრამ, შენ როგორ ფიქრობ, სიამოვნებს ნებისმიერ ახალ დირექტორს თუ მისი მოადგილე ძველი დირექტორის მხეს ფიცულობს?

— ნებისმიერ ახალ დირექტორზე ვერ გეტყვით. თქვენ ნამდვილად არ გასიამოვნებთ. პირადად მე კი, ჭეშმა-

რიტად კაცური კაცი ბატონი ნიკოლოზი. რომელმაც ბევრი რამ მასწავლა, არ შემძლია არ მიყვარდეს.

— ხოლო მისგან ნასწავლი რომ შენ მე არ მასწავლო, ამიტომ ორივეს გაყრა გვირჩევნია.

— ამას რაღა ლაპარაკი უნდა! ამათთან, ვადასტურებ, რომ მართლაც პირდაპირი, მეტიც — გულახდილი კაცი ბრძანებულხარ. მე მხოლოდ იმაზე მწყდება გული, რომ თქვენ დამასწარი.

— რა დავასწარი, ამხანაგო ამირიძე?

— დამასწარი თუ ის, რომ ჩემი გასაცხადებელი თქვენ წამომიყენეთ.

— რა უნდა გაგეცხადებინათ, ამხანაგო ამირიძე?

— განა ძნელი გამოსაცნობია — რაც? ცხადია ის, რომ თქვენგან წასვლას თვითონაც ვაპირებდი.

უშანგი ჭენიძე ჭერ უცებ გაიბადრა, მაგრამ უმალ ეჭვით მოიღუშა.

— სად უნდა გაგეცხადებინა?

— ნუ შეშინდით. ჩივილს არ ვაპირებდი. მათ, ვინც აქ გადმომიყვანა, შევუთანხმებდი თითქოს სამუშაოს ვერ შევეწყვე. ასე იმიტომ ვიცრუებდი, რომ უთავსი კაცის სახელი არ მომეკერებოდა. ეს მგონი მაინც უნდა გაეკეთათ.

— შეგიძლია აღარ შეწუხდე. მათ, ვინც აქ გადმოგიყვანეს და ახლა კი შეეჭლოთ სხვაგან ვადაეყვანეთ, საკითხის გადაწყვეტა მე მომანდეს.

— ასე გამოდის, რომ მე უკვე განთავისუფლებული ვარ!

— ასე გამოდის. ოღონდ არ იფიქრო, თითქოს ბედის ანაბარა გტოვებ. სადაც კი სამსახურს ისურვებ, იქ მოგაწყობ. გნებავს ისევ ქუჩრალში დაბრუნებას მოგიტეხებ?

— როდენ გულისამაჩუყებელი გულისმხიერება! თქვენ არა მარტო პირდაპირი და გულახდილი, საოცრად სულგრძელი ადამიანიც ყოფილხართ. მაგრამ თქვენ მაინც მეტს ნუ შეწუხდებით ჩემი გულისთვის. ისედაც საკმარისად გიზრუნიათ. სამსახურს თვითონ ვიშოვი. არ ვიუკადრისებდი ქურ-



ნალში დაბრუნებასაც, თავისუფალი ადვილი რომ მეგულებოდეს.

— შენი საქმისა შენ იცი! ყოველშემთხვევაში, ჩვენ მგონი მშვიდობიანად ეშორდებით.

— მშვიდობიანად, რასაკვირველია. ოს არ გიმართავთ. კაცი ღირსეულ მეტოქეს უნდა ებრძოდოს! ოღონდ მე დღესვე ან თუნდაც ხვალ ვერ წავალ. ორიოდე დღე მაინც მჭირდება, რომ ზოგიერთი საქმე დავამთავრო.

— ათიოდე დღეს დავაცი, შე კვი კაცი! მტრები ხომ არ ვართ!

7

ორიოდე დღე, რომელიც ბაადურმა უშანგი ჭენიძეს მოსთხოვა, ერთი პატარა გეგმის მოსაგეგმარებლად სჭირდებოდა. იმ დღიდან, რაც ის ინახავდა ჯანოს ლექსებს, რომლებსაც ავტორი დაკარგულად თვლიდა, ბაადური ფიქრობდა ისინი ერთად შეეკონა და კოსტა წიგნაკი გამოეცა. ეს სრულიად მოულოდნელი და ძვირფასი ნობათი იქნებოდა ჯანოსთვის, რომელსაც ასეთი ბედნიერება აზრადაც არ მოსდიოდა.

ავადმყოფურად მგრძნობიარე ჯანო ბოლო ხანს დაბნეულზე დაბნეული და კალაპოტიდან ამოვარდნილი იყო. ეს იმიტომ, რომ მასაც მოეკრა ყური, რა სარჩული გამოაკერეს ბაადურისა და მის მეგობრობას. ოღონდ კი მის გამო ბაადურს უსიამოვნება არ შეხვედროდა, ჯანო თავს სულ არ ჩიოდა. ამ შეგნებით ის თანდათან ჩამოსცილდა ბაადურს, აღარც ქალაქგარეთ მიჰყვებოდა და აღარც მის კაბინეტში იჭდა. ჯანო ბაადურს ქორწილშიც კი არ ესტუმრა. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, როცა ის თავს ებრძოდა, რომ ბაადურს არ გაკარებოდა, ჯანო უსუსურ მიზეზებს იგონებდა და თვითონვე იტანჯებოდა. უფრო მეტად მას გულს უღრღნიდა ის, რომ მის განაპირობებს კარგად ხედავდა ბაადური, მაგრამ განმარტებასაც არ სთხოვდა. სჩანდა, ასე უჯობდა ბაადურსაც, რომ მათ შესახებ გამომ-

ცემლობაში მითქმა-მოთქმა შეწყვეტილიყო.

ბაადური მართლაც კარგად ხედავდა, რაც აწუხებდა ჯანოს, მაგრამ თავს იმიტომ იჭერდა მიამიტად, რომ ეშინოდა საიარისპირო შეგონებით ჯანოსთვის ეგვიბი არ გაედრმავებინა. ხომ ხშირად ხდება ხოლმე, რომ ერთი ადამიანი მეორეს სწორედ იმაში ვერ აჯერებს სარწმუნოდ, რასაც დასაბუთება არ სჭირდება! ისე კი, ნივთიერ საბუთად იმისა, რომ ბაადურს ჯანო ძველებურად უყვარდა, მარტო ლექსების წიგნაკი გამოდგებოდა, რომელსაც ბაადური გულგატეხილი პოეტის ჩუმად ამზადებდა.

მაგრამ მოულოდნელმა შემზარავმა ამბავმა, რომელიც ბედიას სოფლიდან მოვიდა, ბაადურს ყველაფერი დაავიწყა. მესამე ბავშვის მომლოდინე, წინასწარ გულადილინებული სუსტი და სათუთი ნანი მშობიარობას ვადაჰყვავო და თავზარდაცემული ბაადური ერთ საათში მეგობართან გაჩნდა. დამწუხრებული ახლობლებით გარშემორტყმული ბედიას გადარეული მოსთქვამდა და თვლებს უაზროდ აცეცებდა. გოდებდა ყველა, ვინც იქ იყო, იქ კი თითქმის მთელი სოფელი იყო. სოფელი იმთავითვე გულმინდობით შეეთვისა სოფლის სასიკეთოდ მოვლენილ გულდია და დაუზარელ წყვილს და ვედარც არჩევდა, რომელი მეტად უყვარდა.

ბედიას ნამდვილი თავდავიწყებული ბლავილი ამოვარდა პირიდან ბაადურის დანახავზე და ცრემლები ვერ შეიკავა ბაადურმაც. ბაადურმა მაინც დამშვიდება დაუწყო ბედიას, თუ კი მისთვის საერთოდ ნუგეშის ჩანერგვა შეიძლებოდა.

ბედიას ორ დღეში გახმა და გაქალავდა, უკვე ნანის ნედლ საფლავთან კი უმწეოდ ტორტმანებდა სასომიხილი და სახეშეცვლილი ჭირისუფალი, რომელსაც, რომ არ სცოდნოდა რომ ეს ბედიას იყო, ვერ იცნობდა ბაადურიც კი.

გიორგი ბალაშვილი  
გვიზარავს მრავალი მძრი



ნანი სოფლის თავში ლამაზ გორაკზე დასაფლავეს, რომელიც ამიერიდან ბედიას სევდის სავანედ გადაიქცეოდა. უბედურებისგან გულდახეთქილ სხვა უახლოეს ჭირისუფლებს, მამას და ძმას, ვინც ნანის დარჩა, მისი თბილისში დასაფლავება ეფიქრათ, მაგრამ ისინი დამორჩილდნენ ბედიას ნებას. სოფელი, სადაც დაიღუპა ნანი, ბედიამ უკვე თავის სამუდამო საცხოვრებლად ჩაითქვა.

ნანის დასაფლავების შემდეგ ბედია გამოუცნობმა შოშმა და ეჭვებმა შეიპყრო და ბაადურს გვერდიდან წუთითაც არ იცილებდა.

— ამ ჩემ უკურნებელ დარდთან ასე უცებ პირისპირ ნუ დამტოვებ...

ბაადური კიდევ მთელი კვირა ჩარჩა ბედიას სოფელში.

ბედიას დარდს ზედ თავსატეხიც ერთვოდა. ცოცხალი იყო პაწია არსება, ვინც დედის სიცოცხლე შეიწირა. ჯერ ისევ გაოგნებული მამა კი ისეთ დღეში იყო, რომ არ შეეძლო შეეხედა არა თუ ახალშობილისთვის, რომელსაც დაბადებიდან საშინელი ბრალი ეკისრებოდა, არამედ უფროსი შვილებისთვისაც, რომლებიც ამგვარი დანაშაულის გარეთ იდგნენ. უფროსებს ახლა გულშეძრული ბებია და ქალბატონი მარო დაკანკალდნენ, ახალშობილი კი მიპგვარეს ახალგაზრდა მეზობელ ქალს, რომელსაც თავათ ჩვილი ბავშვი ჰყავდა.

8

სოფელმა კეთილშობილმა ახალგაზრდა ქალმა ქვეყნად დედის სიკვდილით მოვლენილ პატარა ნანის რამდენიმე დღე თავგამოდებით უპატრონა შემდეგ კი მას ძიძობა ქეთევანმა ჩააოართვა. ქეთევანს ამბავი იდუმალში მიუვიდა და იქვე დაბადებოდა აზრიც, რომლითაც თბილისში ჩამოვიდა, მაგრამ ბაადურმა გაბედულად ვერ უთანაგარძნო. რაღა თქმა უნდა, პირველი ბაადური ფიქრობდა, რით ეშველა ახალგაზრდა ქვრივისთვის. და მანაც

ეეჭვებოდა, რომ ქეთევანის ჩანადერი აზრშეწონილი იყო. ეშინოდა რომ ქეთევანი ამაზე მერე თვითონვე ინანებდა, მაგრამ უკვე ვვიან იქნებოდა. ქეთევანს ტვირთი დაამძიმებდა, ცოდვით შობილ ნაშვილევს კი უკან ველარ გაუბრუნებდნენ, რადგან ნებაყოფლობითი ქველმოქმედებიდან დახვევით ორივეს თავი მოეკრებოდა. საქმეში დაუდევრად ჩაერთა მათა. მათამ მკაცრად შეყარა წარბები და ორივეს გადაჭრით დაუშალა ასეთი ქველმოქმედება იმ განმარტებით, რომ სახლში სხვისი შვილის შემოყვანა ღვიძლ შვილზე მშობლების ყურადღებას გაანახევრებდა. მათა უფრო ძმას უტატანებდა. ეტყობოდა, დედის შემდეგ ძმაზე სრული ვავლენის მოპოვება ეპირებოდა.

— ლევასგან რა მოიგე, რომ ახლა შვილობილს იჩენ? ცოტა ადრე, თურმე იმ შენი ყოფილი დირექტორის შეკედლება მოგსვლია თავში, თითქოს იმას თავისი ჭერი არ ჰქონდეს და პატრონი არ ჰყავდეს! ეს რა ყველასმამიღობა გჭირს, არ ვიცი!

ბაადურმა კინაღამ თვალებით გაკვეთა, ისე მწყრალად შეხედა, მათას შემდეგ მიუბრუნდა ქეთევანს, რომელიც ქმრის რიდიან მულთან დავას ვერ ბედავდა.

— წადი და ხვალვე ჩამოიყვანე... თუ გამოგატანენ.

შეთრაცხყოფილი მათა ოთახიდან გაცეცხლებული გაიჭრა, ხოლო სოსიკოს აკვნის გვერდით მეორე დღესვე კიდევ ერთი აკვანი დაიდგა.

ბედიას უბედურების ვაგებზე ბაადური ისე უცებ მოსწყდა ქალაქს, რომ არც მოჰგონებია სამსახურიდან ნებართვის აღება. სამაგიეროდ, მთელი ათ დღის გაცდენისათვის მკაცრი პასუხი მოსთხოვა მას უშანგი ჩენიძე.

— ეს გაუგონარი თვითნებობა და სამსახურის აბუჩად აგლებას!

— გეთანხმებით, რომ თქვენ უკითხვად სამსახურის გაცდენის უფლება არ მქონდა. მაგრამ მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი საშინელება და



მე იმდენი ფიქრის თავი აღარ მქონდა, რომ უნებართვოდ წასვლა არ შეიძლებოდა.

— სულთ ძლიერი აღამიანი სალი აზროვნების უნარს სწორედ რთულ ვითარებაში არ უნდა ჰკარგავდეს. შენ კი სუსტი ნერვები გქონია. ყოველშემთხვევაში, სამსახურს ქარაფშუტულად უღალატე. მე მინდოდა, რომ ჩვენ მშვიდობიანად დავშორებულიყავით მაგრამ ახლა ასე ვეღარ გამოვა.

— რაც გინდათ, ის მიყავით. ოღონდ მე გითხოვთ, ეს არ გააკეთოთ ახლა. თუ ფიქრობთ სამსახურიდან განთავისუფლებას მოხსნით შემიცვალთ, მე არც ამას მეშინია. მე არ მინდა, რომ ჩემს საქმეში თავი დამანაშავედ იგრძნოს მეგობარმა, რომლის გულისთვისაც სამსახური გვაკადინე. გადაიაროს ამ ამბავმა და როგორც შეთანხმებული ვართ, ჩემით წავალ.

— ხომ გითხარი, რომ მშვიდობიანად ვეღარ დავშორდებით-მეთქი. მესმის შენი კეთილშობილური აღტყინება, მაგრამ მინც არ შემეძლია გაპატიო. მე კანონისა და წესრიგის კაცი ვარ. თანაშრომლებს თავის სურვილზე ვერ ვაპარპაშებ. რაც მთავარია, სამსახურის ღალატის უფლებას არავის მივცემ.

ბაადურს მიხვდა, რომ უშანგი ჯენიძესთან ლაპარაკს აზრი აღარ ჰქონდა და ღირებულების კაბინეტიდან ცივად გავიდა.

9

ამბავი ერთ ადგილზე არ ჩერდებოდა. წყალივით ჟონავს. გართხმული მცენარის კლანჭებივით ცოცავს. ხმელი ფოთლის კვამლივით ვრცელდება.

გახმაურდა უშანგი ჯენიძისა და ბაადურის დაძაბული სამსახურებრივი ურთიერთობის შედეგად. დაწესებულებაშიც და გარეთაც. ამბავმა რა თქმა უნდა უპირველესად ნაცნობების ყურადღება მიიპყრო. ბაადურს კი ეჩვენებოდა, რომ რა სირცხვილიც ჰქამა, მთელმა ქალაქმა იცოდა. ამიტომაც სახლში ჩაიკეტა. იგი პირველად იყო უმუშევარი კაცის გაურკვეველ მდგომარე-

ობაში და თავის წვენი იხარშებოდა. მას მართო ის აღარ აწუხებდა, სისამსახურიდან გაძევება და მიზეზიც ამისა ბედიამდე მივიდოდა. ახლა ბაადურს თავისთავზე ჯავრი მოსდიოდა, რომ უშანგი ჯენიძესთან თხოვნით თავი დაიმცირა.

მომაბეზრებელი გახდა სახლში ჯდომა. ყოველდღე მოდიოდნენ თანამგრობი ნაცნობები, რომლებსაც ამბის დაწვრილებით გაგებაც უნდოდათ. ბაადურს კი ეს ყელში ამოუვიდა. ხოლო თუ ასეთი მომკითხავი აღარავინ ჩანდა, მაშინ ბაადურს ძარღვებს უშლიდა დაღვრემილი ქეთევანის ყურება. ქეთევანი ბაადურის უგუნებობის გამო იყო ასე და სახლში ყველაფერს უჩუმრად და ცახცახით აკეთებდა.

მთავარი კი ის იყო, რომ სახლში ჯდომა ბაადურს არაფერს მოუტანდა. ამ გაფიქრებებიდან მეორე დღესვე ბაადური სამსახურის საქებრად გავიდა, პირველივე ქუჩის კუთხეში კი ყოყმანით შეჩერდა. ამ წუთამდე მას ჩაფიქრებული ჰქონდა ფირნიშების კითხვით კარდაკარ სიარული, სანამ თავის შესაფერ წარწერას ამოიკითხავდა და იქნებ სამსახურში მიიღებდნენ. თუ უცებ ვერ მიიღებდნენ, შეიძლება მომავლისთვის მინც შეპირდებოდნენ. მაღალ თანამდებობაზე მოხვედრის შესახებ ფიქრიც ზედმეტი იყო. მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა საგანგებო საგზურით ან დადგენილებით ხდება. ბაადურს ამისა ან სწრაფვა არც ჰქონდა. ოღონდ უბრალო სამუშაოზე მოწყობასაც სიფრთხილე სჭირდებოდა, რომ ბოროტ ენებს ბაადურის ეს ნაბიჯი ხალხის ასალაპარაკებელ ყალბ თავმდაბლობად არ მონათლათ. საბოლოოდ ბაადურს სასაცილო უაზრობად მოეჩვენა ის, რაც წუხელ ლოგინში გადაწყვიტა. ბალიში და საბანი კაცს ხშირად თავისთავად ატყუებს. ბაადური შეიძლება სხვა არავითარ სიძნელეს არ შეუდრკებოდა, მა-

**გიორგი გელაუზვილი**

გვიფარავს მრავალი ზიარი



გრამ იმის კაცი არ იყო, რომ მართლაც ჩამოეარა უცხო დაწესებულებები და შევედრებოდა, სამსახური მომეცითო.

ბადურს უცებ ძალიან მოუწონდა ნიკოლოზ ბარიშვილის ნახვა. ისინი დაახლოებით ერთ მდგომარეობაში იყვნენ და ერთმანეთს ყველაფერს უკეთ გაუგებდნენ, ვიდრე სხვა ვინც არ უნდა ყოფილიყო თანამოსაუბრე. მაგრამ ნიკოლოზი უკვე თავისთან გადაეყვანა უფროს ვაჟს, რომელმაც თავის დროს პირველმა მოირგო მამის შარვალი და ფეხსაცმელი. ბადურს საჭირო მისამართის დადგენა არ გაუძნელებოდა, მაგრამ ეჩოთირებოდა თავისი ამბის მოყოლით მოხუცის გაუგებურება.

ამიტომ მან თავიდან ამოიგდო რა ფიქრების თვლიერება, გადაიფიქრა ნიკოლოზთან წაშვლაც. ყველაფერი ამის მაგივრად იგი ქუჩებში უბრალოდ ივალს წყალს დაალევინებდა.

ქუჩებში ხშირად ნაცნობები უცნობებში ეშლებათ, ისე საოცრად თანხედენილია ხოლმე შორიდან მსგავსება სახეებს შორის. ზოგჯერ კი ასეთი დაუჯერებელი მსგავსება ადამიანს წამით ჰკუთას აკარგვინებს. ეს მაშინ, როცა მის თვალში ვინმე გამვლელი ნამდვილი ასლია ახალგაზრდაცვლილი ახლობელისა. ასე არა ერთხელ მოსჩვენებია ბადურს, დედა, ბესო-პაპა, გიგი ლუტიძე.

ასე თითქოსდა დაინახა ბადურმა ქუჩაში ნანიც. ახალგაზრდა სათნო ქალი კი, რომელიც ნანის ზუსტი ასლი იყო, ბადურის მოუჩინებელ მიშტერებაზე დაფეთებული აჩქარდა.

10

ამ ხანად ბედიას ყველა მეტნაკლებად ახლობელი მის ჭირს ღრმად განიცდიდა. ამიტომ ბადურს არ გაკვირვებია ლეგას მოწყენილობაც. თურმე უკვე რამდენიმე წუთი იყო ლეგა ბადურს გვერდში გატრუნული მიჰყვებოდა. ფიქრში წასულმა ბადურმა ის მხოლოდ მაშინ შეამჩნია, როცა ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, ასანთი კი სხვამ

გაუჭრა. ბადურმა ლეგას მკლავი გაუყარა და სასერიოდ სიამოვნებით ყოლია.

— ჩემ ამბავს უკვე გაიგებდი...

ლეგამ სინანულით თავი დააქნია.

— გავიგეთ. მაგრამ გონება ვერ მოგვიკრეფია. თავზე ჭირისუფლებივით კი იმითმ არ დაგადექით, რომ ვიცით არ გიყვართ, როცა ვინმე გულს გიკეთებთ.

— შენ ჩვეულებრივ ტიტესა და გურის სახელითაც ლაპარაკობ?

— რა თქმა უნდა!

— ისინი სადღა არიან?

— ისინიც სადმე ცალ-ცალკე არიან. ეს ჩვენი შორის გახედულობაა. უერთმანეთობას ამთავითვე ვეჩვევით.

— რა აზრით?

— იმ აზრით, რომ უკვე მეოთხე კურსის სტუდენტები ვართ და შორს აღარ არის ჩვენი სამსახურებრივი განაწილებით დაშორება. ტიტე და გური კი შეიძლება დარჩნენ თბილისში, მაგრამ მე ხომ ნამდვილად სოფელში ვბრუნდები! ასე რომ, მათთან პირადად ჩემი დაშორება მაინც გარდაუვალა.

— მაგრამ მათგან გამოქცეული რომ მოულოდნელად მე გადამეყარე? მაშინ, როცა შენ უჩემობასაც უნდა ეჩვეოდე...

— თქვენ მაინც სულ სხვა ხართ! მერე სანანებელი რომ არ გამიხდეს, ახლა თქვენთან ხშირად ყოფნას უნდა დავეშურო.

— მოდი და, შენ, ტიტემ და გურიმ ერთი კარგი საქმე ქენით. ბედიასთან კარგა ხანია აღარავინ ვყოფილვართ. მე სანამ სამსახურს არ დავიწყებ, ვერც წავალ, რომ უსიამოვნო დავა არ მოგვივიდეს გამომცემლობიდან ჩემი დათხვის მიზეზ-საბაბზე. გულის გაკეთება ბედიასაც არ უყვარს, მაგრამ თქვენ რომ დავინახავთ, ცოტაოდენ მაინც გაერთობა.

ბადურს ლეგას პასუხი არ გაუგია. ისინი ის იყო საბჭოს მოედანზე გავიდნენ. როცა არდონის ქუჩით კუკიის სასაფლაოსკენ მიცვალბული აატარეს.



საყვარელია თბილისში სახელგანთქმული სევანეთის უბანი თავის აღმართ-დაღმართებით, მოკირწყლული ვიწრო ქუჩებით, პატარა სახლებით, ბაღებით, იასამნებით, მტრედებით, თავისი უბრალო და ავკარგიანი მოსახლეობით, მობურთალი და მოლხტე ბიჭბუჭობით, აღიარებული ფალავნებით, სარდონი-სა და მიტროსთანა ვაჟაკებით. მაგრამ სევანეთის უბანზე სასაფლაოს გზაც გადის. და განა შეიძლება სასაფლაოც იყოს საყვარელი? სასაფლაომ მხოლოდ მიხევეა იცოს!

მიცვლებულის გამყოლთა შორის ბაადურმა რამდენიმე ნაცნობი შენიშნა. შემდეგდა შეავლო თვალი კუბოს და გაფითრდა.

ლეგას ეს არ გამოეპარა.

— იცნობდით?

პროცესისი კუდი, რომლის ბოლოში დამდურებული და თითქოს დაჩივებული სილოვან კირთაძე მიჩანჩალებდა, უკვე მოსახვევს მიეფარა, როცადა ბაადურმა აზრი მოიკრიბა.

— ვიცნობდი, ვაღმერთებდი. აი, ის ბრწყინვალე კაცი, ნიკოლოზ ბარიშვილი, ერთი ნამდვილი უსულგულოების მსხვერპლია.

ბაადური გახევებული იყო. ქვეყანას ჩუმად გამოჰკლებოდა კიდევ ერთი ჭეშმარიტი მოქალაქე. შრომისთვის ანთებული. და შრომიდან უსამართლოდ გადაყენებული მუშაკი. ალბათ ამ გადაყენებამ და ძალად თავის სიბერეში ჩახედვინებამაც მოუსწრაფა სიცოცხლე ჯერ ისევ მხნე კაცს. გადააყენეს სამუშაოდან და თვითონ კი გადამდგარა სიცოცხლიდანაც. ვეღარც შეილებთან თუ შეილთაგან ერთ-ერთთან. ბინის დადების გაუქარწყლებია მისთვის დარდი. სახლში ჩაკეტილ ბაადურს კი მისი სიკვდილიც გამოპარვია და გასვენებაც. იგი ვეღარც პროცესიას დაედევნებოდა, რადგან მას შემთხვევით შეეჩეხა და ასეთ გაყოლას მიცვლებულისადმი პატივისცემად თავს თვითონვე არ ჩაუთვლიდა.

— ეეჰ, — მწარედ გაიღიმა ბაადურ-

მა და ხელი მოწყვეტით ჩაიქნა დიდებული კაცის სიკვდილს წაავსო. მე კი მის მზეს ვფიცულობდი. მაგრამ მარტო ფიცილი რა არის! აღამიანს ყურადღება არ უნდა მოაკლო...

— მას კი ყურადღების მიმქცევი ახლობელი არავინ ჰყავდა?

— ჰყავდა. ჰყავს შეილები და შეილები შეილები დაჩი. მას სჭირდებოდა ერთგული მეგობრებიც და ჰყავდა ისინიც. მაგრამ აღამიანი ასეთ ახლობელთა შორისაც როგორღაც მარტოდ გრძნობს თავს, როცა თითქმის იძულებით მოჰკვეთენ გარემოს, რომელთაც იგი წლების მანძილზე ძვირფას არსებასავით შეთვისებული იყო. ნიკოლოზ ბარიშვილს ასეთი უმადურობა აწვენივინეს. უმადურობის განცდა კი ძალზე მძიმეა, ისეთი მძიმე, რომ ფოლადივით მტკიცე კაცსაც წააქცევს. აი, მოუტელია ნიკოლოზიც.

11

ყოფილი დირექტორის სიკვდილის შემდეგ მთელი გამომცემლობა ახლა სამი უცნობი კარგად ჩაცმული ყმაწვილი კაცის უცნაურმა შესევამ აალაპარაკა.

ისინი პირდაპირ დირექტორის კაბინეტში შევიდნენ და მათ დანახვანზე უშანგი ჯენიძე სავარძლიდან ნაჩხვლეტივით ავარდა.

ისევე, როგორც თავის დროს სხვა მაღალ დაწესებულებაში ასეთივე შეხვედრისას, სამმა ახალგაზრდა გამკითხავენა ძიება ერთურთ შენაცვლებით დაიწყო. ერთადერთი შეუახნის მოპასუხე კი ბრაზისგან ცახცახებდა და ტუჩებს იკუნეტდა.

— ბაადურ ამირიძე თქვენთან ნამდვილად აღარ მუშაობს?

— სრულიად ნამდვილად.

— რატომ?

— მდგომარეობამ ასე მოითხოვა.

გიორგი ველაშვილი  
გვიფარამს მრავალი ჰერი

— შეიძლება უფრო გასაგებად გვითხრათ?

— შეიძლება. ჩვენი ძველი ნაცნობობის ხაზით არ დაგზარდებით.

— გვიცანით, ხომ?

— თქვენ თავს რა დამეიწყებდა!

— არ დაგზარდებით ჩვენც და ჩვენ თავს კვლავაც ყოველთვის შეგახსენებთ, როცა კი კიდევ უსამართლობას დაუშვებთ. ახლა გავვიმარტეთ, რას ნიშნავს „მდგომარეობამ ასე მოითხოვა?“ გვითხარით მხოლოდ სიმართლე.

— გეტყვით მხოლოდ სიმართლეს. მე ხაერთოდ სიმართლის მთქმელი კაცი ვარ.

— ჩვენც სიმართლეს მოვითხოვთ სიმართლის მთქმელი კაცისგან. მაშ ასე.

— ბაადურ ამირიძე იმდენად ძლიერი მუსაჰი იყო, რომ შესაძლოა დირექტორიც კი დაეჩრდილა. დირექტორი მას ამიტომ მშვიდობიანად დაემშვიდობა.

— ვაი რომ, როგორადაც თქვენ ის მოიცილეთ, იმას მშვიდობიანი დამშვიდობება არ ჰქვია.

— ეს უკვე თვითონ ამხანაგი ამირიძის ბრალია. ჩვენ შეთანხმებული ვიყავით, რომ მშვიდობიანად დავშორდებოდით, მაგრამ უკვე შეთანხმების შემდეგ მან უხეშად დაარღვია შრომის შიდაგანაწიხი და კუთვნილი მიიღო.

— დაახლოებით მართალი ბრძანდებით. მაგრამ მხედველობაში ხომ უნდა მიგვღოთ მიზეზი, რამაც გამოიწვია ბაადურ ამირიძისაგან სამსახურის გაცდენა. ბაადურ ამირიძის უახლოეს მეგობარს დაატყდა საშინელი უბედურება და იგი არ შეიძლებოდა მძიმე დღეებში მეგობრის გვერდით არ ყოფილიყო.

— ვიცი. მესმის. მეც ადამიანი ვარ და გული მაქვს. მაგრამ სამსახური მანც სამსახურია. ჭერ სამსახური და შენდევლა პირადი განცდები!

— გარდა ამ ბრალდებისა ბაადურ ამირიძეს სხვა რას წაუყენებდით? ცუდკაცობას ხომ ვერ დასწამებდით?

— ცოდეას ვერ დავიდებ.

— თქვენ ხომ გულწრფელად მოგზარდობთ?

— სიმართლის მთქმელი კაცი ვარმეთქი, უკვე მოგახსენეთ. სიმართლის მთქმელობა და გულწრფელობა კი ერთიდაიგივეა.

— მაშ კარგი! ვაშა! ჩვენც სხვა არაფრის გარკვევა გვინდოდა. სირცხვილი თქვენი, რომ ესოდენ საჭირო კაცი, ასე ვთქვათ, ქურდულად მოიცილეთ.

— რატომ ქურდულად! ამხანაგ ამირიძეს მე ყველაფერი ვაქაყურად პირში ვუთხარა.

— მას კი უთხარით, მაგრამ რატომ არ იციან თქვენდამი რწმუნებული დაწესებულების თანამშრომლებმა, რომ თქვენ იგი მოხსენით?

— არ იციან, დაუშვათ იმიტომ, რომ მოვალე არ ვარ თვითუფლ თანამშრომელს ანგარიში ვაბარო.

— ყოველშემთხვევაში, ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორიც მოადგილის მოხსნაა, არ უნდა უმაღავდეთ.

— მე იგი არც მომიხსნია. უბრალოდ, გავათავისუფლე.

— დიდი შედევით! გახიე თუ გაფხირიწე ერთიდაიგივეა, ისევე როგორც თქვენი სიმართლისმთქმელობა და გულწრფელობა. ჩვენ მაინც კმაყოფილი ვართ თქვენი განმარტებით, რადგან ბაადურ ამირიძეს ჩირქს თქვენც კი ვერ სცხებთ. ისევე, როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ, ჩვენ თქვენზე დასასმენად არც ახლა წავალთ სადმე. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თქვენ თვითნებობა მუდამ შეგვრჩებათ.

სახტად დარჩენილი დირექტორის კაბინეტიდან გასვლის შემდეგ სამივე ახალგაზრდა კაცი შეურჩევლად ახლა პირველსავე სამუშაო ოთახში შევიდა. ოთახი ვრცელი და ხალხმრავალი იყო. მოულოდნელმა უცნობმა სტუმრებმა თვითუფლი იქ მყოფი გამომცემლობის თანამშრომელი დაუფარავი სინაულის შეათვალიერეს.

— ნუთუ, ვერც ერთმა ვერ დაინახეთ, რაც იყო თქვენთვის ბაადურ ამირიძე?

— იყო? — სკამებზე ამოძრავდნენ და ახმაურდნენ თანამშრომლები. მათ მხოლოდ ყურმოკრულად იცოდნენ, რომ დირექტორსა და ბაადურს შორის განხეთქილება მოხდა, ხოლო რაც ამას მოჰყვა, არ ეჯერებოდათ.

— იყო — იმ ვაგებით, რომ თქვენთან აღარ მუშაობს.

— მართლა აღარ მუშაობს? ჩვენ კი ვიცოდით თითქოს მოულოდნელად ხანგრძლივ მივლინებაში გაიგზავნა! — ვაოცებითა და აღშფოთებით წამოიძახა რამდენიმე ახალგაზრდა კაცმა და ქალმა. მთელი განყოფილებაც ახალგაზრდა თანამშრომლებისგან შესდგებოდა.

— უბადრუკები და მიამიტნი ყოფილხართ, თუ ამ ანკესზე წამოვევით, — მიიღეს მათ პასუხი, — მაგრამ ჩვენ თქვენს შესაჩვენებლად არ მოვსულვართ. იყავით ისეთი, როგორც გაჩენილხართ. ჩვენ ვერ შეგცვლით. ბაადურ ამირიძე უთქვენოდაც იარსებებს. რომელიმე თქვენგანი კი მასთან სახლში ფეხდადგმულიც არ განახოთ! ტყვილად გულს ნუ აიჩუყებთ და მის მამებლობაზე ნუ დაიხარჯებით. ეს გასათვალისწინებლად გადაეცით სხვა განყოფილებებშიც.

ლეგა, გური და ტიტე, გულმოოხებულები თავიანთი გამკითხაობით, გამომცემლობიდან პირდაპირ ავტოსადგურში გაცვივდნენ, იქიდან კი ბედიას სოფელში გაემგზავრნენ.

## 12

გამომცემლობაში ლეგას, გურისა და ტიტეს დაუკითხავი მოთარეშების შესახებ ბაადურმა ისეთი კაცისგან შეიტყო, რომლის კიდევ გამოჩენას მისი კარის ზღურბლზე, იგი ველარც წარმოიდგენდა. მაგრამ სტუმარს ცივად არ ხედებოდა და ბაადურმაც მოულოდნელად მოვლენილი ელდარი თავაზიანად მიიღო. ბაადური სტუმარს დიდ ოთახში შეუძღვა, ხოლო სანამ განზრახ გაქიანურებით მას დასაჯდომ ადგილს ურჩევდა, დამაბული ფიქრობდა, რა საუბარი გამოუვიდოდათ. ელდარმა ადგილი თვითონ

აირჩია, საწერ მაგიდას გვერდულ ფიქრობდა და ბაადურის ნაწერები დაუღვრად ვაშანშლა.

— შრომობ?

— ვწვალობ.

ბაადურს არ უყვარდა, როცა მის ნაწერებში ხელს აფათურებდნენ და ბრაზი მოაწვა. მაგრამ მან აღითქვა მოთმინებით აღქურვილიყო და შესძლო კიდევ თავის შეკავება. იგი გულზელდაკრეფილი იდგა და ელოდა, რას იტყოდა ელდარი, რადგან სტუმარს აშკარად ემჩნეოდა, რომ მოსული იყო ახალი ამბით.

ბაადურისთვის მართლაც ახალი და მოულოდნელი ამბავი გამოდგა ლეგასა და მისი ძმაცაცების გამომცემლობაში მის ქომაგად მოვლინება. თანაც, ეს უკვე მეორედ და ერთიდაიგივე კაცის თვითგასასამართლებლად! ბაადური უცებ წამოენთო, მაგრამ საჭირო იყო გულგრილად დახვედროდა ელდარის ყველა მცდელობას წონასწორობიდან გამოეყვანა იგი, და გრძნობას არც აყვა.

— ჩემზე კი მათი ბრძანება შენთან ფეხის აღკვეთაზე, არ ვაგრცეცხდა, — დაღრეჯით თქვა ბოლოს ელდარმა. — უკვე მეც მომიშორა უშანგი ჯენიძემ, შენთან სტუმრობის უფლება კი ბიჭებმა აართვეს მხოლოდ გამომცემლობის თანამშრომლებს, რომელთა შორის მე აღარა ვარ. აერთვა ჯანოსაც კი, თუმცა, როგორც მე ვატყობ, ჯანოს ისედაც აღარ მოუწევს გული შენსკენ. მგონი, რალაც გიწყენიება.

— ჯანოს ნამდვილად ვაწყენიე. მაგრამ ჩვენვე როგორმე მოვრიგდებით. მე ის მიკვირს, რომ უშანგის შენც გაუწირიხარ. მე შენ მისი გუნების კაცად მეგულებოდი.

— ახლოც არ გამიკარა. გულახდილად მითხრა, გავიგე მალული მტრობა გცოდნია და ვიდრე მეც მიმუხთლებ, შენს გზას ეწიეო.

— ბიჭოს! — უცებ ხმამაღლა გაეცივნა ბაადურს. — მგონი, მომწონს უშან-

**გიორგი ველაშვილი**

ბიოგრაფიის მრავალი მხრი



ვი. იქნებ შესცდა, იქნებ — არა. ყოველშემთხვევაში, რაც შენზე უფიქრია, პირდაპირ უთქვამს.

— შენც ხომ პირდაპირ ვითხრა.

— მე მიზეზი თვითონ მივეცი და ამიტომ გამომისტუმრა.

— უმუშევარი ხომ დაგტოვა...

— ეს დღეები სახლში ბევრი საწერი მქონდა და უმუშევრობა არ მიგარძვნიდა. ისე, დროებით უმუშევარი ნამდვილად ვარ.

— ქვეყანაზე ყველაფერი დროებითია.

— მე ასეთი საკაცობრიო განზოგადება არ მიგულისხმნია. დროებითი უმუშევრობა ნიშნავს იმას, რომ დავიწყებ მუშაობას მალე.

— ალბათ მოახერხებ. შენ პატრონი არ დაგელევა. მე კი ვინ უნდა მიპატრონოს! წესით ახლა მაინც შენ უნდა მიპატრონო. უშანგი ჯენიქემ მე ბრალდებად შენთან სიახლოვეც წამომიყენა. ასე რომ, მე შენ შეგეწირე.

— აი, ამაში კი უკვე შემცდარა უშანგი ჯენიქემ და შენც რალაცას ურევ. ჩემთან სიახლოვისთვის თუ ვინმე უნდა გამოეგდო, უპირველესად ჯანო.

— ჯანო რა ანგარიშში ჩასადებია! ერთი ბეჩავი მლიქვნელი კაცია! ანდა რა გეჯანოება, როცა სამსახურიდან დათხოვნასთან ერთად სხვა უსიამოვნებაც მოგსვლია. ყური მოეკარი, რომ ქეთევანი და ბაადური გაიყარნენო. შენ გააგდე, თუ ის თვითონ წავიდა? თუმცა, გააქციე თუ გააქცა, ეს საბოლოო ჯამში ერთიდაიგივეა. რაზე გაიყარეთ?

— არ გავყრილვართ. — თავი ერთხელაც შეიკავა ბაადურმა. — აგიბდენდით ამ ბოროტ ნატვრას, რომ გვესწავლა ცოლ-ქმარმა ერთმანეთი როგორ უნდა დათმოს. შენ იქნებ საკუთარი გამოცდილება გავგიზიარო? ქეთევანი მეორე ოთახშია, ბავშვებს უვლის და სტუმარს იმიტომ ვერ გამოგზენდა.

— ბავშვები? თქვენ უკვე მეორეც გყავთ? მე ყველაფრის ანგარიში ამრევია. თუმცა, გამახსენდა! ეს თქვენი მეორე შვილი სინამდვილეში ბედიას მე-

სამე შვილია, რომელმაც დედა შეიქმნა და და რომელსაც როგორც უფროსი მიერესი აღამიანები, ახლა ქეთევანი და შენ ზრდით. ბარაქალა, თქვენს აღამიანურ გამირობას! კარგი და, რად უნდოდათ ბედიას და ნანის რომ ერთ შვილზე არ გაჩერდნენ! არ იცოდნენ, რომ ყოველი მომდევნო შვილი წინასმეტრია და საერთოდ, რაც მეტ შვილს აჩენს აღამიანი, მით კიდევ მეტ სისხლით მტრობას აღვივებს? შვილებს მშობლების სიცოცხლეში ერთმანეთი თავდაფრწყებით ეყვარებათ, მაგრამ გაცილებენ თუ არა დედამამს ამ ქვეყნიდან, ისინი ერთიმეორეს დაურევნიან, რადგან ნივთიერი მემკვიდრეობის გაყოფა დაახარბებთ. შეიძლება არც ის ქონება იტაცებდეთ, რომლის მისაღებადაც აზვებდებოდნენ, მაგრამ ჯიბრი და შური დააბრმავებთ. ამიტომ, რად უნდოდა ბედიას ეს სამი შვილი? თანაც ეს მესამე შეიძლება ისეთი გამოდგეს, რომ წილში თავის დებსაც შეეცილოს და შენს ვაჟსაც.

— სამაგიეროდ, სჩანს, შენ შვილს არავინ ეყოლება მემკვიდრეობის მოზიარე.

— არ ეყოლება. რაც მამადია, ყველაფერს ანდერძით ჩემი ერთადერთი გომბიო მიიღებს.

— ანდერძი, როგორც ასეთი, მხოლოდ ქონების დატოვებას ითვალისწინებს?

— ანდერძი მემკვიდრისათვის გონიერი რჩევის დატოვებასაც ითვალისწინებს. ოღონდ, ასეთი ანდერძი ახლა აღარა სწამთ. სწირად დაცივნის საგანიც გამხდარა. ანდერძი ყველას არც დაუტოვებია. მაგრამ თუ ღირსეული შთამომავალნი და მემკვიდრენი დარჩენია, ისინი ისეთ ცხოვრებას გასწევენ თითქოს ხელთ სწორედ სათაყვანებელი აღამიანის დანატოვარი განაწესი აქვთ და იმით ხელმძღვანელობენ. ხოლო, თუ ანდერძი დაუტოვებია, მაგრამ უგევანო მემკვიდრეები დარჩენია, ისინი ანდერძს სულერთთა ფეხებზე დაიკიდებენ. ბავშვებზე ლაპარაკი მაინც ჯერ

ადრეა. რაც შეეხება ლეგას, მე უკვე ახლაც აღარ მჯერა, რომ ის შენ სიცოცხლეშიც კი ყველაფერს ისე გააკეთებს, როგორც შენ — მის აღმზრდელს გასურს. იცი, რომ შენი ლეგა და მისი ამფისონები — ტატე და გური ანგელოზები არ არიან?

— ვიცი. ისინი ადამიანები არიან.

— ანგელოზები მე იმ ვაგებით ვახსენე, რომ ისინი ისე უცოდველები არ არიან, როგორც შენ გგონია.

— ესეც ვიცი. როგორც ყველა მოკვდავს, მათაც ჰქონდათ და კიდევ ექნებათ ზოგაერთი გადახვევები. სამაგიეროდ, მე გგონი, ისინი თავს არ შეიძლება როგორც მოქალაქეები.

— ასევე არ არიან ანგელოზები გურისა და ტიტეს მშობლები.

— ცხადია, არც ისინი და არც მე, როგორც აგრეთვე ჩვეულებრივი მოკვდავი.

— ისინი რომ ნამდვილი მშობლები იყვნენ, შვილებს გარეშე კაცის იმედად არ მიყრიდნენ. მხედველობაში შენ მყავხარ. არც შენი სხვა ახლობელი პიროვნებები კრეფენ ცაზე ვარსკვლავებს. მაგალითად უძალო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო, — ბედიას სკოლის დირექტორობა ასეთი გარემოებით არის გამოწვეული.

— საბედნიეროდ, შენი აზრისა არ აღმოჩნდნენ ბედაზე უფრო გამოცდილი ადგილობრივი მასწავლებლები, რომლებმაც ბედა თავათ მოითხოვეს დირექტორად, როგორც მცოდნე და უნარიანი ახალგაზრდა კაცი. სხვათა შორის ბედიას დაწინაურება მე იმდენად კანონზომიერად მივიჩნიე, რომ ამაზე მასთან ლაპარაკიც არ მქონია. მაგრამ შენ ეს საიდან გეცოდინება! შენ ხომ მხოლოდ ჰუჭუს ეძებ, ხოლო ყველაფერს კარგს თვალს არიდებ.

— შენს დაბლურ ჯანო ვარსიმაშვილზე უკვე გითხარი, მაგრამ კიდევ დავუმატებ. ერთი უნიჭო მჭლახნელია, რომლის ვითომდა ლექსები მარტო იმავე ბედიას ვემოვნებას აკმაყოფილებს.

— ბედიასა და ჩემ ვემოვნებასაც.

— ოღონდაც! შენი და ბედიას ემოვნება ერთმანეთს ბევრად არ უსწრებს. რაც შეეხება დიდიმსა და რამინს — უკვე რამდენი დრო გავიდა ომის დამთავრებიდან! — მათ კი ისევე ფრონტზე ნამყოფობით მოაქვთ თავი. მაგრამ ფრონტზე ვილა არ იყო!

— მე და შენ არ ვიყავით. დიდიმსა და რამინისათვის მე პირადად ფრონტზე ნამყოფობით ყოყმობა როგორღაც არ შემიმჩნევია. თუმცა, ცოტა რომ ეამაყნათ, არაფერი დასაძლებოდა. მე, მაგალითად, ვიამაყებდი. იქნებ ჩვენ ბიჭებს მეტი დამსახურებაც მიუძღვით, ვიდრე დაფასდნენ. ყველაფერი ორდენებით და მედლებით არ განისაზღვრება. სარდლობის ყურადღება ყოველ მეტრძოლს ვერ მისწვდებოდა.

— მაგრამ უნდა მისწვდებოდა ბრძოლაში მკლავდაკარგულ მეომარს მაინც. დიდიმ ელერდაშვილი კი ორად ორ მედალს დააყდარუნებს. თუმცა, რა ვიცით, დიდიმმა იქნებ თვითონ წაიგდებინა მკლავი, რომ ომის ჯოჯოხეთიდან თავი გამოეღწია.

— აუჰ, რამდენი წელიწადი ვიფიქრია პატიოსანი კაცისთვის ჩირქის მოცხებაზე! დიდიმმა ხელი იმ დროს დაკარგა, როცა გამარჯვება სულ ახლო იყო. ჯოჯოხეთიდან თავის დასაღწევად საკუთარი ხელის ხელმოფივი კი ამას დიდი ხნით ადრე ჩაიდენდა.

— შენი დაუთნერგაძე ხომ ლაყუა და ლაყე! არც ის სამი მატრახაზი ვითომც მუსიკოსი და ძალად ინჟინერი უქნია დემერტს — შენ აბელი, ზურაბი და ემზარი. გეტყვით ნიკოლოზ ბარიშვილზეც, მაგრამ, როგორც ამბობენ, მკვდრებს აღარ ასამართლებენ.

— ბიჭოს! შენ ამდენი ვაგება გაქვს?

— სამაგიეროდ, გეტყვი სილოვან კირთაძეზე. ფიტულაა! როგორიც მასწავლებელი იყო, ისეთი რედაქტორია! თავი კი ისე უჭირავს, თითქოს ჰუჭუსიგან უსკდება. აი, თითქმის შევკარი კიდევ შენი ახლობლების წრე. თავი მე-

**გიორგი გელაშვილი**

გვიზარავს მრავალი ხერი

გობრობის ბურჯად მოგაქვს, სინამდვილეში კი ბევრი მეგობარი არ გყავს.

— მეტი მეყოლებოდა, მაგრამ ბევრი დრო შენს ამო მორჯულებაზე დავკარგე. სამაგიეროდ, ვინც მყავს, შენ ყველა ვგობია.

— ისინი შენს ჭკუისეები არიან და ასე იმიტომ ვგონია. იქნებ გარეგნობითაც მგობიან?

— რომელ ერთს რას დაუწუნებ? პირადად შენს უზადო შესახედაობას არ უარვყოფ. თვალი მომცა და მაცქერიანო, შენზე ითქმის. მაგრამ, სამწუხაროდ, მშვენიერი გარეგნობის ადამიანებიც არიან სულით მახინჯები.

— ბოლმისაგან იხრჩობი, უბოდიშოდ რომ ვიძიებლე მოკეთებები და ვალს ასეთი გამოხდომით მიხდი?

— ვალს მთლიანად ვერ გისტუმრებ. შენ იმდენი სიბინძურე გაქვს ამონახული, რომ ვერანაირი პასუხით ვერ ვაგვიბარი.

— შენც ადექი და სახლიდან დამიახოფე. როდესაც კაცს პაექრობისთვის სიტყვის მარაგი არ ყოფნის, მან მოქმედებას უნდა მიმართოს. კერძოდ, თუ დაჯანბნილი მხარე მასპინძელია, მას ის და დარჩენია, რომ პაექრობაში გამარჯვებულს კარზე მიუთითოს.

— მე თვითონ მაინც არ დავითხოვ. უკანასკნელად და ხარ ჩემთან და რა ხანიც არ უნდა დარჩე, აგიტან.

თავისი მსჯელობით კმაყოფილი ელდარი სკამიდან ზღაზგნით და ზმორებით წამოდგა და თავადერილი გაემართა შუშაბანდისკენ. ბაადურიც მის მხოლოდ შუშაბანდის კარამდე მიცილებას აპირებდა, მაგრამ ელდარმა შეაგულიანა.

— გარეთ არ გამომყვე. გაცილება არ მინდა. დამეა. ბნელა. წვიმს. ქარი ქრის. უკაცრიელობაა. შე კი, ჩემზე აქოჩრილმა, იქნებ სადმე მიმჩეხო ან აგური ჩამცხო.

— არ ვაპირებდი, მაგრამ ახლა მართლა უნდა გამოგყვე. შენი ამ სიტყვების შემდეგ მარტოს ვეღარ გაგიშვებ. მე არა, ვინმე სხვამ კი სავსებით მოსა-

ლოდნელია შეგამთხვიოს ხიფათი კაცთმოდულე კაცს. ვაგაცილებ კი, არა შენი უსაფრთხოების აზრით, არამედ, მართლაც რომ მე არ დამბრალდეს ვინცობაა ქუჩაში ფათერაკი ნამდვილად გელოდება. თუმცა, ქუჩაში ვნახოთ, მე იქნებ მართლაც უნდა გაგიშალო ერთი ლაზათიანი სილა. ეს აქვე გეკუთვნოდა, მაგრამ მასპინძელს ხელის გაძვრის უფლება არ მქონდა.

ბაადური გამოსაცვლელ ტანსაცმელს ეცა, მაგრამ როცა ისევე კარისკენ შეტრიალდა, ელდარი შუშაბანდში აღარ იყო.

13

შუშაბანდში ქეთევანი გამოვიდა. ქეთევანიმა სცადა ეგრძობინებინა ბაადურისთვის, რომ რაც ელდარმა ილაყბა, ყურადღებად არ ღიბდა. ბაადური მოდუშული იყო და ვერც ქეთევანის მშვიდმა ღიმილმა იმოქმედა მასზე. იგი იმაზეც ფიქრობდა, რომ ვითარების ქალური გაუკიდურესებით ქეთევანი იქნებ მეუღლის დროებითი უმუშევრობის გამო ოჯახს ულუკმაპუროდ დარჩენილს წარმოდგენდა. ბაადურმა ყველაფრის გულთან ძალზე ახლო მიტანა და ცოტა გაზვიადებაც იცოდა. ამიტომ მოსდიოდა ასეთი აზრებიც.

ქეთევანი კი ბაადურის ყველა განცდას გრძობდა. ახლა იგი ხედავდა, რომ ბაადური მხოლოდ ელდარის მოსვლამ არ გაუგეჟურა. მათთან რამდენიმე დღეა ფეხი სხვა არავის შემოედგა და ბაადურიც ეტყობოდა გულში მათ საყვედურობდა, ვის გამოჩენასაც ელოდა, მაგრამ არ მოდიოდა. ბაადურის ყველა ფიქრში ჩახლართული იყო ნიკოლოზ ბარიშვილის მოულოდნელი სიკვდილიც. მაგრამ ადამიანის სულში ჩახედვა ყველას არ შეუძლია. ზოგს ჰგონია, რომ ადამიანს მარტოდენ პირადი უღლებლობა ანადვლებს. ასეთი სტუმარი ბაადურს შეიცოდებდა, უთანაგრძობდა. ჭკვიანა ჩალით არ არის დახურული, შენც გეშველებაო, გაამხნევებდა. ბაადურს კი მისდამი სიბრალული მხო-



ლოდ შეაძრწუნებდა, ხოლო მისი ნამდვილი წუხილის მიზეზის მიუხედავად, ლობა გულს ატკენდა. და მაინც სტუმარს გული თხოულობდა. სტუმართმოყვარე სახლი ყველაფერს შეეჩვია, მხოლოდ უსტუმრობას ვერა. ამიტომ არ იყო გასაკვირი ბაადურის არეული ფიქრებიც, რაც ექვემდებარებოდა. გულში მასიბნძელი უნებურად ხდებდა ხოლმე ექვიანი. ნუვინ დაიქადნებს, ექვი რა არის არ ვიცით! მეტნაკლებად ექვიანი ყველაა. ანგარიშში მისადებია ისიც, რომ ადამიანებმა ყოველთვის არ იციან მათი თავი, ვის როდის სჭირდება. რომ იცოდნენ, ალბათ უმალ მასთან გაჩნდებოდა, ვისაც მათი დანახვა გაახარებდა. არც ყველაფერი უსულგულობას უნდა დაბრალებდეს. ერთს რომ უჭირს, იქნებ მაშინ გამოსტყურომია თავისი გადაუდებელი საზრუნავი გაკირვებულისთვის საჭირო პიროვნებასაც! გამომდინარე აქედან: ექვით ავადმყოფი არ უნდა იყოს კაცი, თორემ ზოგჯერ თუ ფიქრში საგანსა და მოვლენას ასოკირკიტით შეხედავს, ეს ცოდვა არ არის.

კერძოდ, აბელ მინაძეზე, ზურაბ ლორიაზე, ემზარ გიომვილზე, აგრეთვე დიდიმზე და რამინზე, ჯანო ვარსიმაშვილზეც ბაადურს გულში წყენა არ უნდა ჩადო. ყველა ისინი საკმაო ხნის, ზოგი კი ბავშვობიდანაც, ბაადურის ძვირფასი და საყვარელი ადამიანები იყვნენ, მაგრამ სულიერი მეგობრები — არა. ხანდახან თქმულა ან უფიქრით, რომ დიდიმი და რამინი ბაადურს მოსწყდნენ მასთან ელდარ ლურიძის ერთგვარი სიხალთვის გამო, რომელიც მათ, ისევე, როგორც საწყალ გივის, არ უყვარდათ. მაგრამ აქ სიმართლე იყო მხოლოდ ის, რომ დიდიმს და რამინს ელდარი მართლაც არ უყვარდათ, ოღონდ არავითარ შემთხვევაში არ ჩამოშორდებოდნენ ისინი ბაადურს მისი მიზეზით. უბრალოდ, ბაადური და ეს ორი კარგი ახალგაზრდა არც ბავშვობაში ყოფილან ისე, რომ უერთმანეთოდ ვერ გაეძლოთ. იმისთვის, რომ დამეგობრდნენ, არ არის საკმარისი ორი-

ვე მხარე კარგი ადამიანები იყვნენ. აუცილებელია გატაცებათა დამთხვევაც უცაბედი დალანდვა შეხედულობათა ერთგვარობისაც. ისეთისა, როცა ადამიანები ერთიმეორეზე სიამოვნებით გაიფიქრებენ — ჩემ გულში მჯდარაო. ასეთი ერთურთ გაგება ყველას შორის ვერ მყარდება. ერთ წუთსაც არ შეყოვნდებოდა ბაადური იმის წინაშე, რომ საჭიროების დროს ზედ გადაჰგებოდა დიდიმსა და რამინს, ასევე ომიანობის დროს ზურაბში მასთან ერთად დუხჭირის სამახსოვრო ნაწილის ვადამტან ემზარს, ზურაბს, აბელს, ომისშემდგომ და ვაცნობილ ჯანოსაც. თავის მხრივ თავს არ დაზოგავდნენ ბაადურისთვის ალბათ ისინიც. მაგრამ ბაადური და ისინი ვანუყრელი მეგობრები მაინც არ იყვნენ. ამიტომ, თუმცა ერთმანეთის შეხვედრა მათ მუდამ უხაროდათ, უერთმანეთოდ მაინც ეძლეებოდათ. ყველაზე მეტად სანატრელ ბედის კი ახლა იმის გული არ ჰქონდა, რომ სხვის სიამოვნებაზე ეფიქრა. სულ სხვა მიზეზით, მართალია, მაგრამ არ ეცალა ბაადურისა და ქეთევანისთვის დაუთსაც.

ქეთევანს წმინდად სწამდა კაცთმოყვარეობის დაუწერელი კანონი—სტუმარი ღვთისაა! მეუღლის უმუშევრობის დღეებში კი მას თვალის და ყური სულაც კარისკენ ჰქონდა, რომ საწერ მაგიდაზე მიკერებულ ბაადურს ხმის გამცემი არ მოჰკლებოდა. სტუმართმოყვარეობა ქეთევანის ბუნება იყო. ოღონდ, ამ ბუნებრიობას მას ისიც უღრმავებდა, რომ თავის დროს, მივლინებებში მყოფ ბაადურს ვინ მოსთვლის რამდენი კეთილი ოჯახი ახურავდა თავზე ჰქერს!

ქეთევანი სახლში ყველას შემოუშვებდა, ვინმესადმი გულში უნდობლობაც რომ ჰქონოდა, იგივე — სტუმარი ღვთისაა! — შთაგონებით. თუმცა, ასეთ სტუმარს ის თვალს არ მოაცილებდა, რომ მოსულის ყალბ თანაგრძობას ბა-

ზიორგი ვალაშვილი  
 გვიზარამს მრავალი ჰერი



ადური არ გაეღიზიანებინა. გაჭირვებაში კაცს ისეთებიც მოაქითხავენ ხოლმე, რომლებსაც ის გულზე არ ეხატებათ, მაგრამ იციან ამქამად ხელმოცარული ის კაცი მათზე უფრო კიდევ ივარგებს და ასე სამემრისო სახელს იხვეჭენ — ამა და ამ პიროვნებას ჩვენ მხარში მამინ ამოვუღდექით, როცა ის თვითონ ფეხზე საიმედოდ ვერ იდგაო. როგორც ყველა გაიძვერა, ასეთებიც ცოტა არიას, მაგრამ მინც არიან. საბედნიეროდ, მათი თვალთმაქცობა აშკარად ჩანს და მხოლოდ ბრიაყს უხვევს თვალებს.

ქეთევანმა ვერ დაიკვა ბაადურის მართლ ელდარის ყიამყარობისგან, რადგან, როცა ის მოვიდა, სწორედ იმ დროს ქეთევანი ორივე ბავშვს კვებავდა.

14

ქეთევანმა ბაადურს ყელზე ხელები შემოავლო და ძალად გააღიმა.

როდესაც სტუმარი არ ჰყავდათ, ქეთევანს და ბაადურს, სადილი იყო თუ საღამოს ჩაი, შუშაბანდში პატარა სამზარეულო მაგიდასთან უბრალოდ დაჯდომა უყვარდათ.

ბაადურს კი აგრეთვე უყვარდა ქეთევანის ნაწიფი ხელით მოქარგულა ფარდები და სხვა კედლის სამკაული, რომლებიც ორივე ოთახს და შუშაბანდს ამშვენებდნენ. ეკრათ ფაბრიკული გობელენებიც, რომლებზეც მშვიდი თუ მკვეთრი ფერებით ასახული იყო იდუმალებით მოცული ნამცეცა სოფლები და ძველისძველი გორაზი კოშკები, ბუნების სხვადასხვა წარმტაცი სურათები. საერთოდ კი ბევრი გობელენი ჰყვებოდა და მყვირალა და გადმოსცემს რაინდებისა და რაშების თავბრუდარჩევ დაუჭერებელ მოძრაობებს, როგორც ცირკის აფიშა.

ბაადურს თავისი ცალკე აზრი ჰქონდა ფარდებზე: ლამაზ ფარდებიან ბინაში ადამიანებიც სულით ლამაზნი ცხოვრობენო. ამიტომ ბაადური სიამოვნებით შეყოვნდებოდა ხოლმე ქუჩაში უცხო ფანჯრების წინაც კი, რომლებზეც გე-

მონებით შერჩეული ფარდები ეფენოდა. ქეთევანმა სამზარეულო მაგიდასთან ხიანი ლურჯი სუფრა გადააფარა, შუშაბანდის ფარდები კი გასწია. ფარდები ლამაზი იყო მწვანე და ცისფერი მოლივლივე ზოლებით. მაგრამ ფარდები მინც ადგილზე რჩებოდა და გაწევითაც არ იკარგებოდა თვალიდან. ქეთევანმა კი ისიც იცოდა, რომ ფარდებზე მეტად ბაადურს ფანჯრიდან ცქერა იზიდავდა. სახლში, როცა მოცილილი იყო, ცდილობდა თვალი გარეთ სივრცის რომელიმე ნაწილზე სჭეროდა. თუნდაც ეს მხოლოდ მათი ეზო ყოფილიყო, ძალზე პატარა და მუდამ სანიმუშოდ მოვლილი საყვარელი ეზო, რომლის მეტი შუშაბანდიდან სხვა არც არაფერი მოჩანდა. ვისაც ასე გარეთ ცქერა უყვარს, ის ყველაფერს, რასაც ხედავს შედმიწვევით იცნობს. მაგრამ, თვალთმოცვის ერთიდაიგივე სურათის დროუამის მიხედვით სხვადასხვაობასაც სწორედ იგი ამჩნევს და აღიქვამს. ამდენად სწორედ ერთიდაიგივე სანახიც დაკვირვებული თვალისთვის გამოუღველი საზრდოა. ბაადურს ფარდები არსად გაექცეოდნენ, ელფერს არ შეიცვლიდნენ, ფანჯრიდან გარეთ რომ არ ეცქირნა კი, დღეღამისობითა და ამინდით ქუჩისა თუ ეზოს შესხვაფერების რომელიმე ნიშატი აუცილებლად გამოჩნებოდა. გამოჩნებოდა და — რა დაშავდებოდა? მაგრამ, იმით რაღა ფუჭდებოდა, რომ რაც უყვარდა, თუ კი საშუალება იყო, ყველაფერი თვალწინ ჰქონოდა!

ყურადღებებიანი ქეთევანი მას ასეთ წვრილმანშიც უწყობდა ხელს.

ქეთევანს საერთოდ ღრმად ჰქონდა შესმენილი ცოლისა და დედის მოვალეობა. დედისა, რომელსაც ღვიძლ შვილთან ერთად სხვისი ჩვილის ბედიც ებარა. იგი თითქმის მონა იყო დეასახლისის მოვალეობისა და დღითიდღე მეტს ფუსფუსებდა, რომ ქმარ-შვილს ყველაფერი რიგზე და დროზე ჰქონოდა, ბინას კი ელფერი არ შელახვოდა. ქეთევანს ყოველივე ამისთვის იქნებ



თავიცი დაეფიწყებინა, მაგრამ ვერ ფიწყებდა იმიტომ, რომ ევალდებოდა თავთაც თავმოვლილი ყოფილიყო. ნამდვილი დიასახლისი ის არის, ვინც ყველა საქმეს თავს ართმევს და თვითონაც კობზად გამოიყურება. ესეც კარგად ესმოდა ქეთევანს. ამასთან, თავმოვლილობით პატივს სცემდა ბაადურსაც. ბაადური ქალის ავლარტნულობას არა თუ ვარეთ, სახლშიც ვერ იტანდა. ამიტომ ქეთევანიც ერთნაირად ფაქიზად იყო დავარცხნილი და ჩაცმული რეცხავდა თუ მეზობლებთან გადიოდა, ბავშვებს უფლიდა თუ სტუმრებს მასპინძლობდა.

ცოლ-ქმარმა ჩუმად და უფუნებოდ ივანშმა. მოწყენილობა ორივეს ხუთავდა. ძილი კი ჯერ აღრე იყო.

— გინდა ვინმეს დაფურეკავ და მოვიყვან? — ბაადურის ხალისზე მოსაყვანად მოისაზრა ქეთევანმა.

— თავისით რომ ვინმე მოსულიყო, კარგი ის იქნებოდა. — გულნაკლულად გაიღიმა ბაადურმა.

თავისით და დაბარებულებივით შუშბანდში ლეგა, გური და ტიტე შემომწკრივდნენ.

15

— აი, ახლა მთლად კარგი ბიჭები ხართ, რომ მოხვედით! — გახარებული წამოდგა მათ დანახვანზე ბაადური.

— ჩვენ პირდაპირ ბედიასაგან მოვდივართ! — პირველადვე ახარა ლეგამ ბაადურს. — ძალიან კარგი ქენით, რომ გაგვგზავნეთ.

ბაადურზე უფრო გახალისებულმა ქეთევანმა დაღლილ სტუმრებს ტახტი მოუცალა, ბაადურმა კი სკამი მათთან ახლო მიიღვა. ბაადურმა არ იცოდა თუ ისინი მისი რჩევისამებრ უკვე იყვნენ ბედიას სოფელში და ახლა მათი იქიდან დაბრუნება რომ გაიგო, მთელი ყურადღება დაქაბა.

— ბედიას ასე მალე აბა რა უშველიდა! ჩვენ დანახვანზე კი მაინც სიხარული მოერია. — განაგრძო ისევ ლეგამ. — საყვარელი ადამიანი რომ არის, ეს ზომ

ისედაც ვიცოდით. ახლა კი დაგრწმუნდით, რომ ძლიერი ნებისყოფის მქონე ცოცხალი უბედურებს რომ მიძიმედ განიცდის, თავის მწუხარებას მაინც არავის ახვევს. ჩვეულებრივად ველარ ჩოჩქოლობს და ენაწყლიანობს, საქმის სადავე კი ისევ მაგრად უჭირავს და ძველებურად ხალხშიაც ტრიალებს.

— მხოლოდ თქვენი ამბის ვაგებაზე საშინლად შეწუხდა. მაგრამ ჩვენ დავარწმუნეთ, რომ უშანგი ჯენიძესთან თქვენი მუშაობა მაინც აღარ ღირდა. — სიტყვა ჩამოართვა ლეგას გურიმ.

— საუბარი ისე წავიდა, რომ აღარ შეიძლებოდა არ გეთქვათ ჩემი ამბავი? — იკითხა ბაადურმა.

გურიმ უშფოთველად თავი გააქნია.

— არა. შეიძლებოდა არ გვეთქვა მაგრამ მაინც ზომ გაიგებდა! გაიგებდა იქნებ დამახინჯებულად. ჩვენ კი ვიფიქრეთ, რომ საქმის ვითარებას სხვაზე უფრო ზუსტად შინაურები აუფხსნიდით.

— მაგ მოსაზრებით მართალი გამოდისართ! მით უფრო თუ დააჯერეთ, რომ მე სამსახურის გაცდენამდე უკვე თითქმის განთავისუფლებული ვიყავი.

— ბედიას უშანგი ჯენიძესთან ჩვენი საუბარი დაწვრილებით გადავეციით და ამან ყველაფერი ნათელი გახადა.

— აი, მოდით და, ჩვენც ის საუბარი განვიხილოთ. ახლა თქვენ ჩემი გამხარებელი სტუმრები ხართ და არ მინდა გაწყენინოთ. ისე კი, თქვენმა ამ უკვე მეორე, ასე ვთქვათ თავდასხმამ უშანგი ჯენიძეზე, მე ისევ უხერხულობაში ჩამაყენა. თუ პირველი შესევა ჯერ ისევ მამლაყინწებმა განახორციელეთ, ახლა შედარებით ჭკუადაძვდარ ხალხს მეტა თავშეკავება გმართებდათ. და საერთოდ, რაში მჭირდება მე მთელი ეს ხმაური? დავაშავე და იმიტომაც დავისაჯე! ასეც რომ არ მომხდარიყო, შექმ-

ნიორკი გელაფილი  
გვიფარავს მრავალი მდრი

ნილ მდგომარეობაში მე გამომცემლობაში გამჩერებელი მაინც აღარ ვიყავი.

— ჩვენც უშანგი ჩენიფეს მისი შეცდომა იმიტომ კი არ დაეანახეთ, რომ თქვენ სამსახურში აღედგინეთ? მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენი ფასი გავგო.

— ან ეგ რალაში მჭირდება — ეცოდინება თუ არა მას ჩემი ფასი! არ ვუნდოდი და მორჩა!

— თქვენ მიგაჩნიათ, რომ კაცმა უომრად უნდა დახაროს თავი, როცა მას უსამართლოდ ჩაგრავენ?

— აი, შენ კი მიგაჩნია, რომ მე ერთი ვინმე ბეჩავი კაცი ვარ და ყველას თავს ვუღუნავ? ამ შემთხვევაში, მე ახალ დირექტორს რომ ყალუზე დავდგომოდი, მაინც ვერ გავიმარჯვებდი. ასეთ ვითარებაში, როგორც წესი დიდი უფროსები მხარს უჭერენ ახალდანიშნულ ხელმძღვანელს, ხოლო დახვედრილ მოადგილეს ბრალად ედება ამ თანამდებობაზე მისი დაუწინაურებლობის გამო გაბუტვა. სამაგიეროდ, თუ კი მე და უშანგი როდისმე სხვა ვითარებაშიც შევხვდებით, მაშინ უკვე ლაპარაკიც სხვანაირი გვექნება. რაც შეეხება ისევ ჩემი გულისთვის თქვენს აზრებებს, ახალ სამსახურში საქმე ისე უნდა დავაყენო, რომ თქვენი მფარველობა აღარ დამჭირდეს. ეს, მხოლოდ სამსახურთან დაკავშირებით. სხვა მხრივ კი, თქვენი იმედი ნუ მომიშალოს!

— ნეტავი მართლა რამეში გამოგადგეთ! — გულიანად ინატრა აქამდე გატრუნულმა ტიტემ.

ბაადურმაც ახლა მას შეხედა.

— ბედიასთან სხვა რა საუბარი გქონდათ?

— ბედიას ჩვენ ვრცლად ვუყვებოდით თბილისის ამბებს. ის კი დროდადრო შეკითხვებს გვაძლევდა ან მოკლედ მოგვითხრობდა თავის სოფელსა და სკოლაზე.

— რა შეკითხვებს გაძლევდათ?

— გვეკითხებოდა ჩვენ სწავლასა და მომავლის გეგმებზე, ჩვენიანებზე.

ბაადური, ეტყობა პასუხიდან უფრო

არაბეთის გაგებას ელოდა და შემწეობა ბული დაფიქრდა. მან ჯერ ხელის მოკლე თები დაიტყავინა, შემდეგ მაგიდიდან სიგარეტი აიღო და თვალგაშტერებულმა მოუკიდა.

— ბედიას სხვა არაფერი უკითხავს?

გურიმ, ტიტემ და ლეგამ ერთმანეთს საიდუმლოდ გადახედეს, მაგრამ ტყუილის თქმა ვერ გახედეს. ძნელი პასუხის გაცემა კი თავზე გურიმ აიღო.

— ბედიას ბავშვის შესახებ არაფერი უკითხავს.

— უფროს გოგონებს კი გვერდიდან არ იშორებს. — აჩქარებით დაურთო ლეგამ, რომ ბაადური ფიქრებში არ შემეცდარიყო.

— მეუშაობას სად იწყებთ, ძია ბაადური? — იგივე მოსაზრებით საუბარს სულაც გეზი უცვალა გურიმ, თუმცა წინასწარ იცოდა ბაადურს არც ამბავს ლაპარაკის ჩამოგდება ესაიამოვნებოდა.

— დავიწყებ სადმე. კისერზე ტვირთად არავის დაგაწევით. — უცებ სახეზე ღიმილი დაიყარა ბაადურმა და სწორედ ამ კარგ დროს გამოჩნდა აქამდე თეჯირის იქით მოფუსფუსე ქეთევანიც, რომელმაც სწრაფად გემრიელი ვახშამი გააწყო. ნამგზავრ სტუმრებსაც მგლებივით შეიბოდათ. ბაადური კა ტელეფონის ზარზე ოთახში გავიდა.

## 16

— აღარ მოგწყინდა, ყმაწვილო, სახლში ცუდუბრალოდ ჯდობა? — გაისმო ყურმილში სილოვან კირთაძის ნაცნობი ხმა და ბაადურს გულზე მოეფონა.

— გამარჯობათ, ბატონო სილოვან!

— გამარჯობა შენი, მაგრამ პასუხი რომ არ ვამეცი?

— მომწყინდა და მერე როგორ!

— მიზანში თუ გაქვს რამე?

— გარკვეული არაფერი...

— ჩვენს ჟურნალზე რას იტყვი?

— თქვენი ჟურნალი ახლა უფრო მიყვარს, ვიდრე როდისმე.

— მაშ ძალიან კარგი!

— ეგ რას ნიშნავს, ბატონო სილოვან?

— ეს იმას ნიშნავს, რომ შენ ისევ უყვარხართ ჟურნალის რედაქციაში.

— მე ვერაფერს ვხვდები...

— შენ ხვალ დღლითვე რედაქციაში გამომეცხადები და ყველაფერს აქ გაიგებ, აღრეც მოგვარდებოდა ეს საქმე, მაგრამ მე ცოტა ხანს შეგებულებაში ვიყავი... ნიკოლოზის ამბით გაოგნებული უთავებოლოდ ვმოგზაურობდი... შენი ამბავი სად დამეწეოდა! თუმცა, შენი ამბავი ჩემ აქ ყოფნაში მომხდარა, მაგრამ მაშინ კიდევ სულთმოპობავე ნიკოლოზს თავზე ვადექი და ქვეყნიდან გამოთიშული ვიყავი... ეს ორი დღეა ჩამოვედი და ახლა და გავიგე, რაც მოგსვლია. პირველად კი ცეცხლი წაშეკიდა, მაგრამ არა უშავს! ყველაფერს ეშველება...

ყურმილი პირველმა სილოვანმა დაკიდა. ბაადურმა კი ქარაგმული ლაპარაკიდან გარკვეული აზრი ვერ გამოიტანა. იგი შესაბამისად დაბნეული ღიმილით დაბრუნდა, ხოლო ქეთევანი და ცოტა უკვე დანაყრებული ლევა, გური და ტიტე მას შემკითხავად შეაჩერდნენ. ყველას ერთი სული ჰქონდა გვეგო. ვისთან რა საუბარი ჰქონდა ბაადურს ტელეფონით. მაგრამ ბაადური თვითონვე ბურუსში იყო და მით უმეტეს ვერ დააკმაყოფილებდა მათ ცნობისმოყვარეობას. მან ყველას მსოლოდ ის უთხრა თუ ვის ელაპარაკა, მაგრამ ახსენა სილოვან კირთაძე ისეთი განსაკუთრებული სიტბოთი, რომ უნდა ეფიქრნათ, რედაქტორი კარგი მახარობელი იყო.

ეს პირველმა გურიმ გაიფიქრა და თითქმის დასკვნაც გამოიტანა.

— ჩვენ კარგი ფეხისა გამოვდექით! — თავისი და აგრეთვე ლევასი და ტიტეს სახელით თავი მოიწონა მან.

ბაადურს კი ეჩოთირა მის ხელში გაზრდილი ახალგაზრდების წინაშე სხვისი კალთის შემყურე, უმწეო კაცად გამოჩენილიყო და უცებ გუნება გამოეცვალა.

გურიმ, ტიტემ და ლევამ ესეც იგრძნეს და ერთმანეთს ერთხელაც გადახედეს.

გურიმ ვითომდა მთქნარება შეეკავებოდა პირზე ხელი ისე აიფარა.

— ჩვენ წავალთ.

— ვხედავ ძალი გერევათ და არ გააჩერებთ. — დრო უკვე გვიანი იყო და არ შეემატიეა ბაადური, მაგრამ ბიჭების ცივად გასტუმრება რომ არ გამოსვლოდა, რბილად გააფრთხილა. — მსოლოდ, აი, ხანდახან რომ ჩაიყვალაებით ხოლმე, ისე აღარ დამეკარგოთ. ჩემთან შეკითხვები გაქვთ?

ბიჭებს ძველის მოგონებაზე ნაღელიანად გაეცინათ.

ბაადურმა ისინი ჰიშკრამდე მიაცილა. იქ კი ლევას შეამჩნია — ის ან ბაადურისთვის ცალკე რაღაცის თქმას ამირებდა ან ეზოში ვიღაცის დანახვას ცდილობდა, მაგრამ მეგობრებს აღარ ჩამორჩა.

თავისი ჟურნალის რედაქციას ბაადური პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობაზე დაუბრუნდა. მისი წინამორბედი, საქმეზე გადამკვლარი და ყველასთვის საყვარელი, რბილი ხასიათის კაი ხნის კაცი ხანგრძლივ ავადმყოფობდა და თვეზე მეტია სამსახურს ჩამოსცილებოდა. მის შემცვლელად შევბუღებულიდან დაბრუნებისთანავე სილოვან კირთაძეს ერთადერთი ბაადურ ამირიძე მოეთხოვნა, რომლის უმუშევრობა მაშინ და გავგო. მისთვის უარო არ ეთქვათ, თუმცა ვისაც დანიშნა ეკითხებოდათ, სინანული გამოეთქვათ, რომ ბაადურ ამირიძე მოწოდების სიმალღეზე ვერ აღმოჩნდა, რომ მან სიმართლისთვის ვერ იბრძოლა, როცა გამომცემლობიდან უქვანტესო. დამნიშნულმა ხელმძღვანელებმა ის ალბათ საერთოდ ბეყერათ აღამიანად ჩათვალეს. ალბათ იმიტომაც არც კი დაიბარეს, მისი გაცნობაც არ ინდომეს და ისე დათანხმდნენ სილოვანს მის დანიშვნაზე — დიდი ვერაფერი ვაქვაცი

---

ვიორჯი ვალაშვილი  
პირდაპირს მრავალი პერი



ყოფილა ეგ შენი ბააღურ ამირიძე, მაგრამ რაკი ავიხირობია, გყავდეს და იყავითო! ბააღურიც ვერ იყო თავის კალაპოტში, რომ სამსახური თვითონ ვერ მოახერხა და სხვისი საპატრონებელი გახდა.

ისე კი, რედაქციის მდივნობა მასზე ზედმოჭრილი აღმოჩნდა. სტამბაში ჩასაგზავნი მასლების გულისყურით კითხვა და ჩასწორება იცოდა. ემარჯვებოდა ხატვა და ხაზვა, კარვად ერკვეოდა სასტამბო შრიფტებსა და სამკაულნიშნებში. ყველაფერი ამის ცოდნა კი მაკეტების შედგენაში მთავარი იყო.

ნებისმიერ რედაქციაში პასუხისმგებელი მდივნის ვარშემო ირევა ყველა თანამშრომელი, ლიტერატურული და ტექნიკურიც, და ბააღურსაც თავიდანვე ბლომად სამუშაო დაწვა. ყოველივე ამას ერთვოდა ბააღურის გაორკეცებული მუყაითობა პასუხად დიდი პატივისა, რაც მას იმით ეკისრებოდა, რომ საყვარელ რედაქციაში დააბრუნეს. ამავე დროს ბააღური თავს არა მხოლოდ დავალებულად გრძნობდა. მას ისევე აწუხებდა სირცხვილის გრძნობაც, რომ სამსახური თავისით ვერ იშოვა და მზამზარეულზე დაჯდა. იქნებ სამსახური სამადლოდაც უწყალობეს! მით უფრო მეტ გულმოადგინებას ივალებდა. ამიტომ ბააღურს საღამოობითაც უხდებოდა მუშაობა.

საღამოს სამუშაოდ დარჩენილ ბააღურს კაბინეტში ფეხაკრეფით შეეპარა ჯანო. ჯანოს საღამოთი მოსვლა იმიტომ შეერჩია, რომ ასეთ დროს რედაქციაში ხალხი აღარ ირეოდა ხოლმე. იგი მორიდებოდა ძველი თანამშრომლების თვალში მოხედრას, რომ მათ არ გაეფიქრათ თითქოს ბააღურის კვალად და მისი წყალობით ისიც რედაქციაში დაბრუნებას აპირებდა.

ბააღური მას სიხარულით შეხვდა, უფრო კი ააღელვა ძვირფასმა ნობათმა, რომელიც ჯანომ მოწიწებით მიართვა.

ეს ბააღურის პირველი წიგნის სასიგნალო ცალი იყო.

წლების მანძილზე ყურნალებს გაზეთებში დაბეჭდილმა ბააღურის ნაწერებმა მკითხველთა აღიარება დაიმსახურა. ბააღური დიდად არ ჩანდა, მაგრამ იმდენად კი მაინც, რომ ერთ-ერთმა გამომცემლობამ მას თვითონ შესთავაზა მისი ნაოკევეებისა და მოთხრობების წიგნად დასტამბვა. ბააღური წინადადებას უსაზღვრო მადლიერებით შეხვდა და იმთავითვე ჩაუჭდა წიგნში შესატანი ნაწარმოებების არჩევას და მათ ხელახლა დახვეწას. ბააღური ხელმძღვანელობდა მწერლისათვის ყოველად აუცილებელი კანონით: როდესაც ნაწერს კვლავ უბრუნდები, ნიადაგ შეახსენებდე თავს, რომ ის საკუთარი შემოქმედებაა და გაშალაშინების თვალსაზრისით მას ყოველთვის არგებს კალმის კიდევ გაკვრა. რომ ამავე დროს, შეგიძლია მასში არსებითი ცვლილებების შეტანაც. ამიტომაც თვითელი ნაოკევის და მოთხრობის დახვეწას საკმაოდ დიდ დროს ანდომებდა, თუმცა არც თავდაპირველად რომელიმეზე ემუშავნა ზერელედ.

და აი, ბააღურს სასოებით ეჭირა ხელში თავისი პირველი წიგნი, რომელიც ჯანოს ჯერ მხოლოდ სტამბაში მოეპოვებინა.

პირველი წიგნი ბააღურისთვის ნამდვილი მოვლენა იყო.

წიგნი მან დაუფიქსარი ადამიანის სურათივით წინ დაიდო მაგიდაზე და დაფიქრებული დააცქერდა.

— ჩემი სოსო მოლოდინი ჯერ კიდევ სკოლაში სთვლიდა, რომ მე წერა შემეძლო. აი, ჩემი პირველი წიგნიც, რომელსაც ავტორისეული ძმური მიძღვნით პირველი სწორედ სოსო მიიღებდა. პირველი წიგნი უპირველესად გააახსენებს დედას. თავის სოფელში დედას მეგობარი გლეხი ქალი ჰყავდა. ქალს კი — მოსწრებულნი ვაჟი, მეცნიერი. ვაჟი უკვე იყო ავტორი წიგნად გამოცემული ტექნიკური განხრის საფუძვლიანი ნაშრომისა, რომლისაც დედამისს არაფერი გაეგებოდა. მაგრამ ვაჟს მაინც თავისი პირველი წიგნი დედისთვის ებო-

ძებნა და დედა მას ხატით შესცქეროდა. დედაჩემს სიამოვნებით უყვარდა საუბარში ამ მაგალითის ჩართვა. თუმცა, სინანულსაც არ ფარავდა, რომ ასეთივე ბედნიერება მასაც არ ხვდომოდა. ახლა, არა იმის გამო, რომ ცოცხალი აღარ არიან სოსო და დედაჩემი, არამედ იმიტომ, რომ მთელი ჩემი ცხოვრებისა და, მაშასადამე, წიგნში ჩაქსოვილი განცდების თანაზიარიცაა, მას საჩუქრად პირველი მიიღებს ბედია. ბედისგან ნაადრევად დაჩაგრული ჩვენი ბედია.

— ბედიას მეც ვიჩემებ. ცხადია არა იმიტომ, რომ ჩემ ლექსებს რაღაცად ავღვს. მე ხომ აზრადაც არ მომივიდოდა. რომ ის ჩემ ნაცოდვილარს ყურადღებას აქცევდა, მით უმეტეს თუ დაიზიარებდა. უბრალოდ, ბედია ბრწყინვალე პიროვნებაა. შევხარი თქვენს მეგობრობასაც. აი, მე კი ვერ მიმართლა მეგობრობამ. როგორ არა, მეც მყავს ისეთები, ვინც ჩემს მიმართ განურჩეველი არ არის, ხოლო თვითონ მათ ვეფერები კიდევ. მაგრამ ისინი უჩემოდ ადვილად სძლებენ. უმეტესად მაშინ მიხსენებენ, როცა შემთხვევით მხვდებიან. ან, როცა ჩემ თავს რაიმეში დაიჭირებენ. ვთქვათ, რაიმე დასაწერი აქვთ. მე სხვა რა შემიძლია? მეგობრობა კი, მგონი, ის არ არის თუ ერთი ადამიანი მეორეს მხოლოდ მაშინ ჰკითხულობს, როცა იგი უნდა გამოიყენოს. თუმცა მეგობრობა არც მარტოდენ ერთად ყოფნა არის. ერთურობა ერთგულების დამტკიცებაც არის საჭირო. ბუნებით უმეგობრო კაცი არ ვარ, სინამდვილეში კი უმეგობროდ ვარ. რა მაქვს ისეთი ნაკლი, რომ ჩემზე გული არავის უჩერდება? ერთი შენ მყავდი და შენც გამიშორდი. მე, ცხადია, სამსახურებრივ დაცლებას არ ვგულისხმობ.

— მივხვდი. გულისხმობ იმას, რომ იმდენ ყურადღებას ვერ გაქცევ, რამდენსაც იმსახურებ. თანაც, წიგნმა ვერ გამიმართლა.

— წიგნი აგერ წინ ვიღვეს, ბაადურ.

— ეს არა. მე შენ წიგნზე ვლაპარაკობ.

— რომელ ჩემ წიგნზე, ბაადურ?

— ეს შენ არც იცოდი. მე ვიდრე გამოცემლობაში რამე მეკითხებოდა, შენი ლექსების წიგნაკის დასტამბვა ჩავიფიქრე. მაგრამ ჩემი გამოპანჩურებისთანავე, რაც კი გეგმაში მე შევიტანე, ყველაფერი ამოუვლიათ.

— ბაადურ, საყვარელო! ეს რა გავიგე! ჩათვალე, რომ როგორც შენ, მეც ჩემი პირველი წიგნი ახლა მავიდაზე მიღვეს, ისე გამაზარე მარტო იმიტომაც კი, რომ ჩემზე ამდენი ვიზრუნია. ჯანდაბას, თუ არ გამოვიდა! სამაგიეროდ, ნაწილი მეგობარი მყოლისხარ. აი, ჩემ ლიას კი გული სტკივა, რომ მე ბაიყუშვიტით მარტო ვარ. რომ მე საღამოობით არავისთან ვარ წასასვლელი და ჩემთანაც არავინ მოდის. შენ თუ სიტყვას მომიგებ, რომ რაკი ეგრე ხარ, წერის მეტი დრო და საშუალება ჰქონია და შენც იქვე და წერეო, მართალი არ იქნება. საწერად მარტო დრო, ქაღალდი, კალამი და გონების დაძაბვა არ არის საკმარისი. აუცილებელია შთაბეჭდილებებიც, საუბრებიც.

— მე კი მგონია, რომ შენ ტვინში რაღაც ეშვების ჩაქედვა იცი და ამხანაგებისგან თვითონ ირიყები.

ბაადურს ცოტა მკვახე ნათქვამი გამოუვიდა, მაშინ როცა ჯანოს ახლა დაყვავება უფრო მოუხდებოდა. ბაადური გარძნობდა, რა ცეცხლშიც იწვოდა ჯანო, რომელიც როგორც სამსახურიდან გაქვევებული კაცის კარგი ამხანაგი, უშანგი ჯენიძეს ძლიერ ათვალისწუნებელი ჰყავდა. ბაადურმა ცოდვა გულში მოინანია, იქვე კი დაივალა აუტანელი გარემოდან ჯანოს გამოსხნა ანუ მისი სხვა სამსახურში გადაყვანა.

მოსხდა კი ისე, რომ აუტანელ გარემოს ჯანო ვარსიმაშვილი მართლაც მო-

ზიორგი ბაღაშვილი  
გვირგვინის მკვლელი მხრი



სცილდა, ოღონდ ამაში არ იყო არც მი-  
სი და არც ბაადურის დამსახურება.  
ბაადურს თავისი გადაწყვეტილება არ  
დაეიწყებია. არც მეცადინეობა დაუკ-  
ლია, რომ ჯანოსთვის სხვა შესაფერა  
სამსახური გამოენახა, მაგრამ ჯერ არა-  
ფერი გამოსდიოდა.

ათიოდე დღის შემდეგ ისევ საღამო  
ხანს, ჯანო მეორედ მოვიდა ბაადურთან  
სამსახურში სრულიად ახალი ამბით,  
რომელსაც ის უჩვეულოდ აღგვზნო.  
ჯანო თავისი სოფლის რაიონის ხელმძ-  
ღვანელობას მოეთხოვნა იქ სამუშაოდ  
და ისიც მამინვე დათანხმებულიყო.

ჯანოს გული მუდამ სოფლისკენ ჰქო-  
ნდა, მაგრამ თავისით დაბრუნების შე-  
მთხვევებში სოფლისაკვე კვიმატობისა  
ეშინოდა. ვინიცობა იტყოდნენ ქალა-  
ქის ყალიბისა ვერ გამოდგა და იქიდან  
კუდი იმიტომ ამოიქუაო. ახლა კი მას  
საპასუხისმგებლო სამუშაოზე იწყვედა  
თვით რაიონი და მამასადამე, პატივის-  
ცემით შეხედავდნენ.

ჯანოს პირველმკვე წერილმა დაადა-  
სტურა ბაადურის ვარაუდის სისწო-  
რე. ჯანო აღელვებული იწერებოდა,  
რომ მას რაიონული გაზეთის რედაქტო-  
რობა ჩააბარეს და თავს ბედნიერად  
გრძნობდა. რომ იგი ორიოდე კილო-  
მეტრს თავისი სოფლიდან რაიონულ  
ცენტრამდე ყოველ დილით ფეხით გ-  
დიოდა და უკანაც ქვეითად ბრუნდე-  
ბოდა. შეეძლო ესარგებლა ავტომანქა-  
ნითაც, მაგრამ ასე ერჩინა, რადგან სა-  
თაყვანებელ ბუნებასთან უფრო უშუა-  
ლო კავშირში იყო. რაიონის ხელმძღვა-  
ნელობას კი მისთვის თავიდანვე დიდი  
ნდობა გამოეცხადებინა, სხვადასხვა სა-  
ზოგადოებრივი დატვირთვაც დაეკისრე-  
ბინა. რაც მთავარია, ახალ გარემოს  
მშვენიერად შესწყობოდა მისი ცოლ-  
შვილი, ხოლო მათი მშობლიურ ბუდე-  
ში დაბრუნება მშობლებისა და ახლობ-  
ლებისათვის ნამდვილ ზეიმად გადაქ-  
ციულა.

ჯანო ვარსიმაშვილის კვალად სულ  
მონიშალა ბინა თბილისში დაუთმაც. ამ  
ნაღვლიან აქტზე მან ბაადური დაისწ-

რო. თავის ერთადერთ ოთახში, რომ-  
მელშიც ბებიას სიკვდილის შემდეგ  
გარდა არავის სძინებოდა, დაუთო უც-  
ხოსავით იჭდა. უცხოდ გამოიყურებო-  
და მთლად მოშიშვლებული ოთახიც,  
რომელსაც ის ისე აკვირდებოდა, თით-  
ქოს პირველად ეცნობოდა ან სამუდა-  
მოდ ემშვიდობებოდა. ოთახში ყველა  
წერილმანი ალაგებული იყო და ალბათ  
უკვე ეწყო თასმებით შებოჭილ და ია-  
ტაკზე დაწვენილ სკივრის ოდენა ორ  
ჩემოდანში. გამხდარ და ნამზევარ და-  
უთს, დაბნეულობა ეტყობოდა. ბაადუ-  
რი ჯერ არაფრის ბაიბურშიც არ იყო  
და ამიტომ გაოცებული დააჩერდა მძი-  
მე ჩემოდნებს! დაუთო უბარგოდ  
არასდროს მიემგზავრებოდა, რო-  
ცა ველზე სამუშად მიდიოდა, მაგრამ  
ამდენ ტვირთს კი არ იკიდებდა ხოლმე.  
ამ წუთს დაუთო ჰვავდა მგზავრს, რო-  
მელიც სადღურში ბარჯზე ზის და მატა-  
რებელს თუ ავტობუსს ელოდება.

— ბინას ხომ არ აბარებ, ასე რომ აყ-  
რილხარ? — იხუმრა ბაადურმა და ახ-  
ლა კედლებზე დიდი ხნის გახუნებული  
და აქერცილილი შპალერი შეათვალიე-  
რა.

დაუთმა კი მას ხუმრობაზე მოულო-  
დნელად დასტურით უპასუხა. თბილი-  
სიდან ნამდვილად იკრავდა გუდანაბადს  
და თებროსთან ერთად ახალ ცხოვრე-  
ბას იწყებდა რაჭაში, სადაც მისთვის  
მუდმივი სამსახური მიეჩინათ. ცხადია,  
დაუთს თბილისი ენანებოდა, მაგრამ  
მშობლიურ რაჭაშიც მიუხაროდა, რო-  
მელიც თებროსაც უკვე მთელი გულით  
შეეყვარებინა. დაუთმა ჩემოდნები წა-  
მოაყენა და ბაადურს დამნაშავესავით  
გაუღიმა.

— ოთახი უკვე ჩავაბარე. ნივთები  
გავაჩუქე. ხოლო რაც გასაჩუქებლად  
მეჩითირა, აი, დანჯღრეული მაგიდა,  
დაფეხვილი სკამები, დაყევილი ჭურ-  
ქელი, ამათ ვინც ჩემ შემდეგ აქ შემო-  
ვა, განაჩენი იმან გამოუტანოს. სამ-  
წუხაროდ, ჩემს ნივთებს შორის არაფე-  
რი იყო ისეთი, რომ შენთვის შესახსო-  
ვრნა.

— ყველაფერი სწორედ გავიკეთე ზია. ბინის ჩაბარებაც. ნიუთების გაჩუქებაც. არა ხარ მართალი მხოლოდ იმაში, რომ არაფერს მიტოვებ სახსოვრად მე, რაჟი თითქოსდა ჩემი საკადრისი ნივთი არ მოგძებნია. სახსოვრად თვითონ წავიღებ რამეს. წავიღებდი თუნდაც ვაბზარულ ფინჯანს, მაგრამ ფანჯანი შეიძლება გამიტყდეს და ვინანებ. წავიღებ აი ამას. — ბაადურმა მაგდაზე დარჩენილი კაწაბი აიღო, ჭერ რამდენჯერმე ჰაერში შეისროლა და დაიჭირა, შემდეგ კი პიჯაკის ხალვათ ჯიბეში ჩაიგდო. — ლითონია და არ გატყდება. თანაც, ყოველდღე ხელში მომხვდება. მე ფეხსაცმლის ზონარს არ ვიხსნი და კაწაბი ჩემთვის ყოველად აუცილებელია. ეს ასე. მაგრამ, აი, შენს ფანჯრებში სხვების დანახვას როგორ შევეჩვიო? ერთი ფიჭრიც მაქვს. ხომ შეიძლება, რომ როდისმე ისევ თბილისში გადმოხვიდე? — დაუთმა გაურკვეველი ღიმილით მხოლოდ მხრები შეატოკა, ბაადურმა კი თავის შეკითხვას პასუხიც თვითონ ვასცა. — შეიძლება! მაგრამ ამავე სახლში შენ აღარავინ დაგაბრუნებს. მამასადამე, ჩემთვის ძვირფასი შენი ფანჯრები მე ყოველდღე ისევ თვალწინ მექნება, სამუდამოდ დაკარგულად კი უნდა ჩავთვალო.

ორივე ჩემოდანს ბაადურმა მოკიდა ხელი, ხოლო დაუთმა თავისი ოთახის კარი უკანასკნელად გაიხურა. ეზოში კი მათ ჭგუფად მომლოდინე დაღვრემილი მეზობლები დახვდნენ.

ბაადურისა და დაუთის სახლები ეზოებით ტყუპებით იყვნენ და თითქმის იმდენი სული ბინადრობდა ერთში. რამდენიც მეორეში. დაუთის ეზოში ტკბილად უყვარდათ მისი განსვენებული ბებია, ხოლო დანატოვარი შევილი შვილი ისევე, როგორც ბებიას თავისი ერთადერთი იმედი. მეზობლებს, დიდსაც და პატარასაც, ისევე ხელში შერჩენოდათ, რითაც დაუთს დაესაჩუქრებინა, თვალბეჭეში კი ცრემლი უბრწყინავდათ.

დაუთი ბოლო დროს ძვირი სანახაუკი იყო თბილისშიც, მაგრამ მაინც ადგილობრივ მცხოვრებად ითვისებოდა და ჯოველ წუთს შეიძლება გამოჩენილიყო. ახლა კი ბაადურს სევდიანად უნდა შეეხედნა ხოლმე მისი ფანჯრებისათვის. თვალში მოაკლდა მას ქანოც. ბედიათ ხომ თბილისში ფეხი თითქოსდა სამუდამოდ აღიკვეთა. ბედიას ჭერ თვალზე არ დაეკრა ღვლით ობლად დაბადებული თავისი პატარა ნანისთვისაც, რომელიც სოსიკოსთან ერთად იზრდებოდა.

ბაადურს ბავშვებზე მზე ამოსდიოდა. საშხაურებიდან დაბრუნებული ბაადური, როგორც კი დაიბანდა და გამოიცვალა, კვლიათ თუ ეძინათ ბავშვებს, პირველად მათ მიესიყვარულებოდა ხოლმე, თუმცა აღერსი თბილი და სათუთი არ გამოუღიოდა.

ბაადურს საერთოდ ოჯახში სასურველი თანხმობა ემყარა და სამსახურშიც საქმეები წესრიგში ჰქონდა. მაგრამ გულთ მაინც რაღაც აკლდა. ეს, ალბათ, ყველა დარდის გამოძახილი იყო. მაგრამ უთუოდ იყო მეგობრების გაბნევით გამოწვეული სევდაც და განცდაც იმისა, რომ ადრინდელივით აღარ სჭირდებოდათ იგი ღევას, გურის და ტიტეს, რომლებიც მას სულ უფრო იშვიათად აკითხავდნენ. ეს იყო დანანებაც მათი წრის მეგობრებისა და ახლობლების ერთიანობა თითქმისდა დაკანონებული სახალისო ჩვეულების, ერთად თავშეყრას შეუძლებლად მოშლის გამო. დანანება თუნდაც იმისა, რომ დავიწყებას მიეცა აჩემებულ კუნძულზე ჭგუფური გამგზავრება. ქალაქის ქუჩებში კი თავისუფალ დროს მარტო ხეტიალი ბაადურს ეუპყრებოდა. თანაც, სინდისი ნებას არ აძლევდა, რომ ქეთევანი საღამოობითაც ბავშვებთან ერთად მარტო დაეტოვებინა ხოლმე.

ქეთევანი ყაჩაღანა ქალი არ იყო,

გიორგი ვილახვილი  
ზვიადუნაშვილი



მაგრამ მან ჯერ კიდევ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ყოფნის დროს, სრულიად ახალგაზრდამ დაამტკიცა, რომ საზოგადოებრივი საქმის გაძლიერება შეეძლო. უხმაუროდ და უყუყუროდ, სამკვიდროდ საზრიანად. ასევე მუყაითად ასრულებდა ყველა დავალებას უნივერსიტეტშიც. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი მთელ თავის გულშემატკივრობას ჩააქსოვდა მასწავლებლობაში და ივარგებდა ამ ასპარეზზეც, მაგრამ ერთი დღითაც არ ხვდა ეს ბედნიერება, რადგან ცხოვრებამ მას სხვა დავალება მისცა.

ქეთევანს ამის გამო გულწაკლულობა სიტყვით არასდროს გამოუქმლავნებია. მაგრამ იგი ხშირად თავისთვის განაბული იყო, ფიქრიანიც. ეს გარემოება ეკვებებ ახვევდა ბაადურს. თუშცა ხვდებოდა, ქეთევანის ფიქრიანობა საყვარელ სოფელზე სევდაც იყო.

არიან ისეთი თავყვანსაცემი ადამიანება, რომელთაც მთელი არსება თავდავიწყებული სიყვარულით აქეთ გაყდენთილი. სიყვარულით არა მარტო ადამიანიზადი, არამედ საგნისა და ადგილისადმიც. კერძოდ, სოფლისადმი. ქალაქსაც საუცხოოდ შეეთვისება, შეიფერებს, მისეულ იერს მიიღებს სოფლის ტრფიალი ადამიანი, თითქოს უნდა იუკადრისოს კიდევ მან ხელახლა გასოფლდება, მაგრამ სინამდვილეში მთელი სანუკვარი ფიქრებით სწორედ ისევ სოფელში არის.

ქეთევანმა და ბაადურმა ერთმანეთის ფიქრების ამოცნობა, შუბლის ღარებას წაკითხვა იცოდნენ (ეს ნამდვილი შუბლის ღარებიც ორივეს უყვე ჰქონდა).

ბაადური ხვდებოდა, რომ ქეთევანი თავის საყვარელ პატარა ოჯახს გონებით ქალაქიდან სოფელში გადაზავდა ხოლმე, სადაც მეტი ბედნიერება ესახებოდა დედ-მამასთან, მეზობლებთან, მთელ სოსტხორცეულ მარად თვალწინ გამორღ სოფელთან, თავისი გულის ნაწილთან.

ბაადურს ქეთევანის შუბლის ღარების წაკითხვა რომ არც ესწავლა, თვალები სად დამალებოდა! ნაადრალმა თვალებ-

მა უცაბედმოულოდნელი, განსაკუთრებული აბრწყინება იცინა. ეს სწავლა თავზე დროებითი გამარჯვების გამოშუქებაა.

სამსახურიდან მოსულ ბაადურს არაერთხელ დახვედრია ქეთევანი ასე აელვარებული თვალებით.

ამიტომ ანგარიშგასაწევი იყო ქეთევანის მდგომარეობა.

ბედია იცოდა ხოლმე თქმა, ნანის თვალებს (ანუ, თვითონ ნანის) ქვეყნის კიდემდე წაყვებით. ქვეყნის კიდესთან შედარებით არაფერი მანძილი იყო იდუმალად — ქეთევანის მშობლიურ და ბაადურისთვისაც საყვარელ სოფლამდე. ლეგას სოფლამდე, სადაც თავისი უსიტყვო და მუყაითი ნუცათი და შვილებით ცხოვრობდა და ხარივით ირგებოდა ალალი და მხნე კაცი დათა მორბედაც, თავის ჯირკვებს ჩასჩაკუნებდა და სოფელს საკუთარი ნახელავით ასაჩუქრებდა გულთბილი და სიყვარულით სავსე ალექსი ლიაშვილი, სადაც ქვეყნის მამიდაა მისი მუხლჩაუხრელი ვარჩიკა, სადაც მოთმინებითა და გულმოდგინებით ალბათ ოთხიოდ საგანში წვრთნიდა პატარა მოწაფეებს ნაომარი ფარნაოზ მასწავლებელი, სადაც სიკარგეში ერთმანეთს არ ეჯიბრებოდნენ, მაგრამ მაინც ყველა კარგი იყო — ქალიც, კაციც, მოხუციც, ბავშვი კი მათზე უკეთესიც. ხოლო სოფელი იდუმალი შედიოდა საყმაოდ მძლავრი რაითანის შემადგენლობაში, რომელიც ერთ ნებაყოფლობით ჩასულ ქალაქელ კაცს სიხარულით გამოუნახავდა მის საკეთებელ საქმეს ბაადური ულაპარაკოდ გაყვებოდა ქეთევანს და კიდევაც დამკვიდრდებოდა იდუმალში, თუ ამას ქეთევანი იტყოდა. მაგრამ ბაადურს სჯეროდა რომ ქეთევანი ამას არ იტყოდა.

სოფლის მადლიერი ადამიანი განსაკუთრებით ადრეულ გაზაფხულზე მოიწყენს ხოლმე.

სწორედ კვირტის გაღვიძებისა და ძვრის დრო იყო.



ქეთევანსაც ჩუმი სევდა მეტად დასტყობოდა.

ბაადურის და ქეთევანის შუშაბანდში ლამაზსუფრიან სამზარეულო მაგიდას უსხდნენ და ჩაის შეეცქვიოდნენ.

ნათელი და გრილი საღამო იყო. ოღონდ არც ისე გრილი, რომ ფანჯრებში ღია არ ჰქონოდათ და გაზაფხულის სალი სურნელოვანი ჰაერით არ ესუნთქათ. ჰაერი სულ არ იძვროდა, მაგრამ ეზოში მძიმედ დაბუშტული თუთის წვენიც რტოები მაინც ნელა ირწეოდნენ, ზოგი ისე თანაბრადაც, როგორც საათის ქანქარა, დაუღალავი და მუყაითი ქანქარა.

ბაადურმა ქეთევანისგან თვალი თუთის რტოებზე გადაიტანა, შემდეგ მკრთალ ცახე ვერცხლისფრად ბრქვევინავ ნამგალა მთვარეს ახედა.

— ქეთევან. — ხმადაბლა დაილაპარაკა მან. — მოდი, ჩვენ იღუმალში ათი წლის შემდეგ გადაესახლდეთ.

— რას ნიშნავს, ბაადურ, შენი ეს აზრი? — შეკრთა ქეთევანი. — განა მე როდისმე გთხოვე სოფელში დაბრუნება და დასახლება?

— შენი თვალები თხოულობენ, ქეთევან, — ისევ წყნარად მიუგო ბაადურმა, — რასაც სიტყვით ვერ ამბობ, იმას თვალები გამოსთქვამენ. ყოველი წრფელი განცდისა და ფიქრის უტყუარად გამომსახველი ადამიანის თვალები. სახელობრ, ათი წელი კი იმიტომ განვსაზღვრე, რომ მაშინ მე უკვე ორმოც წელს გადაცილებული ვიქნები. მაშასადამე უკვე მიღწეული მექნება, რასაც, მე, როგორც მოქალაქემ უნდა მივალწიო. ან, მექნება გარკვეული მაინც, რასაც თუ მანამდე ვერ მივადწიე, უნდა მივადწიო შემდეგ. ასე რომ, მიზნისთვის ღწვა იმ დროიდან უკვე შეიძლება სოფელშიც. იმ დროისთვის მთლად ჩანგამოლეულნი არც ალექსი და ვარინკა იქნებიან, და ისინი კიდევ იხარებენ შენით, ბავშვებით, ჩემითაც. ამასთანავე, ათი წელი მცირე დრო არ არის. მაგრამ გარკვეული ვადაა. გაურკვეველ ზღვარს იგი იმით სჯობს, რომ ზუსტად გეცოდინება

სანუკვარი სისხარული როდის უნდა ავიხედეს და ბურუსიანი მოლოდინით და დღეს თუ ხვალ? — გულს აღარ გაიწვრილებ.

— ბაადურ, — ლამის ატირდა ქეთევანი, — ნუ დამსჯი ჩემზე გულში სამდურავის ვატარებთ. მე რე რა, თუ მე სოფელი მართლაც ძალიან მიყვარს და მენატრება ზოლმე? განა ვთმობ ჩემ მოვალეობას და მივიწვევ იქით? ვის რას ვეწლია, მიყვარდეს ჩემთვის გულში და ვიფიქრო ზოლმე იმაზე, რაც ჩემთვის ძვირფასია!

— არაფერიც არ შევდება და მეც სხვა აზრით არ მიიქვამს, რაც ვითხარი. — დაამშვიდა იგი ბაადურმა, თუმცა ქეთევანის სიტყვა „მოვალეობა“ მას გულზე ცუდად მოხვდა. გამოდიოდა, რომ ქეთევანს უკვე მხოლოდ მოვალეობა აკავებდა ბაადურთან და არა სიყვარული. — მშობელი კუთხე ვისაც არ უყვარს, ის თვითონ სიყვარულის დირსი არ არის. ასეთი სიყვარულის დაშლა კი უაზრობაა. მომეწონება, პირადად მე რომ ვინმემ ჩემი თბილისის სიყვარული დამიშალოს? და აა, ვინაიდან შენ სოფელი კანონიერად გიყვარს და გენატრება, ზოლო დასახელებული ათი წელი მაინც საკმაო ვადაა, ჩვენ შეგვიძლია ავირჩიოთ ცოტა უცნაური, ოღონდ გამართლებული გამოსავალი. გამოსავალის არსი ისაა, რომ შენ შეგიძლია ბევრად აღრეც, თუნდაც უკვე ახლა გადახვიდე იღუმალში. უშენოდ, უბავშვებოდ მე, ცხადია, ერთთავად მოუსვენრად ვიქნები. სამაგიეროდ, შენ, გულდაოკებული მეყოლები. მე კი, მოგეხსენება, წანწალი არ შეზარება და ყოველ კვირას თქვენთან გავჩნდები ზოლმე.

— ეს მხოლოდ ცოტათი უცნაური განოსავალია, ბაადურ? — უკვე ვეღარ შეიძვარა ცრემლები ქეთევანმა. — ეს უცნაურზე უცნაური აზრია! და, ვაი თუ ეს აზრი იმას ნიშნავს, რომ შენ უჩემოდ

გიორგი ბელაშვილი  
გვიზარავს მრავალი ხერი

და უბავშვებოდ ყოფნა გირჩევნია...  
იქნებ გზულდავთ და თავიდან გვიშო-  
რებ?

ქეთევანი გულნატკენი შეპყურებდა  
ბაადურს, ოღონდ განმარტებდა არ თხო-  
ვდა. თვითონვე გრძნობდა, რომ აღელ-  
ვებით ბაადურს ცილი დასწამა. თავის  
მხრივ გრძნობდა ქეთევანის სულელი  
ჭინდის ბაადური. ამიტომ არ შეედავა  
უმართებლო ბრალდებაზე. საუბრის შე-  
მდეგ ერთიც და მეორეც თავს როგორ-  
ღაც დამნაშავედ გრძნობდა. არც ერთს  
ხმის ამოდებაც აღარ უნდოდა ოჯახის  
დროებით გაყოფაზე, მაგრამ თავიდან  
სწორედ ეს ფიქრი ვეღარ ამოიგდეს.

21

ისინი ნამდვილი დამნაშავეებივით ერ-  
თანეთს თვალს არიდებდნენ, როცა  
ეზონი მეგობართან ერთად მხიარულად  
შემოვიდა ციური პაპიქე.

— თქვენთან სტუმრად შემოსვლა შე-  
იძლება?

ქეთევანმა და ბაადურმა უცებ მოიხა-  
ლისეს და ორივე ქალიშვილი ისეთი პა-  
ტივით მიიღეს, თითქოს მთელი საღამო  
მათ გზას გასცქეროდნენ.

ბაადურმა პირველივე შეხედვით იც-  
ნო ციურის მეგობარი. ეს ის ჭროლათვა-  
ლება თავაზიანი გოგონა, ნელიკო იყო,  
რომელიც თავის დროს უმადლეს საუწყ-  
ებო დაწესებულებაში პირად მდივნად  
ეკვდა უშანგი ჯენიძეს.

ნელიკოს ძალიან ესიამოვნა, რომ  
წლების გასვლის მიუხედავად ბაადურს  
იგი არ დაეიწყებოდა.

— მე თქვენთან თქვენი ძველი დავა-  
ლების შესრულების მოსახსენებლად  
წამოვეყვი ციურის.

ნელიკომ აღელვებით უამბო, რომ  
უშანგი ჯენიძეს გადაყვანისთანავე მან  
შეპირების თანახმად ბაადურის მოხსე-  
ნებითი ბარათი მიართვა ახალ უფროსს.  
რომელმაც ის გულდასამით შეისწავლა.  
შემდეგ კი ძირითადად ისევ ბაადურის  
მასალების მიხედვით ნაატარა სასოფლო  
რაიონების წარმომადგენელთა თათბი-  
რი და მკაცრად მოსთხოვა ადგილებზე

მატერიალური კულტურის ძველი  
მურუნველობის გაუმჯობესება.

ბაადურს კარგად ახსოვდა თავისი მო-  
ხსენებითი ბარათი, რომელსაც, როდესაც  
ხუთიოდე წლის წინ უშანგი ჯე-  
ნიძის მისაღებში ნელიკოს გადასცემდა,  
ხუმრობით „არზა“ უწოდა. ახსოვდა და  
აუბიჭებდა მისი ბედიც. ამიტომ სასიამო-  
ნო იყო გაგება, რომ ბარათს ბო-  
ლოდაბოლოდ მსგეღეღობა მისცემია.  
იგი ადელევა ნელიკოს კეთილსინდისი-  
ერებასაც მისთვის ბაადურის მიერ ხუმი-  
რობის კილოზე მიცემული დავალებისა-  
დმი.

ბაადურმა ნელიკოს მადლიერად გაუ-  
ღიმა, შემდეგ კი შეხედა ციურის.

— მე არც ვიცოდი თუ თქვენ ერთმა-  
ნეთი გცნობათ.

— მე და ნელიკომ ერთმანეთი თქვე-  
ნი შეგირდების წყალობით გავიცანით.

— აი, მე არც ეგ ვიცოდი თუ ნელი-  
კოს იცნობენ ლევა, ტიტე და გური.

— ლევამ, ტიტემ და გურამ ნელიკო  
გაიცნეს იმ სამახსოვრო დღეს, როცა  
უშანგი ჯენიძეს სამსახურში პირველად  
მიუცვივდნენ. მაშინვე მათგან ერთს ნე-  
ლიკო ძალიან მოსწონებია და დაური-  
გებია, შენ თუ ჩვენი მიზეზით უსიამო-  
ვნება შეგემთხვეს, სასწრაფოდ გვიჩვენე  
და უშალ შენთან გავჩნდებითო. ასე  
ზღაპრებში ხდება, მაგრამ ჩვენ ისეთი  
ბიჭები ვართ, რომ ზღაპრებს სინამდ-  
ვალედ ვაქცევთო. მოხარული ვიქნებით  
თუ გაჭირების გარეშეც შეგვეხმებია-  
ნო.

ბაადურმა ისევ ნელიკოს შეხედა.

— ეგ რომელმა მოგაწიანა თავი? ისე  
კი, გურის ნათქვამს ჰგავს.

ნელიკომ მორცხვად თავი დახარა.

ციურამ კი გულში გაოცებით აღნიშ-  
ნა, რომ ბაადური თავის შეგირდებს  
მართლაც ზედმიწევნით იცნობდა.

მაგრამ არ გავიდა ნახევარი წუთიც,  
რომ ლოყები ახლა ციურის შეეფაკლა.  
იგი ბაადურის სიტყვებმა გააწითლა.

— გურის ეს კონტა ნელიკო აურჩე-  
ვია. ყური მოვკარი თავისი გუნების გო-  
გონა უბოვია ტიტესაც. ხოლო ჰყავს თუ



არა ვინმე თვალში ლეგას, არ ვიცი. არა და, უკვე დროა ჰყავდეს.

ახლა უსიტყვოდ გოაცება გამოხატა ნელიკომ, რომელმაც ბაადურის სიტყვებზე თავი ნელა ასიწა. „ნუთუ, მართლა არაფერი იცის ბაადურმა? — ეკითხებოდა ის თავისთავს. — ბაადურმა, რომელმაც უცებ გამოიცილა მისი სამი შეგერილიდან რომელმა მომცა მე მაღალფარდოვანი დარბევა, ვერაფერი შეაჩინია ლეგას? ლეგა წინათ, თურმე სულერთთავად უბღვეროდა ციურის, ახლა კი იგივე ციურისადმი მთლად ყურადღებადაა გადაქცეული“.

ქეთევანმა სტუმრებს მურაბა და შინგამოცხვარი ქადა მოართვა, გულითადადაც მოემსახურა და ორივე შებოქილობიდან გამოიყვანა.

22

ტკბილესულს მოყოლებული განყენებული საუბრის შემდეგ ბაადურმა და ციურმა ნელიკო ტრამევის გაჩერებამდე ააცილეს, საიდანაც სულ ახლო იყო ლეგასა და მისი მეგობრების ეზო. ბაადურმაც, როცა ნელიკო ვაგონში ავიდა და ტრამევი წინიდან ჩამოეცალათ, იმ ეზოსკენ ანიშნა ციურის.

— გინდა მოულოდნელად თავზე დავატყდეთ?

— ვერ დავატყდებით. ბიჭები ამაღამ სახლში არ ათევენ.

— მაშ სად იქნებიან?

— ამაღამ ლეგა სადღაც რჩება და სთხოვა, რომ იქ დარჩნენ გური და ტიმე.

— აი, ეს ყველაფერი შენ საიდან იცი?

— თვითონ ლეგასგან ვიცი. ლეგა მე აღარ გამირბის. აღარც არაფერს მიმაღავს.

— ყოჩაღ, თქვენ ორივე! მაინც სად რჩებიან ამაღამ?

— ეს უკვე არ ვიცი.

— ესე იგი, ცოტას მაინც გიმაღავს.

— ეს იმიტომ, რომ, როგორც მან თქვა, მისი ყველა საიდუმლო პირველად თქვენ უნდა იცოდეთ. ჯერ კი, რა-

ტომლაც ვერ მოხერხებულა, რომ მთავრად ცემული საიდუმლო თქვენთვის გახსნას.

— მხედველობაში გაქვს ხშირად მთელი კვირა დღე მასი გაუჩინრება?

— დიაღ.

— მაშასადამე, ჩემზე და შენზე ადრე განდობია გურის და ტიტეს და წაუყვანია კიდეც, სადაც ის იკარგება ხოლმე.

— ეს ბუნებრივიცაა, ძია ბაადურ. მშობელი რომ მშობელია, იმასაც კი ყველაფერს არ უმხელენ შვილები, სამაგიეროდ, გულს მთლად უშლიან თან-შეგრილ მეგობარს.

— შენ ისე მტკიცედ დააკანონე ებმცნება, თითქოს თვითონაც გულდახურული ხარ მშობლებთან.

— მე ერთგვარად გამოიკლასი ვარ. ყოველშემთხვევაში, ერთ მეტად საფრთხილო საიდუმლოს მე არასდროს ვაკვებელ არც მშობლებს და არც არავის. ამას პირველად და ერთადერთს მხოლოდ თქვენ გეუბნებით.

— თუ ეგრეა, ნურც მე მეტყვი.

— მე მინდა, რომ თქვენ იცოდეთ. მაშინ მიხვდებით, რატომაც ვეტმანებოდი ლეგას, როდესაც ის გულს სულ არ მიჩვენებდა. ეს საიდუმლო იცით ყველა მეზობელმა, მაგრამ არ იცით, რომ ვიცი მეც. ის, რომ, ვინც მე ნამდვილ მშობლობას მიწევენ, სინამდვილეში ჩემი მშობლები არ არიან. თუმცა ამის ცოდნით მათდამი ჩემი შეილობრივი სიყვარული არ იცვლება. ოღონდ ვაგება იმისა, რომ მათი საიდუმლო ჩემთვის შემთხვევით ცნობილი გახდა, დედას და მამას გულს დაუთუთქავს. თქვენ კი იმიტომ გეუბნებით, რომ ლეგა თქვენი იგივე სისხლი და ხორცია და მინდა მიმიხედეთ, მასთან უპირველესად რა მახლოვებს. იმას გარდა, რომ ლეგა საერთოდ ნათელი პიროვნებაა, მახლოვებს მასთან ჩვენი ორივეს ძნელი ზედი, რომლის მუდამ

გიორგი მელაშვილი  
გვიწარმას მრავალი ხიბი



თვალწინ წარმოდგენა ცხოვრებაში ურთიერთ გაგებას გაგვიადვილებს.

როდესაც ციურბი მოულოდნელად გახსნა ის, რაც მთელ ეზოს, უპირველესად კი კატო და შოთა პაპიძეებს, ღრმა საიდუმლოება ეგონათ, ბაადურის მთლად დაიძაბა, რადგან სადაცაა ალბათ ვასცრიდა ციურის პირიდან მკაცრი უმაღლურობის გაგებაც. ვაი თუ უცნობ და დამალულ მშობლებზე გულამდვრეული ნაწილები ქალიშვილი ენას აიღესავდა ღვიძლი დედ-მამის შემცველელ, საბრალო, კეთილ ადამიანებზე, როგორც მატყუარებზე.

საბედნიეროდ, ციური უბრალოდ და საღად მსჯელობდა. ბაადურს ესიამოვნა ციურისა და ლეგას მეგობრული დაახლოების გაგებაც. ახლა გაახსენდა შემთხვევა, როცა ერთხელ თავის ახალგაზრდა სტუმრებს აცილებდა, როგორ აითრია ფეხი კიშკართან ლეგამ და მიხვდა, ვის დანახვასაც ლამობდა ის მამინ.

ბაადურის მოგონება იგივე კიშკრის დანახვას დაემთხვა. ციურისთან ერთად ის უკვე თავიანთ ეზოში შედიოდა.

23

უკვე დამის პირველი საათი იყო დაწყებული, ქეთევანი კი ბაადურს ისევ ფეხზე დახვდა. ონკანთან ხელებდაკაბიწებული იგი ჭურჭელს რეცხავდა.

მათ ჯერ კიდევ სტუმრების მოსვლამდე უგუნებოდ შეწყვეტილი საუბარი აღარ განუახლებიათ, მაგრამ ეტყობა ისევ იმ შთაბეჭდილების ქვეშ იყვნენ. ახალი საუბრის საგნად კარგი იქნებოდა სწორედ ციურისა და ნელიკოს სტუმრობის აღება, რაც ცოლ-ქმარს წინა საუბრიდან გამოყოლილ ჩუმ განგაშს გაუნელებდა.

ქეთევანს ციური იმთავითვე უყვარდა, ახლა კი მოსწონებოდა ახალგაყნობილი ნელიკოც. ბაადური კი ციურის საიდუმლოზე ფიქრობდა და ქეთევანს საუბარში ვერ აჰყვია. ეს ცოტა ეწყინა ქეთევანს და განუძაბა.

ქეთევანმა მომდევნო დღეებში ბაადურის მეტი სიტყვაჟუნწობა დაინახა

და გადაწყვიტა, სოფელში გამგზავნა დაენქარებინა. ეს გაბუტვა არ იყო. იგრძნობდა ხოლმე, რომ კაცს ზოგჯერ რატომღაც მარტოობა სჭირდება და ქეთევანმაც ასეთი გარემო შეუქმნა ბაადურს.

მაგრამ სულ მალე ბაადურს ქეთევანის ფუსფუსი და ბავშვების ჭყინინიც სანატრი გაუხდა. იგი ვერც გრძნობდა, რომ ქეთევანი მასზე ცოტა ნაწყენი იყო და სოფელშიც გულნაკლული გამგზავრა. ვერ გრძნობდა იმიტომ, რომ ქეთევანმა მასზე ყაბიდათაც არ იცოდა გაჯავრება. ამავე დროს თვითონ ვერ უკვირდებოდა, რომ უკანასკნელ ხანს ჩვეულებრივზე უფრო სიტყვაჟუნწობა იყო, ქეთევანი კი სწორედ ამან გააქცია სოფელში.

რაც დრო გადიოდა, ბაადური სახელში მეტ სიცარიელეს გრძნობდა და უფრო დარდობდა ქეთევანზეც. წერიტ კი მინც წერდა. თუმცა აქაც ქეთევანის გულისხმიერება აკლდა. თავის ნაწერებს ბაადური წინასწარ კვლავ არავის უკითხვდა, მაგრამ უკვე გამოჩაყლისი იყო მხოლოდ ქეთევანი. ქეთევანმა იშვიათი მოსმენა და წრფელი მსჯელობა იცოდა ბაადურის ნაწარმოებების ირგვლივ და ბაადურიც მის აზრს მუდამ ანგარიშს უწევდა.

წერიტ კი ისევ წერდა ბაადურის, მაგრამ ძალიან ნელა. აქ ბაადურს უკვე ჯანო ახსენდებოდა.

ადრე, როდესაც ისინი ჯერ კიდევ ჟურნალის რედაქციაში ერთად მუშაობდნენ და ერთ ოთახში ისხდნენ, რაღაც მსჯელობაში გაერთვნენ და გვიან მიხვდნენ, რომ საქმე ჩამოურჩათ. მაგრამ შემდეგ გასაკეთებელი მინც მოასწრეს და კმაყოფილი შეთანხმდნენ იქვე მოგონილ მცნებაზე, რომ ზღვრულად მოკლე დროში მეტის დაწერას ასწრებდნენ და თანაც თავისი გუნებისათაც — თითქოს აზრის გადასაცემად სიტყვებს უფრო მარჯვედ პოულობდნენ და, საერთოდ, კალამი გაცილებით ადვილად ემორჩილებოდათ.

ბაადურს მამინვე ეციებოდა მცდარ

აზრს რომ თავის გასამართლებლად ქადაგებდა, მაგრამ აგერ ახლა დრო საკმაოზე მეტი ჰქონდა, სტრიქონი სტრიქონს კი ზოზინით ემატებოდა. ახლა საწერზე მოსაკრები ფიქრები გარეშე მოვლენებისკენ გაუბრუნდნენ. ფიქრები ჩაფიქრებული საწერის არსს ეთიშებოდნენ, აზრი თანმიმდევრულად ვერ ვითარდებოდა, სადღაც იხრჩობოდა. და, ბაადური მიხვდა, რომ ახალი შთაბეჭდილებები სჭირდებოდა.

24

ფიქრი ადამიანის მუდმივი თანმხლებია. ოღონდ, დღისა და ღამის ფიქრები მნიშვნელოვნად განსხვავდება. დღისით ფიქრები უშუალოდ იმაზე ჩერდება, ვინც რას აკეთებს. ღამის ფიქრები კი უფრო მრავლის მომცველია. ღამის ფიქრები მოგონებებია, შთაბეჭდილებათა ხელახალი გადასინჯვა, გეგმების დაწყობა, ოცნება, სხვადასხვა შეუქმნეველი მოვლენების მოულოდნელი აღქმა. ღამის ფიქრები საკუთარ თავთან გულახდილი საუბარია. ამიტომ ბევრი ნათელი აზრი და სასარგებლო ღონისძიება, რომლებიც ზორცს დღისით ისხავენ, ღამის ფიქრების ნაყოფია.

ღამე იშვიათად ბაადურის გაახლებული წადილიც. ბაადურს დიდი ხანია ქალაქიდან ფეხს აღარ გაედგა სამოგზაუროდ. იყო ბედისათან სოფელში, იყო გიტოსთანაც მის განმარტოებულ სახლში, და ორივეგან ახლდა ლეგაც. მაგრამ ამას მოგზაურობის მნიშვნელობა არ ჰქონდა. ერთთანაც და მეორესთანაც იყო გულის იმ კარნახით, რომ ბედისგან დაჩაგრულ საყვარელ ადამიანებთან ყოფნა ევალებოდა. ნამდვილი მოგზაურობა კი ბაადურის ცხოველი გატაცება ისევ იყო. მაინც განსაკუთრებით მაშინ გაუწევდა ხოლმე გული ქალაქიდან, როცა ქალაქში მეგობრები აღარ იმყოფებოდნენ. ისიცაა, რომ ასეთ დროს საითმე გამგზავრებას სავსებით მოსალოდნელი იყო სწორედ მე-

გობრებთან მათ ახალ სამყოფელში მიმავალი დანიერი შეხვედრა მოაპოვოდა.

გამომცემლობის ხაზით ბაადურის სამივლინებო მოგზაურობებმა ის შედეგი არ გამოიღო, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა ნიკოლოზ ბარიშვილს. უფრო სწორედ, ბაადურმა კი შეადგინა დავალებული სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების კრებული, მაგრამ უშანვი ჯენიძემ ის ისევე აბუჩად აიგდო, როგორც თავისი წინამორბედის ყველა სხვა ჩანაფიქრი. შურიანი ხელმძღვანელი ხომ სამსახურში წინამორბედის ყველა სიკეთეს ანაბრუებს!

ბაადურმა ყურნალის რედაქციაშიც ისევ მივლინებები მოიწყურვა და სილოვან კირთაძეც თითქოს გულში ეჯდა.

სალამო ხანი იყო, როცა ბაადურმა მთავარ რედაქტორს კაბინეტში ყურნალის მორიგ ნომრის სრული მაკეტი და ანაბეჭდი ფურცლები შეუტანა.

სილოვანმა ყველაფერი გულდასმით გადაათვალიერა და მოიწონა. შემდეგ კოტიტა ხელის თითებით მაგიდის ნაწაბურები დაწნეს და ბაადურს ქვემოდან ცერად ახედა.

— ახლა შენ შემდეგი ნომრის დაგეგმვამდე სულს მოითქვამ, ხომ?

— ნომერსა და ნომერს შუა მაქვს ხოლმე ქარიშხლის ჩადვამის შუალედი, როცა შემიძლია სხვა რამე ვაკეთო.

— რა სხვა რამე, მაგალითად?

— მაგალითად ის, რასაც ვაკეთებ კიდევ ხოლმე.

— რას აკეთებ ხოლმე?

— ვანაწილებ ჰონორარს, ვბასუხობ ავტორებს და მკითხველებს, ვაწესრიგებ არქივს, ვეცნობი სხვა ყურნალებს ტექნიკურ გაფორმებას, ვეხმარები ახალბედა თანამშრომლებს და პრაქტიკანტებს. ცოტას ჩემოვისაც ვწერ. ყველაფერი ეს თქვენ უჩემოდაც იცით,

გიორგი ბადაშვილი  
ბიზნეს-მრავალი მერი



რადგან ვაკეთებ თქვენი მითითებით. ჩამოთვლილიდან, რასაც თქვენი მითითების გარეშე ვაკეთებ, ეს მხოლოდ საკუთარი შემოქმედებითი მეცადინეობაა.

— აი, მეც სწორედ იმიტომ დავაკარე შეკითხვები, რომ ამ აღიარებამდე მიმეყვანე.

— არ უნდა ვწერდე?

— მეტს უნდა სწერდე. ჟურნალში ისევ უნდა გამოჩნდეს შენებური სხარტი ნარკვევები და მოთხრობები. შემოქმედმა ხანგრძლივ არ უნდა მიიძინოს. შენ უკვე დიდი ხანია აღარ ჩანხარ არც ჩვენ, არც სხვა ჟურნალებში. მე ახლა ცხელი სადღესო ნარკვევები და მოთხრობები მინდა ჟურნალისთვის. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება თუ შენ შედარებით მოცილილ შუაღედებს სამივლინებოდ გამოიყენებ.

— მაგაზე უკეთესი რა იქნება!

— ჰოდა, ასე. თანაც გნებავს მივლინებები ისე შეითანხმე, რომ, როგორც იტყვიან, კვიციც გახედნო და მამიდაც ნახო, ესე იგი, რედაქციის დავალებაც შეასრულო და შენს აწ უკვე გაფანტულ მეგობრებსაც თვალი დაჰკრა. ეს არც დაწესებულებრივი დარღვევა იქნება და არც შენთვის, თითქოსდა სხვა თანამშრომლებისაგან გამორჩეულისათვის, წითელი კოჰის გაგორება. რაიონის არჩევანი შენზე იყოს, ოღონდ კირიგანი მასალა ჩამომიტანე.

ბაადურმა პირველად მაინც სურვილისამებრ არ აირჩია რაიონი, რომ ზოგს ეს მის მიმართ მთავარი რედაქტორის ხათრიჯანობად არ მოსჩვენებოდა. ბაადურმა თავფურცელიდან დაწყებული ბოლო ჩანაწერამდე გადაათვალიერა დავთარი, რომელიც რედაქციის თანამშრომელთა სამივლინებო გეოგრაფიის ზუსტ სურათს იძლეოდა, შემდეგ მოეთათბირა განყოფილებებსაც და აირჩია ის რაიონები, სადაც რედაქციიდან დიდი ხანია არავინ ყოფილიყო. მაშასადამე, გაემგზავრებოდა იმ რაიონებში, რომელთა ცხოვრება ჟურნალის ფურცლებზე მკრთალად იყო

გაშუქებული. არჩეულ რაიონებში ან ცხოვრობდა ბაადურის მეგობარი, რომლებიც სილოვან კირთაძემ მასთან საუბარში იგულისხმა.

გამგზავრების წინ ბაადური სახლში სხვადასხვა ცნობარებს ჩაუყდა. ბაადურს ეს წესად ჰქონდა, რომ მივლინებაში მიმავალი აღჭურვილიყო დანიშნულების ადგილის მთავარი ცნობებით. ოღონდ აკეთებდა ამას არა იმისთვის, რომ რაიონის თუ ქალაქის მესვეურნი ყოვლისმკოდნეობით გაეოცებინა, არამედ შეგნებით იმისა, რომ მათვე გადამთიელად არ მოსჩვენებოდათ, რაც საქართველოს რომელიც ვნებავთ ნაწილში ჩასულ ქართველ კაცს არ ეპატიებოდა. ამავე დროს, მთავარი ცნობების ცოდნა მას ადგილებზე მუშაობას გაუადვილებდა.

ზედ გამგზავრების წინ ბაადური ტელეფონით იღუმალს დაუკავშირდა. გაიგო, რომ იქ ყველა კარგად იყო და სადგურისკენ დაწყნარებული წავიდა. მაგრამ ბაადურს ყურში ეღვა ქეთევანის ხმა და არ მოსწონდა მისი მოკლე, თავშეკავებული პასუხები. მშრალი და უსიცოცხლო პასუხები. ხოლო ბაადურის რჩევასზე, მე განუხაზღვრელი მივლინება მაქვს და თქვენ ამიტომ ჩამოსვლას ნუ იჩქარებთო, ქეთევანმა სულაც არაფერი უპასუხა. ასე რომ, ბაადურმა გული დაიარხებინა ყველას კარგად ყოფნით, მაგრამ მთელი ხანგრძლივი მივლინების მანძილზე ეთანხლებოდა მის პატარა ოჯახში იქნებდა გაჩენილ პირველ ბზარზე ფიქრი, რომელსაც ხშირად საფუძვლად გაუგებრობა ედებოდა.

ჯგუფი რაიონებისა, რომელსაც ბაადურის სამივლინებო არე მოიცავდა, თავისუფლად მონიშნავდებოდა დიდდიდი ხელთექვს დღეში. მაგრამ ეს სწორედ მხოლოდ მონიშნავდებოდა, თვალის ერთი გადავლება იქნებოდა.

ბაადურმა კი ყოველგან ყოველივე საფუძვლიანად მოჩხრიკა, ისტორიაც და აწმყოც. ამაში მას თითქმის ორი

თვე წაუვიდა. ოღონდ მთელი ეს დრო იგი ვადაბმით არ ყოფილა წასული. ხან-გამოშვებით თითო ან ორი დღით ჩადი-ოდა თბილისში, სწრაფად, რედაქციის განრიგის დაცვით ასრულებდა თავის უშუალო მოვალეობას და ხელახლა მე-რე მიემგზავრებოდა.

ამრიგად, ბაადურის მივლინებათა ეს რკალი იყო მთლიანიც, მაგრამ დანა-წევრებულიც, როგორც წყვეტილი ხაზი — გრძელ-მოკლე, გრძელ-მოკლე, და ასე.

ომის შემდგომ წლებში საქართვე-ლოს სწრაფად მოღონიერებული და ვა-ნახლებული ქალაქებისა და სოფლების ხილვა ბაადურს ქეშმარიტ სიამოვნებას ანიჭებდა. თვალსა და გულს ახარებდა წარმტაცი, ნაირსახოვანი ბუნების არე-ზე დამკვიდრებული ყველა თანრიგის დასახლებანი, კოპწია სახლებით, სათუ-თად მოვლილი კარმიდამოებით, ხეივ-ნიანი ქუჩაბანდებით და შუკებით. მაგ-რამ თანამედროვე ნაგებობათა გვერ-დით თავის ფასს არ ჰკარგავდნენ წარ-სულის ძეგლებიც.

ბაადურმა იცოდა, რომ ასეთი ძეგლე-ბი საქართველოს პატარა მიწა-წყალზე აღნუსხული იყო დაახლოებით ოთხი ათასი და ისინი ქრონოლოგიურად მო-იცავდნენ დროის დიდზე დიდ მონაქ-ვეთს ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნის პირ-ველ ნახევრამდე.

ეს საამაყო იყო. და შეგნებული მო-სახლეობა არა მარტო აღტაცებას გა-მოხატავდა წინაპართა ბრწყინვალე ნა-ხელავისადმი, არამედ მსრუტნეველად უვ-ლიდა მათ და უნახავდა მომავალ თაო-ბებს. გამოსარჩევი იყო მოსწავლე ახალგაზრდობის ამაგი, რომლის მრ-ვალრიცხოვანი ლაშქრები თავიანთი აღმზრდელების მეწინავეობით დღენია-დავ თავს ევლებოდნენ ბებერ ციხეებ-სა და ტაძრებს, უძველეს სასახლეებსა და დარბაზებს, კედელმორღვეულ კოშ-კებსა და ნასახლარებსაც კი. ასე მარა-დისობდნენ ისტორიის დიდებული ნი-მუშები, რომელთა სიცოცხლის არ გა-

ხანგრძლივება მიუტყვებელი დასტუ-ლია ერის წინაშე. მერე და, როგორ უს-დებოდა ნებისმიერ სოფელს შუაგულ თუ შემოგარენ მადლობზე საპატიოდ დამრძანებული და ყველა წერტილიდან თვალმისაწვდენი ასეთი დიდბერი ნაგე-ბობანი! როგორ ლამაზად ეტყუებოდა ერთმანეთს წარსული და დღევანდე-ლობა, ძველთაძველი და ახალთახალი!

ოღონდ, სამწუხაროდ, ზოგან შეიძნ-ნებოდა ერთეული რეგვენების ან წმინ-და წყლის ბოროტმოქმედთა ნაკვალე-ვი, რომელთა ხელით შებღალული ან მიწასთან გასწორებული იყო ერის მრ-ავალსაუკუნოვანი შესანიშნავი კულტუ-რის უუმეტესველესი ნიმუშები. მათ წყა-ლი აშკარად მტრის ჩარხზე დაესხათ. მაშინ, როცა კულტურის ძეგლების და-ცვა საქართველოში აღიარებული იყო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქ-მედ.

აღმაშფოთებელი იყო ისიც, რომ გა-რეწრები ამ სიაგაკცეს, როგორც ირკ-ვეოდა, ცხადლივაც სჩადიოდნენ, დაუს-ჯელი კი რჩებოდნენ. ბოროტებას იმი-ტომ ბედავდნენ, რომ იცოდნენ თუ ამი-სთვის თავზე ხელს არაეინ ვადაუსვა-და, არც პასუხს ვინმე მოკითხავდა. ამ უმსგავსოებას ვანგაში უნდა გამოეწ-ვია, ზოგი რაიონის მესვეური კი ამაზე ყურსაც არ იბერტყავდა. მათი ფიქრით, ალბათ მთავარი იყო სამეურნეო გეგმე-ბის შესრულება, ხოლო თუ ცხვირწინ წინაპრების ხელით აღამის დროს აგე-ბულ გონებისა და მარჯვენის დიდებულ ნაყოფს ვინმე უდიერად გაუთელავდა, ეს ჯანდაბას! მთავარი ის იყო, რომ მან გეგმა შეასრულა და თანამდებობიდან არაეინ მოხსნიდა....

26

ბაადურის მივლინებების მიზანი კულტურის ძეგლების მდგომარეობის შესწავლა არ იყო. მაგრამ არა თუ ყურ-ნალისტი, ჩვეულებრივი ცნობისმოყვა-

გიორგი გელაშვილი  
ზვიადრაგის მრავალი მხრი



რე კაცოც, ადგილებზე ღირსშესანიშნაობებს გვერდს ვერ უვლის. ნარკვევე კი ჟურნალისტიკის ისეთი ჟანრია, რომელიც ადამიანის ყოფიერების გადმოცემასთან ერთად, მისი გარემოს ასახვითაც ისხამს ხორცს. ასე რომ, ადამიანის ნიჭის, უნარის, გარჯის, ფიქრების სრულყოფით გადმოსაცემად არსებითი მნიშვნელობა აქვს დასურათებას იმ სამკვიდროსიც, რომელიც არ შეიძლება გავლენას არ ახდენდეს პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ესაა გარემოც! გარემო კი თანამედროვე ადამიანების ცნობიერებაში ბუნების მრავალ სიკეთესთან ერთად მოიცავს ყოველივე იმასაც, რაც მათ წინაპართა მადლიან ხელს უშენებდა.

რომავალი ნარკვევების სრულქმნისა და აგრეთვე საკუთარი შემეცნებითი თვალსაზრისით მოიარა ბაადურმა წარსულის ძეგლები ყველა რაიონში, სადაც ყოფნა მოუხდა. საგულდაგულოდ ყველაფერს ღრმადაც იძიებდა მათ შესახებ, ხოლო შემდეგ მოხიბლული და გარინდებული დიდხანს მდუმარედ იდგა ხოლმე მრავალი ფიქრის ამშლელი ამალელებელი დიდებულების წინაშე.

არაერთგან კი ბაადურია გულსაკლავ სურათს წააწყდა. მის წინ იყო სიძველეთა ძეგლების უგულვებლყოფა, გავერანებაც კი. ბაადურმა ამის გამო თავისი გულისწყრომა ვისაც ჯერ არს იქვე უბოდიშოდ მიახალა. მის ჭანყზე ზოგმა დანაშაული შეიგნო, აღიარა, ზოგმაც ძეგლების მოუვლელობა მოსახლეობის მოუტლელობით ახსნა, ზოგი კი ყ.ლყზე დადგა. ამ უკანასკნელებმა, იმის მაგიერ, რომ ჟურნალისტიკის სამართლიან საყვედურს შეგნებულად მისდგომოდნენ, მას პირიქით შეუტყეს, მეტიჩრობა და სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა უხსენეს.

თავშეკაცებული და მომთმენი ბაადური ყოველ ასეთ უგნურ გამოხდომაზე ცეცხლივით ინთებოდა. მან არავის არც მოქალაქეობრივი უპასუხისმგებლობა და არც პირადი შეურაცხყოფა არ შეაჩინა. ყველას დამსახურებული მიუ-

ზღა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ სიტყვითა და გულის მოთხება. საქმეს კი შეველა უნდა. მაშასადამე, საჭირო იყო მათი დანაშაულებრივი დაუდევრობის თბილისში, როგორც აღრეც სათანადო დაწესებულებებისთვის შეტყობინება, აგრეთვე მათი მხილება ნარკვევებშიც, რადგან ზოგ-ზოგებს ზემდგომ პირთა მკაცრი შეგონება ისე არ აფეთებს, როგორც პრესაში გაწერა. პრესას ასეთები ჭკუასეც მოყავს.

მართლაც, ბაადურმა თბილისში ბოლო მივლინებიდან დაბრუნებისთანავე ნებაყოფლობით მოხსენებითი ბარათი წარუდგინა მრავალი ძეგლის სავალალო მდგომარეობის შესახებ ჭროლათვალეუბა ნელიკოს ახალ გონიერ უფროსს, შემდეგ კი პირველსავე დაბეჭდილ მახვილ ნარკვევში მწარედ გაამათრახა სხვადასხვა რაიონის უბირი მესვეურნი, რომლებსაც ერის წარსული ჩირად არ მიანნდათ.

27

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ბაადური სულში დაჭრილივით იყო ქეთევანის უცნაური გამოცვლით. ეს ფიქრი ბაადურს აწუხებდა მივლინებების მთელ მანძილზე, ხოლო უფრო გაულრმავდა თბილისში საბოლოო დაბრუნებისას, როცა მეზობლების მიერ დახვედრებულ წერილებში ქეთევანის წერილი ამაოდ ეძებდა.

ისე გამოდიოდა, რომ ქეთევანი და ბაადური დამდურებულებივით იყვნენ, მაგრამ თუ რის გამო, ვერც ერთი ვერ იტყოდა. მათ შორის ხამადალი სიტყვა არასდროს არ თქმულა, არც ერთმანეთის თავმოყვარეობა რითმე შეუღლებავთ, და მაინც ორივეს ცალ-ცალკე თავსატეხი გაუჩნდა.

ბუტიანობა პირველმა თითქოსდა ქეთევანმა დაიწყო. ამის საბუთი იყო სოფელში ქეთევანის ჰაიპარად გამგზავრება, შემდეგ კი მისი უგულო პასუხები ტელეფონში. ხოლო მისი ასეთი საქციელი ეტყობა, ბრალდებოდა ბაადურს. მან კი თავისი ყველა ბოლოდროინდე-

ლი მოქმედება და სიტყვა გაიხსენა და ვერაფერი იპოვა ისეთი, რაც ქეთევანს შეიძლება სწყენოდა.

ანაზღად ბაადურს მწარე ექვმა უჩხვლიტა. იქნებ ქეთევანმა იჩქარა ბედის პატარა ნანის ძუძუზე აყვანა, ახლა კი, როცა მიხვდა რაოდენი პასუხისმგებლობა იკისრა, მას მდგომარეობიდან გამოსავალი ვეღარ უპოვია და გუნებაც ამ სიძნელემ მოუშალა.

ასევე პატარა ნანის უკავშირებდა გულსტიკივლით თავის ექვებს ქეთევანს. მისი ფიქრით, ბაადური იმას ვანიციდა, რომ მათ ქერქვეშ უცნაური განგების ძალით სხვისი შვილის მოვლინება თვითონ მათ მეტი შვილის გაჩენას უკრძალავდა. ამავე დროს, ბაადური ალბათ თავზე ვერ იღებდა ბედისათვის მისი უმწეო ჩვილის დაბრუნებას, და ამიტომ იყო, რომ ქეთევანს, როგორც მთელი ამ ამბის არამკითხვ თაოსანს, თვალს ვეღარ უსწორებდა.

ქეთევანი იმას ემყარებოდა, რაც ეჩვენებოდა.

ბაადურს საგონებელი არ უნელდებოდა. თან სირცხვილიც სწევდა, რომ ყბადაღებულ შინაშლილობას მასი პატარა ოჯახიც ვერ ასცდა. თუმცა, ჯერ ნათელი არაფერი იყო. ხოლო წმინდა ცოლქმრული ურთიერთობა ტელეფონით ვერ გაიკრეოდა და ბაადურმა იღუმალი წასვლა გადაწყვიტა.

კარგი იქნებოდა თუ ლეგას დაიმგზავრებდა, მაგრამ კახეთის მიმართულეობით უკანასკნელი მატარებლის გასვლამდე ოციოდე წუთი რჩებოდა და არავის ძებნის დრო აღარ იყო.

ბაადურმა ჯიბეებში აუცილებელი სამგზავრო წვრილმანი მოისინჯა და მხარზე ლაბადა გადაიკიდა. მან უკვე შეუქი ჩააქრო და კარი გამოაღო, როცა ქუჩიდან ფანჯარაზე დააკაკუნეს და იგი ისევ ოთახში შევიდა, რომ გაეხედნა.

ქუჩაში სოფლური ბარგით უსასველოდ დატვირთული დათა იდგა, ხოლო, როცა გახარებულმა ბაადურმა ფანჯარა

საჩქაროდ გამოაღო, გამოჩნდნენ ვანი და ნუცაც ორ-ორი ბავშვით.

ბაადური ახლა ისევ კარს ეცა და ყველას ქუჩაში გაეგება. რაღაც ორიოდე წუთიც, და მთელი ბინა ხალისიანი ხმაურითა და სოფლის საამური სურნელით აივსო. ქალებმა პირველად ბავშვები დააძინეს, შემდეგ კი ხელდახელ ვახშამი გააწყეს, თუმცა სუფრასთან ყველამ მხოლოდ ხილით პირი გაისველა. ნამდვილი ვახშმის გამართვა კი, რომელზეც ყველა მეზობელს მოიწვევდნენ, დათქეხს სახვალიოდ, თუთის ქვეშ.

— ჩვენ ახლაც გავიდეთ თუთის ქვეშ, გინდა? — ჩასჩურჩულა ბაადურმა ქეთევანს, როცა ნუცა და დათა მოასვენეს, და ისინი ახალი შეყვარებულებივით ფეხაკრფით გასხლტნენ ეზოში. ბნელოდა და სრული მღუშარება იყო და ბაადურმა ქეთევანს ისევ ჩურჩულით ჰკითხა:

— რაზე ვიბუტებით?

— შენ ჩემგან რაზე გეწყინა? — ჩუმაღვე შეკითხვით უბასუხა ქეთევანმა.

— მეწყინა ის, რომ თბილისიდან გაბუტულივით წასვედი, იღუმალიდან კი ტელეფონით უგუნებოდ მელაპარაკე.

— სხვა არაფერა? მე კი შენ ბოლო დროს სიტყვაძუნწობას გამჩნევდი და ვფიქრობდი მიწყებოდი იმაზე, რომ პატარა ნანის სახლში მოყვანა მე ავიჩემე.

— საოცარია! მეც ნანიზე ვფიქრობდი. ოღონდ მე მეგონა, რომ შენ მერე-ლა მიხვდი რა ტვირთიც იკისრე და უგუნებობა იქიდან დაგეწყო.

— მე უგუნებობა იქიდან დამეწყო, შენ და ციურიმ ნელიკო რომ გაცივლეთ ერთ ღამით, სახლში დაბრუნებული კი ისე იყავი, თითქოს რაღაცას მიმაღავდი.

— აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! იმ ღამეს მართლაც დაგიმაღე ერთი არსებითი ამბავი და შეიძლება არც არასდროს გავიმხილო, თუმცა ჩემი პირადა

---

გიორგი პალაშვილი  
გვიზარბას მრავალი ზერი



შენთან არაფერი მაქვს დაფარული. ის ამბავი კი ციურის საიდუმლოა.

— მე სულელი კი, ბუტია ბავშვივით გაგებრუნჩე! ახია ჩემზე, რომ მერე სოფელში ჩემი უგნურობით თვითონვე ვიტანჯებოდი...

— მეც სულ მოუსვენრად ვიყავი. სწორედ ამ ღამით კი, რაკი შენგან ჩამიჩუმიც აღარ იყო, იღუპალში მოვეშურებოდი.

— ნეტავი ჩამოგესწრო! ვარინა ლექსია სიხარულით ცას ეწოდნენ! მაგრამ, რაკი შენ გაბუტული არ დამხვდი იმაზე, რომ მე აქედან ქარაფშუტულად დავიტიშე, აღარაფერს ვდარლობ...

ქეთევანი ბაადურს მკლავებქვეშ მიეთხუნა.

ღრო უკვე შემოდგომისკენ იყო და საგრძნობად გრილოდა.

## ნაწილი მეექვსე

### I

შემოდგომამ ქალაქიც შეაფერადა. ჭადრებისა და ვერხვების, აკაციებისა და ცაცხვების ალანძულ ფოთლებს დალილი მზე რბილად აელვარებდა. ხოლო მოვგიანე ყვავილებს გაზონებსა და სკვრებში უზენაესი ღვინო ამ ყამით დასდგომოდათ. მაინც, მიუხედავად ხეებისა და ყვავილების ფერადოვნებისა, გასასყიდად უხვად გამოტანილი ხილის ტარციალისა, ქუჩებს სევდიანი იერი მისცემოდათ. თანდათან უხშირა ქინკვლამაც. რძისფერი ღრუბლები რძესავით აღარ იჭრებოდნენ, რომ ცაზე კრიალა ნაპრალეები გაკლავნილიყო. ბუნების მოწყენასთან ერთად ხალხმა მსუბუქი და ღიაფერი ტანსაცმლის მაკვიერ მუქი სათბილობლები ჩაიცვა.

თავისი შეფარდების შემოდგომა ადგა მარჯანიშვილის ქუჩის ნაცნობ პატარა ეზოშიც, მაგრამ, საკმაო სიგრილის მიუხედავად, დათქმული ვახშამი მაინც გარეთ გაიშალა, რადგან ზოგ მეზობელს სახლში მისტუმრებზე იქნებ რადიო ფეხი აეთრია, ეზოში კი ყველა შინაურულად გამოვიდოდა. ასე, ნადიმს უფრო საერთო საეზოო სახეც ექნებოდა.

თუთის ქვეშ ჩადგმული მაგიდა სოფლური პურმარლით დაიტვირთა. სანამ ქეთევანი და ნუცა სუფრას კიდევ ალაპაზებდნენ, ხოლო დათა ტიკტორიდან ღვინოს დოქებში ასხამდა, მეზობლებს მოპატიყედ ბაადურმა ჩამოუარა.

სიამოვნებით მიიღეს მიწვევა ახალმა მეზობლებმა, ჭარმაგმა ელიათმა, რკინიგზის მოსამსახურე სანდრო ბოგვერაძემ და მისმა მეუღლემ კნაჭა და ფუსფუსა გურანდამ, რომლებიც უფროსი შვილის გაზრდილ ოჯახს ფრთხილად გაწოსტოდნენ და მათი წინამორბედი ბესო-პაპასა და სოფიოსავით ახალ ბინაზე მარტო ცხოვრობდნენ. რაც მთავარია, ისინიც ისეთივე საყვარელი და ავკარგვანი მეზობლები გამოდგნენ, როგორც ბესო-პაპა და სოფიო იყვნენ. გამოვიდნენ საერთო სუფრასთან კატო და შოთა პაპიძეებიც. თავს ცოტა შეუძლოდ გრძნობდა ტასია, მაგრამ ბაადურს ხათრი ვერ გაუტეხა. მეზობლების გარდა სტუმრები იყვნენ რაჭიდან საგანგებოდ მოწვეული ცოლ-ქმარი ნარგაძეები, თებრო და დაუთი. როდესაც ნუცას და ქეთევანს გადაეწყვიტათ დათას თბილისში გაყოლოდნენ, მაშინვე რქ დებარებინათ თებროც, რათა დიდი ხნის უნახავი დობილები რამდენიმე დღე ძველებურად დასამებულოყვნენ. თებროსთან ერთად ჩამოვიდა დაუთიც.

დათა და დაუთი ერთმანეთს პირველად შეხვდნენ და პირველმა თავისი დაკოჟილი ზელი უფროსმა გაუწოდა.

— მე დათა ვარ, ლევას ძმა.  
დაუთს აშკარად მოეწონა სანდომიანი სახის ახოვანი, ჭადარა ვაჟაკი და როცა ზღლს ართმევდა, სიყვარულით გაუღიმა. სხვადასხვა პიროვნებათა სა-

ხეებს, რომლებიც მასზე დიდ შთაბეჭდვებს ახდენდნენ, დაუთო გეოლოგიური ნიშნებით აღიქვამდა. დათას სახე მან გააიგივა ტინის ანატექიტან, რომელსაც ბევრი წვიმა და ქარი მოხვედრია, მაგრამ მაინც არ დაზიანებულა.

ლევას ხსენებაზე ბაადურმა და ქეთევანმა შემკითხვად შეხედეს და ახლადა იკბინეს თითზე, რადგან ვახშმის თადარიგში მისი დაძახება გამორჩენილათ. ამ დროს სახლიდან მსუბუქი რჩევით გამოვიდა ტანწერილი და ყელშედერილი ციური, მკლავზე გადადებული თხელი ლაბადითა და ხელჩანთით, ციური ყველას თავზაიანად მიესალმა, მაგრამ არ შეჩერდა, პირდაპირ ჭიშკრისკენ გაემართა, ამბავი კი დაიბარა.

— ლევას მე მოვიყვან.

მას ყველამ თვალი კმაყოფილებით გაყოლა. იმისთვის, რომ ლამაზი და კარგი იყო, და იმისთვისაც, რომ საერთო სურვილს გულთამხილავივით აღასრულებდა.

სუფრასზე კი თამადის არჩევა გაჯანჯლდა. თამადა, ცხადია, მამაკაცი უნდა ყოფილიყო. მაგრამ სუფრის თავკაცობას ყველა ირიდებდა. სანდრო ბოგვერადე იმ საბაბით, რომ უბრალო რკინიგზელი იყო და სიტყვა-პასუხით ინტელიგენციას თავს ვერ მოაწონებდა. დათა იმით, რომ სტუმარი იყო. ბაადური იმით, რომ როგორც ასე თუ ისე მასპინძელს, სუფრასთან ფუსფუსი უწევდა და ორ მოვალეობას ვერ შეითავსებდა. დაუთს მიზეზად ის მოჰქონდა, რომ მეტწილ ტყე-ღრე მარტო ხეტი-ალში ლაპარაკს ვადაჩვეული იყო, ხოლო შოთა პაპიძე თავის მშვერმეტყველებას საერთოდ აქიაქებდა.

— აი, ბედიას რომ უბედურება არ დასტყდომოდა, ახლა ჩვენთან იქნებოდა და არც გვახვეწინებდა თამადად ისე დაგვიდგებოდა. თანაც, ისეთ თამადობას გასწევდა, რომ თქვენი მოწონებული... — სინანულით თქვა დათამ. დათას ის უნდოდა გამოეხატა თუ როგორ უყვარდა და უთანაგრძნობდა ბედიას, სინამდვილეში კი როყიო სიტყ-

ვა გამოუვიდა და ძალიან შეწულა. იბლადა, სწორედ იმ წუთს ბაადურმა ვილაცას რაღაც ხმამაღლა ჰკითხა და დათას ნათქვამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

## 2

ციურის და ლევას ეზოში გური და ტიტეც შემოპყვნენ. უკვე დიდი ხანია დავიწყებული იყო ძველი მტრობა, მაგრამ ციური ისევ ებუზღუნებოდა სოლმე „ამ არდასაცალბელ“ გურის და ტიტეს, იმათ კი მისი გაჯავრება უხაროდათ. გურიმ და ტიტემ ციური მაგიდასთან ისე მოაქციეს, რომ ტყვედ ჰყავდათ. ციურიც სიცილით შეურიგდა ამ ხვედრს, რადგან ლევას მისთვის მაინც არ ეცალა. ლევა დათასა და ბაადურს შუაში იჯდა და მათთან საუბარში იყო გართული. სამაგიეროდ, გული-სყურის ნაწილს ციურის უთმობდა დათა. ოღონდ ისე, რომ ქალიშვილს უსერხულობა არ ეგრძნო.

ციური ამჟარად ბრწყინავდა. დაუთის ცალკე შედარებით კი, დიდი ხნის უნახავ და დაქალიშვილებულ ციურის ყელი და სახე მთის ბროლს უგავდა.

სუფრას კი თამადა ჭერაც არ ჰყავდა. შექმნილ შეფერხებაში უცებ გაერკვა გური და ბედნიერი გამოსავალიც მან უქარხახა მამაკაცებს.

— სულაც ნუ აირჩევთ თამადას! თითო სადღეგრძელო თითო კაცმა თქვით და საქმეც წავა. მერე კი, ეშხში რომ შეხვალთ, სადღეგრძელოებს ერთმანეთს შეეცილებით. სულ ბოლოს ერთ სადღეგრძელოს ვიტყვით ჩვენც — მე, ტიტე და ლევა.

აზრი ყველას ისე მოეწონა, რომ გურის ხუმრობა ოდნავაც არ იწყინეს.

თითო სადღეგრძელოს თამადობა უფროს-უმცროსობით განხორციელდა. პირველი სანდრო-პაპამ თქვა.

— შენებას გაუმარჯოს! ბუნებამ ისე ინება, რომ თქვენი სათაყვანო ბესო-

ბაბას შემდეგ მის ბინაში მეც მშენებელი ჩავსახლდი. შენების მაღლი იმიტომაც ვიცი. შენებას და ჭერის ვადახურვას გაუმარჯოს! თუ განგებამ ნგრევა ინება, ნასახლარზეც ისევ სახლის კედლები ამოყვანილიყოს! ჭერ შენებას, მე რე კი უკვე დასრულებულ შენობასაც იმიტომ გაუმარჯოს, რომ, თუმცა მრავალი ვითარება აახლოებს ადამიანებს, მაგრამ მათი ურთიერთობა სხვადასხვა ჭერქვეშ უფრო მტკიცდება. მთავარიც ეგ არის ცხოვრებაში, რომ ადამიანები ერთიმეორეს რიგიანად უგებდნენ! მეც, ეს სადღეგრძელო არა იმიტომ გამოვამჩნეურე, რომ შენებაში თვითონაც ხელი მაქვს. ალბათ ასე იტყოდა სადღეგრძელოს ბესო-პაპაც. მისი სულიც განათლოს!

— შენ აგაშენოს! — ღირსეული მიუზლა ჭარმაგ კაცს დათამ, როცა მის კვალად ჭიქა გამოცალა და სწორად შეკრებილ მსხვილ უღვაშზე ხელი გადაისვა. ახალი სადღეგრძელოც მან ითავა. დათამ ყველას ღინჯად მოავლიო თვალი და ღრმად ამოისუნთქა. — ჭეყუნად კაცსა და კაცურ კაცობას გაუმარჯოს, ხალხო! სიყეთითა და სიწმინდით სავსე კაცს გაუმარჯოს! სხვისი ვაების გულთან მიმტან კაცს გაუმარჯოს! აი, თვითეულ თქვენგანს გაგიმარჯოთ, რაკი სწორედ ისეთები ხართ, როგორიც კაციშვილი უნდა იყოს. ვინც ქალაქში თქვენი გულისა დადის, ყველა იმათ გაუმარჯოს. ჩემს სამეზობლეთსა და ჩემს სოფელსაც გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! — თავის მხრივ დათას სადღეგრძელო იამა სანდრო ბოგვერანემ.

მესამე სადღეგრძელოს შოთა იტყოდა, თუმცა ასაკით მას მეორე უნდა ეთქვა. დათა გვიან მიხვდა, რომ მისთვის რიგი ჩამოერთმია. დათამ ეს მეორე შეცდომა დაუშვა ერთ საღამოს. მამსახდამე, მას რალაც გარეშე ამჩატებდა ასე უჩვეულოდ: დათას უნდოდა შოთასთან ბოდინში მოეხადა, მაგრამ ის თავია კატოს მისჩერებოდა და თვალებით

ელაპარაკებოდა, ისე რომ, სხვისათვის იმეც ვერაფერს გაიგებდა.

შოთას და კატოს მთელი ცხოვრება სანიძეშო თანხმეირება ჭქონდათ და საუბარში ჩარევამდე პირველად ერთმანეთს შეხედავდნენ ხოლმე, თითქოს ნებართვას ეკითხებოდნენ. შოთა ახლაც ასე აკვირდებოდა მეუღლეს, კატომ კი გულობილად გაუღიმა, თითქოს წინასწარ იცოდა თუ რა სადღეგრძელოს შესთავაზებდა შეკრებილთ იგი, ხოლო რასაც იტყოდა, ყველას მოეწონებოდა.

— ბედი რომ მქონოდა, სულაც გამოვრჩებოდიტ განრიგიდან. ვინ მე დავინ ვნაშეობა! — ჭერ დათას გული გაუქეთა მან, შემდეგ კი მიაყოლა სადღეგრძელო. — მოდით, აი, რიგითი კაციო, რომ იტყვიან, იმასაც გაუმარჯოს, თუ ის თავის საქმეს ერთგულად და კეთილსინდისიერად აკეთებს. მე სანდროს სადღეგრძელოს ერთი ნაწილი არ მომეწონა. სანდრომ ასე თქვა: მე იმიტომ კი არ ვადღეგრძელებ შენებას, რომ თვითონ მშენებელი ვახლავართო. არა და, სწორედაც რომ ის საქმე უნდა აღღეგრძელო, რომელსაც მთელი სიყვარულით ემსახურები კაცი. ამაში საქმისა და არის! საკუთარ თავს ხომ არ აღღეგრძელებ! აი, მე რიგითი მუშაკო ვარ და სადღეგრძელოსაც ყველა სინდის-ნამუსიანი რიგითი მუშაკისას გთავაზობთ.

— გვთავაზობ და ჩვენც ვღებულობთ. ვიწონებთ. — შოთასაც შეეხმიანა სანდრო. — მე რომ შემისწორე, იმაშიც მართალი ხარ.

ბაბლური და დაუთი ტოლები იყვნენ, მაგრამ მორიგი სადღეგრძელო, როგორც სტუმარს, დაუთს დაეთმო.

— მე მეონი მართლაც დაემუნჯდი, ისე ჭშირად ვარ ხოლმე უხმისგამცემოლ. — მორცხვად დაილაპარაკა დაუთმა. — იღბლად, სანდრო პაპასა და ბიძია შოთას სიტყვებმა მიშველეს. მეც ჩემი მოსაქმეობის ადამიანებს გადავხედავ! თუმცა სადღეგრძელოში ვგულისხმობ არა მხოლოდ იმათ, ვინც წიაღ-

სეული სიმდიდრის აღმოჩენას ემსახურება. გაუმარჯოს იმათაც, ვინც ცხოვრებაში საერთოდ აზღოსა და კარგის მიძიებელია ხალხის სასიკეთოდ!

სადღეგრძელოთა შუალედებში ფიქრიანი ღუმელი იდგა ხოლმე და არ ჩურჩულებდნენ ქალებიც კი, რომელთაც სადღეგრძელოებში წილი არ ედოთ.

### 3

სადღეგრძელო ბაადურზე იყო.

— მე მეგობრობას ვადღეგრძელებ. — თვალგაშტერებით თქვა მან. — მეგობრობას და მეგობრებს. ვინც ამ მაღალი გრძნობის ფასი და მოფრთხილება იცის, იმათ. მე პირადად, ნამდვილი მეგობრობა მესწავლოს! გაუმარჯოს, ვინც ჩვენ გვიყვარს და ვისაც ჩვენ ვუსყვარვართ. იმათი კი, ვინც უდროოდ გამოვვავალდა, არ დავიწყება იყოს!

— სოსო მოლოდინის სსოვნა იყოს! — გრძნობით ახსენა საერთო მეგობარი დაუთმა, როგორც კი ბაადურმა თავისი მოკლე და ზოგადი სადღეგრძელო დაასრულა.

ახლა სუფრასთან სეველიანი ღუმელი დამკვიდრდა. ლეგამაც დიდხანს აყოვნა, რომ დამსწრეთ თავთავისი სამწუხარო მოგონება განელებოდეთ, და შემდეგ და გამოაცხადა სამთა საერთო სადღეგრძელოდ სათქმელი.

— გაუმარჯოს ხვალინდელ დღეს! ყველა ხვალინდელ დღეს. ახალ დღეს. იმედისა და რწმენის დღეს.

უფროსები ახალგაზრდების გულსთქმას ჩაუკვირდნენ და მათი სადღეგრძელო აზრიან და ფრთიან გამონათქმად მიიჩნიეს.

— ჩვენ სულ სიკეთეზე ვილაპარაკეთ. — თითქოს დააჯამა ყველას ნათქვამი სანდრო ბოგვერაძემ. — შეგვეძლო გვეხსენებინა მტრის დათრგუნვაც. შეგვეძლო, მაგალითად, მოგვეგონებინა — „ვინც ჩვენზე ცუდი რამა სთქვას, გული გაუბოს დანამა“, ანდა „ხარობდეს საქართველო, ხონთქარი დაუმარცხოსო.“ მაგრამ, დახეთ ქართველი კაცის მრწამსსა და შესემნილობას.

ვე ამ სიმღერაში, რომლებიც ენახე ანახლად მომადგა, მტრისადმი მუქარაკი არ არის გამოთქმული (თუმცა, როცა მტერი ყელში ამოგვსვლოა, ჩვენ მუქარაც გავვიღვევებია), თითქოს ის აზრია გატარებული, რომ მტერი, რასაც დასთესს, იმას ისედაც მოიმკისო. თითქოსდა, მტერი თავისი ავკაცობით უჩვენოდვე განწირულიაო. ამიტომ სიკეთესა და კეთილ ადამიანზე ღაღადარა სწორი გეზია. სიკეთის სათავე კი, ჩვენი ვაგებით, ქალი არის, და მოდით, აგერ ეს ჩვენი მანდილოსნები გავალმერთოთ, რომლებსაც სადღეგრძელო ისედაც დაუგვიანეთ. აი, მეორე სადღეგრძელო უკვე თავათ ავიღე. ამ ეშმაკის ფეხმა გურამ აკი გვიწინასწარმეტყველა, ეშში შეხვალთ და სადღეგრძელოებს ერთმანეთს აღარ დააცლითო. აგრემც ყველა კეთილი წინაგრძნობა ასე გამართლებოდეთ გურისა და მის ძმაცებეს! ეგვე გურის სიცილის დაგუბებით ყბები დაბერვია და სადღეგრძელოს რომ ვიტყვი ისევე დაეჩუტება. თქვენი სადღეგრძელო იყოს ქალებო! ტახიავ, კატიავ გურანდა, თებრო, ნუცა, ქეთევან, ციური.

სანდრომ დინჯად, სიამოვნებით დაცალა სასმისი. ფრუტუნი კი არა მარტო გურის, აუტყდა ყველას. ალაღად დასცა თაგს სანდრომაც და ჭიქა ფრთხილად დადგა.

— იცოცხლეთ, იხარეთ, იბედნიერეთ ჩვენო კარგო ქალებო! — მიმართა მანდილოსნებს დათამაც, როცა საერთო სიცილი ჩაცხრა, — დედებად და ღებად მერგებით და ეგრევეც გეთაყვანებით, როგორც კაცს დედა და დაი უყვარს. მაგრამ სხვებს არ გეწყინოთ, თქვენ შემოგველეთ, თუ ორიოდ მეტ სიტყვას ქეთევანზე ვიტყვი.

ქეთევანმა სუფრიდან გაქცევა სცადა, მაგრამ იგი სწორედ დანარჩენმა ქალებმა დააკავეს ადგილზე. მისმა უმცროსმა დობილმა ციურიმ კი, არა ორი-

**გიორგი გელაშვილი**  
გმიზარავს მრავალი ზიადი



ოდე, არამედ ათასი თბილი სიტყვა მოს-  
თხვავა დათას ქეთევანზე.

დათამ ორიოდ სიტყვა ვერ იმყოფი-  
ნა, მაგრამ ვერც ათასამდე აიყვანა.

— ქეთევანი სოფლის თვალი და სი-  
მაყე იყო და მთელი სოფელი ახლაც  
ქებით იხსენიებს მის თავმჯდომარეო-  
ბას. ეს ჰქვიანი გოგო ისე ადრეულ გა-  
ება მძიმე ჯაფაში, რომ „ქეთო-ქეთინო“  
რომ დაეძახნოთ, როგორც მის ასაკს  
ეკუთვნოდა, არც ღირსებია. პირდაპირ  
ქეთევანი გახდა! მაშინ, როცა მის ტოლ  
ამ ან იმ თინათინს უძახდნენ თინიკოს,  
თამარს — თამრიკოს, ეთერის — თე-  
რიკოს, ხოლო სხვა ქეთევანებს — ქეთო-  
ქეთინოს. მაგრამ, მაშინ ქეთევანს სად  
ეცალა, რომ ამაზე ეფიქრა? ახლა უკვე  
ნამდვილი ქეთევანია. ამ სადღეგრძელო-  
ში მე ქეთევანს მინდა მადლობა გადა-  
ვუხადო, რომ მის შემცვლელ თავმჯდო-  
მარეს მყარი და კარგად აწყობილი მე-  
ურნეობა-შემკვიდრეობა დამიტოვა და  
მეუშაობა გამიადვილა. მადლობა მინდა  
გამოვთქვა იმის გამოც, რომ ქეთევანს  
კაიქალობა ღირსეული მეუღლის შეხ-  
ვედრით დაუფასდა. იმრავლონ ბადუ-  
რისთანა ვაჟკაცებმა. ჰოდა, თქვენ გაგი-  
მარჯოთ ქალებო, ქალბატონო გურან-  
და, ტასია, ეკატერინე, თქვენცა თებრო  
და ციური, შენცა ნუცავ, და კარგად მე-  
ყოლოს ჩვენი ქეთევანიც თავისი ქმარ-  
შვილით.

სადღეგრძელოს ერთსულოვანი მხი-  
არული ხმაური ეახლა. გარშემო ყველა  
სინათლე გამორთული იყო, მაგრამ ბატა-  
რა ეზოს ნამგალა მთვარის შუქიც ყოფ-  
ნიდა. დამე მატულობდა, სიგრილეც,  
მაგრამ ყველა გულითადობამ გაათბო და  
თავს კმაყოფილი გრძნობდა. მაინც და-  
მეს თითქოს რაღაც აკლდა და მასაც  
ისევე გურიმ მიაგნო.

— ასეთი მთვარიანი ღამის უსიმღე-  
როდ გაცდენა ნამდვილი ცოდვია.

ციურიმ კი გურის მაშინვე კბილი გაპ-  
კრა და ზედ ტიტვე წააკლა.

— თქვენ აქ ვინ დაგბატოეთ, რომ  
ასე გამიშინაურდით და ახლა სიმღერაც  
მომინდომეთ?

გურიმ და ტიტემ ხუმრობა სა-  
ბად მიიღეს და ლეგას შეუყვარდ-  
ნენ. გურიმ, ტიტემ და ლეგამ სიმღერა  
ხელათ ააწყეს. იმდერეს „ვინც ჩვენზე  
ცუდი რამა სთქვას, გული გაუპოს და-  
ნამა“-ც და „ხარობდეს საქართველო,  
ხონთქარი დაუმარცხოსო“-ც. ყველას-  
თან ერთად განაბული ისმენდა სიმღე-  
რას ციურიც, მაგრამ გვიანდამ, როდე-  
საც უკვე იშლებოდნენ, მან მაინც კიდევ  
სცადა გურისა და ტიტეს გახელება.

— ნამდვილი უსამართლობაა, რომ  
ამისთანა არდასაცალეგელი საძაგლე-  
ბისთვის ღმერთს სიმღერის ნიჭი უბო-  
ძებია.

გურიმ და ტიტემ კი სიამოვნებით გა-  
იციინეს, რადგან ციურის უფრო ქათი-  
ნაური გამოუვიდა, ვიდრე მათი გაკენწ-  
ლევა.

#### 4

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა  
შეკრებაზე მოწვეული დათა თბილისში  
სულ ორი დღე დარჩა. დათა ოჯახით  
კვირა საღამოს მიემგზავრებოდა, და-  
ლიდან კი მას და ბადურს ქალებმა თა-  
ვისთვის მყუდროდ საუბრის საშუალებ-  
ა მისცეს. ეტყობოდა, ასე დათამ მო-  
აწყო, რომ დიდ ოთახში ისინი მარტო  
დარჩენილიყვნენ, ეტყობოდა, დათას  
ბევრი ეფიქრა წინმდებარე საუბარზეც  
და მით უფრო გაუძნელდა ლაპარაკის  
დაწყება.

— ღმერთი და რჯული, ასი ძმა რომ  
მყოლოდა ყველას თავს შემოვეგლე-  
ბოდი, მაგრამ ერთი ლეგა რომ მამადია,  
გული სულერთავად მიქოთქოთებს.  
გულს მაშინ დავიწყებარებ, ლეგას გზა-  
ზე დამდგარს რომ დავინახავ. შენ ლე-  
გას ღვიძლი ძმა არ ხარ, მაგრამ მისთ-  
ვის ნამდვილი ძმობის გაწევა ჩემზე მე-  
ტი შენ გხვდა. და აი, შენ მითხარი ალა-  
ლად, თავათ გულნაკლული ხომ არ ხარ  
ბიჭზე?

— გულნაკლულობად რას გულისხ-  
მობ? გვეჩინია შემთხვევები, რომ ზოგ-  
ჯერ ლეგა ვერ ყოფილა გუნებაზე, უფ-  
რო მეტჯერ კი მე, და უნდომლად ერთ-  
მანეთი ცოტა გვიწყენიებია. მე კიდევ



მაშინაც მიწყენიებია, როცა მისი ზოგიერთი გადახრა არ მომწონებია. ასე, აღრე იყო ხოლმე. ახლა ცხოვრებაზე საღად მსჯელობს და ცხოვრებაში ადამიანის მოქალაქეობრივი მოვალეობაც სწორად ესმის.

— შენ გაიხარე! შენ ლევასთვის რაც კი შეიძლებოდა, ყველაფერი გააკეთე. ლევამ აქოზამდე თუ არ წაიბოროძია, ეს უპირველესად შენი წყალობით. ამ შედერებულ ასაკში რომ შეეშალოს ნაბიჯი, ეს უკვე თავის ბედოვლათობით მოუვა. შენ მაინც გულში ჩაიხედე და შენებურად, ვაჟაკურად მიზიარე, ეგ შენი კაი გული ოდნავაც თუ ვეთანადრება ჩვენ ბიჭზე.

— შენ ჩემო დათა, რა გუნებაზე ხარ? თითქოს ვერცა გცნობ! თვითონ გულში რაღაცას ებრძვი და ლაშის მეც გადმომდო. მაგრამ, დმერთსა და რაჭულს მეც დავიმოწმებ, რომ ლევა გვიმართლებს. ლევას მე ძმობას ვუწევდი. მაგრამ, რამდენიც მე არ უნდა ვეძმო, ლევას ღვიძლი ძმა შენ ხარ, და ლევაზე გული თუ მეთანადრება, სწორედ შენ არ დავიმაღავ.

— შენ პირს შაქარი! აი, ასე ცალკე, შენი პირდაპირი სიტყვები მინდოდა მომესმინა ლევაზე. ლევა იმიტომაც აღარ დავიბარე დღეს, რომ ჩვენ მარტო გველაპარაკნა. რომა თქვი, გულში რაღაცას ებრძვიო, ძალიან სწორედ თქმა იყო. კვიმატი ფიქრები დამერევა ხოლმე და იმათ ვებრძვი. გამკრავს ხოლმე გულში, ვაი თუ ლევამ ვერ ივარგოსო და ამოღენა კაცი შიშისგან ვბეჩავდები. ეს შიშია წინაშე ჩემი ნადრევად დახოცილი დედ-მამისა და შაქრის ნათელი ხსოვნისა, რომლებსაც, რაღა თქმა უნდა, ამ ქვეყნიდან ყველაზე მეტი დარდი მორბედაძეთავან უმცროსისა წაჰყვით. ლევასი! ჰოდა, ლევამ რომ ცხოვრებაში სამარცხვინო ლაქა მოიცხოს, მე ასე მგონია, ჩემი მკვდრები სამღურავს შემომითვლიან, რომ ერთი პატარა ბიჭი დამიტოვეს და ისეთი ვერ გაეუზარდე, როგორიც იმათ გაეზარდებოდათ. ასე რომ მოხდეს, სოფლის წი-

ნაშე სირცხვილით დავიბრუტები, ლისა, რომელიც ლევას დიდი იმედით მოელის. გაბიგე, რა დღეშიც ვარ?

— როგორ ვერ გავიგე? თან გჯერა, რომ ლევას ბედი აღარ უნდა გაღონებდეს, მაგრამ გული საგულეში მაინც არ გაქვს, იმიტომ, რომ გადატანილმა უბედურებებმა შიში, ეჭვები და მოუხვენრობა სენივით შეგყარა. მაგრამ, აი, სადაცაა დაგიბრუნდებათ უნივერსიტეტ-დამთავრებული ლევა იღუპალში და უკვე გვერდით რომ გეყოლება, შენც თანდათან დაცხრები.

— მე შენი სიტყვის მაღლით ახლაც დავცხრი. მაგრამ, ძმობას გეფიცები, ნატერისნატერა მაქვს შენც სიახლოვეს მყვანდე.

— ეგ მეც გამეხარდებოდა. მაგრამ როგორ მოვასწინო? მოდი, შენც იფიქრე და მეც ვიფიქრებ. ვიფიქროთ, კოლმეურნეობა და რედაქცია ერთ კალოზე როგორ მოვაქციოთ.

ბაადურმა ხუმრობას სიცილიც აახლა, რომ მისი პასუხი დათას მკვახედ არ სჩვენებოდა და სწყენოდა. მაგრამ დათას ხუმრობის აღდო ჰქონდა. დათამ გაიცინა, თან თავის მხრივ ხუმრობის კილოზე ბაადურის სიტყვებს ნამდვილი გულისნადები შეუპირისპირა.

— ჩვენი რაიონული გაზეთის რედაქტორად რომ გამოვიშვან, შენთვის პატარა იქნება?

წინააღმდეგ დათას მოლოდინისა, მის ქარაგმულ წინადადებას ბაადური ყურადღებით მიუღვა.

— ყველა თანრიგის რედაქტორობა ძალზე პასუხსაგები, კეთილშობილური, ამვე დროს სხვალისო მოვალეობაა მიუხედავად სიძნელეებისა, რომლებიც ამ მუშაობაში ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგრამ დასახელებული თანამდებობის ჩემს მიერ დაპყრობა გამომდინარე მხოლოდ იმ მოსაზრებიდან, რომ მე და შენ ერთმანეთის სიახლოვეს ვიყოთ, გამართლებული არ იქნება. ოდესმე კი, რო-

**პირობი გელაშვილი**  
**გამზარავს მრავალი პირი**

ცა რედაქტორის ადგილი თავისუფალი დარჩება და ამ თანამდებობას მე შემომომთავაზებენ, სიამოვნებით დაეთანხმდები.

დათამ ახლა უკვე ვეღარ გაიგო, ხუმრობდა თუ სიმართლეს ლაპარაკობდა ბაადურს. დათამ მართლაც ეწადა შექმნილიყო ბაადურის ცხოვრებაში აუცილებლობით გამოწვეული ისეთი გარემოება, რომ ის სამუშაოდ მის რაიონში გაწერილიყო. მაშინ დათა ბაადურს თავის სახლში დაიმიჯნობდა და ორივეს გვერდით ეყოლებოდა ლეგაც. ახლო მომავლიდან კი, ლეგას თავისთან ყოლით იხარებდა მხოლოდ დათა, ხოლო ბაადური ლეგაზე შორიდან იფიქრებდა. რაც შეეხება ბედნიერ აზრს, ბაადურის მიწვევის შესახებ რაიონული გაზეთის რედაქტორად, დათა ამაზე რაიონში კრინტსაც ვერ დასძრავდა, დათა რაიონული ხელმძღვანელი არ იყო, თუმცა რაიონულ ცენტრში მის სიტყვასაც ანგარიშს უწევდნენ. ოღონდ მაინც კრინტსაც ვერ დასძრავდა ბაადურის თაობაზე იმიტომ, რომ რაიონულ გაზეთს ოცზე მეტი წელიწადი იყო განაგებდა საქმეზე თავგადაგებული, კეთილშინდისიერი ხნიერი კაცი, რომელიც თუ ცოცხლობდა, ცოცხლობდა გაზეთითაც.

## 5

დათას თავიდანვე ეტყობოდა, რომ ყველაფერი, რასაც ის და ბაადური საუბარში შეეხენ, მის გულისყურს ღრმად იპყრობდა, მაგრამ ტერის უხერხულად სხვა ფიქრიც, რომლის სიტყვებდა გადატანა უჭირდა. გასაჭირიდან ის ბაადურმა გამოიყვანა.

— აბა, დათა! ჩვენ ყოველდღე ვერ ვხვდებით ერთმანეთს და თუ კიდევ რამე გაქვს შესაკითხი, ახლა მოიგონე. დათამ ბაადურს შესხენებისთვის მადლიერად გაუღიმა.

— აი ის პაპიძეების გოგო ხომ კარგი გოგოა.

— ძალიან კარგი გოგოა.

— ჰოდა, რაღა დავიმალო და, ნამდ-

ვილად გამოგვადგება ეგ წმინდა... რა ჩვენი ლეგასთვის...

— რას ჰქვია გამოგვადგება! ციური კისერზე არავის ეკიდება...

— სიტყვა ვერ მოგზომე, ვანა? მართლაც რომ! მე ამის თქმა მინდოდა, რომ თუ მავათ შორის რამეა — ფერა ფერსა და მადლი ღმერთს! ჩვენი ღმერთი კი შენა ხარ. მიხედვე, რომ მოსახლენი მოხდეს.

დათა თავის სიტყვებზე ისე აილანდა, თითქოს ძმისთვის კი არ ზრუნავდა, წინ ქალი ედგა და მას სიყვარულს თვითონ უხსნიდა. მაგრამ დათა მაინც კმაყოფილი იყო, რომ ბაადურის ბიძგით მთავარ სათქმელს გამოსვლა მოუხერხა.

— ბოლო სათქმელიც უნდა გითხრა, ბაადურ. — აღმური გადაიყარა და ტინის ნიკაბი დაკოჭრილი ხელით მაგრა მოისრისა დათამ. — ვარინკას ცოტა უქმიფობა წამოეპარა. ალექსი კი, ხომ თვითონაც იცი, ნახევრად უილაჯოა. უკვე ორივეს მომგვლელი სჭირდებათ. აბა, ღვიძლ შვილზე უკეთ კი მშობლებს ვინ უპატრონებს! ჰოდა, აგრე გამოდის, რომ იღუმალში ქეთევანსაც ისევ წაიყვანათ. ეს თვითონ ქეთევანს უნდა ეთქვა შენთვის, მაგრამ ვერ გაგიბედა. დაეხათრა, ისედაც კი ხანი მიტოვებული რომ ჰყავდი და აგერ ხელმეორედ მარტო გტოვებს. ბარემ მთელი ზამთარი იღუმალში დარჩება შენი ჯალაბობა, თავათ კი ცოლშვილი რომ მოგენატრება, მაშინ ხომ მაინც იზამ ხოლმე პირს ჩვენკენ.

ბაადურს ეს გარიგება არ ეგუნება. ძლივს ხალისი აღდგა მათ ჭერქვეშ და ქეთევანისა და ბავშვების წასვლის შემდეგ ბინა ისევ გამოუყრუვდებოდა. არადა, მართლაც ვინ უნდა ყოფილიყო მოხუცი მშობლების გვერდით, როცა მათ უჭირდით, თუ არა ერთადერთი შვილი! ბაადური კი მაინც შეჩვეული იყო მარტო ცხოვრებას და თავს ისევ თვითონ მიხედავდა.

ქეთევანმა და თებრომ ზუსტად მოზომეს თუ როდის უკვე შეიძლებოდა საუბარზე მათი დასწრებაც და ოთახში

მაშინ შემოვიდნენ, როცა ბადურს თავისი აზრი უნდა ეთქვა ქეთევანის იღუმალში დაბრუნებაზე.

— მომწყდით თავიდან ყველა, — ხუმრობაში გაატარა მან პასუხი. — გავძლებ როგორმე უთქვენოდ. თანაც, ამბობენ ეს ზამთარი მკაცრი იქნებაო. თბილისში ათასცხრასოცდათხუთმეტი წელი განმეორდებაო. მე კი შემაზე არ მიზრუნია და ცოლ-შვილს ცივ ოთახებში ვერ გავყვინავ. იღუმალში კი უკეთეს და უკეთეს ბუხარს ფიჩხი!

ქეთევანი თავს უხერხულად გრძობდა მეუღლის ისევ მარტო დატოვება რომ უხდებოდა. მაგრამ ბადურმა მას გულწრფელად უთხრა, რომ ახლა ვარინკასთან და ალექსისთან ყოფნა ქალიშვილის პირდაპირი მოვალეობა იყო, ოღონდ კი ქეთევანი ბავშვებსაც თავისებურად თვალისწინებით მოფრთხილებოდა. რაც შეეხება პირადად ბადურს, ის პირობას აძლევდა, რომ შიშლით არ მოკვდებოდა.

დათა თბილისში თავისი რაიონის ერთ-ერთ სამეზავროდ მოწყობილ სატვირთო ავტომანქანას გადაყროდა და მძღოლს იღუმალში წაყვანაზე შეთანხმებოდა. მანქანა უკვე ჩამოდგა კიდეც ფანჯარასთან, მაგრამ მილოციელი მას ვიწრო ქუჩაზე დიდხანს არ გააჩერებდა და დათა თავისი თანამგზავრებით მანქანის ღრმა ძარაში ორ წუთში ჩაბარგდა.

მანამდე კი ავტობუსით გაემგზავრნენ თებრო და დაუთი, რომლებმაც ფაქტუციტ მოიბრინეს ქალაქი, შემდეგ ასევე ნაჩქარევად დაახარისხეს და შეფუთეს ნავაჭრი და მასპინძლების სახლიდან ავტოსადგურში გულხეობებით გაცვიფრდნენ.

## 6

სახლში მარტო დარჩენა ბადურისთვის, ერთი მხრივ, ხელსაყრელი იყო. როცა შინ არავინ ელოდებოდა და ჯერჯერობით აღარც მივლინებები უწევდა, შეეძლო საღამო დრო და კვირა დღეები ისე გამოეყენებინა, რომ რაზეც გუ-

ლი ეთანადრებოდა, ის ახლა აენადრებინა.

ბადურს ყველაზე უფრო გული იმაზე ეთანადრებოდა, რომ ერთი ხანია ბედია მივიწყებულივით მიუტრია. ასე მივიწყებული ბედია, ცხადია, მას გულში ემდუროდა. ცხადი იყო ისიც, რომ მეტი ერთად ყოფნა და საუბრები ბედიას გულს გადააყოლებინებდა. ამიტომ ბადურმა გზა ბედიას სოფლისკენ ისევ გაკვალა.

გადატანილი უბედურების შემდეგ ბედია არ დაკნინდა, მაგრამ სიცოცხლით სასვე ახალგაზრდა კაცს სულში უამინდობა ჩაუდგა. აღარც ცრემლი ვინმეს უნახავს მის სახეზე, დარდთან მძიმე და შეუპოვარ ჭიდილს კი ყველა ამჩნევდა. ბედია ისედაც ხშირად ვერ ჩაღიოდა თბილისში, იმ უბედურების დღიდან კი ფეხიც აღარ ჩაედგა. სამაგიეროდ, ახლა უკვე თითქმის ყოველკვირა მასთან იყო ხოლმე ბადური. დროდადრო ნახულობდნენ მას სოფელში სხვა ამხანაგებიც.

უმეტესად კი ბედია და ბადური ორნი ისხდნენ ხოლმე დეიდა მაროსა და ბიძა ექვთიმეს დიდი სახლის ერთ ყველაზე წყნარ და თბილ ტოლფარდოვან ოთახში, ანდა ნანის სევდიან საფლავეზე, ხან კი ხმადებლა მისაუბრობდნენ სოფლის ორღობებში.

ცრემლი უკვე არა, მაგრამ ბადურს ბედიას სახეზე დიდი ხანია დამილიც აღარ დაენახა. თითქოს მოკვდა და დაიმარხა ბედიას მხიარული ბუნება. აღარ ესმოდა მისი გულიანი სიცილი და კვიმატი სიტყვები. ოღონდ გვერდით ბადურის ყოფნა მას შვებას აძლევდა და ამხნევებდა. ბადურს ბედიასზე გული ეთუთქებოდა, მაგრამ თავის მაღლიერად იყო, რომ მეგობარს დარდს ცოტათი მაინც უმსუბუქებდა.

ბადურს გული სტიკოდა გიტოვებ, რომელიც როგორღაც სულ მიიყურებოდა. ბადური იმასაც ფიქრობდა,

**ვიორგი ველაუზილი**  
**ზვიფარას მრავალი ვიორგი**



რომ ბედისგან დაგდებული წმინდა ბერი, გიტო, იქნებ აღარც უნდა შემოსულიყო მის ცხოვრებაში, რაკი ბუნების ძალას ვაი თუ დიდი ხნით არ შთაებერა სული მათი დაგვიანებული მეგობრობისთვის. იგივე აზრით კი, ბაადურს გიტოსთვის ალბათ არ უნდა დაეკავშირებინა ლევა. ვინცობაა უსისხლხორცო, ცარიელსულ გიტოს დიდი დღე აღარ ეწერა, მისი სამუდამო გარდასახვა ბაადურს გულს იმიტომაც დასწყვეტდა, რომ ამ საცოდავ კაცს სოსო მოლოდინის დაკარგვიდან შექვნილ ერთადერთ მეგობართან მეგობრობა არ დასცალდა. ასევე ტკივილს მიაცუნებდა ცხოვრებიდან მისი წასვლა ლევასაც.

ბაადურს ეს უსიამოვნო ფიქრი იქიდან აეკვიტა, როცა ზამთრის ერთ ცივ საღამოს კვლავ მოუხერხდა გიტოსთან შევლა, ის კი კიდევ მეტად გაუბედურებული, უკვე თითქმის სრულიად უქალური, ტანტზე ლოკოკინასავით დახვეული დახვდა თავის მწირ ჩგრებში შეფუთულს.

ბაადურის დანახვაზე მან ზუსტი, მაგრამ მაღლიერი ღიმილი გამოაკრთო და მეტი ვერაფერი მოასწრო.

უკვე სიბნელესა და წებოიან ტალახში ბაადურმა მთელი საათი იბორიალა, სანამ ჭერ სოფელს მიაღწია, შემდეგ კი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის სახლი იბოვა.

მის დაკავუნებაზე სახლიდან შუახნის, წარმოსადეგი კაცი გამოვიდა. ბაადურმა მას მოკლედ აუხსნა, რამაც მოიყვანა. თავმჯდომარემ დანანებით თავი დააკანტურა და ხელი ჩაიქნია. შემდეგ კი წუთით შებრუნდა სახლში, რომ მამუქი აეღო და ქულაჯა წამოესხა, და ბაადურს უსიტყვოდ გაჰყვა. უფრო სწორედ, წინ ის გაუძღვა, რადგან ამ არემარეზე გზები ზეპირად იცოდა.

გიტოს სახლში მათ ცხედრის გაბატონებასა და კუბოს შეკვრაზე დაათენდათ, შემდეგ კი თავმჯდომარემ მოიყვანა რამდენიმე თანასოფლელი, მათი და-

სწრებით შეადგინა რალაც საბჭოს ხოლო ნამუდამად აღამიანების ამ პატარა ჯგუფმა გიტო მიწას მიაბარა.

7

ის შუახნის, წარმოსადეგი კაცი, ხასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, გიტოს დაკრძალვიდან რამდენიმე დღის შემდეგ კვირა დილით, როცა ბაადურს ჩვეულებრივ ბედიასთან გასამგზავრებლად ემზადებოდა, მოულოდნელად მას სახლში გამოეცხადა.

— ხომ მიცანიით?

— რა თქმა უნდა, გიცანიით. საწყალ გიტოს ქირისუფლები მე და თქვენ ვიყავით.

— მართლაც საწყალი და საოცრად ნათელი სულის გიტო! თქვენ მე ქირისუფლობის გაწევამდე ვერ მიცანიით?

— გიცანიით მანამდევე.

— გინდათ აღვადგინოთ ჩვენი პირველი შეხვედრა და საუბარი?

— გატყობთ, რომ თქვენ გინდათ. მეც წინააღმდეგი არ ვარ. ვნახოთ, რა გამოგვივა.

— ვნახოთ. მაშ ასე. მე, განყოფილების გამგე რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა, ვზივარ კაბანეტში, როცა ჩემთან შემოიხართ თქვენ და მათუყვებთ, რომ ჩვენს რაიონში სრულიად მიშვებულა სიძველეთა ძეგლების დაცვა. მე კი თქვენ ბატონკაცურად მიგიღეთ და დაგცინეთ კიდევ.

— მახსოვს, თქვენ მე ასე დამცინეთ: „მაგით რას გვიბრძანებთ, ქვეყანაზე მარტო თქვენ ხართ ჭეშმარიტი მამულაშვილი?“

— თქვენ კი სიტყვა მომიჭერით: „საბედნიეროდ, მარტო მე არ ვარ მამულაშვილი, მაგრამ მეც ვარ“.

— რაზეც თქვენ ისევ დაცინით მომმართეთ: „და გვ მამულაშვილობა გამოიხატება იმაში, რომ ჩაერიოთ ისეთ საქმეშიც, კი რომელიც თქვენ არ გეკითხებათ?“

— მაგაზე თქვენ მაღალფარდოვნად



მომიგეთ: „მე ჟურნალისტი ვახლავართ და ყველაფერი მეკითხება“.

— რამდენადმე მაღალფარდოვანი იყო თქვენი პასუხი: „ყველაფერი არავის ეკითხება. სამწუხაროა, რომ თავის დროს უფროსებს თქვენთვის არ უსწავლებიათ უცილობელი ჭეშმარიტება, რომელიც გვაფრთხილებს სხვის საქმეში არ ჩაეროთო“.

— შემდეგ თქვენ მწარედ ჩამინისკარტეთ: „უფროსებს თავის დროს ბევრი გონიერული ჭეშმარიტება ჩაუგონებიათ ჩემთვის. მათ შორის ერთ-ერთი გვაფრთხილებს, რომ უმეცარი კაცი: მაღალ თანამდებობაზე არ უნდა მიუშვათო“.

— თქვენ ამიტომ ხმა ავიცახცახდათ: „თქვენ, ვგონებ, შეურაცხყოფას მაყენებთ“.

— თქვენც უკან აღარ დაიხიეთ: „გაყენებთ. ოღონდ, პასუხად იმ შეურაცხყოფისა, რომელიც თქვენ საუბრის დასაწყისშივე მე მომაყენეთ. შეურაცხმყოფელის შეურაცხმყოფელი კი თავზე ნაკლებ ცოდვას იღებს, ვიდრე პირველი. თუმცა, თქვენ არც ისეთი უმეცარი ყოფილხართ, როგორც თავდაპირველად მეგონა. თქვენ ხელათ შეიცანით თავი ჩემ ქარავმულ ნათქვამში“.

— თქვენ კი სიბრაზისგან ესლა აღმოგზდათ: „აჰ, ასე ხომ?“

— სამაგიეროდ, თქვენ მშვიდად დამდასტურეთ: „ასე“.

— მაშინ თქვენ თითქოსდა დამემუქრეთ: „რომ განანებინოთ ეგ სიტყვები?“

— ხოლო მუქარაზე თქვენი ისევ მაგრა დამიდევით: „ვერ მანანებინებთ. მხოლოდ შეიძლება უსამართლოდ ვაილანძლო, თუ ჩვენი განმსჯელი ჩვენზე მაღალი თანამდებობის პირი თქვენი შეგნების დონისა აღმოჩნდება. სიმართლე კი ჩემ მხარეზე იქნება. მაგრამ პირად მე იმედი მაქვს, რომ, თუ ასე მოხდა, ჩვენ საქმეს გულშემოტივარი მამულიშვილი გაარჩევს და ვალანძვითაც თქვენ ვაილანძვებით. ამიტომ შეეშვით მაგ მუქარას — ჩიტისგულა ნუ

გვონივართ — და მიხედეთ, რაც რაიონში მამაპაპეული საშვილი ჩაოხრებული ძეგლი გაქვთ“.

— თვითონ თქვენ მუქარად ჩემი პასუხი გეჩვენათ: „თუ არადა, აღმსრულები იმას, რაც გულში გაქვთ? ანუ, რაც ხელობა გაქვთ, იმას გამოიკეთებთ. ჩემს თქვენს ჟურნალში რამეს წახლავნით. მაგრამ მაგის შიშით მე არც ძალი გამიბუფდება, არც მოსვენება დამეკარგება“.

— ამაზე თქვენ საბოლოოდ დასკვნა ზიზლით გამოიტანეთ: „ამიტომ თქვენზე ბევრი ქალაღის გაფუძება არც ღირს. თქვენ უბრალოდ უნდა მოგვიმორონ ამ ადგილიდან, რომელიც არ გეკუთვინთ. არ დაეწერ თქვენზე საჯაროდ კიდევ იმიტომ, რომ თქვენს ალბათ უკვე შეგნებული ასაკის შვილებს არ შერცხვეთ თუ გაიგებენ საშვილიშვილო საქმის როგორი ერთგული და მოამაგე მამა პყავხართ“. აი, ასეთი საუბარი გამოგვივიდა ჩვენ ამ ხუთი თუ ექვსი წლის წინ.

— ექვსი წლის წინ. — დაბეჯითა ბააღურმა. — ოღონდ, რა მოხდა შემდეგ, მე აღარ ვიცი. მე, როგორც მაშინ ვითხარით, ჟურნალში თქვენს შესახებ სიტყვაც არ დამიწერია. ბევრი ქალაღი მართლაც არ ვაგაფუძე. დაეწერე მხოლოდ მოხსენებითი ბარათი, რომელიც სადაც ჯერ არს მივართვი. მაგრამ იქ მაშინ ისეთი კაცი იჯდა, რომელმაც არა თუ ზომები არ მიიღო, არამედ მოხსენებითი ბარათი მასხარად ამიგლო.

— სამაგიეროდ, იმ კაცის იმ ადგილზე შემეცვლელ ხელმძღვანელს ჩაუხედია იმაში, რაც თქვენ დაწერეთ. შემოწმებამ კი, რომელიც მან მოაწყო, ცხადი ვახდა, რომ მიუხედავად მოხსენებითი ბარათის დაწერიდან დიდი ხნის გასვლისა, ჩემს სამეთვალყურო რაიონში ძეგლების დაცვის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ამას კანონზომიერად

**გიორგი ვაღაშვილი**  
**გვიზარაგს მრავალი ხინდ**



მოჰყვა თანამედრობიდან ჩემი დაქვეითება.

— ესე იგი, მაინც ჩემი მიზეზით?  
— თქვენ ჩემთვის მტრობა არ ვაგწევიათ. მე მართლა უმეტესი კაცი კი არ ვარ! რაზეც თქვენ მაშინ სამართლიანად მისაყვედურეთ, იმაზე მეც გული მეწვოდა. მაგრამ აღმასრულებელ კომიტეტს ძეგლების აღსადგენი სახსრები არ გააჩნდა. ვარეშე კაცისგან ჩემი სინდისზე შეყენება კი ვითაკილე. იმიტომაც ისე ბატონკაცურად შეგები პირში.

— იმ საუბარში მეც გადავაჭარბე.  
— ეგ არაფერი. უფრო სწორედ — რაც მოხდა, მოხდა! ცხელ გულზე შეგნებული მოკამათენიც კი დაუტყრფავებში გადადიან ხოლმე. სამაგიეროდ, თუ კი მთელი ექვსი წლის წინანდელი ის ცხარე საუბარი ორივეს თითქმის ზუსტად დაგვხსომებია, ეს იმას ნიშნავს, რომ დავის საგანი ორივეს გულში გვექონია. უფრო სწორედ, ახლა ჩემი გულიც მინდა დავანახო, თორემ შენი მე მაშინვე დავინახე. ახლა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელზე ბევრად ნაკლებ უფლებამოსილი ვარ რაიონში, ყველა სიძველის ძეგლს კრუხივით ვეფოფრები და ასე გასინჯე, ისევე უსახსროდ. აღრეც ასე უნდა მებრძოლა! მაგრამ, რაც იყო, იყო! შენ კი, ჩათვალე, რომ ისეთი მეგობარი გყავარ, რომელიც ნაკლის მითითებაზე პირველად ფეთქდება, მაგრამ შემდეგ ყველაფერს სწორედ სჯის. ახლა მე ძმასავით დასანან გიტოს სახლსაც ისე შევიწახავდი, როგორც ვარდასულ ღრთა ძეგლს ეკადრება, მაგრამ ეს მე აღარ მეკითხება.

— მაშ დანაგრევთ?  
— დანაგრევ თუ დასტოვებ, ეს შენ უნდა გადაწყვიტო.  
— იე მაგ საქმეში რა ძალა მაქვს...  
— შენ ამ უფლებას ანდერძის ძალა განიჭებ...

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ბრტყელი ქამრით შემოჭერილი ქიშმიორის ხალათის სარქველიანი გულის ზიბიდან ორად მოკეცილი რვეულის

ფურცელი ამოიღო და ბაადურს გაუწოდა.

ბაადურმა ვაფაციცებით წაიკითხა შვინდის მარცვლის ოღენა ასობით დაწერილი გიტოს ანდერძი და სიმწრისგან ტუჩი მოიკვნითა.

8

ანდერძი ახალგაზრდულ ასაკში თითქმის არ იწერება. იქნებ არ წერენ მას ხნოვანი ადამიანებიც, თუ თავს ისევე საღად გრძნობენ. ანდერძი უფრო შუახანსგადაცილებული, ჯანმრეყულა აღაპიანის შემფოთებული გონებიდან და აცახცახებული ხელიდან გამოდის. გიტოს ამკარად იმიტომ ეზრუნა ანდერძზე, რომ დაბადებივც უღმერთოდ დაჩაგრულს, დიდი ხნის სიცოცხლის იმედი არ ჰქონდა.

გიტოს სატირობელ ანდერძში მკვედრებელი სურვილი იყო გამოთქმული. რომ მისი ჯიბით ნაზიდი რიყის ქვისა და დამონებული ხელებით გათლილი რელებსიგან აგებული სახლი საკუთრებად დარჩენოდა ბაადურ ამირიძეს. ანდერძის ბალავარი კი იყო სოსო მოლოდინი, გიტოსა და ბაადურის დამეგობრების მკვდრეთიდან შუამავალი.

ვიდრე თვალვამტრებელი ბაადური ანდერძის აზრს აღიქვამდა, სტუმარი ოთახში დინჯად ბოლოთას სცემდა, თან ქეშად ბაადურის ფიქრისგან დაღარულ სახეს აკვირდებოდა.

ბაადურმა ბოლოს ფურცელი ისე დაკეცა და მაგიდაზე დაღო.

— მე ის სახლი რად მინდა?  
ქაპარში ხელმჩაყრილი სტუმარი მის წინ შეჩერდა.

— არც მე და არც სოფელში სხვას არ გვინდა. სახლი ყველას გვაქვს. მაგრამ თუ გიტოს სახლს გაჭირვებული ან გზაწეპილი მგზავრი გადაეყრება, მის თვალში წვითა და დავით აშენებული ის პატარა თავშესაფარი თვით სასახლედ გამოჩნდება. იმიტომ, იმ სახლს,

ვიორგი ვალაშვილი  
გვიზარავს მრავალი მხრი



თვით სახლის პატრონს, აგრეთვე ვინმე სასო მოლოდინისა და შენ სახელზე, მე მოვუვლი.

— კარგი აზრია. დაე, ის ჭერიც იფარავდეს კეთილ ადამიანებს! კარგი ისიც არის, რომ მე და შენ საერთო ენა ვიპოვეთ.

სტუმარს ისე ძალიან მოეწონა ბააღურის განჩინება, რაც მათ შორის სრულ დაზავებას გამოხატავდა, რომ თავის მხრივ იგივე დასკვნას სიტყვაც აღარ შეაწია. სამაგიეროდ, მან თავისა ღონიერა ხელები ბააღურს მხრებში ჩაასჭიდა და კმაყოფილებით მოსინჯა. უცებ კი მას გაახსენდა, რომ როდესაც ბააღურმა კარი გაუღო, იგი სახლიდან გასვლას აპირებდა.

— შენ, მგონი, სადღაც მიდიოდი და შე შევაყოფენ.

— ვაპირებდი, მაგრამ ჩემი მატარებლები უკვე გავიდოდნენ.

— მერე და, ავტომანქანა ვერ მისწვდება იმ ადგილს, სადაც შენ წასვლა გინდა?

— ავტომანქანა უფრო მარჯვედ მიმიყვანდა, მაგრამ სად ვიშოვი?

— ავტომანქანა შე მყავს. თუმცა ჯაბახანაა, მაგრამ დაგორავს. მითხარი საითა გაქვს გზა და შენ განკარგულებაში ვარ.

— თუ შენ შენს სოფელში ბრუნდები, გზა ერთი გვექონია.

— მაშ მვიდევართ!

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს რაღაც უცნაური ჭურის ომგამოვლილი საზღვარგარეთული ავტომანქანა მარჯანიშვილის მოედანზე ეყენა. თავმჯდომარე საჭეს თვითონ მიუჭდა, ბააღური კი მის გვერდით მოეწყო.

შესახედავად გვარიანად შელახულმა, მაგრამ საიმედოდ გამძლე ნახევრად სატვირთო ავტომანქანამ, როგორც იგი მისმა მფლობელმა დაახასიათა, ისეთი ხმა გამოსცა თითქოს გაციებულმა მოხუცმა ჩაახველაო, და გეზი საქართველოს სამხედრო გზისკენ აიღო.

თავმჯდომარე მანქანას საშუალო სიჩქარით ატარებდა, თან თითქოს მას-

წავლებელი გაცვეთილს გადასცემდა ისე შთაგონებით ლაპარაკობდა, ბააღურიც მოსწავლის ყურადღებით უსმენდა.

— მაშ ასე. ჩემი სახელი და გვარა თუ დაგავიწყდა, მე გაგახსენებ. მე თაყა შინდაძე ვახლავარ. შენ კი, ერთი პირობა სხვადასხვა ბააღურ ამირიძე მეგონე. პირველი ის, რომელიც მე თავის ღროს წაწეკიდა, ხოლო მეორე ის, რომელიც ბოლო ხანს იმ ცოდეისშვილ გიტოს სწყალობდა. კარგია, რომ ორივე ეს ბააღურ ამირიძე ერთი კაცი აღმოჩნდი და ამრიგად, ჩვენც ძველი ნაცნობები გამოვდევით. მაგრამ ჩვენ შეიძლება აღარც შევხვედროდით და ერთმანეთზე სამუდამოდ უსიამოვნო მოგონება დაგვრჩენოდა. აი, ამიერიდან მეტი რომ ვეღარ შევხვდეთ, უკვე არა უშავს. მეც და შენც გულიდან ერთი ხიწვი გამოვიღეთ, რომელიც დროდადრო ჩუმჩუმად გვაწუხებდა. ახლა რომ მართლაც აღარასდროს შევხვდეთ, ერთმანეთის იმედი მაინც მუდამ გვექნება. საერთოდაც, განა ყოველდღე ვხვდებით იმათ, ვინც გეწამს და ვესურს და ვისთვისაც ჩვენც რაღაცას წარმოვადგენთ? მათ შორის უახლოეს მეგობრებსაც, დებსა და ძმებსაც კი. ზოგს წლობითაც ვერ ვხვდებით. მაგრამ საკმარისია ვინმეს დავეჩირდეთ, რომ ამას უცებ თითქოს ყნოსვით ვიგარძნობთ და მაშინვე მის გვერდით გავჩნდებით. შეიძლება კი, ერთმანეთთან არ გვიხმოს მაინცდამაინც ასეთმა განსაკუთრებულმა ვითარებამ და მეგობრები შევხვდეთ უბრალოდ და შემთხვევით. სამაგიეროდ, ჩვენ ასეთ შემთხვევაშიც კმაყოფილი დავინახავთ, რომ ისევე ყველაფერი გვესმის ერთიმეორისა, როგორც გვესმოდა მაშინ, როდესაც განუყრელად ერთად ვიყავით. ანუ, ჩვენ პირადად აღარ ვართ ერთად, თორემ ჩვენს სულიერ ურთიერთგაგებაში არაფერი დარღვეულა. ცხოვრება ისე გვატარებს

**გიორგი ბელაშვილი**  
გმიზარავს მრავალი ჰმნი



ადმიანებს, რომ რაც ხანი გვემატება, მით უფრო იშვიათად გვახვედრებს მეგობრებს. არადა, რაც ასაკში შევდივართ, ერთმანეთისკენ სწრაფვა უფრო ძლიერდება. მაგრამ ოღონდ კი მეგობრებს ერთმანეთზე გული არ შეგვეცვალოს და მანძილით დაშორებასა და შეუხვედრელობას ვაუქმლებთ. მე ასე მესმის. შენ? — გვერდულად შეხედა თაყამ სმენაღქცეულ ბაადურს. — სიჩუმე თანხმობის ნიშანია?

— მეც შენსავით მესმის. — დაფიქრებით თავი დაუქნია ბაადურმა. — მე კი, შენ მეგონე სხვადასხვა თაყა მინდაძე. ერთი ის, რომელიც თავის დროს კაზინოში ამიყალყდა, მეორე ის, რომელიც ჩვენ საერთო მეგობარ გიტოს მუდამ სწყალობდა. მე მივხვდი, შენა ხარ ის ღვთისნიერი წარმოსადგეი კაცი, რომელმაც ჯერ კიდევ აღმასკომში მუშაობის დროს დღევანდელი შენი სასოფლო საბჭოს ფარგლებში ალაღბედზე შემოხვეწილ, უთვისტომო გიტოს ნორჩი ტყის მეველეობა დააქსირა და იქვე ქოხის ჩადგმის უფლება მისცა.

მანქანამ კი უკვე მცხეთა უკან მოიტოვა და ბედიას სოფელს დაემიზნა.

ბაადურმა მანქანის შექირხლული სარკელიდან ნაცნობი საყვარელი კუნძული დაინახა და ზამთრის კვალობაზე გაცრეცილმა მისმა იერმა გული დასწყვიტა.

9

როგორც წინასწარმეტყველებდნენ, ზამთარი მართლაც მკაცრი გამოდგა, მაგრამ არა მხოლოდ ძლიერი ყინვებით.

„მე ცოცხალი ვიყო, ის გოგო კი საფლავში იწვესო?“ — არაერთხელ დაუტირნია საყვარელი რძალი დეიდა მკარინეს და ბუნებამაც ბოლოს თითქოს უსმინა, ვითომც შეცდომა გამოასწორა. სინამდვილეში ეს იყო კიდევ ერთი ზარი, რომელმაც ბედია შესძრა.

იმა, რასაც ბედიას დედა გულსაკვლავად წარმოსთქვამდა, უსიტყვოდ, სეგდინი თვალებით გამოხატავდა ხოლმე

გიტო, გულისხმობდა რა ჰაბუტი სისო მოლოდინის დაღუპვას, მაშინ, თვითონ უმაქნისი კაცი დეადმიწას ზემეტ ტვირთად აწვა.

მაგრამ მათი სიყვდილი განგებისადმი შეთხოვაზე მოწყალებითი გამოხმაურება არ იყო. უბრალოდ, განდევნილი გიტოც და ქალბატონი მკაც ასაკმა და განაცადმა დასძალეს.

ბედიას დედამ თავის დროს მძიმედ განიცადა ბაადურის დედის სიყვდილიც.

ბაადურისა და ბედიას დედები შვილების მეოხებით მეგობრობდნენ. როდესაც ჰაბუტკობის ხანს შვილები სახლში იგვიანებდნენ, დედები მათ ერთმანეთთან ეძებდნენ. ხოლო, რაკი მიაკითხავდნენ, ერთმანეთს თავთავის საზრუნავს გადაუშლიდნენ, ფიქრებს გაუზიარებდნენ ხოლმე და ასე გაიბა მათი ახლოპლობაც. თუმცა დედები ბოლო დროს იშვიათად ხვედბოდნენ, ფიქრით და განცდებით ისევე ერთნი იყვნენ.

ამიტომ, მათგან ერთ-ერთის მოულოდნელმა სიყვდილმა გული ჩასწყვიტა მეორეს. მეგობრის სიყვდილი კი ვადაძებია. ეს, არა იმ ვაგებით, რომ ერთის სიყვდილი კლავს მეორეს. იმ აზრით, რომ თავის აღსასრულს ძლიერ ცხადლივ წარმოადგენინებს.

თუმცა, ვინ არ იცის, რომ უაღსარულო არავან არის. ასეთი ფიქრი ნამეტნავად ასაკობრივ სისრულეში იკვეთება, როდესაც ადამიანი ხედავს, რომ რაც მეგობრად გულზეულ ადამიანთან განუცდია, იმა ანლიდან ველარაგისთან ვერ განიცდის.

მეგობრობა კი ერთად განცდაც არის, იქნებ მეგობრობის მთავარი ნიშანაც კია.

თავის დროს დედის ამ განცდის შესახებ ყველაზე კარგად იცოდა ბედიამ, მაგრამ ამაზე სიტყვაც არ დაუძრავს ბაადურთან, როდესაც ის დარდიანი იყო, ეს იმიტომ, რომ ესმოდა, ქირისუფლის წინაშე იმ ქეშმარიტების გამოფენა, რშიც მას ექვი ისედაც არ ებარებოდა, ქეშმარიტებას საეჭვოს ვახდიდა.

დედის სიყვდილიდან ბედია უკვე ორ



საფლავს უვლიდა თავისი სოფლის სევდიან გორაკზე.

ბეღია თან სულ უფრო მეტ სხვადასხვა საქმეს იჩენდა, რომ შავ ფიქრებს არ გავივებინა. მას ისედაც ახანიათებდა ფუსფუსი, ეხალისებოდა ბავშვების სამუშაოდ და სალაშქროდ გაყვანა, მათ მშობლებთან საუბარი, ჩამორჩენილ მოსწავლეებთან ცალკე მეცადინეობა, ყველა საერთო სასოფლო საქმეებში მონაწილეობა. ახლა ყველა ეს ტვირთი გაიორმაგა, მოგვიანებით, გაზაფხულზე კი დაიმატა ახალი სასურუნაო — სასკოლო საცდელი ბაღი, რომლის გაშენების თაოსანი თვითონ იყო.

ეს აზრი ბედიას ჯერ კიდევ ზამთარში დაეზადა. მის განსახორციელებლად კი აუცილებელი იყო მეზაღობის ანბანის შესწავლა და ბედიაც სასოფლო სამკითხველოში საჭირო წიგნებს ჩაუჭდა.

სამკითხველო უდიდამო და ღარიბი იყო. შენობა — რაღაც დაბრეცილი ხუხულა, წიგნები კი — სულ რამდენიმე ასეული. მაგრამ ყველაზე ღატაკ სამკითხველოშიც კი აღმოჩნდება რაიმე ასეთი განსაკუთრებული და საყურადღებო, რომელიც კაცს გაიტაცებს. ბედიას გულისყური მეზაღვენახეობის წიგნებთან ერთად მიიქცია არაგვის ხეობის ძველი აღწერილობის გაცრეცილმა წიგნაქმა, რომელიც მას არსად ენახა. წიგნაკი ისე შეფერთხილი იყო, რომ ავტორის ვინაობაც არ შერჩენოდა, სამაგიეროდ, შინაარსით ძალზე საგულისხმო საბუთს წარმოადგენდა.

სამკითხველოს ერთადერთმა მესვეურმა, ასე ოცდასამი-ოცდაოთხი წლის სათნო და ყურადღებანიან ანიკომ, როდესაც შეამჩნია ბედიას ღატაკება, სხვა მონათესავე ლიტერატურაც შეურჩია.

ბედიამ კი ყველაფერი ეს ანახვა ბაიდურს, როდესაც ერთხელაც სოფელში დღდთოვლობას ესტუმრა.

ისინი საღამოხანს სამკითხველოში გახურებულ თუნუქის ღუმელს უსხდნენ და მათან ერთად იყო მხოლოდ ანიკო. ახალგაზრდა ქალი ღუმელში

ცეცხლს არ ლევდა, თან ბავშვური ცნობისმოყვარეობით უსმენდა მემწიგნობართა წყნარ საუბარს.

— საწყენია მხოლოდ, რომ ყველა ავტორს რატომღაც მარტო ჩვენი სოფელი გამოჩენია. — დაინანა ბედიამ და სარკმლიდან თოვლით გადათეთრებულ შიშებს განედა.

გარეთ კიდევ ხეავრიელად თოვდა. ბედიასა და ბაიდურს მუდამ ახარებდა ღრმა თოვლში გავლა და როცა სამკითხველო დაიკეტებოდა, ისინი სიმოვნებით ვააცილებდნენ სახლში თოვლივით სუეტაკ და მათზე ორივეზე მეტობრულად შეყვარებულ ანიკოს.

მანამდე კი, ბედიას სიტყვებზე ბაიდურს თვალები გაუბრწყინდა.

— მისმინე. — ქეთევანივით მიმართა მან ბედიას. არც გასაკვირი იყო, რომ ქმარს ცოლის რომელიმე კილოკავი ჰქონდა გადაღებული, ისევე როგორც ცოლი სარგებლობდა ქმრის რომელიმე ათავისებული გამოთქმით. — შენც ადექი და შენ შეავსე რაც იმ ძველ ავტორებს გამორჩენიათ. დაბეჭდვა კი ჩემზე იყოს.

— მართლაცდა! — ხელის გულემა ხატებრივ შეატყუმა გახარებულმა ანიკომ. — ბეღია მასწავლებელზე უკეთესად ახლა ჩვენი სოფლის წარსულსა და აწმყოსაც არავინ იცნობს. რომ დაკვივრებდეთ, ნამდვილი საშვილიშვილო საქმე გაცეთდება!

ანიკომ ისეთი მუდარით შეხედა ბაიდურს, რომ მას არ შეეძლო აზრი უფრო არ გაედრმავებინა. ბედიასაც უკვე შთაგონებული სახე ჰქონდა და ბაიდურმა გადაწყვეტილად ჩათვალა, რომ ზამთრის დარჩენილი დამეები იგი თავისი სოფლის ისტორიაზე აღგზნებული იმუშავებდა. ამიტომ, იქნებ მიზანშეწონილიც გამოვიდოდა თუ ბაიდური ისე ხშირად აღარ ესტუმრებოდა ხოლმე ბედიას, რომ მისთვის ძვირფასი დრო არ დაეკარგვინებინა. შემდეგ იგი

**გიორგი ბაღაშვილი**  
 ზვიზარავს მზავალი ზირი



ასეც იქცეოდა, ხოლო ვარაუდში რომ არ მოტყუვდა, მან კმაყოფილებით შეიტყო ბიჭებისაგან. ლევას, გურის და ტიტეს ეფიქრნათ, რომ მერე და მერე უფრო აღარ ექნებოდათ მოცლა და ერთხელაც აერბინათ ბედისათან. სოფლიდან კი ისინი ხალისიანი დაბრუნდნენ, რადგან დაენახათ ბედიას მეტი მხნეობა და სოფლის ისტორიის შექმნით გატაცება.

ბედიას შესახებ ბაადურის გეზულობა და მისი ზოგიერთი თანასოფელისგანაც, რომლებიც თბილისში ისე არ ჩავიდოდნენ, რომ მასთანაც არ შეეცლოთ.

ჩათქმულ სასკოლო საცდელ ბაღს ბედიამ საფუძველი ადრე გაზაფხულზე ჩაუყარა.

მცენარე, განსაკუთრებით ხეხილი და ვაზი ისეთი რამ არის, რასაც კაცის ყურადღება არასდროს ეჭარბება. მეტიც, ერთთავად თავს რომ ევლებს, მომვლელს საქმეს მიანიც არ უღევს. ამავე დროს აკისრებს სახალისო იძულებას ყოველდღე თვალს ადევნებდეს და შეზნაროდეს მის განვითარებას. სასკოლო ბაღი კი ვრცელი გამოვიდა, შევსებული მრავალი ჯიშის ხეხილისა და ვაზის ნერგით, რომელთაც თავთავის ჭირვეულობა ახასიათებთ. ასე რომ, სასკოლო ნაკვეთზე ნორჩი მებაღე მოწაფეებისა და თვით სკოლის დირექტორის სახელავი მუდამ იყო.

ცხარე და მოუსვენარი დღეები დაუდგათ გაზაფხულიდან ლევასა და მის მეგობრებსაც. ეს მათი უკანასკნელი სტუდენტური გაზაფხული იყო. მათ ღირსეულად უნდა გაეტანათ ზეთწლიანი სწავლების ლელო და დარჩენილ ორიოდ თვეში მოეწაწროთ თავიანთი ცხოვრებისეული ჩანაფიქრების მკაფიოდ გამოკვეთაც.

ამ იერიშობანას გამო ისინი ბინისა და თავმოვლის ყველა მოვალეობას ვეღარ იცავდნენ და მათი აყრილ-დაყრილი ოთახი ნაომარ ასპარეზს ჰკავდა,

ხოლო თვითველი მათგანი დროდადრო სადღაც რაღაც საქმიან შეხვედრებში ეშურებოდა.

ბაადური მათ ცეცხლოვან მოწადინებას და დაუშრეტელ ჯაფას შორიდან კმაყოფილი უყურებდა, თუმცა ცოტა გულის ტკივილს გრძნობდა, რომ ყოფილი შეგირდების საქმეებში მისი ჩარევა საჭირო აღარ იყო. მაგრამ ბაადური ამას უკვე შეჩვეული იყო. თავისთვის, ჩუმად ის უფრო მეტად იმას განიცდიდა, რომ ახლოვდებოდა დრო, როდესაც ცხოვრება მას და ამ ყოფილ მის შეგირდებს სულ გამოეჩნავდა.

როგორღაც ბაადურს ქუჩაში კვლავ წყვილად შეხედნენ ძველი მოკეთებები, მიტრო და სარდიონი და მათაც იგივე დაინანეს, რაც მას გულში ჰქონდა.

— უბანში სამი კაი ბიჭი გვაკლდება, ძმაო.

— ორი გაკლდებათ. — ნაღვლიანი ღიმილით დაუზუსტა ბაადურმა. — ლევა ნამდვილად სოფელში წავა. გური, როგორც ყური მოვკარი, ვადავა თავის პატარძალთან, რომელიც საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს, მაგრამ დღე-დღეზე სამსახურიდან პატარა ბინას მიიღებს. პატარძალი ვინმე კარგი გოგოა, ქროდათვალეა ნელიკო. ორივე წამსვლელი ძმაკაცი კი თავიანთ იმ ერთადერთ ოთახს უტოვებს ტიტეს, რომლის დედ-მამა და და-ძმა მის გარეშეც ვიწროდ არიან თავიანთ ბინაზე. მგონი, ეგეც მალე მოიყვანს ცოლს, იმ თავის ძველი ეზოდან. მე ოცდაათზე მეტის ვიყავი ცოლი რომ ძლივს მოვიყვანე. ესენი კი ამას ბევრად უფრო დროულად აგვარებენ.

სარდიონმა და მიტრომ ულვაშებში ჩაიღიმილეს და სხვადასხვა სიტყვაწყობით ერთიდაიგივე აზრი გამოთქვეს.

— გამოდის, რომ შენა და ჩვენც უკვე დაეპერებულევართ კიდევ.

— ჯერ არა. — გაეღიმა ბაადურსაც. — ისე კი, ეგაც არ დაავიანებს. სიბერეც ბუნების კანონია, ოღონდ, საქმე ქუჩაში გაზეთის გაყიდვაზე არ მიგვიდგეს.



— გასაზრდელები რიგიანად გავზარდოთ და სამაგისოდ არ გავვიხდინან საქმეს. ისე კი, გავითის გაყიდვაც პატიოსანი შრომაა. — ისევე საერთო აზრი ჩამოაყალიბებს ძველმა მეგობრებმა. — შენ უკვე გყავს გზარდილები. ლევა, გური, ტიტე. მერე ღვიძლი შვილებაც წამოგესწრებიან და არაფერს გავიჭიროებენ.

ბაადურს სარდიონისა და მიტროს მუშურად უბრალოდ ნათქვამი სიტყვებზე ნამდვილ სიბრძნესავით ჩაესმა და მათთან ის მოკლე საუბარიც დაახსომდა. ლევას, გურის და ტიტეს კი მან საუბრის მხოლოდ ის ნაწილი ვადასცა, რომელიც უბნიდან კაი ბიჭების მოახლოებული წასვლის გამო სარდიონისა და მიტროს დანანებას შეეხებოდა.

ტიტემ, გურიმ და ლევამ ამ დღეს ბაადურს ერთგვარი უწყინარი ოინი მოუწყვეს.

ბაადური ძირთადი საქმეების მოთავეების შემდეგ ისევე რჩებოდა ხოლმე რედაქციაში და თავისთვის წყნარად წყრდა ან კითხულობდა. თანაც, სამსახურიდან ბევრად ადვილი იყო ტელეფონით სოფელთან დაკავშირება, ვიდრე ბინიდან, და კაბინეტში ბავშვების ამბის გაგებაც აყოვნებდა. ხოლო ცოლშვილის კარგად ყოფნას რომ გაიგებდა, მშვიერსაც კი შეეძლო საათობით ახლა ქუჩებში ეხეტიალნა.

კოლმეურნეობის კანტორაში ტელეფონთან გამოძახებულმა ქეთევანმა ბაადურს ყურმილში სოსიკოსა და ნანულის წრიბინიც მოამენინა, შემდეგ კი ღიაგრავინა დათამაც, და ბაადური ქუჩაში მოსვენებული გავიდა.

პროსპექტზე მარტო მიმავალმა ბაადურმა მის უკან საეჭვო ჩურჩულსა და დაგუბულ სიცილს მიაპყრო ყურადღება და იგულა, რომ შეთქმულება მას შეეხებოდა. თუმცა, იქნებ სცდებოდა. ამიტომ უცებ შეტრიალებდა და უცხო ადამიანებზე შეჩერება მის მიმართ ცხვირის აპრებს გამოიწვევდა. ჩურჩული და ხითხითი კი თანდათან უაზლოვდებოდა. ბაადურმა ხერხი მოიფიქრა.

უკან ადევნებულთა შესათვალისწინებლად, რომლებიც მის შეყოვნებაზე უნებურად გაწინაურდებოდნენ, ის წიგნის მღაზიის განათებულ ვიტრინასთან შედგა. თვალის მამინვე იქთ გააცეცა, საითაც თვითონ უნდა ევლო, გვერდით კი იგივე ვიტრინის წინ ყასიდი ყურადღებით გამწკრივებულ ლევას, გურის და ტიტეს წააწყდა.

ბიჭებს ერთნაირი თხელი ღიაფერი კოსტიუმები ეცვათ, ქათქათა პერანგებზე კი შავი ჰალსტუხები ეყეთათ. სამივეს თმა ლამაზად ჰქონდა შესწორებული და ვადავარცხნილი, ლევას — გვერდზე, ბაადურივით, ტიტეს და გურის — კი — უკან და სწორედ, როგორც მათ მამებს.

ბიჭები მოხდენილად გამოიყურებოდნენ და საუცხოო გუნებაზე იყვნენ.

— აი, თურმე ვინ ყოფილხართ! — გაეხარდა ბაადურს მთი დანახვა. — სწორედ თქვენ მჭირდებოდით. ეს წუთია ტელეფონით სოფელს ველაპარაკეყველა კარგად ყოფილა. თქვენთან კი მოკითხვა დამაბარეს.

— ჩვენც ალბათ გული გვიგრანობდა, რომ მოკითხვა უნდა ვადმოგეცათ და იმიტომ გექმბდით. — მხიარულად მიუვო გურიმ.

— ჯერ სახლთან გიცადეთ. მაგრამ ტასიამ გვითხრა, სამსახურიდან გვიან ბრუნდებოთ და ჩვენც სამსახურისკენ გამოვწვიეთ. ხოლო მოვედით თუ არა რედაქციასთან, თქვენს კაბინეტში შექი ჩაქრა და კიდევ გამოხვედით. — მეგობრის პასუხი ცოტა გაშალა ტიტემ.

— ერთი სიტყვით, გექმბეთ და ვიპოვეთ! — მოკლედ თქვა ლევამ.

ბაადურმა შეატყო, ოღონდ ვადაკრულში იყვნენ ახალგაზრდები, მაგრამ თავის დროს ზომიერად დალევასაც აქვს აზრი, და არ შეიმჩნია, რომ შეამჩნია.

— მაშასადამე, შემთხვევით შეხვედრილები არა ვართ! რაკი ასეა, პატივი

**გიორგი ბელაშვილი**  
გვიზარავს მრავალი ხმინი



დამდეთ და ბარემ სახლშიც მესტუმრეთ...

— მაშ რას ვიზამთ! — გურიმ ხელეზის დარდიმანდულად გაშლა დააპირა, მაგრამ ილღიებში ბლომად შეკრულებზე ჰქონდა ამოჩრილი და ვერ მოახერხა. — ჩვენ თქვენს უკან იმიტომ ვიჭუმითობდით, რომ ფეხდაფეხ ფეხაყრეფით გვინდოდა შემოგყოლოდით სახლში.

ბაადურმა ახლა მიაქცია ყურადღება ლეგასა და ტიტეს ხელეზსაც. მათაც ბევრი ნავაჭრი ეჭირათ. ბიჭებს, სიხანდა, თავი მოეგებიანებინათ და კაიძალი ფული გადაეყარათ.

11

დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ სამივემ ყველა თავისი შეკრულა ბაადურის შუშაბანდში დაფატრა და სუფრაც მათვე გააწყვეს. შუშაბანდი იმიტომ ირჩიეს, რომ მისი ყველა ფანჯარა კრიჭამდე გამოაღეს და ზაფხულის საამური საღამოს მადლი სრულად იგრძნეს.

როგორც კი ოთხივე მაგიდას შემოუხსნდა, ახალგაზრდებმა ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს და პიჯაკების შიგნითა ჯიბეებიდან ერთდროულად ამოაფრინეს ლურჯყდიანი მძიმე წიგნაკები. შემდეგდა გაიძრეს პიჯაკები და სკამებზე გადაკიდეს. ცხადი იყო, საკმაოდ ცხელ დღეს პიჯაკებში იმიტომ დახუთულიყვნენ, რომ ამ მოზრდილი წიგნაკების შესანახი ადგილი სჭირდებოდათ.

ბაადურმა მოწიწებით გადაშალა თვითუელის დიპლომი და დიდხანს დაფიქრებული ათვალეიერებდა. ბოლოს კმაყოფილმა შეხედა დიპლომებს მფლობელებსაც, თუმცა. ცოტა სევდა მოერია.

— სწორედ დღეს, უბნიდან თქვენ მოახლოებულ წასვლაზე დაიჩივლეს მიტრომ და სარდიონმა. მე კი ისინი, ასე ვთქვათ, ვანუგეშე იმით, რომ ქალაქიდან მიმავალი მარტო ლეგაა. რომ გური მხოლოდ ბინას იცვლის, რომ ტიტე ბინასაც კი არ იცვლის.

— კარგი ადამიანები რომ დავინანებ-

ბენ, იმაზე სასიამოვნო რა არის სახლში დად თქვენ თუ მოგენატრებთ? — ზაკერა გურიმ.

— შენ მე რომ არ გადმომწვდე, ისე როგორ გასძლებ! — ძველი ჩვეულებით მას ცხვირში მსუბუქი წკიპურტი გაჰკურა ბაადურმა.

ლეგამ კი გურის პირზე ხელი ააფარა, რომ აღარაფერი ეთქვა. სამივეს სახელით ბაადურს ლეგამ მიმართა.

— რას დავგარიგებთ?

— მე, საერთოდ, როცა კი დამირიგებინართ, მერე ყოველთვის მინანია. რადგან, ასე მგონია, გულში ამბობთ: „ეს ბაადურ ამირიძე ძალიან ბევრს გვარიგებს, ოღონდ არც ასე გადაგება ვარგა სხვზე. ცოტაოდენ ჰკუთვითონაც დაიტოვოს“. მაგრამ რაკილა თქვენზე მეტი პერანგი გამიცვეთია, თქვენი ცხოვრების ამ დაუფიწყარ დღეს ერთ-ორ სიტყვას მაინც გეტყვით. აი, რა. მთელი გულით შეიყვარეთ საქმე, რომელსაც მოგანდობენ და გარემოც, რომელშიც მოხვდებით.

— ძია ბაადურ! — მაინც ვერ მოითმინა გურიმ. — მე და ტიტე განაწილებით თბილისში ვრჩებით. ლეგა კი წამსვლელია. მაშასადამე, მე და ტიტე ისევ ზშირად შეგხვდებით ხოლმე. ლეგა კი თქვენი თვალის არეში ისე ვეღარ იქნება. მაგრამ ლეგა თქვენთვის მაინც ლეგაა! იმიტომ თქვენ ახლა ისე იფიქრეთ, თითქოს წინ მარტო ლეგა გიზოთ. მით უფრო, რომ მასთან მუდამ მეტა სალაპარაკო გაქვთ. ჩვენ კი თქვენი სიტყვებიდან საჩვენოს ისედაც გამოვიტანთ.

თუ რა იფიქრა ბაადურმა გურის კარნახზე, არაფრით გამოუხატავს, მიმართვით კი, როგორც ის ურჩევდა, მარტო ლეგას და მიმართა.

— მასწავლებელს ფართო ასპარეზი აქვს და ბევრიც მოეთხოვება. მთელ სოფელს უნდა გამოადგე, როგორც ჩვენი ბედია. სოფელში, სადაც ის მოღვაწეობს, ბედია ჩასული კაცია. მიუხედავად ამისა, სოფელს უმისობა უკვე ვერ წარმოუდგენია, რაშიც თვითონ



ნაც დარწმუნებულხარ. შენ კი მშობ-  
ლიურ სოფელს უბრუნდები და მეტა  
პასუხისმგებლობა გეკისრება. ამავე  
დროს, თავდავიწყებით უნდა გიყვარ-  
დეს არჩეული საგანი. მაგალითისთვის  
დავისახელებ ჩემს ისტორიის მასწავ-  
ლებელს, ტკბილ და გულმხუტვალე  
კაცს, რომელმაც შენი თაობის მოწა-  
ფეობას მოხუცებულობით პენსიაზე გა-  
გასწროთ. იგი ისე თავმომწონედ გვი-  
თხრობდა ხოლმე, ვთქვამთ ვიორგი სა-  
აკაძეზე და ერეკლე მეორეზე, თითქოს  
თვითონ იყო მმუსრავი მახვილით მტერ-  
ში გადავარდნილი მხედარ-სარდალი.  
ასეთ თხრობაში მისი მოწაფეები სწო-  
რედ საგნის თავდავიწყებულ საყვარ-  
ულს ვხედავდით და გვეჭროდა, რომ  
გმირობისთვის თვითონაც შემართული  
იყო.

— ის მასწავლებელი?... — დაიწყო  
ლეგამ შეკითხვა, მაგრამ ფიქრმა გაიტა-  
ცა და ვერ დაამთავრა.

ნახსენები ისტორიის მასწავლებელი  
უნახავდაც კარგად იყო ცნობილი, ლე-  
გასთვის, გურისა და ტიტესთვისაც,  
რადგან ბრწყინვალე მასწავლებელი  
სკოლიდან წასვლის შემდეგაც ისე მო-  
იხსენება, როგორც მისი მკვიდრი ბურ-  
ჯი. არ იყო დავიწყებული სკოლაში ის  
დიდებული მასწავლებელიც.

ბაადურმა დანანებით ხელი ჩაიქნია.

— აღარ არის ის მასწავლებელი...  
მაგრამ მის ნამოწაფრებს იგი ღრმა სი-  
ყვარულით ახსოვთ. ვისაც სწამთ სიცო-  
ცხლე, მათ გარდასულ ღირსეულ ადა-  
მიანთა სახელი უნდა გაამარადისონ.

— როგორც პირადად თქვენ აცოც-  
ხლებთ სოსო მოლოდინის სახელს...

— ნაღვლიანად აღნიშნა ტიტემ.

— არ ვიცი, რამდენად შეეძელი სო-  
სოს სახელი თქვენთვისაც შემეყვარე-  
ბინა, მაგრამ თუ კი დაგახსომეთ, ამი-  
თაც კმაყოფილი ვარ. მინდა ისიც იცო-  
დეთ, რომ მე სოსოს იმიტომ კი არ ვა-  
კერძებ, აქაოდა ჩემი მეგობარი იყო.  
უბრალოდ, ის ყველას მოხიბლავდა  
თავისი შინაგანი სიბოთით, სისპეტა-

კით, სანდომიანობით. მას ასაკით, შე-  
ეფერებოდა შემოკლებული „სოსო“,  
თორემ „ისხები“ უფრო მოერგებოდა  
ისეთი ქუადამჯდარი, დარბაისელი და  
ტანადაც მოსული იყო ჯერ კიდევ ჭა-  
ბუკი. ასეთი აგებულების გამო სპორ-  
ტში ვერ ბრწყინავდა. სამაგიეროდ, თა-  
ნაბრად ძლიერი იყო ყველა საგანში.  
განსაკუთრებით ფლობდა მშობლიურ  
ქართულ, აგრეთვე რუსულ და ინგლი-  
სურ ენებს. ჩინებულად ერკვეოდა  
მათემატიკურ საგნებშიც, თუმცა ტექ-  
ნიკური მეცნიერებისკენ მიდრეკილება  
არ ჰქონდა. გაკეთილს ჰყვებოდა  
მშვიდად, აზრიანად და მისი დამაჯე-  
რებელი საუბარი მთელ კლასს იპყრო-  
ბდა. უძრავად, ქანდაკივით იდგა ასეთ  
დროს თავის ბოლო მერხთან და არც  
ნებისყოფიანი სახის ნაკეთები უკრთო-  
და. სახით პირქუში ჩანდა. მაგრამ მო-  
ულოდნელად რბილი, მიმზიდველი ვა-  
ლიმება იცოდა. წარმოიდგინეთ, იცო-  
და მგრძნობიარე ლექსების თქმაც.  
ლექსებს ჩუმ-ჩუმად თვითონაც თხზავ-  
და, დაწერილს კი მაშინვე სპობდა.  
ოღონდ ამბობდა იგი ლექსებს მხო-  
ლოდ ერთ-ორ მეგობართან, როცა მე-  
ორე ცვლის ბოლო გაკეთილის შემ-  
დეგ მათთან ერთად ქუჩებში მეოცნე-  
ბესავით დახეტიალობდა. სოსოს სია-  
რული უყვარდა. დადიოდა დინჯად,  
ტლანქად და სწორედ ასეთი ნაბიჯი  
შეეფერებოდა და უხდებოდა კიდევ  
მის მოუხეშავ სხეულს. უხდებოდა კი-  
დეც მის აგებულებას მძიმე, ცხვირ-  
აბურთული ფეხსაცმელი და სადა,  
ერთფერი შარვალ-ხალათი, რომელიც  
ტანზე მჭიდროდ ეკეროდა. მიუხედა-  
ვად ბრწყინვალე ნიჭისა, სოსო მოლო-  
დინი ყველა საგანში ყოველთვის ვერ  
ღებულობდა „ხუთს“ და წინააღმდეგ  
იმედისა, არც სკოლა დაუშთავრებია  
ფრიადოსნად, რადგან სწავლობდა ძალ-  
დაუტანებლად, ისე, თითქოს ცნობის-  
წადილს, საკუთარ ხალისს იოცებდა და

ვიორგი ველაშვილი  
გვიზარავს მრავალი მერი



არც მაღალი ნიშნის მოპოვებას ეპოტი-  
ნებოდა. მისი სამხედრო კომისარიატში  
გამოძახება და თბილისიდან გამგზავ-  
რება ზღვრულად მოკლე დროში მოხ-  
და. წავიდა ისე, რომ უკანასკნელად  
გული ველურ იფერა საყვარელ ქუჩებ-  
ში ხეტიალით და ვერც მეგობრებს და-  
ემშენიღობა. სოსო მოლოდინი მეზღვა-  
ურობაზე ოცნებობდა, მაგრამ არტილე-  
რისტი გახადეს. ერთგვარად გულჩათ-  
ხრობილი, მხნე და გაუტეხავი, იგი უკ-  
ვე მაშინ იყო ნამდვილი განსახიერება  
კინოსა და თეატრში წარმოდგენილი  
თუ წიგნში აღწერილი სულით ძლიერი  
კაპიტანისა, რომელსაც ირგვლივ ყოვე-  
ლივე ემორჩილება. სინამდვილეში სო-  
სოს, თუმცა მბრძანებლობა ჩვეულებ-  
ად არ ჰქონდა, მაგრამ უახლოეს მე-  
გობრებზე მასწავლებლის თანაბარი  
გავლენის მოხდენა შეეძლო. ანუ, მისი  
ყველას სჯეროდა. სოსომ პირველი საბ-  
რძოლო ნათლობა ომის დასაწყისშივე  
მიიღო. შემდეგ იყო მისი კანტი-კუნტა-  
წერილები, ხოლო ომის თითქმის მიწუ-  
რულს — მისი გამირულად დაღუპვის  
ცნობა. მე სიტყვა გამიგრძელდა. სოსო  
სრულად მაინც ვერ დაგიხატეთ. მით  
უმეტეს ვერ განვსაზღვრავდი მის მო-  
მავალს, იგი რომ საბედნიეროდ გადარ-  
ჩენილიყო. სოსო, თავისი მორიდებუ-  
ლების გამო, იქნებ არ გამხდარიყო  
აღიარებული პიროვნება. მაგრამ ნამდ-  
ვილად იქნებოდა სანიმუშო მაგალითი  
მომდევნო თაობის ახალგაზრდობისთ-  
ვის, რომელსაც მასთან გარემოება და-  
აკავშირებდა.

— ესე იგი, მაგალითი იქნებოდა  
ჩვენთვისაც. ჩემთვის, ლევასთვის, ტი-  
ტესთვის. — ბააღური ფიქრში წავიდა  
და სიჩუმე გუბრემ დაარღვია.

— თქვენთვისაც. — მოკლედ დაუ-  
დასტურა ბააღურმა.

— მაგრამ ხომ შეიძლება მოულოდ-  
ნელად მოგვევლინოს სოსო მოლოდი-  
ნა! ახლა ხომ ბევრი ასე დაკარგული  
ჩნდება! — უცებ იმედიანად წამოსჭრა  
გუბრემ.

ბააღური კი ერთი მძაფრად შეტოკ-

და, თუმცა ნაეარაუდევ სასწაულებრივ  
ენდო.

— სოსო დაკარგულებში არ ჩაუთუ-  
ლიათ....

— სამაგიეროდ, შეიძლება შეცდო-  
მით ჩათვალეს დაღუპულებში.

— ეეჰ!

ოთხივეს ერთხანს ენა შეებოტკა.  
ბააღურმა ივრძნო, რომ დიპლომატე-  
ბული ბიჭებისათვის ამ სამახსოვრო  
დღეს მოწყენილობა არ უნდა მოეხვიო,  
სიჩუმეც ისევე მან დაარღვია.

— მაგრამ მწუხარება მაინც უწყვე-  
ტი განცდა არ არის. დარღით შებოჭი-  
ლი კაცის ცხოვრებაშიც ჩადგება ხოლ-  
მე შუქი. ის დარღი არ იძირკვება,  
ოღონდ დროდადრო უკან იწევს ადა-  
მიანის პირად სამყაროში ახალი, არ-  
სებითი საზრუნავის შეღწევის შედე-  
გად. როგორც მაგალითად, ბედიას გო-  
ნება დაიპყრო თავისი სოფლის ისტო-  
რიამ, რომელსაც ის დაუღალავად  
სწერს.

— ისევე, როგორც პირადად თქვენს  
ცხოვრებაში ახალი საზრუნავი გახდა  
გიტო, როდესაც უცნაურად გაიცანით.  
— საქმეში ჩახედულება გამოიჩინა გუ-  
ბრემ.

ბააღურმა და ლევამ მეგობრებს გი-  
ტო მისი სიკვდილის შემდეგ გააცნეს,  
როცა ხალხისგან კრძალვით დამალუ-  
ლი საბრალო კაცის პირადად გაცნო-  
ბას აღარავინ მოსთხოვდა. სამაგიე-  
როდ, მისი აჩრდილი თვითულის წარ-  
მოდგენაში კეთილი, ძველი ნაცნობის  
სახით დამკვიდრდა. საუბარში გიტოს  
ასეც მოიხსენიებდნენ ხოლმე.

— ეს მთლად ზუსტი შედარება არ  
არის. — განსაჯა ბააღურმა. — მე და  
სხვებიც, ვისთვისაც სოსო მოლოდინი  
ძვირფასი იყო, უკვე შევეგუეთ მის და-  
ღუპვას. იმიტომ შევეგუეთ, რომ მაშინ  
საერთოდ ბევრი იღუპებოდა და მას  
შემდეგ ხანაც, ათზე მეტი წელიწადი  
გავიდა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ  
სოსო მის მეგობრებს ოდესმე ფიქრი-

დან ამოგვივა. ამიტომაც, მე უღრმესი მადლიერებით ვანვიმსჯევე გიტოსადმი, რომელსაც სოსოს ხსოვნა ისე წმინდად ჰქონდა შენახული. მე ერთი პირობა ვიფიქრე, საჭირო აღარ იყო გიტო რომ გამოემცნაურა თუ მას დიდი სიცოცხლე აღარ ეწერა, რასაც თვითონაც გრძნობდა. ამრიგად, ჩემს გვერდით ისე ჩაივლიდა ერთი ადამიანის სიცოცხლე, რომ მე ვერც გავიგებდი, იყო თუ არა იგი საერთოდ. ასე აცუდებოდა ერთ ზედმეტ დარდს. შემდეგ მე ჩემი ამ ფიქრისა შემრცხვა. ჩემი ამ ფიქრის წყარო მხოლოდ პირადი სიმშვიდის დარღვევა არ იყო, რაც გიტოს სიკვდილს მოჰყვა. ეს თვითონ იმ საშინლად დაჩაგრული ადამიანის დანაშაულები იყო, მაგრამ ასეთი ფიქრი მინც არ უნდა გაემეღო. მეტიც! ახლა იმისთვისაც ვარ გიტოს მადლობელი, რომ ჩემთან გამომცნაურება მოასწრო, თორემ ისე ჩავიღოდა საფლავში, რომ მისი მთელი გულისთქმა არავის ეცოდინებოდა. ახლა კი იციან თქვენც. ბედიაშაც, ქეთევანშაც. იციან ჩემმა მეზობლებმაც. კატომ და შოთამ, ციურიმ. სანდრო და გურანდა ბოგვერაძეებმა. ტასიამ. ამგვარად, თვითონ ფიქრადაც რომ არ მოუვიდოდა, ისე დატოვა მან კეთილი სახელი ბევრი ადამიანის გულში. მაშასადამე, როგორც სწრაფადაც არ უნდა გაიაროს ჩვენს წინ კეთილი ადამიანის ცხოვრებამ, თუ ღრმად დავეუკვირდებით, დავაწმუნდებით, რომ პირადად ჩვენს ცხოვრებაში ის ტყვილად არ შემოსულა.

— უკვე გიტოს სიკვდილმა კი თქვენს ცხოვრებაში მეორედ შემოიყვანა ვინმე იაყა მინდაძე, რომელსაც რამდენიმე წლის წინათ სიძველეთა უმეთვალყურეობისთვის ცხარე დღე აყარეთ, ახლა კი ძალზე გულიან ვაქცაცად აღიარებთ. — ეშმაკურად წააკერა ბაადურის აზრს შეჩიშენა გურიმ.

— შენ მაგითი რა გინდა თქვა? — შეუბღვირა მას ბაადურმა. — კაცის მხოლოდ ცუდი დავინახო და კარგზე თვალი დავხუჭო? თაყა მინდაძეზე კი

ძველი ამბავიც მე ვიამბეთ და ახალგაზრდა შენ ახლა ჩემსავე აღიარებას ბრალდებად მიბრუნებ?

გური ასეთ გაგულისებულ შეტევას არ მოელოდა და უცებ შეცბა. მაშინვე მოლბა თვითონ ბაადური იმავე შეგნებით, რომ ამ დღეს არც ერთი ნაშევირდალის წყენინება არ შეიძლებოდა.

— სხვათაშორის, ძალიან ჰკვიანად მსჯელობს თაყა მინდაძე მეგობრების მოვალეობაზე, როცა ისინი ერთად ვეღარ არიან. რის წინაშეც ვდგავართ ახლა მე და თქვენ.

— მე, ლევას და ტიტეს თქვენი ამავგი არასდროს დაგვაფიწყებდა. ეს თაყა მინდაძის გარეშეც ვიცი. — კვლავ გურიმ განაცხადა სამთა სახელით.

— თქვენ არასდროს დაივიწყით ის, რომ ჩემთვის მუდამ სანატრელი იქნებოდა. — სწრაფად მიუგო მას ბაადურმა, რომ თვითონ გურის და მასთან ერთად ტიტეს და ლევასაც გრძნობები მეტად არ მოეზღვაებინათ. — საერთოდ კი ამავგის დაუნახავობა ყველაზე დიდი უმადურობაა. ზოგზე იტყვიან ხოლმე, ცხოვრებაში გზა თვითონ გაიკაფაო. ასეთი განცხადება მთლად სწორი არ უნდა იყოს. ცხადია, დასახული მიზნის მიღწევას, უპირველესად, თვით პიროვნებამ: ნიჭი და უნარი განაპირობებს. მაგრამ, თუ არა ამ პიროვნების დამნახვა და შემფასებელი გულისხმიერია აღნაიანები, მისი დანახაზი ფრთებს ვერ შეისხამდა. არ გვეულისხმობ ნაცნობობითა და ნათესაობით პატივში აყვანას კაცისა, რომელიც ამას არ იმსახურებს.

არც სხვა დაუსაბუთებულ მფარველობას გვეულისხმობ. — ბაადურმა მცირე ხანს აყოვნა და უკანასკნელი დარიგება ახალგაზრდებს გადაკერით მისცა. — ახლა ჩვენთვის ცხოვრება და მუშაობა ადვილი გახდა. მოპოებულნი დრო ასეთია და იმოტომ. ეს არავისთვის დასამადლებელი არ არის. მაგრამ მოვალენი ვართ წმინდად გვახსოვდეს ადამიანები, რომელთა თავდადების ფასადაც

გიორგი ზნაუზიანი  
გვიწარავს მთავალი ზერი



გვერგო ეს სიკეთე. მათი ხსოვნის ნამდვილი პატივისცემა კი ის იქნება თუ მომდევნო თაობები თავის მოქალაქეობრივ მოვალეობებს კეთილსინდისიერად გასწევენ. და კიდევ, ცხოვრება იმაზე მეტად არ უნდა გავიადვილოთ, რა პირობებიც გვაქვს. გამიგეთ?

— სავსებით! — ბეჯითად თავი დაიქნის გურიმ და ტიტემ.

— მეც კარგად ვაგიგეთ. — მოგვიანებით უპასუხა ბაადურს ლეგამ. — იმათში, ვინც თაობათა კეთილდღეობას საცოცხლე შესწირა, რა თქმა უნდა, გულისხმობთ სოსო მოლოდინსაც. მე კი ვიცი, რომ სოსოზე თქვენ დაწერილია გავთ მეტად თბილი და მართალი მოგონება, რომელსაც რატომღაც არ აქვეყნებთ. მე თქვენ ადგილზე იმ ნარკვევს დაუყოვნებლივ დაგებქდავდი, რათა ასეთი ბრწყინვალე ახალგაზრდა ყველამ გაიცნოს. მით უმეტეს, რომ ახლა ძალზე ბევრი ამგვარი მასალები იბეჭდება ყველა გაზეთსა და ჟურნალში.

ლეგას შესხენებამ ბაადურს ძველი ფიქრები აუშალა და აადლევა. მართლაც, ხომ არ დადგა დრო, რომ დასაბეჭდად ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ მომზადებული და უჯრაში ჩაკეტილი ნარკვევისთვის ყადაღა აეხსნა? ბაადურს ეს ერთიღა შეეძლო გაეკეთებინა სოსოსთვის და რატომ მისი ბედი უნდა სწეოდა ნარკვევსაც! ამ განაფიქრმა, რაც გადაწყვეტილებას ეახლოებოდა, ბაადური კარგ გუნებაზე დააყენა.

— ახლა, აბა, რაც თქვენ დღესასწაულს მოუხდება...

— სიმღერა! — შესძახა გაბარებულმა გურიმ.

ბაადურმა გურის წასაქეზებლად თავი დაუქნია და სამღერლად განაწყობ ტიტე და ლეგაც.

დრო უკვე შუალამეს გადაცილებული იყო. ეზოში ოდნავ როკავდა თუთის ხე, თითქოს ფრთხილობდა, რომ კენწეროზე კოკორივით დამდგარი სავსე მწვარე ძირს არ გადმოგორებულიყო.

ეზოში შეიძლება ყველას უკვე ეძი-

ნა, მაგრამ ლაზათიანი სიმღერები არავის გაუფუჭებდა.

სიმღერა, უპირველესად, მხიარულების ამოძახილია, ზოგჯერ კი — სევდისაც. სიმღერა აღამიანის გულისტქმაა. სამი მეგობრის სიმღერა ლაღიც იყო და ნაღელიანიც. ისინი ჩუმად დარდობდნენ, რომ მალე განუყრელად ერთად ვეღარ იქნებოდნენ. მათ შორის დაბრკოლებად ცხრა მთა არ აღიმართებოდა დაშორებულობის აზრით, ისე კი მთანი ცხრაჯერ ცხრასაც აღამეტებდნენ.

თავიანთ პირველ სამუშაოზე გამოცხადებამდე გურის და ტიტეს შვებულების მაგვარი თავისუფალი თვე მიეცათ და ორივე სამოგზაუროდ და დასასვენებლად აიბარგა. გური და ტიტე ნაწყენი იყვნენ, რომ ამ მოგზაურობაზე ვერ დაიყოლიეს ლეგა. მათ უკანასკნელად მატარებლის გასვლის წინაც მოსინჯეს ლეგა, მაგრამ ისევე უარი მიიღეს და გაჯავრებულმა გურიმ მეგობარი ცოტა გაეწწლა.

— ჩვენ სამივე მოძრაი ბუნების აღამიანები ვართ. მე და ტიტე მოძრაობის ჟინს ამიერიდანაც მოვიკლავთ. მე, როგორც სპორტულ მწვრთნელს, ტიტეს კი, როგორც მშენებელს, მისდამი რწმუნებული უბნების გაფანტულობის გამო, ხელფები მუდამ მოქმედებაში გვექნება. აი, შენ კი, როგორც მასწავლებელი, გინდა თუ არ გინდა სკამზე უნდა მიეკერო და ვაითუ დაგვიკუტდე.

— არ დაგკუტდები. შენ ვაგიგია, რომ რომელიმე რაიონულ კომიტეტს, პარტიისა თუ კომკავშირისა, უარით გაესტუმრებინოს პიროვნება, რომელიც თვითონ ითხოვს საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმას?

— მაგას არც ერთი რაიონი არ იზამს! რაიონებში საზოგადოებრივ დატვირთვებს მაღალ მნიშვნელობას ანაქებენ.

— აი, ამიტომ არც მე მეტყვის უარს ჩემი რაიონული კომიტეტი, პარტიისა თუ კომკავშირისა. საზოგადოებრივი



დავლებს შესრულება კი მოძრაობის გარეშე არ გამოვა.

ტიტესა და გურის გამცილებლებში ბაადურიც იყო. როდესაც ბაადური და ლევა სადგურიდან ფიროსმანის ქუჩაზე გამოვიდნენ, ლევამ თვითონ ახსნა, რატომაც არ გაჰყვა მოგზაურობაში მეგობრებს.

— ისინი ისევ სულ თბილისში იქნებიან. მე კი სოფელში თბილისი მომენტატრება ხოლმე. ამიტომ ახლა უნდა ვიჭერო გული თბილისით.

— შენ სოფელი გენატრება და თბილისი კი არ გეთმოზა.

— მაინც უნდა გავძლო უთბილისოდ. ხომ სძლებს უთბილისოდ თბილისის ჩემზე უფრო ნამდვილი მკვიდრი, ბედია? ხომ წავიდა თბილისიდან მისი მეორე ნამდვილი მკვიდრი, დაუთი?

— წავიდა, მართალია. მაგრამ დაუთი, როგორც გეოლოგი, ბუნების მესაიდუმლეა და სოფელს ამიტომ ადვილად იგუებს. ბედია კი, პირველად სოფელშიც თბილისის ტრფობით არსებობდა. შემდეგ კი იქაურობას ორი ძვირფასი ადამიანის საფლავმა მიაჯაჭვა. შენ ახლა თბილისში, ალბათ, რაიმე ძველ საიდუმლოსთან დაკავშირებითაც დარჩი.

— ის, რასაც თქვენ გულისხმობთ, ძია ბაადურ, კაცმა რომ თქვას საიდუმლო არც არის.

— სამაგიეროდ, რამდენიმე წელიწადია ნამდვილ საიდუმლოსავით ინახავ.

— საიდუმლოსავით იმიტომ ვინახავდი, რომ რაც აზრად მომივიდა, თვითონაც არ ვიცოდი როგორ გადაწყვეტებოდა. ამ დღეებში კი უკვე სინამდვილის წინაშე დაგაყენებთ და მასწინ თქვენ განმსაჯეთ. ოღონდ, მანამდე ხათრი გამიწიეთ და თბილისი ერთად მოვიდეთ.

— ამას რა სჯობს! შენ თითქოს ჩემს გულში იჯექი!

ბაადური და ლევა მეორე დღიდანვე აეწყვნენ და ბარემ ორი კვირა საღამოობით დაუღალავად ისე სერავდნენ ქალაქს, ისე გულდასმით აკვირდებოდ-

ნენ ყოველივეს, რაც თვალს აჩვენებდა, თითქოს ამაზე სავანებო დავლება ჰქონდათ და ქალაქის საერთო მდგომარეობის შესახებ საქალაქო საბჭოში მოხსენებითი ბარათი უნდა წარედგინათ.

— არა მარტო ქალაქით გულის ჯერება მქონდა გუნებაში, როცა თბილისის ერთად დავლა გთხოვეთ. ვიცი, ვერც ტიტესა და გურის გამოვაპარე, რატომაც ჩამოვრჩი მათ. — გამოტყდა ერთ საღამოს ლევა. — უბრალოდ, მინდოდა, რომ მე და თქვენ ერთ ხანს ორნი დავრჩენილიყავით. ერთად გვევლო და გვევლო... სიარულში, მგონია, მეტი აზრი იბადება და თქვენც ახალ-ახალ განაწესს დამევალებდით, რაც ჩემთვის სასარგებლო იქნებოდა, ასე ვთქვათ სრულიად დამოუკიდებელი ცხოვრების ზღურბლზე. მართლაც, თქვენი თვითეული ახლანდელი სიტყვა განსაკუთრებით ღრმად დავიხსომე, თუმცა ძალიან ცოტა მეღამაარაკეთ. მეტი დამარიგა ბედია, როცა მე, გური და ტიტე მასთან სოფელში უკანასკნელად ვიყავით.

— ბედია სწორედაც მოქცეულა. ბედია მრავალმხრივ ჭკუის სწავლებას არ დაგვიწყებდა. ეჭვიც არ მეპარება, რომ მან მხოლოდ ისე დაგარიგა, როგორც უკვე გამოცდილმა მასწავლებელმა ახალბედა მასწავლებელი უნდა დაარიგოს. აი, მე კი, ამ წინებზე ცოტა არ იყოს ვრცლად გელაპარაკეთ, თუმცა ეს ალბათ იმიტომ, რომ ჩვენი გაშორების მოახლოება მაქოთქოთებდა. სამართლიანობა მოითხოვს ვაღიარო ისიც, რომ როდესაც უფროსი უმცროსს ჭკუას არიგებს, არ უნდა შეაგონებდეს ისეთ სიბრძნესავით, რომელიც ხელმისაწვდომი მხოლოდ მისთვის, მქადაგებლისთვის არის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბევრი ახალგაზრდა კაციც უკვე უფროსზე ნაკლებათვითცნობიერებული არ არის, მის ქადაგებას ასოკირკიტს უწყებს და უფ-

გიორგი ვაშაშვილი  
გვიფარავს მრავალი ვიღი

როსიც ფრთხილობს. ხოლო, თუ შენ-  
თვის და ტიტესა და გურისტვის შე  
დამრიგებლურად რამე მითქვამს, ეს  
მაინცდამაინც სხვისთვის ჭკუის სწავ-  
ლება არ არის. ეს ჯერ საკუთარი თა-  
ვისთვის შეგონებაა იმისა, რაც ყველა  
სხვასთან ერთად მეც მომეთხოვება.  
აი, შენ წელან ბედია ასხენე.

— ბედია მე რომ არ მეხსენებინა,  
ასხენებლით თქვენ. მე არ მახსოვს ჩვე-  
ნი ისეთი საუბარი, თქვენ ბედია რომ  
არ გეხსენებინოთ.

— არ დავკვირებვიარ. შეიძლება  
ასეა. ჰო. ბედიაზე გეუბნებოდი. ჩემი  
ყველა დებულების მიუხედავად, ჩვენი  
ამ ტანტალის დროს მე ალბათ ვერ  
მოვითმენდი და კიდევ რამეს დაგარი-  
გებდი, ბედიას სიტყვები რომ არ გამხ-  
სენებოდა: შენ ლევას დარდი ნუ ვაქვს,  
ლევა კარგი მოქალაქე დადგებაო.

— ბედია ეგრე არ იტყოდა. ბედია  
გეტყოდათ, რომ ლევა შენს ხელში კარ-  
გი მოქალაქე დადგებაო.

ბაადურმა ხელი ჩაიქნია და სიტყვა  
ბანზე აავდო.

— ვატყობ, ეს ჩვენი მრავალდღიანი  
ხეტიალის უკანასკნელი საღამოა. ისე  
არ ვაპყრა იღუმალისკენ, რომ არ გამა-  
გებინო. ყველაფერს რომ თავი დავა-  
ნებოთ, ქეთევანთან წერილს გავატან.

— უთქვენოდ როგორ წავალ!

იღუმალში გამგზავრებამდე ლევა  
სადღაც რამდენიმე დღე ჩაიყლაპა. ბა-  
ადურმა სხვადასხვა საერთო ლაპარაკი-  
დან უკვე რამდენიმე ხანია იცოდა, რომ  
როცა ლევა იკარგებოდა, კოჯორში იყო  
ხოლმე, და ხვდებოდა რადაც. მაგრამ  
უცდიდა საიდუმლოს მთელ არსში რო-  
დის გაარკვევდა თვითონ ლევა. ასევე,  
ბაადური ასკენიდა, რომ ლევა უკვე  
ტიტესა და გურის თანხლებით კოჯორ-  
ში იყო იმ ღამესაც, როდესაც ტრამვა-  
ის გაჩერებამდე ნელიკოს გაცილების  
შემდეგ ბაადურის წინადადებაზე ბიჭე-  
ბი შოენახულებინათ, ციურბი მას მრავ-  
ალწინშენელოვნად აცნობა არც ლევა  
და არც ტიტე და გური ახლა სახლში  
არ დაგვხვდებიანო.

ის რამდენიმე დღე ბაადური მთელი  
საღამოები სახლში იჯდა, რომ შინ და-  
ხვედროდა ლევას, ვინიცობა ის დასა-  
მშვიდობებლად მოულოდნელად შე-  
ურბენდა.

ზუსტად ერთი კვირა გავიდა მათი  
უკანასკნელი შეხვედრიდან, როცა ლე-  
მის დაახლოებით თერთმეტ საათზე წე-  
რაში ვართული ბაადური კარის კრი-  
ალმა შეაკრთო.

დაუჯაკუნებლად კარს მხოლოდ ოჯა-  
ხის ძალზე ახლობელი ადამიანი აღებს,  
ისიც როცა აღელვებულა.

შუშბანდის ღია კარში ლევა იდგა.  
ოღონდ, მარტო არა. თუმცა აღარც  
ჩვეულებრივ გური და ტიტე ედგნენ  
გვერდში. ვინც ახლდნენ კი, მხრებამ-  
დეც ვერ სწვდებოდნენ. ლევას ოდნავ  
წინ წამოეყენებინა ორი ტოლსწორი,  
მოკლედ შეკრეჭილთმიანი და ერთნაი-  
რად ჩაცმული ბედნიერი, თუმცა  
უხერხულად აწურული ბიჭუნა. მათზე  
უფრო ბედნიერი ლევა ბაადურს ლა-  
ლი ღიმილით შეაჩერდა. ასე სახეგაბრ-  
წყინებული ლევა ძველად სკოლიდან  
ხუთიანი დაბრუნებული გამოიყურე-  
ბოდა ხოლმე.

ტანში წასული მოხდენილი ლევა სა-  
ზეიმოდ იყო ჩაცმული, გრძივი ზოლ-  
ზოლი ნაქსოვი პერანგი კი ბოლომდე  
ჩაქსნილი ჰიჯაკის ქვეშ, უფრო მაღალს  
აჩენდა.

ბაადურმა გაკვირვებით და სიხარუ-  
ლით შეათვალიერა მზეზე მაგრად გა-  
რუჯული ბიჭებიც — ერთი ქრელთვა-  
ლება და ფუნჩულა, მეორე გრძელკი-  
სერა და შავთვალწარბა.

— ეს კარგი ბიჭები საიდან გაჩნდ-  
ნენ და ვინ არიან? — გულითადი ღიმი-  
ლით ჩაუტუტქდა მათ ბაადური.

პატარებს თბილი სიტყვა ეამათ და  
უცნობი ძიასადმი უმალ მადლიერებით  
განიმსკვალნენ.

— მე რამდენი წლისა ვარ, ძია ბა-  
ადურ? — ბიჭებს მხრებზე ხელები  
მოხვია და თვითონაც შეკითხვა დააყე-  
ნა ლევაძ.



ბაადური ისევ წელში გასწორდა და ლეგას ცერად შეხედა.

— ვითომც შემეშლება?

— არა, რა თქმა უნდა. მაგრამ — მაინც?

— მაინც — თითქმის ოცდასამისა, თუ ორიოდ კვირას წავიმატებთ.

— ანუ, ვარ ზუსტად იმდენისა, რამდენისაც იყავით თქვენ, როდესაც მე პატრონად მომეკვლინეთ. ესენი — ქრელთვალეა თემო და შავთვალწარბა კი ოტია, არიან ზუსტად იმდენისა, რამდენისაც მაშინ მე ვიყავი.

ახლა ლეგა ნაღვლიანად იღიმებოდა და სევდა მოერია ბაადურსაც.

ისინი მრავალმეტყველი ღუმილითა და შინაგანი ქოთქოთით ხანგრძლივ აკვირდებოდნენ ერთმანეთს. მათთან ერთად უცებ მოიწყინეს თემომ და ოტიამ. ისედაც მინდობილი ბიჭები უფრო საიმედოდ შეიყუჩნენ ლეგას მფარველი მკლავების ქვეშ. აშკარა იყო, ბიჭების პატარა გონება ახლა პირველად არ შეაშფოთა იღუმალებამ საკუთარი ბედისა, და ხვედრისა მათი უფროსი კეთილშეზოფელისაც, რომელთა შორის ისინი არსებით მსგავსებას გრძნობდნენ.

რინდიდან პირველი ლეგა გამოვიდა, გამოერკვა ბაადურიც. უმაღლესი მოგუწებებული თემო და ოტია მათ წიგნებითა და ჭადრაკით პატარა ოთახში გახიზნეს, თვითონ კი საუბარი ცალკე განაგრძეს.

ბაადურმა გაიგო, რომ თემო და ოტია სხვადასხვა დედ-მამის შვილები და მთლად ობლები იყვნენ. დედ-მამა მათ არც სცოდნიათ ვინ იყვნენ. ერთმანეთს ძმებივით შეთვისებული ბიჭუნები ლეგას ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ გაეცნო, როცა მისმა ისტორიის ფაკულტეტმა შეფობა აიღო კოჯრის ერთ-ერთ საბავშვო სახლზე, რომელშიც თემო და ოტიაც იზრდებოდნენ.

ერთხელ (ეს ქეთევანისა და ბაადურის ქორწილზე იყო) ლეგამ ხმამაღლა თქვა, რომ თავისივე ბედი აკისრებდა ცხოვრებაში მის მიმართ გაწეული სი-

კეთის განმმეორებელი გამხდარიყო. და აი, საბავშვო სახლთან დაკავშირებულიდანვე ჩასქედვოდა ფიქრი, რომ თუ რომელიმე აღსაზრდელი ძალზე შეეწვეოდა, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თავისთან წაეყვანა: შესჩვეოდა კი ორი თბოლი, რომელთა დამორება ორივეს მიმართ ცოდვის ჩაღენა იქნებოდა.

ახე იმეორებდა ლეგა ცხოვრებაში მთავარ სიკეთეს, რომელიც საკუთარ თავზე განიცადა.

— ეს მე, მართალია, აღრევე ჩავეფიქრე, მაგრამ ეგვიკობდი, რომ გამოვდგებოდი ასეთი სახის აღმზრდელად. — განმარტა ლეგამ. — ფიქრიც თქვენმა პიროვნებამ ჩამავონა, ძია ბაადურ, და ეგვიც ასევე თქვენმა პიროვნებამ შემაპარა. თქვენი მაგალითის მიხედვით იგივე კეთილშობილური პასუხისმგებლობის თავზე აღება მეც მევალებოდა. ოღონდ იმედი არ მქონდა, რომ თქვენსავით მეურვეობას შევძლებდი. ამიტომ ვერ ვბედავდი ჩემი მერყევი ჩანაფიქრის თქვენთვის აღრევე გამხელას. მაგრამ, აი, დაირწმუნდი, რომ ობლების დათმობა აღარ შემეძლო. დაერწმუნდი და თავის იმედიც მომეცა. ამიტომაც, ეს დღეები, რაც აღარ გამოვჩნდი, საბავშვო სახლიდან ჩემზე მათი გადმოცემის საბუთებს ვავაგრებდი.

ბაადურმა ყოველივე, რაც ახლა პირველად მოისმინა, თითქოს იცოდა დიდი ხნის წინათ და ლეგას გადაწყვეტილებაზე აზრის გამოთქმა ზედმეტად მიიჩნია. ლეგასთვის ისედაც ცხადი იყო რა შეხედულება ექნებოდა ამაზე ბაადურს. ამიტომ ლეგა კი არ მოეთათბირა ბაადურს, უბრალოდ მხოლოდ საქმის ვითარებაში აყენებდა სრული დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყისიდანვე კიდევ სხვა დიდ პასუხისმგებლობას რომ იღებდა თავზე. რასაც გული უკარნახებდა, რასაც თავისი ბავშვობის მაგალითი ავალებდა.

**გიორგი ველაშვილი**  
გვიფარავს მრავალი ზირი

ლეგამ პატარა ობლები ისევ გვერდში ამოიყენა და ბაადურს კრძაღვით გაუღიმა.

— უკვე ხვალ დილით მივემგზავრებით, ძია ბაადურ. საბავშვო სახლის სატვირთო ავტომანქანა დილაღრიან მოგვადგება სახლში. ამიტომ თქვენ ახლავე გემშიდობებით. ისე კი, გამახარებდა თუ როგორც სოფლიდან წამომიყვანეთ, ისევე თვითონ ჩააბარებდით სოფელს ჩემს თავს. ორივე ერთად კი მიგვერდით სოფელს თემოს და ოტიას. მაგრამ შეწუხებას ვერ ვიბედავთ.

15

უცნაური არაფერი იყო ლეგას სურვილში, რომლის გამო თვითონვე მოიბოდიშა. მაგრამ გამოთქმული იყო სურვილი უფხოდ და სიტყვები ჰაერში დაჩაჩა.

ისე კი, ბაადურმა თავისთვის წარმოიდგინა, რაც დატრიალდებოდა იდუმალში თუ ისინი მართლაც ერთად ჩავიდოდნენ.

ჯერ რკინიგზის სადგურიდან სოფელში ფეხით შესულთა დანახვისთანავე უჩვეულოდ გამოცოცხლდებოდა მთავარი ორღობე. სადამო ხანს კი აუარება ხალხი შეიკრიბებოდა ნაცნობი მხცოვანი კაკლის ქვეშ, საიდანაც თითქმის ცამეტი წლის წინათ სოფელში მეჩხერად დარჩენილმა, ღრმად სევდიანმა, უსახსრო ადამიანებმა ერთი ანაზღად დაობლებული მეზობლიანთ პატარა ბიჭი ვანმე ახალგაზრდა ქალაქელ გარეშე მოკეთეს აღსაზრდელად დარცხვენით გაატანეს.

კაკლის ქვეშ, ლეგასა და ბაადურის შუაში ყველაზე თვალსაჩინოდ იჯდებოდა დათა, მღუმარე და დაფიქრებული, ჯანით უბერებელი, მაგრამ სახით თითქმის მოხუცი, ისევე დადაღული, როგორც მთელი შეკრებულების შემფარველი მკერდგამოფატრული ადგილის მეფე-პატონი კაკლის ხე.

სახელდახელო მცირე სუფრებიდან, რომლებიც პირდაპირ მოლზე გაიშლებოდა წყაროს პირას, კოკბად ჩამვდარ

ადამიანებსაც სწორედ დათასკენ ვერბობდათ თვალი და ყური და დათაც ბოლოს გასტეხდა დუმილს.

— ქვეყნად სიკეთეს გაუმარჯოს, ხალხო! — დაიბუბუნებდა დათა და მის სალოცავივით წმინდა სადღეგრძელოს ყველა გრძნობით გაიზიარებდა.

სადღეგრძელოში კი იგულისხმებოდა მათი პატივსაცემი სტუმრის ამაგი, გაწეული სოფლის ერთ-ერთ შვილზე.

შემდეგ წავიდოდა მღორე, გულისმიერი ნადიმი, დაგუბებული სიმღერებითა და ზომიერი ქილიკით. ხალხი გვიანლა აიშლებოდა და ორღობეებში ბანცალოთ და ღიღინით დანაწილდებოდა.

ბებერი კაკლის სამფარველოში კი დარჩებოდნენ მარტოლა ბაადური და ყველაზე ახლობლები — ქეთევანი, დათა, ვარინკა, ლექსია, ნუცა, ლეგა თავისი თემოთი და ოტიათი, ოღონდ სხვა წვრილფეხობის გარეშე.

ბაადური ძილსაც იქვე, ღია ცის ქვეშ მოისურვილებდა, რათა სამახსოვრო სადამო გამორჩეული მადლითაც ჩარჩენოდა, რომ კაკლის დაბურული ვარჯი ყოფილიყო მისი საიმდამო ჭერი.

ადამიანს მრავალი ჭერი იფარავს. სასახლის, დარბაზის, კოშკის, ოდის, კარვის, ქოხის, ძელურის, ხუხულისაც. თავისებური ჭერია ალაჩოყიც კი. ჭერად დაიგულება ჩვეულებრივი ხის ვარჯიც, თუ მის ქვეშ მოსვენება განგებას არ აუტკძალავს.

უკვე არ იყო დარჩენილი მთელ საქართველოში ქალაქი და რაიონული ცენტრი, სადაც ბაადურს ფეხი არ დაეღვა. რაიონებში კი დავლილი ჰქონდა შემავალი სოფლების უმეტესობაც. ბევრგან, რა თქმა უნდა, უღამდებოდა და ძილი მრავალ ჭერქვეშ ეგემნა.

ბაადურს ერთხელ ღია ესტრადის ნიჟარის ხახშიც ეძინა, როცა ზღვისპირა პატარა დაბაში მივილინებით იმყოფებოდა. ისე მოხდა, რომ გამგზავრების წინა დღეს მატარებლის ზილეთის სამყოფი ფულოლა აღმოაჩნდა. მამასადამე, მეტი ქირის გადასახდელის უქონლობის გამო სასტუმროდან უნდა ამო-

წერილიყო და დილაში — მატარებელი თბილისის მიმართულებით მხოლოდ მეორე დილის რვა საათზე იქნებოდა — ხელჩანთით ხელში დაბის შუკებში ეხტიალნა. არც თუ ძალიან გვიან დამე იყო. მაგრამ დაბა მაინც დაბაა და მას უკვე ეძინა. ბაადურის დინჯად გაუყვა შუკებს და მართლაც ასე დაითენებდა, მაგრამ ცხოვრებაში ხდება სრულიად მოულოდნელი ბედნიერი შემთხვევები. არა აუცილებლად ადამიანის ბედის გადამწყვეტი, ოღონდ თავისებურად ლამაზი და მეტად დროული შემთხვევებო. ბაადურს ბარემ მთელი საათი ხეტიალის შემდეგ ზედ ზღვის სანაპიროზე აქორჩბული საზოგადოებრივი ბაღის განათებულ ალაყაფთან ერთადერთი თავისთვის მოლიდინე ადამიანი შემოხვდა და ისიც ძველი, კარგი ნაცნობი ვამოღა, მხიარული და გულგაშლილი, კონტაობის მოყვარული ძმაბიქი. უსაზღვროდ გახარებულბმა მათ თავიანთი უცნაური შეხვედრა სასწაულებრივ მოვლენათა რიცხვს განაკუთვნეს. გამოირკვა, რომ ძმაბიქი ზაფხულის მანძილზე თბილისიდან დაბაში ადგილობრივი ღია ესტრადის მხატვრულ ხელმძღვანელად იყო გამომწესებული და ცხოვრობდა უბინაოდ. ღამეს კი ათევდა თავისი ესტრადის ნიჟარის ხახაში, რომელიც სტუმართმოყვარულად უზიარა ბაადურსაც. იმ ხანად ბაადურს უკვე მრავალი ჭერის სითბო და სიკეთე ახსოვდა, მაგრამ მთვარიან ღამეს ზღვისპირა ბაღის ღია ესტრადაზე ნებიერი ძილიც თავისებურ ტყბილ მოგონებად დარჩა მეხსიერებაში.

და მაინც, ბაადური გულნაკლული იყო, რომ სხვანი და სხვანი სამსახურის ხასიათის გამო, მასზე მეტს მოგზაურობდნენ, ამდენად კი ხელავდნენ უფრო ბევრსაც. ბაადურს თუ ვინმესი რამე შურდა, მხოლოდ ეს. მას თავისი ჭერი ხომ ყველაზე მეტად უყვარდა, მაგრამ საამოვნებით ისწრაფოდა სხვათა ჭერქვეშ უოფნისკენაც, რადგან ეს ახალი შთაბეჭდილებებით ამდიდრებდა. შთა-

ბეჭდილებათა სიუხვე კი ადამიანთა ვისებური საზოროა.

ბაადურის ახირებად რჩებოდა თავის გუნებაზე მიგდება ერთი შეხედვით საჩოთირო თავშესაფრებშიც. ასეთი თავშესაფარი შეიძლება ყოფილიყო საბჭელი, შეიძლება — ქოხმახი. თუ ამინდობდა, ყველაფერს ხის ძირი სჯობდა ტოტებს შორის მოციმციმე ვარსკვლავებით, მცენარეთა სურნელითა და ფრინველთა ჟღერტულით.

იღუმალშიც ბაადური სწორედ ასეთ გარემოს შეიქმნიდა. ალექსი და ვარინკა, ცხადია, ითაკილებდნენ სიძის გარეთ დარჩენას, მაგრამ მათ ქეთევანი დაარწმუნებდა, რომ ბაადურს მოთელილ მოლზე ნაბადწახურული წამოწოლა ფაფუკ დოშაკებში განცხრომას ერჩინა.

ზამთარსა და გაზაფხულზე ბაადური რამდენჯერმე იყო იღუმალში ცოლ-შვილთან და მისი იქ გამოჩენა იშვიათ მოვლენას აღარ წარმოადგენდა. მაგრამ ბაადურის იქ ამჯერად ლეგასთან ერთად ჩასვლა, როცა მისი გარკვეული მონაწილეობით აღზრდილი და განსწავლული უმცროსი მორბედაც ისევ სოფელში მკვიდრდებოდა, ხალხს იქნებდა ბაადურის დამსახურებაზე აალაპარაკებდა, რაც მას უხერხულობაში ჩააყენებდა.

თორემ აი, ერთხელაც დახედავდა ცოლ-შვილი, სოფლის გულთბილ და საყვარელ ადამიანებს, თვალს გაიხარებდა ნაცნობი მაღალი ლურჯი მთებისა და დაბურული ჭალების ხილვით, რომლებსაც ოდესღაც ლეგას უხატავდა ხოლმე.

ლეგა შეიძლება იმიტომაც არ აუხიროდა ბაადურს სოფელში გაყოლაზე, რომ მიუხვდა, რასაც ერიდებოდა იგი.

16

გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა სოფელში დასამკვიდრებლად გეზაღებული ლეგა დაემშვიდობებოდა თუ არა თავის ძველ ეზოს. ეს უკვე გამგზავრე-

პიორკი გელაჯილი  
გვიფარავს მრავალი ზერი

ბა იყო და არა თბილისისავე ფარგლებში ერთი სახლიდან მეორეში გადასვლა. ამიტომ ლევას არ ეპატიებოდა თუ ისე გაიხურავდა ეზოს კარს, რომ არ გამოთხოვებოდა მოამაგე და მოყვარულ მეზობლებს.

ლევა შეგნებულად მოიქცა. ბაადურისგან თავის ბიჭებით გასული ლევა ჯერ ტაიასთან შევიდა, შემდეგ ბოგვერაძეებთან, ბოლოს პაპიძეებთან. ბიჭები კი მას ამ დროს შუა ეზოში ეყენა. პაპიძეებისგან ლევას გამოსვლა და ყველა მეზობლის გარეთ გამოშლა ერთი იყო. მხოლოდ ბაადური არ გამოჩენილა. ბაადური ამ სურათს ფარდის გაწეული კუთხიდან აკვირდებოდა. ცრემლმორეულმა მეზობლებმა ლევას მხურვალედ გზა დაულოცეს, როგორც უცნაურად აცმუტებული და ცოტადენ დაბნეული ციური კი, რომელსაც ხელში პატარა ბოხჩა ეჭირა, მას ქუჩაშიც გაჰყვა. თემო და ოტია ჯათ წინ მიცანცალებდნენ.

ბაადური ახლა ქუჩის ფანჯარასთან მივიდა.

ოციოდე ნაბიჯზე ოთხივე გვერდითა მალალ სახლთან შეჩერდა. მცირე მოთათბირების შემდეგ ლევა სადარბაზოში შევიდა, ციური და პატარები კი მას ქუჩაში დაელოდნენ. ლევაც ისევე მალე გამოჩნდა. ბაადური მიხვდა, რომ გვერდითა სახლში ლევამ გურისა და ტიტებს მშობლებთან დასამშვიდობებლად შეირბინა.

შემდეგ ისინი თვალს მიეფარნენ.

ციური ლევას ალბათ კუთხემდე გააცილებდა, სახლისკენ გამობრუნებული კი ფანჯარაში ბაადურს დაინახავდა, ცხადია, დაიმორცხვებდა. ამიტომაც ბაადური ფანჯარას მოსცილდა.

ბაადურისა და ლევას გაურკვეველი დროით განშორების წუთი თავისთავად მოითხოვდა, რომ ბაადურს მთელი გულის სითბო ჰოემქვლავნებინა. მათ კი მხოლოდ ხელს ჩამოართვეს და დამშვიდობებაც სულ ეს იყო. ბაადურმა ლევა ქიშკრამდეც არ გააცილა. არადა, ლევას ეტყობოდა, რომ სწორედ ეს ეწადა.

სახლში მას ალბათ ბავშვებისა და გოგონებისა, ეზოში კი ის თემოსა და ოტისა, მათთან ერთად ციურისაც გააწინაურებდა და ბაადურს უცებ მადლიერად გადაეხვეოდა. მაგრამ ბაადურიც სწორედ ამიტომ გაჯიუტდა და არ გაჰყვა გასაცილებლად, რომ მასაც გული არ ასჩუყებოდა.

აგერ ახლა კი ბაადურმა იგრძნო, რომ გულმოუჭვრებელი იყო და ლევასაც გული ატყინა.

საყუთარ თავზე გულმოხულ ბაადურს დამე უგემურად ეძინა, ხოლო როგორც კი ის დრო ივარაუდა, როცა ლევას სახლის წინ დაბარებული ავტომანქანა უნდა ჩამომდგარიყო, ბაადური უკვე ფეხზე იყო და ჩაცმულიც.

ბაადური უკვე მარჯანიშვილისა და საბჭოს ქუჩების გადაკვეთაზე გაჩნდა, როდესაც ეზოდან ლევა და მისი თანმხლებნი გამოვიდნენ.

თანმხლებნი ორის მაგიერ სამი იყვნენ.

ქუჩაში ჯერ ისევე ბნელოდა. მიუხედავად ამისა, ბაადურმა შორიდანვე აღვილად დააჭმეშარიტა, ვისაც ეკუთვნოდა სამი ჩრდილი, ხოლო ვინ იყო კიდევ ერთი ადამიანი, ეს მისთვის გამოცანას წარმოადგენდა. გამოცანა მალე გაიხსნა, როდესაც ბაადური მათ მიუახლოვდა. მაგრამ იგი ახლა გაოცებისგან შეცბა. მეოთხე ადამიანი აღმოჩნდა ციური პაპიძე, ისევე სამგზავროდ ჩაცმული და დაბარგებული, როგორც ყველა დანარჩენი. მაშასადამე, ციური წუხელ სახლში აღარ დაბრუნებულიყო და ბაადური ფანჯარასთან ტყუილად ფრთხილობდა.

ციურმა ბაადურის წინ თავი მორცხვად დახარა. თავი დახარა ლევამაც. თუმცა ორივეს სახე უნათოდათ. ბაადური ყველაფერს მიხვდა. მაგრამ მოულოდნელობამ ისევე გაახევა, რომ ბედნიერ ქალ-ვაჟის დალოცვა ვერ მოახერხა.

მანქანა კი არ ჩანდა. ბაადურმაც შებოკილობის მოსალაღებლად ყურადღება ამ გარემოებაზე გადაიტანა.

— ფეხით მივდივართ. — თავი ასწია და ბაადურს ღიმილით შეხედა ლეგამ.

— რაო?

— ასე ვიგუანებ მე და თანამგზავრებმაც ხალისით ამიბეს მხარი. მინდა ჩემი ბავშვობა ცხადლივ აღვიდგინო. ხოლო ციურბი, მასთან ერთად თემომ და ოტიამ ისევე ხელშესახებალ შეიცნონ ის გზა, რომელიც მე თქვენთან ერთად ცაქეტა წლის წინ გამოვიარე. გზაზე მე მათ არ დავდლი და არც არაფერს ავატყებ. მანქანა თვითონაც არ ვიცო, რატომ მოვიგონე.

ბაადურმა ივრძნო, რომ ზურგიდან უხმაუროდ ვიდაცეები მიუახლოვდნენ.

— ჩვენც ვაციებლბ ლეგას და მის ამქარს. — თქვეს სარდიონმა და მიტრომ.

— ჩვენც ვეუბენით, თუ მატარებლით გაყვავი გეზარებათ, ერთ თქვენ საკადრის ავტოს მოგიფრენთო. ამათ მაინც თავისი არ დაიშალეს. ფეხით გვინდაო. რას იზამ! ახალგაზრდებს უცნაური აზრები აქვთ. კაცმა რომ თქვას, იქნებ უხდება კიდეც ახალი ცხოვრების დაწყებას თავისებური დასაბამი.

სარდიონმა და მიტრომ ყველას თავი დაუტრეს, ლეგას კი მხარზე ძმურად ხელი დაარტყეს და ღინჯი ნაბიჯით გასწიეს ნაძალადევისკენ, საიდანაც უკვე მოისმა ქარხნის საყვირის მძლავრი გუგუნი.

17

ბაადურმა მგზავრები კახეთის გზატკეცილის ყუნწამდე გააცილა და იქ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო წინა ღამით. ბაადური და ლეგა უსიტყვოდ გადაეხვივნენ და თვალგარიდებით გაცალნენ ერთმანეთს.

ბაადურმა მგზავრებს თვალი მანამდე გააყოლა, სანამ ისინი მოსახვევს არ მოეფარნენ. თვითონ კი იქიდანვე რედაქციისკენ გაემართა, რადგან უკვე სამსახურში წასვლის დრო იყო.

სამსახურიდან კი ჩვეულებრივ შეგვიანებული დაბრუნდა და პირველი რასაც ეზოში წააწყდა, კატო და შოთა პაპიძე-

ების უზომოდ დაღვრემილი სახეები იყო.

ერთი ხანობა საერთოდ როგორღაც უცნაურად უყურებდნენ ბაადურს კატო და შოთა. თითქოს რაღაცას საყვედურობდნენ თუ თავს აცოდებდნენ. ახლა კი ბაადურისთვის უკვე ნათელი იყო, რაც აწუხებდა ამ ჩუმ და უაღრესად თავაზიან ცოლ-ქმარს. სჩანდა, ისინი აღრევე გრძობდნენ, რომ ერთადერთი ნაშვილები ასული დღედღეზე გაუფრინდებოდათ და უსიტყვოდ ამას შესჩიოდნენ, უპირველესად, ბაადურს, რადგან სწორედ მან აღზარდა და დაავაჯაცა ის, ვინც მათ ციურის ეპატრონებოდა. და აი, ლეგა უკვე დაეპატრონა ციურის, უკვე ხნოვანი მისი მშობლები კი დარჩნენ უმწეონი და უიქედონი. შოთა და კატო ერთ ღამეში მეტად მოტეხილიყვნენ, თუმცა თვალის კუთხეებში უსასო სიხარულის ნათელიც უკრთოდათ.

ისინი თუთის ტოტზე ჩამოკონწიალებული მბკუტავი ნათურის ქვეშ ბელურებივით მიყუყულიყვნენ. ბაადურის დანახვაზე კი თავაზიანად წამოდგნენ და თავჩახრილი გაჩერდნენ. ისინი, ეტყობა, წუხანდელს აქეთ ისევ იმ ბურანში იყვნენ, რომელიც ციურის გათხოვებამ მოახვია და ახლა პირველ თბილ სიტყვას თითქოსდა ბაადურისგან მოელოდნენ.

ბაადურმაც ორივეს გული მოუგო.

— მე ლეგას ციურიზე უკეთეს მეგობარს ვერც ვუნატრებლი. იმიტომაც არ ვტირბი.

— ჩვენ კიდეც ლეგაზე უკეთეს მეგობარს ვერ ვუნატრებლით ციურის. — ცრემლნარევი ხმით ჩაილულულდა კატომ. — ჩვენ იმიტომ ვართ ასე დათუთქულები, რომ თითქოს დავობლით. ორი შვილი მინც უნდა აგვეყვანა, როცა ვიყვანდით. ახლა კი გვიან არის.

— უბედურებაც მაგაშია, რომ გვიან არის. პატარის წამოიჩიტებას ველარც

**გიორგი ველაშვილი**  
გვიფარავს მრავალი ჰერი

მოვესწრებით. — ნაღვლიანად დაიჩივ-  
ლა შოთამაც.

ბაადურმა ორივეს ხელი მოხვია და  
ისეც მავრიდასთან დასვა, თვითონ კი შუ-  
აში ჩაუჯდა.

— მე თქვენ აი რას გირჩევთ. რაკი  
არც ისეა საქმე, როგორც თავს იბე-  
რებთ, აღეჭით და როცა კი მეტისმე-  
ტად მოგენატროთ ციურნი, თვითონ გაპ-  
კარით ხოლმე იმ დალოცვილი იღუმე-  
ლისკენ. ვაცილება და დახვედრა ჩემზე  
იყოს. დროდადრო, როცა ქეთევანი და  
ბავშვები ჩამომივლენ, ჩემ პატარებზე  
გაერთეთ ხოლმე და დარდს გულს აღარ  
შეაქმევიანებთ. აბა, სხვა რა მოვიგო-  
ნოთ! ეზოში გინცა ვართ, ყველას ან  
ჭირი გვექნება, ან ვაჭირგება და ერთმან-  
ნეთი ყველაფერში ჩვენვე უნდა გავი-  
ტანოთ.

— ჩვენც თითქმის ეგვე უნდა გვეთ-  
ხოვა. — სახეზე იმედი და მადლიერება  
აღებუქდათ პაპიძეებს, სიტყვით კი ეს  
კატომ გამოხატა. — ნუ დაგვიშლით შე-  
ნა და ქეთევანი, რომ თქვენ პატარებს  
ხანდახან ჩასაცემელი ან სათამაშო ვუსა-  
ჩუქროთ. ასე, ჩვენი მოხუცი გულები  
გავითბოთ ხოლმე.

— თქვენ თავს თუ არაფერს დაკ-  
ლებთ, არ დაგვიშლით. — თანაგრძნო-  
ბით დაპირდა ბაადური.

— რაც შეეხება იღუმალში ჩასვლას,  
— თავისი აზრი გამოთქვა შოთამ. —  
დროდადრო მართლაც ჩავალთ ხოლმე.  
დიდხინით ვერა. ვაი თუ, თავი მოვა-  
ბეზროთ.

— აბა, ეგ რა სათქმელია! — ცოტა  
გაწყრა ბაადური. — გულში გჯერათ,  
რომ ღღუმალში არა თუ ციურნი, ლე-  
გაც, დათაც, ნუცაც ყოველთვის თავს  
შემოგვევლებიან, მაგრამ მანაც ეჭვებს  
აპყლილობათ.

კატომ და შოთამ დატუქსვა სიამოვ-  
ნებით მოისმინეს, რადგან მართლაც  
არაფერზე დამყარებულ ეჭვებს უფან-  
ტავდა. ცოტა გულგამთბარმა კატომ და  
შოთამ ბაადურს ლოყებზე თითო  
ფრთხილი კოცნა გააკარეს, და რომ ხე-  
ლახლა ცრემლი არ მოსვლოდათ, სწრა-

ვად წამოდგნენ და სახლისკენ განსუს-  
ხუსდნენ.

თავის კიბისკენ გაემართა ბაადურიც,  
მაგრამ სანდრო ბოგვერადის დაძახებამ  
შეაჩერა, ბაადურმა ახლალა შეამჩნია,  
რომ სანდრო თავის შუშაბანდში შილა-  
ვად ჩაიკმული იჯდა და დიდი გულმოღ-  
ვინებით ჩიბუხს ეწეოდა. ჩიბუხი სან-  
დროს გატაცება იყო და მოხუცი კაცი  
მას ძილის წინ დიდხანს აქმითინებდა  
ხოლმე.

— სალამო მშვიდობისა, სანდრო პა-  
პა!

— აი, შენ იცოცხლე, ჩემო ბაადურ!  
არ დამზარდე და აქ ამოდი.

ბაადური არ დაზარდა.

სანდრო პაპას შუშაბანდში შუქი არ  
ენტო, მაგრამ ზეცის ნათებაც კმაროდა.  
სანდროს წინ დაბალი ტაბლა მოეწყო,  
რომელზეც ედგა ყელყარყარა დოქა,  
მის ირგვლივ კი ელაგა კუქანა კიტრა,  
პამიდორი, მწვანელი და ყველი და პუ-  
რი და სტუმარს და ელოდა. სანდრო პა-  
პა თავისი პურ-მარლით სანახაობითად  
გამოიყურებოდა. ცოცხალი სურათი თი-  
თქოს ფიროსმანისა თუ გუდიაშვილის  
(უფრო სწორედ — თითქოს ორივესი)  
ნახატი იყო, რომელზეც თავისთვის  
წყნარად მოსუფრალი ალალი კაცია  
ასახული და გენანება, რომ მარტოა.  
გენანება და ძმობის გრძნობა აღგებრე-  
ბა გვერდით დაუჯდე და ფიქრებში ჩა-  
ეზიარო. მაგრამ, რადგან სანდრო პაპა  
ნახატი არ იყო და იყო ცოცხალი სუ-  
რათი, მან თვითონ მოსთხოვა ბაადურს  
პურმარილში შეამხანაგებოდა.

მასპინძელმა და სტუმარმა პირვე-  
ლად პამიდვრები გახლიჩეს და ორო-  
რივე გადახსნილ ნაწილზე ხრეში მა-  
რილი მოაყარეს. სანდრო პაპას გემოვ-  
ნებით პამიდორს და კიტრსაც ხრეში მა-  
რილი უფრო უხდებოდა, ვიდრე ფქვი-  
ლივით წმინდა. როცა პამიდორით პირი  
გაიგრილეს, მათ ახლა კიტრები გადა-  
ტეხეს და, ისიც ხრეში მარილში ჩაუწყეს.

სანდრო პაპამ სათქმელი დინჯად და-  
იწყო.

— აი, კატოსა და შოთასთან შენს სა-



უბარს მე ისე დავესწარ, რომ ეს გუ-  
ნებაშიც არ მქონია. მე აქ ჩემებურად  
ჩიბუხს ვაწყობდი, როცა თქვენ ერთმა-  
ნეთს ენა გაუხსენით. ისინიც მართალი  
იყვნენ და შენცა. შენ მგრძნობიარე ბი-  
ჭი ხარ, მაგრამ მაინც ყველაფერი ვერ  
გესმის. იმიტომ ვერ გესმის, რომ ჩვენ-  
დენა არ გინახავს. აი, ამ პატარა ეზო-  
ში შენა და ქეთევანს ყველა მეზობელი  
თვალსა და ხელს შუა გიბერდებოთ.  
ვნახოთ და, მამაზეციერი ჩვენც მოგვი-  
თხოვს! როგორც მოითხოვა ცხონებუ-  
ლი ბესო-პაპა. ასე რომ, პაპიძეებსაც,  
ტასისაც, ბოგვერაძეებსაც, ბევრად  
ჩვენზე ახალგაზრდა ამირიძეებისგან  
მეტი ყურადღება გვესიამოვნება. პაპი-  
ძეები, ჯერ უშვილობამ, მერე კი ნაშ-  
ვილების გულიდან აგლეჯამ მონუსხა-  
ულიბლო ტასიას მზე ბებერი ძვლების  
გასათბობად და სჭირდება. მეც ხომ იმ-  
დენი ძალა აღარ მომდევს, რამდენიც  
ჩიბუხს ვეჭაჩეები და ღვინოს ვეთამაშე-  
ბი. აგერ უშუაბანდში კი ლატაკი სუფ-  
რა იმიტომ მიდგას და მარტო იმიტომა  
ვარ, რომ დედაკაცი სიბერით შეუძ-  
ლოდ შემექმნა. ერთი სიტყვით, ეზოში  
ყველა შენა და ქეთევანს შემოგყურებთ.  
რაიმეს კი არ ვაკისრებთ, რისი უფლე-  
ბა არცა გვაქვს, უბრალოდ ვთხოვთ.  
რომ ჩვენი დარჩენილი დღეები სიბერე-  
ზე ფიქრში არ დაგვადამებინო. ასეა თუ  
ისე, მეზობლობის კანონით მაინც თქვე-  
ნი საპატრონებელი ვართ. იმიტომაც  
თქვენ შემოგცქერით. ჰოდა, ვიდრე სახ-  
ლში მარტო ხარ, მაშინ მაინც მეტი შე-  
მოგვხედე ხოლმე ყველას. მე, შენ აღ-  
გილზე, მაგალითად, ამ საღამოს ვახშ-  
მად პაპიძეებს დავეწვევოდი. ვხედავდი  
მათ ეს გულით ეწადათ, მაგრამ ვერ შე-  
მოგბედეს. შენ კი თვითონ ვერ მიუხვ-  
დი. როცა შენს პატარებზე მათ რალაც  
უფლებას აძლევდი, შეგეტყო შიშიც  
აგყვა, თითქოს ლეკიანობა მძვინვარებ-  
და და ბაღების დატაცების საფრთხე  
ველოდა. მერე და, შენ ხომ ჩემზე უკე-  
თესად იცი, რომ პაპიძეები ოქროს ადა-  
მიანებია. მაგათი გულის ჭირიშე, მაგა-  
თი! მაგათ ამ წინებზე ერთი ნათესავი

გარდაეცვალათ და როცა ტირილში შე-  
დიოდნენ ჩემთან იმისი ნამდვილი ასა-  
კი ბევრად გაბერეს, ასე მითხრეს, ბა-  
რე ასი წლისაც იქნებოდაო. მე კი, შემ-  
თხვევით გავიგე, რომ იმ ცხონებულ  
კაცს ზუსტად ჩემ წლოვანებაში დაჰხუ-  
ჭვოდა თვალები, ხომ გესმის რატომაც  
დამიძალეს მართალი? რომ მე იმ ქვეყ-  
ნად წასვლის ქოთქოთს არ ავეტანე.

სანდრო პაპამ ბოლო სიტყვებს ჩუმი  
ოხვრა ამოაყოლა, მაგრამ შენიშნა, რომ  
დააღონა ბაადურიც, და უმალ მოიყო-  
ჩადა, მარცხენა ხელით ბარაქიანი ულ-  
ვაში გაიპენტა, მარჯვენათი კი ყელყარ-  
ყარა დოქს ყელში სწვდა და ჭიქებში  
ჩააყირავა.

18

ყველაფერი მეტნაკლებად ბოლოკე-  
თილად იყო ბაადურის ირგვლივ. წერი-  
ლებიდან იცოდა, რომ იღუმალში კარ-  
გად იყვნენ ქეთევანი და ბავშვები და  
ყველა ისინიც, ვიზუც ბაადურს გული  
განსაკუთრებით შესტკიოდა. იცოდა  
ისიც, რომ თანდათან სძლევდა თავის  
დარდს ბედია და მთელ მის სოფელშიც  
მშვიდობა იდგა, რომ თავის ყაიდაში  
გრძნობდა თავს რაიონული გაზეთის  
რედაქტორი ჯანო და სანიშნუო თანხმი-  
ერებით ცხოვრობდნენ თებრო და დაუ-  
თი. არაფერი უჭირდათ ბაადურის ახ-  
ლობლებს თბილისშიც. ერთი მხოლოდ  
მაიასთან ურთიერთობა გაურთულდა  
ბაადურს, იმ ნიადაგზე, რომ იგი რატომ-  
ღაც ვერ ურიგდებოდა ძმის ოჯახში  
სხვისი შვილის მიყვანას. მაია ამ აქტს  
მეტეჩრულ ქველმოქმედებად უთვლი-  
და, რაზეც ბაადურს ჯავრი მოსდიოდა  
და და-ძმამ ერთმანეთის სახლში ფეხი  
თითქმის აიკვეთეს.

თავის პატარა ნანისადმი გულში ჩაზ-  
ვეული ჩუმი შუღლით, ბედია მას არა-  
ვითარ ყურადღებას არ აქცევდა, საერ-  
თოდ, არც ახსენებდა მესამე შვილს, მა-  
შინ როცა თავს ევლებოდა უფროსებს.

გიორგი ბელაშვილი  
გვიზარამს მრავალი ჰერი



მაგრამ მაიას უცნაური ახირების გაგება მას მაინც გულის ძაღს ჩასწყვეტდა. ამიტომ ბაადური ყველაფერს აკეთებდა, რომ და-ძმის განხეთქილების ამბავი ბედლას ყურამდე არ მისულიყო.

ისევ შესასური კეთილმეზობლობა სუფევდა ბაადურის ეზოში. ბაადური გულისხმიერად მიუდგა სანდრო ბოგვერადის ნაღვლიან შეგონებას და ყველა მეზობლის იმედი და გულის მურაზი გახდა.

თვითონ სანდრო უკვე პენსიაზე იმყოფებოდა და უმეტეს დროს ეზოში კვლებს დასტრიალებდა. ყვევილებს, ხვიარებს, მწვანილეულს და ამაღარ თუთასაც ხომ მათი ძირითადი მოპატრონენი — ჯერ რამდენიმე წლის წინ ლევა, ხოლო სულ ახლაჰან ციურიც, მოაკლდნენ!

სანდრო მეტწილ ეზოში იმიტომაც ფუსფუსებდა, რომ როგორც თვითონ ხუმრობდა, შინ დედაკაცს ფეხებში ედებოდა და საქმეში ხელს უშლიდა. რომ ამის გამო უსაქმურ და მუქთახორა ქმარს, საბედნიეროდ, უკვე მოკეთებული ქალბატონი გურანდა კინწისკვრით გარეთ აგდებდა. ამას იგი ყველაზე ხშირად ყასიდად შესჩიოდა ხოლმე უიღბლო ტასიას, რომელიც თუ ზომიერად გრილოდა, მზის ძუნწ სხივებს ეფიცებოდა, ხოლო თუ ძალიან ცხელოდა, თუთის ჩრდილს ეფარებოდა. სანდრო პაპა ტასიას იმიტომაც ეკურკურებოდა ხოლმე ასე, რომ გულჩათხრობილი დედაბრის დარდიან სახესაც ხანდახან მაინც დასცემოდა ღიმილას სხივი. ამით სანდრო თავის სევდიან ფიქრებსაც იქარწყლებდა, რაკი და, როგორც ყველა ხანდაზმულ ადამიანს, მასაც პენსიაზე გასვლამ უფრო აგრძნობინა სიბერე.

კვლავ ერთგულად მსახურობდა შოთა პაპიძე, სახლში კი გვერდიდან არ სცილდებოდა თავის დედოფალივით განებივრებულ კატოს. ხოლო კატო ახლა გულმოდგინედ უჯდა ხელსაქმეს და ღიღინით ქსოვდა და კერავდა სოსიკოსა

და ნანიკოსათვის და უკვე ციურიც ლევას მომავალი ბარტყისთვისაც.

აი, ყველა ამათი პატრონობა დააკისრა გარემოებამ ბაადურს. თუმცა მას არავინ არაფერზე აწუხებდა. მათ მხოლოდ ის უნდოდათ, რომ ბაადურს დროდადრო სამუსაიფოდ შეეველო ხოლმე მეზობლებთან, რასაც ბაადური ახერხებდა კიდევ.

ამ დაწყნარებულ გარემოში რედაქციაში ნამდვილ ყუმბარასავით გასკდა სილოვან კირთაძის მოულოდნელი დაწყვეტილება, თავისი ნებასუბრილით პენსიაზე გასვლის შესახებ.

დაბნეულ და გულდაწყვეტილ თანამშრომლებს თვითონ სილოვანმა ამის მიზეზი უბრალოდ აუხსნა. თითქოსდა დაპგროვებოდა უამრავი მემუარული მასალა და მოვალეობად ეგრძნო მოგონებათა დიდტანიანი წიგნის დაწერა, რასაც ბევრი თავისუფალი დრო სჭირდებოდა. მაგრამ თანამშრომლები მიხედუნენ, რომ აქ სხვა რამ იმალებოდა. სახელდობრ, მაწვალებელი შიში იმისა, რომ როგორც უკვე კაი ხნის კაცისათვის, პენსიაზე გასვლა ზემოდან არ შეეთავაზებინათ. ეს კი უფრო ძნელი ასატანი იქნებოდა, ვიდრე სამსახურიდან თავისი მოთხოვნით გადადგომა. ისე კი, ბევრი დიდმნიშვნელოვანი მოვლენებას შემსწრე და მონაწილე, აგრეთვე მრავალ გამოჩენილ მოღვაწესთან დაახლოებულ სილოვან კირთაძეს მართლაც დიდძალი მოგონებები ექნებოდა დასაწერი, თუ საქმეს ნამდვილად ხელს მოჰკიდებდა, თანამშრომლებს კი საერთოდ, ხელმძღვანელის შეცვლა მარტო იმიტომ არ აღეღებებთ, რომ წამსვლელებზე გული სწყდებათ, არამედ აფიქრებთ ისიც, თუ როგორი გამოდგება ახალი უფროსი.

ჯურნალის რედაქციაში ახალი მთავარი რედაქტორი უშანგი ჯენიძე გახდა და ბაადურს ამის გაგებაზე ცივად გააყრყოლა. ამ დანიშვნაზე უფრო მოულოდნელი კი ის იყო, რომ რედაქციაში

პირველად გამოჩენილი ჯენიძე უწინა-  
რეს ბაადურთან შევიდა. მის დანახვაზე  
ბაადური მშვიდად წამოდგა, მაგრამ ში-  
ნაგან დაძაბულობას ვედარ გაუქვლავ-  
და. ბაადურმა ორივე ხელი მოწყვეტით  
ჩაქნია და თავშეუკავებლად გადაიხარ-  
ხარა.

— ამაზე მეტი ბედის დაცინვა იქნე-  
ბა! — უმალ კი შუბლი ისევ გაისწორა  
და უშანგის გამომწვევად შეხედა. —  
ახლა მე თქვენ მოსვლასთან დაკავშირე-  
ბით ეს საშსახტრიც უნდა დავტოვო?

— არავითარ შემთხვევაში! — აღელ-  
ვებით მიუგო უშანგი. — მე პირველად  
შენთან იმიტომ შემოვედი, რომ გთხო-  
ვო ეგ ფიქრი აღარ გაიკარო. ვიმუშაოთ  
ერთად, რომ მე შენს წინაშე ჩემი დანა-  
შაულის გამოსყიდვის საშუალება მო-  
მაცეს.

ბაადურმა შუბლი მაინც არ გახსნა.

— არ მჯერა. ჟურნალისტების წრეში  
ასე იტყვიან ხოლმე: რედაქციაში მარ-  
ტო შიკრიკი რომ დარჩეს, გაზეთი მაინც  
გამოვაო. ასევეა ალბათ, ჟურნალიც. ეს,  
რა თქმა უნდა, პერიოდული პრესის გა-  
ქაჩება არ არის. მაგრამ ეს არის  
ფრთიანი სიტყვა, აგებული იმ სინამ-  
დვილზე, რომ გაზეთი და ჟურნალი ყო-  
ველგვარი მოულოდნელი და რთული  
დაბრკოლების მიუხედავად მაინც მუ-  
დამ გამოდის. მით უმეტეს, შეუფერხებ-  
ლად გამოვა ჟურნალი პასუხისმგებელი  
მდივნის გარეშე, რომელიც ჩვენს სინამ-  
დვილში მთავარი რედაქტორის მოად-  
გილედაც ითვლება, თუ მთავარი რედა-  
ქტორი ძველი ჩვეულებით თავის მოა-  
დგილეს აქაც არაფერს დაეკითხება.

— ნუ ფიცხობ, ბაადურ. ის, რაც იყო,  
იყო. ახლა მე უშენოდ აღარაფერს ვი-  
მოქმედებ. საერთოდაც, აქ მე მთავარ  
იმედს შენზე ვამყარებ.

კიდევ ერთხელ ჩამოსაფეხურებულმა  
უშანგი ჯენიძემ სწორი დამოკიდებუ-  
ლება დაიჭირა ყველა სხვა თანამშრო-  
მელთანაც, რაც პირველსავე საერთო  
თათბირზე გამოხატა.

— მე მხოლოდ იმას გთხოვთ, რომ  
იმუშაოთ ისე, როგორც მუშაობდით პა-

ტივცემულ სილოვანთან. შევეცადო, რომ  
გვექონდეს სრულ ურთიერთგანსაზრ-  
დადობა მუშაობაში კეთილსინ-  
დისიერებასთან ერთად წარმატებას  
მთავარი საწინდარი.

უკვე რამდენიმე დღეში ბაადური  
დარწმუნდა, რომ უშანგი ჯენიძის გან-  
ცხადება ლიტონი სიტყვები არ იყო. მას  
თავი უბრალოდ და გულდიად ეჭრა.

მთავარი რედაქტორი და პასუხისმგე-  
ბელი მდივანი კიდევ ერთხელ დარჩნენ  
პირისპირ და ბაადურმა პირდაპირ ის  
ჰკითხა, რასაც ფიქრობდა.

— კარგი თვისებები თქვენც გქონიათ  
და ამდენხანს როგორ მალავდით?

— მე მეგონა, რომ, რასაც ვაქედ-  
ნებდი, ისიც კარგი თვისებები იყო,  
რადგან მაამებლებს მოსწონდათ.

— მაამებლები გარედან შემოგვიგზავ-  
ნენ?

— მაამებლები თვითონ გაიჩნდნენ,  
როდესაც შემატყვეს, რომ ჩემს ირგე-  
ლივ ქულის ქიციანი მომწონდა. მაგრამ  
მლიქვნელობის კბილის კრეჭაზე უკვე  
აღარ წამოვეგები. ჩემი თვითკმაყოფი-  
ლება და ამპარტანობაც წარსულს ჩა-  
ბარდა, ჰკუა დროულ ასაკში ვისწავლე.

20

თავისებურად ეფიქრნა ბაადურის  
უფროსად მისი ძველი მოქიშპის დანიშ-  
ვნის ამბავზე ბედისა. მისი აზრით,  
უშანგი ჯენიძე ბაადურს აქაც შევიწრო-  
ებას დაუწყებდა. ბაადური კი მას ისევ  
მშვიდობიანად გაეცლებოდა. ბედისა არ  
სწამდა საბუთი, რითაც ბაადური თავის  
დროს გამომცემლობიდან უღავიღარა-  
ბოდ წასვლას ამართლებდა. ბაადურს  
მამინ უთქვია: სადაც აღარ უნდინხართ,  
თვითონვე თავი მეტი არ უნდა დაისა-  
ჯო იქ ყოფნით. ბედია ამ პირობითს  
ცნებას უსამართლობისადმი გაუმართ-  
ლებელ მორჩილებად განიხილავდა და  
გულში საყვედურობდა ბაადურს. ახლა  
ბედისა შეშინებოდა, რომ ბაადურს  
უშანგი ჯენიძისათვის თავი კვლავ არ

**გიორგი გელაშვილი**  
გმიფარავს მრავალი მძრი

დენაგვრინებინა, და იგი მთიდან თბილისისკენ მეგობრის ქომავალ დაძრულიყო.

ეს დიდი ხნის თვითგარიყვის შემდეგ თბილისში ბედიას პირველი ჩამოსვლა იყო.

თვითონ ბედიას არდადეგები ჰქონდა, საერთოდ კი სამუშაოდღე იყო და ის პირდაპირ რედაქციაში გაეშურა. ბედია მოელოდა, რომ ბადურს გულამდგრეულს ნახავდა. ბადური კი მშვიდი და საქმეში გართული დახვდა, ხოლო მეგობრის დანახვაზე გახარებული ყველაფერს შეეშვა.

ბედიამ პირველადვე მანიც ის გამოიკითხა, რაც აფიქრებდა. ბადურის პასუხით იგი კმაყოფილი დარჩა და გაკვირვებულიც.

— კარგია, რომ თურმე შეიძლება ადამიანი ასე მორჯულდეს. თუმცა მე მანიც არ მჯერა.

— უნდა დაიჯერო. ნამდვილად მორჯულებულია.

— მაშ, მე ტყვილად ჩამოვსულვარ? მე ისეთი გუნებით მოვდიოდი, რომ ბოროტ კაცზე გულის მოფხანა მინდოდა.

— არაფერიც ტყვილად არ ჩამოსულხარ! მე, მაგალითად, ყველაფერს მიჩვენია, რომ ამ სადამოს მე და შენ ძველებურად სადაც გვინდა ვიხეტიალებთ.

— ეგ მე უფრო მომენტარა...

— ჰოდა, აი, ჩემი სამუშაო დღეც გათავდა.

უცაბედი შხაპუნა წვიმისგან ახლად გაგრილებული შუა ზაფხულის წყნარი სადამო ხანი სწორედ მათ განწყობილებას ეფარდებოდა.

პირველივე ქუჩის კუთხეში კი მათი ყურადღება საშაქარლამო მალაზიის შიგნიდან მინაზე გაცხარებულმა კაკუნმა მიიქცია. ბადურისა და ბედიას გასაკვირად თეთრწინსაფრიანი და მაქმანით მორთულ თალფაქიანი ლამაზი ქალი, რომელაც დახლიდან ვიტრინის მინას ხელმოჩრდილული მოპკვროდა, ყუყუნა გამოდგა. ისინი ვიტრინასთანვე შეჩერდნენ, აფორიაქებული ყუყუნა კი წინსაფრისა და თალფაქის სწორებით კარში გამონარჩარდა.

— თქვენი ჰირიმი, ბიჭებო! სწორედ ილბალზე შეგასწავრით თვალი... დანაკლისი აღმომაჩნდა და უნდა მიშველოთ...

ბადური და ბედია თვალებს არ უჯერებდნენ, რომ საოცნებო ყუყუნა მალაზიის გამყიდველად მოეცლინათ და უკვე დანაკლისების დაფარვაშიც გაქნილიყო. ამიტომ თავს თითქოს სიზმარში გრძნობდნენ.

— არ გეყურებთ რა ვითხარით? — შეუტია მათ ყუყუნამ. — რამ გაგამტერათ, ქიმიკოსი ქალი რომ დახლში ვდგავარ? რა მოხდა მერე! მე მოთაკილე არა ვარ. მდგომარეობამ ასე მოითხოვა და მეც ვყიდი ტკბილეულს. ქიპია და მეშაქარლამეობა ერთმანეთს კიდევ ენათესავენ. აი, გამოუცდელივით კი დანაკლისი მომივიდა... მიშველით?

— რამდენი გპირდება? — ისე დარცხენით ჰკითხა ბედიამ, თითქოს თვითონ სესხულობდა.

— რამდენიც გაქვთ. თქვენ ბევრი არც გექნებათ.

ბედიამ და ბადურმა ჯიბეები უცებ მოიჩხრიკეს, და რაც ფული აღმოაჩნდათ შეაერთეს. ყუყუნამ კი მთელი თანხა დაუთვლელად ჯიბეში ჩაიკუჭა და სრულიად უადგილოდ გადაიკისკისა.

— გაგაბრიყვეთ! არავითარი დანაკლისი! გვერდით მალაზიაში ქალის საუცხოო ფეხსაცმელი მიიღეს და დღესვე რომ არ ჩავიცვა, ჩემი დამემართება. არადა, ფული არ მქონდა. თქვენს ვალს კი ელდარის ხელით დაგებრუნებთ. თუმცა, არ მინდა ელდარმა იცოდეს, რომ ფული ვისესხე.

— სესხად ნურც ჩათვლი, რაც მოგართვით. — ტუჩებზე ზიზღმა გადაუარა ბედიას. — ფეხსაცმელი, რომელიც კიდევ უფრო დამშვევებს შენს აღნაგ, აზიდულ საოცნებო ფეხებს, ჩვენი საჩუქარი იყოს. ამრიგად, ელდარი ვერაფერს გაიგებს.

— იყოს და იყოს! — დონიჯი შემოიყარა ყუყუნამ და ორთვეს ლოყახე თითო კოცნა უწყალობა, ცალკე ბადურს კი დააბარა. — თავმჯდომარე მომიკითხე.

ეუფუნა მხიარულად შეკუთრულმა თავის საშაქარლამოში, რაღაცნაირად გაწბილებულმა ბაადურმა და ბედიამ კი გზა მდუმარედ განაგრძეს.

— ვინ თავმჯდომარეზე გითხრა, და-თაზე თუ თაყაზე? — უკვე სხვა ქუჩაზე გადასხენდა ბედიამ.

ბაადურს ღუნედ გაეღიმა.  
— არც ერთზე, არც მეორეზე. ქეთევანს დასცინის.

— ქეთევანს? მოდი ერთი დავბრუნდები და მე მაგას ვაჩვენებ! მაინც ხომ ისე ვარ, რომ ვინმეზე უნდა ამოვიყარო გულის ბუხარი...

— არ გაგიჟდე! ქარაფშუტა ქალს პასუხი არც უნდა მოსთხოვო.

— ასეთი რომ არ იყო!

— ასეთი ქმარმა გახადა. ქმლისთვის თავისი ბიწიერება გვია, ცოლის აღრინდელი სიწმინდე კი ქმარს არ გადასდები. ეუფუნას თავისთვისაც აღარ დარჩენია ედემამოსილება, რომლითაც ქალიშვილობაში გამოიჩნეოდა.

ბაადური თავს გაბრიყვებულად არ გრძნობდა, თუმცა თავისი უხეირო ოინის შემდეგ ბედიასთან ერთად ის ასე ჩათვალა ეუფუნამ. მაგრამ მოჩოლფოთებული კი იყო ეუფუნას დახლში დანახვით და სიყალბით. დახლში დგომაც აუცილებელი და კეთილშობილური მოვალეობაა. მაგრამ დახლში არ უნდა იდგეს ის, ვისაც სხვა განათლება მიუღია. ბაადურს სევდას გვრიდა ეუფუნასა და ელდარის კეკემალულობანაც. თითქოს ქმარი ცოლს უმაღავდა და ცოლი კი ქმარს თავთავის უტიფრობას. თითქოს მათ ერთმანეთის რიდი ჰქონდათ. მაშინ, როცა აშკარად იგრძნობოდა, რომ მათ ერთიმეორის ყოველი ნაბიჯი იცოდნენ და სირცხვილი არაფერში სწვავდათ.

ეუფუნას თაღლითობაზე ენა ექავებოდა ბედიას. მაგრამ მას ენაზე კბილი ედგა. ეუფუნას გაჭირდვა მიუხედავად ყველაფრისა, მაინც შეიძლება სწყენოდა ბაადურს. მართალია, ბაადურმა ესეა არის თვითონვე გაკენწლა ეუფუნა,

მაგრამ ძალიან არ გაიმეტა. რაც უნდა ღია, ისიც გულისტყვილით. ბედიამ ჯერ კიდევ სკოლაში ატყობდა, რომ ეუფუნა ბაადურს თავის რაინდათ მიიჩნევდა. ხოლო გატაცებული იყო თუ არა ეუფუნათი ბაადურიც, ეს არ იცოდა ბედიანაც კი. ყოველშემთხვევაში, ბაადურს მუდამ გამორჩეული ჰყავდა ეუფუნა და საფიქრებელი იყო, რომ ქეთევანისადმი გამოხდომის მიუხედავად, სხვისი გაკილვისაგან მას მაინც დაიცავდა.

ბაადურმაც ქეთევანი ახსენა.

— რაც შეეხება ქეთევანს, იმიტომ მტოვებს ხოლმე დიდი ხნით მარტოს, რომ მე მხოლოდ ვწერო და სახლში სხვა საზრუნავი არ მქონდეს. მაგრამ არც სულ ასე ვარგა. ამას შეიძლება მითქმა-მოთქმა მოჰყვეს. მე და ქეთევანს ერთხელ უკვე მოგვიგონეს — გაიყარნენო.

ბედიამ კი ქეთევანს თავგამოდებით გამოესაჩრა.

— ქეთევანს ფიქრშიც კი ჩრდილი არავინ მიაყენოს, თორემ ვერ გადაშირჩება.

ბედიას მკაცრი გაფრთხილება გულის სიღრმიდან ამოიფრქვა. ბედიას ქეთევანი დასავით უყვარდა და არ იყო ვასაკვირი, რომ დის სახელს იგი მართლაც არავის გააღანძღვინებდა. ახლა კი ბაადურმა მის სიტყვებში იგრძნო სიყვარულის ახალი ძალაც. ეს განუზომელი თავჯანისცემა იყო ქეთევანისადმი, როგორც უკვე ძიძისადმი, რომელიც მის ბავშვსაც საკუთარი შვილივით ზრდიდა.

ბაადურს გულში იმედი მოეცა, რომ ბედიამ მის პაწია ნანისადმი ფარულ შულღს შესწყვეტდა.

21

მეგობრებს გუნებაში ჰქონდათ, რომ როცა ქუჩებში სიარულით ჩამოიღლებოდნენ, დასანაყრებლად სადმე ღია კაფეში დამჯდარიყვნენ და თან წყნარად ებაასნათ. მაგრამ არც ერთს ჯიბეში კა-

**გიორგი ველაშვილი**  
ბიზნარაზს მრავალი ჰერი



პიკიც აღარ მოეპოებოდათ. აკი ყუყუ-  
ნამაც გამოიცნო, დიდი ფულის პატრო-  
ნები მინც არა ხართო.

— გვეყოფა წაწალი. — თქვა ბე-  
დიამ. — ჩვენ ქუჩებს ყოველ მტკაველ-  
ზე ჩვენი ნაფხურები ისედაც ატყვია.  
მე მშია. სიამოვნებით დავლევდი კი-  
დეც რამეს.

ბადურს ფული სახლში ეგულებოდა.  
ახლა ბედისაც სახლში დაჯდომა უფრო  
ეგუნება. სახლში მისვლისთანავე ბა-  
ადურმა ფული აიღო.

-- საქმელზე ერთ-ორ კიქა რამეს  
მეც დავაყოლებდი. თუმცა ბოლმიან  
გულზე დალევა არ მიყვარს. ბოლმიანი  
კი ნამდვილად ვარ ყუყუნა რომ იმ უხა-  
მსი ოინით გამოგვეხირა. დალევა მოლ-  
ხენისა! დალევა მეგობართან საუბარს  
უხდება.

— ახალი ამბავი! ჩვენ ზოგჯერ ისე  
მიამიტად ვაცნობთ ხოლმე ერთმანეთს  
თავს, თითქოს ყველა შენი-ჩემი ხასია-  
თი ხუთი თითივით არ ვიცოდეთ. მე  
ისიც ვიცი, ახლა ორივეს ყველაზე უფ-  
რო რა მოგვიხდება.

— ცავი ლუდი მოგვიხდება. მე გა-  
ვალ და მოვიტან.

— მეც წამოვალ. მე მარტომ რა ვა-  
კეთო სახლში?

— შენ ჩემ დაბრუნებამდე ერბო-  
კვერცხი მოტაფე.

— ერბოკვერცხს ორი წუთი უნდა.  
როცა დავბრუნდებით, მაშინაც ხელათ  
მოეტაფავთ. ლუდთან ერთად კი ძეხვ-  
საც ეყიადით. ძეხვი ერბოკვერცხს ძა-  
ლიან უხდება.

მარჯანიშვილის მოედანზე ბადურსა  
და ბედიას გზა გადაუღობა პატარა,  
ფუნჯულა ქალმა, რომელიც მათ ვერ  
იცნეს.

— ძალიან, ძალიან გამეხარდა, რომ  
ისევ ერთად გხედავთ! — ხელები  
მკერდზე მიიხუტა და ასე გამოხატა აღ-  
ტაცება მან. — ამდენი წელი გავიდა,  
თქვენ კი ერთმანეთი არ დაგიკარგავთ!  
ყოჩაღ, ორივე! თვითონ თქვენ, გა-  
ტყობთ, ვერ მიცანით. მაგრამ, მე დიდი  
ხანია ქმარშვილიანი ვარ და ეს ძლიერ

არ მწყინს. მე ერთი სამოცდახუთწი-  
თაგანი ქალიშვილი ვარ, ვინც ომის  
დროს სოფელში სიმინდს ვთოხნიდიო.  
თქვენ მე როგორ დამიხსომებდით, რო-  
ცა შენ, — პატარა ქალმა მკერდში სა-  
ჩვენებელი თითი ატაკა ბადურს, —  
ქალიშვილებსაც არც იხედებოდი.  
ხოლო შენ, — მეორე ხელის ასევე საჩ-  
ვენებელი ბეჭდიანი თითი გულში სცა  
მან ბედიას, — სხვა ქალიშვილებისთვის  
როგორღა მოიცლოდი, როცა სოფელ-  
ში ჩასვლის პირველივე დღიდან გულის  
ტოლი ამოიჩინე. ოღონდ ყველაფერ  
ამას ახლა არსებითი მნიშვნელობა აღარ  
აქვს. ახლა თქვენი მაშინდელივით ერ-  
თად დანახვა გამეხარდა და ვერ მოვი-  
თმინე სიხარული სიტყვითაც არ გამო-  
მეხატა. თქვენ აღარც ოდესმე დაარ-  
ღვიოთ თქვენი მეგობრობა არა მხო-  
ლოდ იმისთვის, რომ უერთმანეთოდ  
აღბათ ვეღარც ვასძლებთ. არამედ  
იმისთვისაც, რომ სხვებმა თქვენ მოგ-  
ბაძონ. მაგრამ მე მგონი, აზრი მკაფიოდ  
ვერ გამოვთქვი. მე ის მსურს, რომ  
თქვენი დიდი ხნის წმინდა მეგობრობა  
აღმზრდელივითი თვალსაზრისით მაგა-  
ლითი იყოს ახალგაზრდა თაობისათვის.

ფუნჯულა ქალი სხაპასხუპით და  
გრძნობით ლაპარაკობდა. მან ცოტა სუ-  
ლი მოითქვა და ბადურს განსაკუთრე-  
ბული პატივისცემით შეხედა.

— შენ ერთ დროს პირადადაც იტ-  
ვითე უცნაური და გაბედული, ერ-  
თობ კეთილშობილური აღმზრდელიობა,  
როცა ერთბაშად დაობლებული პატა-  
რა ბიჭი სოფლიდან შენთან წამოიყვანე.  
ის პატარა ბიჭი უკვე ვაჟაკი იქნება...

ბადურმა თავი დააქნია.

— დავაჟაკიდა. ლეგა ახლა თვითონ  
ზრდის თბოლ ბიჭებს.

— ნუთუ, მართლა? — სევდა და სი-  
ხარული ერთად გადაიწნა ქალის აღელ-  
ვებულ ხმაში. — აი, ჩემი სიტყვების  
თვალსაჩინო დადასტურებაც! დაუას-  
ტურება იმისა, რომ მაგალითის ძალა  
ძლიერ ცხოველყოფელია. მეც გილო-  
ცავ, რომ შენ ზრუნვას საღი ნაყოფი  
გამოუღია.



პატარა ქალი შეხვედრით ბედნიერი იყო. მაგრამ ჩქარობდა კიდევ. ალბათ სახლში ქმარ-შვილი ელოდა. თუმცა მას არ შეეძლო დამშვიდობებამდე ენაც კიდევ არ დაეოკებინა.

— დაიხსომეთ ოღონდ, რომ ქალი თვალთმაქცია. მე განა მართლა არ მეწყინა, რომ ვერ მიცანიოთ? ქალი ყოველთვის გულნატყენი რჩება თუ მას მამაკაცი ვერ იცნობს. ქალი ძალზე ამაყიც არის. თქვენ მე არ გაპატიებდით ამ გულმაყიწყობას, ძალიან კარგი და საყვარელი ბიჭები რომ არ იყოთ!

სამოცდათხუთმეტიდან ერთი, უკვე დაქალაქული ქალიშვილი, სახელობითად არც ახლა გაცნო მეგობრებს, ოღონდ დამურად თბილად და დანაწებოდ დამშვიდობა მათ და თავისი გზით გაბაკუნდა. ქალმა ალბათ არაფერი იცოდა ბედიას უბედურებაზე, თორემ ისეთი მგრძობიარე ჩანდა, რომ მის მწუხარებას გულთან მიიტანდა.

ბადურს და ბედიას კი ფიქრი აეშალათ მათი ცხოვრების ერთ გამორჩეულ ფურცელზე, ომის დროს მწუხარე სოფელში გატარებულ დასუდრულ დღეებზე, რომლებიც არასდროს დავიწყებაათ, მაგრამ ახლა მეტად ცხადლივ წამოუყენა თვალწინ უცნობმა და არც უცნობმა პატარა, ფუნჩულა ქალმა.

22

— თუ სმავ. სმა იყოს! — უკვე გასტრონომიულ მაღაზიაში ფიქრების გასაფანტავად რიხით თქვა ბედიამ და გამყიდველს მაციკრიდან თორმეტი ბოთლი ლუდი გამოადგმევინა.

ულვაშგაწყვილიმა სხარტმა გამყიდველმა ხელში შეათამაშა მაცდურად შეჭირბლული ლამაზიარლიყიანი მაღალი ბოთლიც.

— ლუდს კონიაკი მოუხდება!  
— არ მოუხდება. ლუდისა და კონიაკის შერევა იმათი მოგონილია, ვინც სასმელის ყადრი არ იცის. — განუმართა გამყიდველს ბადურმა.

— ჯანდაბას — იყოს კონიაკი! ჩვენ ნამდვილად არ შევურევთ ლუდში,

მაგრამ სახლში ყოველშემთხვევისათვის ეგდოს. — არც გამყიდველს აწყენს და არც ბადურს ბედიამ.

სახლში მისვლისთანავე მათ საქმეები გაინაწილეს და როდესაც ბადურმა უბადადებული ერბოკვერცხი ძეხვთან ერთად მოტაფა, ხოლო ბედიამ მშრალი საუხუმე თეფშებზე გააწყო, მანვე დაიბეჯითა:

— ცხადია, ჩვეულებას არ ვულატებთ და ფანჯარასთან დავსხდებით.

ბედიამ ბადურის პასუხს არც დაუცადა და ფანჯრის რაფის სიბრტყე ხელდახელ მიდგმული სამხარეულო მაგიდით გაზარდა. მათ მთელი ეს ფართობი აითვისეს. მოიტანეს არა მარტო საქმელი და სასმელი, არამედ სივარეტებიც, საფერფლეებიც, რომ რაკი დაჯდებოდნენ, შემდეგ რაიმისთვის აღარ ერბინათ. სრული სიამოვნებისთვის კი ფანჯარა გამოაღეს.

წყნარი და ნათელი ღამე იყო. ქუჩა მოსეირნე ხალხს ავესო. მაგრამ სეირნობაზე ნაკლებ სასიამოვნო არ იყო ოთახში, ღია ფანჯარასთან თავისშეკევა და ხმადაბლა საუბარი.

— ფანჯარასთან სჯობს. — გვიან დაუდასტურა ბადურმა ბედიას. ისინი ისე ისხდნენ მაგიდასთან, რომ ქუჩაც და ვარსკვლავებით მოჭედილი ცაც თვალის არეში ჰქონდათ. — ფანჯარა, ასე გთქვავ, ცხოვრების ნაწილია. ჩემი ბევრი სანუკვარი მოგონება და ფიქრი, უფრო მეტი კი სამასსოვრო შთაბეჭდილება ფანჯარასთან არის დაკავშირებული. ჯერ კიდევ სულ პატარას დედა ამ რაფაზე დამამკვიდრებდა ხოლმე ფერადნახატებიანი წიგნებით. მერე გაკვეთილების მზადებასაც აქ ვირჩევდი. გარეშე წიგნების კითხვასაც. უკვე დიდტანიანი, დაფურცლული წიგნებისა. განმაურებულ, აღიარებულ წიგნებზე ამბობენ, თავაუღებლად იკითხებაო. ეს მუდამ პირდაპირი მნიშვნელობით არ გაიგება. მართლაც, კარგი წიგნი ის

**გიორგი ვალაშვილი**  
გიორგის მრავალი ზირი

არის, რომელიც დავაფიქრებს და მიუხედავად შემდგომი ვითარებისადმი მოუთმენელი ცნობისწადილისა, ფურცლიდან თავს მაინც აგალებინებს, რათა სტრაქონებს, რომლებმაც უკვე დავატყვევა, ღრმად ჩაუფიქრდე. ხოლო, აიღებ თუ არა თავს, შენს წინ ფანჯარაა, ფანჯრის იქით კი — ქუჩა, ადამიანები. ქუჩა წელიწადისა და დღის დროს კვალობაზე თავისი ცვალებადი იერით, ადამიანები კი თავიანთი განსხვავებული გარეგნობით, ჩაცმულობით, ხასიათებით, აგრეთვე უცნაურობანით. ეს პირველად მხოლოდ მხედველობითი მეხსიერების უნებლიე ვარჯიში იყო. მერე და მერე კი გადაიქცა გონების საზრდოდ. ბუნებისა და ადამიანების შეცნობის სურვილად, მოთხოვნილებად. შემდგომაც ისევ ფანჯარასთან საათობით ჯდომა, ოღონდ უკვე ცხოვრების ავ-კარგში გარკვევის მცდელობა, აგრეთვე ცოტაოდენ თხზვა. თხზვა თავისთვის იყოს! ცხოვრების ავ-კარგში გონების თვალთ ჩაღრმავება კი, თუ ბევრი სიკეთის დანახვით მახარებდა, ხშირად გულსაც მწყვეტდა. მხედველობაში მაქვს არა მხოლოდ საკაცობრიო მნიშვნელობის უდადეგი ბოროტება — საშინელი, სისხლისმღვრელი ომის წამოწყება, ვგულისხმობ სხვადასხვა ჯურის ცალკეულ გადაგვარებულ ადამიანებსაც, რომელთა ეს თუ ის უსაქციელობა მე პირადად რომ არ შემხებია, ტკივილს მაინც მგვრიდა. მაგრამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ განცდებსაც ისევ ფანჯრები მინელებდა. გაეხედავდი ქუჩის ყოველდღიურ, უპირატესად შინაარსიან, მიზანმსწრაფ ყოფას და შვება მეძლეოდა. ასე რომ, ფანჯარა ცხოვრების ნაწილია და სიცოცხლის იმედიც: მე უფანჯრებოდ არ შემეძლია ფანჯრიდან კი მაყურებინე და, თუნდაც მხოლოდ ღრუბლის ქულას ვხედავდი!

ფანჯრებზე სიყვარულით ლაპარაკის დროს ბაადურის ფიქრობდა არა მხო-

ლოდ მათზე, საიდანაც თვითონ ხედავდა, ბევრ სხვაზეც, რომლიდანაც მეგობარი და კეთილი ნაცნობი გამოიხედავდა.

აღრე ასე უყვარდა მას, კერძოდ, დაუთის ფანჯრები, რომლებიც ყოველდღე თვალში ხვდებოდა, თუმცა ისინი უმეტესად უშუქო და დახშული იყვნენ. ხოლო, როცა ვნახოთდა იღებოდნენ ან ნათდებოდნენ, ეს დაუთის ხანმოკლე ჩამოსვლას ნიშნავდა და ბაადური წინასწარვე განიცდიდა ხოლმე მონატრებულ მეგობართან მყუდრო საუბრის სიამოვნებას. მოწყენილი ფანჯრების გამოცოცხლება და დაუთის ბაადურთან გადმოსვლა ერთი იყო ხოლმე.

ახლა ბაადური გულისტკივილითდა გახედავდა ხოლმე იმ ფანჯრებს, რომლებიც დაუთს აღარ ეკუთვნოდა. თუმცა დაუთის ოთახში ჩასახლდა პატარა და კარგი, შეხმატკბილებული ოჯახი — ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მცირეწლოვანი ქალ-ვაჟით და ლამაზმა და გამარჯვდიასახლისმა ფანჯრებზე თავისავით მოსხივისკარგ ფარდები დაჰკიდა. ბაადურს კი ლამაზი ფარდები ისევ ახარებდა და ისევე სჯეროდა, რომ ასეთ ფარდებს თავათაც სულით ლამაზი ადამიანები ჰკიდებდნენ. როგორც ოდესღაც დაუთი, ფანჯრებიდან გაიწნო მისი ყოფილი ბინის ამჟამინდელი მფლობელიც ბაადურმა და მათ შორის ვიწრო ქუჩაზე ხიდად თბილი სალაში გაიღო.

— ფანჯრების სიკეთეს მეც ვაფასებ. შენი გავლენით და საკუთარი გამოცდილებითაც. — ბედია მალალი, პირვანიერი ჰიქები ცნვი ლუდით შეავსო და თავისი ჰიქა ერთი მოყუდებით გამოცალა. — ამის გამო მაქვს ჩემი კერძო შეხედულება: რა სახლია ის სახლი, რომელსაც ქუჩისკენ ფანჯარა არა აქვს! ბაადურმა ჰიქა მხოლოდ მოანახევრა და ჩარჩენილი ლუდი დაფიქრებით შეაღალღალა.

— იმდენი პატივი დასდებოდეთ ფანჯრებს, რომ ფანჯრებიდან მხოლოდ

უმბროტო ადამიანები იხედებოდნენ და ასეთი ადამიანები ჩანდნენ ფანჯრებიდან ქუჩებშიც.

— შენი სიტყვებისათვის მგონი სადღეგრძელო არ დაგირქმევია, მაგრამ მე მომეწონა და მოდი სადღეგრძელოდ ჩავთვალოთ.

ასეც ჩათვალეს, ახლადშევისებული ჭიქები დაცალეს და მაშინვე სიგარეტები გააჩალეს.

— ძალიან სასიამოვნოა ლუდზე სიგარეტის დაყოლება. — ეს ორივეს ბევრჯერ აღნიშნული თავის დაჯერება იყო და ჩვეულებით კიდევ ერთხელ თქვა ბაადურმა. ბედიამ კი სიგარეტი ხარბად მოქაჩა და რიგგარეშე ჭიქა ლუდი მიიღო.

— ძალიან სასიამოვნოა! მაგრამ, აი, რა შენი სიტყვის პასუხია და, ყუყუნაზე ცუდი რომ გაიგო, გეწყინება? სხვა დროს ასე ვერ გეტყოდი, დღეს კი ყუყუნა ორივეს არ მოგვეწონა და ამან მათქმევინა.

— ალბათ მეწყინება. საერთოდ, მეტად უსიამოვნო ვანცდაა, როცა კარგ ადამიანზე ერთბაშად შეხედულება გიფუჭდება. ეს ერთგვარად მრწამსის შერყევია. ადამიანები კი მრწამსით ვცხოვრობთ. მრწამსი ადამიანის ყველაზე წმინდა თვითშეგნებაა.

— მრწამსზე გეთანხმები. მაგრამ, აი, ყუყუნა რომ ქეთევანს სწიწკნის, ეს მას უკვე ცუდად ახასიათებს. ამით ქეთევანს არაფერი აკლდება, მაგრამ მე მათებს როგორ ითმენ ამას შენ. იქნებ იმიტომ, რომ ყუყუნას თავდაპირველად შენი ცოლობა ეხატებოდა და არა ელდარისა, როგორც ეს მოულოდნელად მოხდა? იქნებ შენ ყუყუნას იმიტომ არ უშლი თავხედობას, რომ მაინც ისევ გიყვარს?

ბაადურმა იგრძნო, რომ ბედიას რაღაც ცეცხლი ეკიდებოდა და არ შეედავა. ბედიას ხომ თავისი დარდი არ დავიწყებოდა და მთელი დღე გარეშე ლაპარაკით მხოლოდ თავს იტყუებდა! მაგრამ, აი, თავისი ქნა სამმა ჭიქა ლუდმაც

კი. ბედიამ უცებ საცობი წააძრო კონიაკის ბოთლს და ისე სწრაფად აივსო და გამოცალა მოზრდილი ჭიქა, რომ ბაადურმა მისი შეჩერება ვერ მოასწრო. ეტყობა, ბედიამ მართლაცდა თითქოს სახლში ნივთივით მისაგდებად არ გამოატანა ხელს მაღაზიიდან კონიაკის ბოთლი.

კონიაკის შემდეგ ბედიამ ისევ ლუდის ჭიქა აიღო.

— ეჰ, უიშვიათეს ქალს, ქეთევანს გაუმარჯოს! გაუმარჯოს ნანისაც... ნანი რომ მკვდარია, მე არ მჯერა. არადა, ნამდვილად მკვდარია. ოღონდ ისეთი მკვდარია, რომ თითქმის უკვე მკვდარმა მაინც სიცოცხლე შვა. გმირთა გმირი კი ქეთევანია ჩემი მკვდრის ნაშობის დედობა რომ იტვირთა. ამიტომ ქეთევანსა და ნანის გაუმარჯოთ! მოსაკლავი ვარ, რომ ცოცხალსა და მკვდარს ერთად ვადღეგრძელებ, მაგრამ მე მეტი ჭკუა აღარ მაქვს. მოსაკლავი კი შენ მომკალ! ის ხომ მეცოდინება, რომ ღირსეულმა კაცმა მომკლა...

ბედიამ მეორე ჭიქა კონიაკიც გადაჭკრა და ცხარედ აქვითინდა.

ბაადური ბედიას ველარ სცნობდა და ტანჯვით უცდიდა, როდის ჩამოეძინებოდა, რომ ლოგინში გადაეყვანა. ბედიას მართლაც ჩამოუვარდა თავი მაგიდაზე და ბაადურმა მას გახდა დაუწყყო.

ასეთ სურათზე შემოესწრნენ ბაადურს მარჯანიშვილის თეატრიდან ესეს არის გამოსული მაია და ავთანდილი. ბაადური ოდნავაც მთვრალი არ იყო, მაგრამ ის გულითადად მიესალმა მხოლოდ სიძეს, დისკენ კი არც გაიხედა. სიძეს მან ლუდიც მიართვა. ავთანდილმა ჭიქა სიამოვნებით ჩამოართვა, მაგრამ პირთან არც მიუტანია ისე დადგა მაგიდაზე, რომ ბაადურს შფოთით მთვლემავ ბედიას დაწვენაში მიშველებოდა. როცა დააწვინეს, ჭიქა ბაადურმაც აივსო და ორივემ დინჯად შესვა.

**გიორგი ბელაშვილი**  
გვიზარავს მრავალი ზმრდი

ორივემ მერღა მიაქცია ყურადღება მათს, რომელიც ჩუმად იმდღურებოდა. ბაადურისთვის გასაგები იყო, რატომაც ტიროდა იგი, მაგრამ გული არ მოიღბო. მათამ იმის შემდეგ, რაც პაწია ნანის თითქმის შვილად აყვანის გამო აუბუზღუნდა ძმას, ჩქნებ ისედაც ინანა, მაგრამ მუდამ პეწიანი და შემართული ბედიას ასეთ ყოფაში ნახვამ გული მთლად დაუთუთქა. მათს ახლა სლოკინიც აუფარდა, ენა კი დაება, სიტყვაც ვერ თქვა.

მეუღლეს სინდისი აეთანდილმა მოსწმინდა.

— პირდაპირ ვერ გამოვიდა ამისთანა გულჩვილ ქალს როგორ ამოუვიდა ის სიტყვები ბედიას პატარა გოგოზე, როცა გულში ნამცეცი სიმკაცრეც არა აქვს. ჩვენ წელან თეატრში რომ მივდიოდით, ფანჯარაში დაგინახეთ, მაგრამ გვეჩქარებოდა და ვერ შემოვედით. თუმცა ბედიას დანახვაზე მათა ისე აღელდა, რომ სპექტაკლისთვის არც უყურებია. ახლა ამ უღროო დროს იმიტომ მომიყვანა შენთან, რომ ბედიასთვის ბოდიში მოეხადა.

მათს ქვითინზე ერთი პირობა გულში დაზავებულმა ბაადურმა დას უცებ მწყურალად შეხედა.

— მათს პირველზე უფრო დიდი შეცდომაა ის ჩქნებოდა თუ ბოდიშს მოუხდიდა. ბოდიშის მოხდა ბედიას ახლად გააგებინებდა იმას, რაც საერთოდ არც გაუგია და მაშინ გულს ველარაფერი გაუკეთებდა.

— შენ? შენ ხომ მაპატიებ? — საწყლად ჩაიღულღულდა მათამ და ბაადურს მორჩილებით შეხედა.

ბაადურს მათა ისევე შეეცოდა.

— მე რა უნდა გაპატიო? მე მაშინვე ვიცოდი, რომ სისულელე წამოგცდა და მერე თვითონ ინანებდი.

ბაადურის პასუხზე აეთანდილს უღვაწებში მადლიერად ჩაეღიმა, მათს კი ტირილი სიცილად გადაექცა.

მათსა და აეთანდილს წასვლის უმალ ბედიამ ლოგინში შფოთიანად გაიბორგა და ბაადურს საძაგელმა ფიქრმა გაუელვა. ხომ არ მოიძინარა თავი ბედიამ და არ მოისმინა ყველაფერი, რაც მის ირგვლივ ითქვა აეთანდილსა და დაძმას შორის?

დილით ბაადურს ევეიც აღარ ეპარებოდა, რომ ეს მართლაც ასე იყო, რადგან ბედიას დამცინავი სახე აჰყვა და ეტყობოდა მაშინვე წასვლასაც აპირებდა.

— რა, მიღიხარ?

— მაშ აქ რაღა მინდა?

— გეწყინა რამე?

— როგორ არ უნდა მწყენოდა, შე კაი კაცო?

— მოიცა, მთელ ამ ამბავში მე უკეთესად გაგარკვევ...

— მართლაც ამისხენი, თუ ძმა ხარ, ეს მოდონდლოებული კაცი სკამ-მაგიდიდან ლოგინში მარტომ როგორ გადამასვენე?

ბედიას ბოლო მთამიტმა შეკითხვამ ბაადურს გულისმღრღნელი ფიქრი გადაუგდო.

— მოიცა! შენ რატომ მიპასუხე — მაშ აქ რაღა მინდაო?

— როგორ თუ რატომ? იმიტომ, რომ წუხელ გამოვტყვევრი და ყველაფერი მოვიღორე. ამის შემდეგ აქ განა კიდევ მედგომება?

— მოიცა! შენ აგრეთვე თქვი — როგორ არ უნდა მწყენოდაო? ეს რაღას ნიშნავდა?

— ესეც ჩემ თავს დავცინე. ვითომც, როგორ არ უნდა მწყენოდა, რომ მაგიდაზე ლოთივით ჩამოძინებულმა რბილ ლოგინში გავიღვიძე... მაგრამ შენ მთელი ეს საეჭვო დაკითხვა რატომ მომიწყე?

— იმიტომ, რომ ლოგინიდან დამცინავი სახით აღექი და მაშინვე წასვლასაც აპირებდი. ასე ნაწყენი აღამიანები იქცევიან.

— შენგან მე რა უნდა მწყენოდა!



მე ჩემი დამცინავი ღიმილით ჩემი წუხანდელი დანაშაული ვაღიარე. გავრბოდი კი იმიტომ, რომ დამნაშავე, როგორც წესი, დანაშაულის ადგილიდან გარბის.

ბაადურს ეჭვები გაეფანტა და გულზეც მოეშვა.

— მამ შენ ვერსადაც ვერ წახვალ! დღეს კვირაა და მთელი დღე ჩვენია. გინდა, მე ხალხსაც შევეყრი? მაგალითად, აბელს, ზურაბს, ეშხარს. დიდიმს და რამინს. ტიტესა და გურისაც. მათ მამებსაც — გრიგოლს და მუხრანს. რაღა თქმა უნდა, ჩემ მეზობლებსაც. და, შენ რომ იტყოდი ხოლმე „ერთი ტკბილი პური ვჭამოთო“, სწორედ ისეთი რამ გაეკეთოთ.

— არ გვინდა ხალხი. მარტო ვიყოთ.

— კარგი. მამ მე გაზეთებს მოვიტან და მარტო ვიყოთ.

ბაადური ქუჩაში გავიდა და გაზეთებისა და ჟურნალების მთელი დასტითა და ცხელი თონის პურით მალე დაბრუნდა.

ვიდრე გაზეთებსა და ჟურნალებს ვაშლიდნენ, მათ ჯერ „ჭირი“ მოიშორეს, ბინა დალაგეს, შემდეგ შუშაბანდში ტახტზე მოიმხარეთქოეს და ისე იკითხეს. რასაც თავთავისთვის კითხულობდნენ, შემდეგ ერთმანეთს უცვლიდნენ.

— გვეყოფა თვითგანათლება! — თქვა ბოლოს ბედიამ.

— მეტიც მოგვივიდა. — ბაადურმა ყველაფერი, რასაც კითხულობდნენ, მოხვეტა და მაგიდაზე ისროლა.

ერთხანს ორივე ჩუმად იყო და თავქვემ ხელებამოდებული ჭერს შესცქეროდა.

— რაზე ფიქრობ? — იკითხა ბედიამ.

— კერძოდ არაფერზე. ზოგჯერ ბევრი ფიქრი ერთად დამეხვევა ხოლმი. ახლაც ასე ვარ.

— ლევაზე არ ფიქრობ?

— არიან ადამიანები, რომლებიც კაცს განუწყვეტილად ახსოვს. ლევა ჩემთვის ერთი იმათგანია.

— მამსადამე, დარღობ კიდევ.

— არც უმაგისოთაა. თავის დროს ვიდარდე ჩემი სახლიდან ლევას სხვაგან გადასვლა. ასე მეგონა, მომიძულა. შემდეგ კი ანგარიში გავუწიე სამი მეგობრის ახალგაზრდულ მოწადინებას უფროსთა გარეშე ერთ ჭერქვეშ ეცხოვრათ, და გარემოებას შეეუფრადი. თანაც, ლევა მინც ახლო მყავდა. ახლა კი ჩვენი დაშორება ცხოვრების კანონით მოხდა. იმიტომ, მგონი, ძალიან აღარ უნდა ვიდარდო. ოღონდ ფიქრი მუდამ შექნება თუ როგორ წაიყვანს პირად ცხოვრებას და როგორ აუვა ობოლ აღსაზრდელებს.

— აუვა. ლევას ობლებს აღზრდაში შენი მუვალითი აქვს.

— ორი მინც ძნელია.

— ორი ერთზე მეტია. მაგრამ სოფლად ბავშვების მწყემსვაც უფრო იოლია, ვიდრე ქალაქში, სადაც ბევრი გარეშე ზეგავლენის საფრთხე არსებობს. ის კი, რომ ლევა თავისი ამალით სოფლისკენ გზას ფეხით გასდგომია, თავისებურად კანონზომიერია.

— კანონზომიერია თუ არა, ვერაფერს გეტყვი. ისე კი, ლევამ თავისი გადაწყვეტილება ასე ამიხსნა: თავის დროს იღუმალიდან თბილისში შენ ფეხით ჩამომიყვანე, რათა მე დარდიანი, ობოლი ბიჭი უცხო შთაბეჭდილებებს დავეპყრე. ახლა კი, თუ უკვე თვითონ ფეხით ვიახლებ იგივე გზაზე თემის და ოტიას, და ციურისაც, ისინიც ბევრ შთაბეჭდილებას მიიღებენ, ღრმად შეივრძობენ და შეიყვარებენ მხარეს, სადაც ამიერიდან უნდა იცხოვრონ. ეს, რაც თვითონ ლევამ მითხრა. მე კი მივხელი, რომ ასეთ მოგზაურობაში მას იზიდავდა მესხიერებაში შენახული წარმოდგენის სინამდვილესთან შედარებაც. ეს თუ ის საგანი, ნაგებობა, ფერი, სურნელი, ხმაური, მათთან ხელახლა შეხვედრისას ადამიანში მიძინებულ გრძნობებს აღვიძებს. ლევაც, კვლავ

**გიორგი ვალაშვილი**  
გმიზარაბს მრავალი ჰმირი



დანახულ გარემოს სურათებთან შეჯერებით ცხადლივ აღიდგენდა მშფოთვარე ფიქრებს და გულისძვერას, რაც სოფლიდან მოწყვეტილ საბრალო ბიჭს მაშინ მთელ გზაზე ახლდა. იმ გზაზე ლევას მისი მწუხარების დროდადრო ჩამყუჩებელი შემთხვევითი შთაბეჭდილებების გარდა ზოგჯერ ნაუცბათევე იპყრობდა საკუთარ თავთან ბჭობაც: ოდესმე იგი ისევ დაუბრუნდებოდა თავის პირველ ბუდეს — იდუმალს. მაგრამ დაუბრუნდებოდა როგორი აღზრდილობით და სულიერი სიმდიდრით? ამჯერად ლევა იგივე გარემოს პირისპირ განვლილ ცხოვრებას ღრმად გაიანზრებდა. ძველ შთაბეჭდილებათა არეზე ბავშვობისდროინდელ ფიქრებს გაეპაექრებოდა და საფუძვლიანად ასწონიდა, რას ეზიარა გასული წლების მანძილზე და რით უბრუნდებოდა სოფელს. ეს ბოლო საკითხი მისთვის ყველაზე მთავარი იქნებოდა, რადგან სოფელს თავისი შვილების მხოლოდ ღირსებით დაბრუნება ახარებს. საბედნიეროდ, ლევას თამამად მიესვლებოდა სოფელში. თანაც, ლევა თავის ფიქრებს გზა-გზა ცხოვრებისა და შრომის მკაფიო აზრად ჩამოაყალიბებდა. ფეხით მავალი კაცი მოკლე მანძილზე უფრო მოჩქარეა, ვიდრე გრძელზე, და ფიქრებს ხეირიანად ვერ ალაგებს. გრძელ გზაზე კი კაცი დინჯ სიარულს ირჩევს (მოჩქარე ტრანსპორტს მიმართავდა). ხოლო რაკი ნელა მიიბიჯებს, საკუთარ თავთან გულდინჯად მსჯელობს და ფიქრებიდან გონივრულ დასკვნებს აკეთებს. ტექნიკისა საერთოდ და კერძოდ ტრანსპორტის განვითარების დედვანდელ პირობებში თუ არა სპორტული ჟინი ან იძულება, ოთხნოც კილომეტრზე ფეხით აღარავინ დადის. მაგრამ ანგარიშგასაწევი, რომ წინაშე ახალი ამოცანებისა მეტად სასარგებლოა ყველაფრის გულდასმით მოსაფიქრებლად ზომიერი ნაბიჯით გრძელი მანძილს გავლა. ამავე დროს, შენც იცი, ლევას სასიყვარულო კრძალვა

ახასიათებს ყველა ჭერის მიმართ. ნებისმიერი საცხოვრისი ლევასთვის არაა მხოლოდ ბუნების ჭირვეულობისაგან დამცავი თავშესაფარია, არამედ უპირველესად არის საიმედო სავანე, სადაც აღამიანთა ურთიერთობის სითბო ისადგურებს. შეგნებული აღამიანი კი ვალად მიიჩნევს, ის, რაც უყვარს და სწამს, ჩაუწეროს მათაც, ვინც მისთვის ძვირფასია. ლევა მთელ გზაზე ისე შეეცდებოდა, რომ მას თავის ამალით სხვადასხვავან თევა ან უბრალო შეფარება დასჭირებოდათ, რათა ციური-საც და მის აღსაზრდელებსაც მრავალი ჭერის სიკეთე განეცადათ და სამუდამოდ მადლიერებით დახსომებოდათ.

ისევე, როგორც ოდესღაც ბაადურმა და ლევამ, როცა ლევა გურისა და ტიტესთან ერთად ცალკე საცხოვრებლად გადადიოდა, ჭერის ხსენებაზე ჭერს ახედეს, ასე ახლა თვლი ერთდროულად მაღლა გაეჭყათ ბაადურს და ბედიას. მაშინ ჭერი წმინდა ბზარებით დაქსეულილი და ნესტისაგან დალაქავებული იყო, ახლა კი — საიმედოდ შეკეთებული და ქათქათა.

25

გაახლებული კი დიდი ხანია უკვე იყო არა მხოლოდ ჭერი, — მთლიანად ბინა. ეს ჯერ კიდევ ქორწინებამდე მოხდა და მაშინ ხელოსან მუშებთან ერთად გატაცებით იშრომეს თავითფეხებამდე საღებავებში ამოთითხნილმა ბაადურმა და ქეთევანმაც. მეტი ღვაწლი ქეთევანს მიუძღოდა, რადგან ბინის ახალ ელფერზე მოყვანა მისი თაოსნობა იყო და მუშებს მკლავებაკაპიწებული შველოდა მაშინაც, როცა ბაადური სამსახურში იყო.

ეს კარგად იცოდა ბედიამაც. ბედიამ ჭერს თვალი მოაცილა და ისევ ქეთევანი ახსენა.

— ქეთევანს თავისი სოფელი ძალიან უყვარს.

— უკვე ძალიან გიყვარს შენი სოფელი შენც.

— მეც მიყვარს. სოფელი მე სამსა-

ხურმა და გულგაწლილმა ადამიანებმა შემაყვარეს. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ გარემო, სადაც მუშაობ, გიყვარდეს კიდევ. რომ სამსახურისკენ მიგიხზაროდეს. ამისათვის აუცილებელია სამსახურში იყო ერთფეროვანება, ნდობა, გულის სითბო და მოვალეობის პატივისცემა. ჩემი შრომითი საქმიანობა მასწავლებლობით დაიწყო და ალბათ აღარც მოვწორდები სკოლას. იმ, აწ უკვე მართლაც ჩემი სოფლის სკოლაში კი, სადაც პირველად შევედი როგორც მასწავლებელი, სწორედ ასეთი გარემო დამხვდა. გარემო, რომელიც კაცს უცებ აშინაურებს. ამიტომ მუხალისა მუშაობაც. ამიტომ თავიდანვე შემიყვარდა მთელი სოფელიც. იქვე დამატყდა მე ჩემი უბედურებაც. მაგრამ ნანი იმით კი არ დავსაფლავე ჩემს სოფელში, რომ იქ ვცხოვრობდი. ასე იმით მოვიწოდებ, რომ უკვე აღარ მქონდა გადაწყვეტილი სამუდამოდ იქ დარჩენა. თორემ გამომქცევი რომ ვყოფილიყავი, ნანის თბილისში ჩამოვასვენებდი. შემდეგ კი, მეც აღარ დამიჭერდნენ, თუ ავიხივებდი, რომ სადაც მეუღლე დავკარგე, იქაურობას სულიერად ვეღარ ვიტან-მეთქი. კაცმა რომ თქვას, ან რად უნდა დავიძრე საითმე, თუ კი სოფელიც ანგარიშს მიწევს და მათებს! მით უმეტეს, რომ იქ უკვე მეორე საფლავიც გავიჩინე. მაგრამ მე სულ სხვა აზრით ვახსენე ქეთევანი, შენ კი სხვა ლიანდაგზე გადამიყვანე. ქეთევანს კიდევ დაავიანდება? — მე მგონი აღარ.

ბაღურმა გარკვეულად არაფერი იცოდა ქეთევანის ჩამოსვლის შესახებ, მაგრამ ასე იმით თქვა, რომ მიხვდა ბედისა ესაიპოვნებოდა. ბედია ქეთევანის ჩამოსვლას შეიძლება იმით კითხულობდა, რომ ეს მისი პაწია ნანის ჩამოსვლაც იქნებოდა და მამა ბოლოსდაბოლოს ისურვებდა გოგონას ნახვას.

უკვე საღამო იყო და მათაც როგორც წინა დღეს ამ დროს ისევ იგივე ქუჩის ფანჯარასთან გადაინაცვლეს.

ბედიამ რამდენჯერმე აღმაცერდა სედა კონიაკისა და ლუდის ბოთლებს. მაგრამ ბაღურმა მას სასმელზე ფიქრი არ მიაკრებინა.

— ბავშვები ძალიან მომენტარენ. ერთი სული მაქვს რომ ჩავიხუტო.

— დიდი ჩამუტტებელი რომ არ მყავხარ?

— ვითომც ბავშვები არ მიყვარს?

— რა ყირამალა აზრი მოგივიდა? როგორ არ გიყვარს! აი, მხოლოდ ალერსი არ გამოგდის.

— ახლა გამომივა.

— თუ გამოგივა ყოჩაღი ბიჭი იქნები.

— ბიჭი დიდი ხანია აღარა ვარ. თუ გამომივა — დაახლოებით ოცდაათშემეტი წლის ყოჩაღი კაცი ვიქნები.

— ჩვენს საბედისწერო ასაკში ვართ?

— ასაკით მე არც თავს ვაშინებ და არც სხვას. მხოლოდ ის დამაფიქრებს ხოლმე, რომ დრო საოცრად სწრაფად მიჰქრის. მაგალითად, თითქოს გუშინ იყო სოსოს ფრონტზე წასვლა, დღეს კი სოსო უკვე ისტორია არის. ბევრს კი ის იქნებ აღარც ახსოვს. ჩვენ, მართალია, არ დაგვიწყებია სოსო, მაგრამ დრომ მის სიკვდილს შეგვარივა. იცი, როგორღაც საუბარში გურიმ ამფორაქა — ომის დროს ბევრი უკვალოდ დაკარგული ან დაღუპულად გამოცხადებული, ახლა მოულოდნელად მკვდრეთიდან აღმდგარივით ჩნდება და აი, იქნებ ერთ მშვენიერ დღეს სოსომაც შემოვიდოთო კარი! მე კი, სუსტი გულისა თითქოს არა ვარ, მაგრამ გურის იმ დაგულების შემდეგ კარის ყოველი უდროო კაკუნი მაკრთობს.

მათ სმენამდე სწორედ კაკუნის მსგავსმა ხმამ მოაღწია და ორივე უცებ დაიძაბა. კაკუნი არ გამეორდა. მანასა-დამე, საჭირო იყო პირველ კაკუნზე გახედვა. ორივემ ერთად აღელვებით და მოუთმენლად გამოაღო კიდევ კარი, მაგრამ ზღურბლზე არავინ იყო.

**გიორგი ვალაშვილი**

**გვიფარავს მრავალი ზნე**



კარის კაკუნი ნატვრის ახდენის მოჩვენება გამოდგა.

— სასწაული არ მოხდა... — დარცხვენილ ხმაზე თქვა ბაადურმა, როცა ისინი ისევ ფანჯარასთან დასხდნენ.

— არ მოხდა... — ნაღვლიანად გაიმეორა ბედიამაც.

— მისმინე. გუშინ საღამოს მოედანზე რომ პატარა ქალი შეგვხვდა, რომელიც ვერც სახით, ვერც სახელით ვერ გავიხსენეთ, — ხმადაბლა მოიგონა ბაადურმა, — მშვენიერი ადამიანი ჩანდა.

— ფუნჩულა და ფაქიზი პატარა ქალი, რომელსაც ქმარ-შვილთან მიეჩქარებოდა, — შეეშველა მას უცნობი და არც უცნობი ქალის დახასიათებაში. ბედია, — ქალი გულწრფელი და მიაშიტი, რომელმაც აქამდე მოტანილი მეგობრობა მადლიერად შეგვიქო და მომავალიც საესე გულით დაგვილოცა. მართლაც მშვენიერი ადამიანი ჩანდა.

— ასევე მშვენიერი ადამიანი ჩანს შენი ანიკო. — ახლა ბედიას სოფლის სამკითხველს ერთადერთი მესვეური ახსენა ბაადურმა, ბედიამ კი ამაზე მხოლოდ წარბები შეყარა და არაფერი თქვა. იგი ვერ გაერკვა ნანისადმი მის ერთგულებას სცდიდა ბაადური თუ ნამდვილად მეორე ცოლის მოყვანის აზრს აპარებდა.

— შენ მგონი სიტყვა სწორედ ვერ გამიგე. — ენაზე იკბინა ბაადურმა. — უბრალოდ, ერთი კარგი ადამიანის ხსენებაზე გამახსენდა მეორეც. „შენი“ კი იმიტომ ჩაუერთე, რომ ანიკო შენ სოფლის ისტორიის წერაში ხელს გიწყობს. მართლა, როგორ მიდის შენი სოფლის ისტორიის საქმე?

— კარვად მიდის. — მთლად ვერ გახსნა შუბლი ბედიამ. — წერა დავასრულე კიდეც. ახლა მანქანაზე სწორედ „ჩემი“ ანიკო მიბეჭდავს. როცა მზად იქნება, ჯერ მთელ ჩემ სოფელს წავუყუთხავ და იმის მიხედვით თუ რა შეხედულება გამოითქმება, მის შემდგომ ბედზე მერე ვფიქრებ.

კარიდან ისევ ხმაური მოედინებოდა. უკვე ნამდვილი კაკუნი იყო.

ქალბარა და შაოსანი, მორიდებული ქალი, რომელსაც ბაადურმა კარი გაუღო, მან თითქოს იცნო. და ვერც იცნო. ქალი ორმოცი წლისაც არ იქნებოდა, მაგრამ მისი საკმაოდ შნოიანი და მეტყველი სახე გადატანილ ჭირვარამს ნაადრევად შეეღაზნა. იგი დიდი სითბოთი და ალერსით შეაქტერდა ბაადურს, მაგრამ მას გაოცება და დაბნეულობა შეამჩნია და თვითონაც შეტბა.

— მე ხომ არ შეეცდი? მე ბაადურ ამირიძესთან არ ვარ?

— ბაადურ ამირიძე გახლავართ.

ქალს აღელვებისაგან სახე აუცახცახდა და დაბადუპით ცრემლები გადმოსცივდა. თან მორთოლვარე ხელები ბაადურის ლოყებს შეახო, მოფერა, მოესიყვარულა, ბოლოს კი მკერდზე მიეხუტა. ხოლო გაოგნებული ბაადური გონებას გამალებით აწვალებდა გამოცანის გასარკვევად და უცებ გაეხსნა კიდეც მეხსიერების საჭირო კარი.

— თამარ! — მთელი გრძნობა ამოაყოლა ბაადურმა ქალის სახელის ხსენებას. — რამდენს ვფიქრობდი შენზე ეს წლები, ვინ დათვლის! სადაც არ უნდა ყოფილიყავი მოგიკითხავდი კიდეც, მაგრამ შენი ასავალ-დასავალი ვერავისაგან გავიგე. ბუნდოვნად მიტხრეს შენმა ძველმა მეზობლებმაც — სალდაც სოფელში გაიხიზნაო. თამარ! თამარ!

— მე ვარ, შენი ჭირიმე. არც მოველოდი, რომ დარდისგან უცებ დაბერებულს შენ მაინც მიცნობდი. როცა ჩემიანი ყველა ამომიწყდა, მე მართლაც სოფელში გავიხიზნე. თითქოს დარდი იქაც არ წამყვებოდა! ახლა უკვე წელიწადია აღარც სოფელში ვარ და აღარც თბილისში. სოფელში ჩემსავით დათალბული ნათესავების ცქერას ვეღარ გავუძელი და გამოვიქციე. ვფიქრობდი, მეცხოვრა ისევ თბილის-



ში, რომელთანაც მეტი რამ აკავშირებდა ჩემ დახოცილებს. მაგრამ თბილისში ბინა აღარ მქონდა და დავჯერდი მახლობელ დაბას. ასე აჯობა კიდევ. დაბა უფრო სოფელი აღვილია და, როგორც ავრონომს, სამუშაო იქ ხელათ მომიხერხდა.

ქალმა ბაადურის მკერდიდან თავი აიღო და მას ცრემლით სავსე თვალები მადლიერად შეაყეცა. ახლალა შეამჩნია მან მასპინძლის უკან გარინდული ახალგაზრდა კაცი, რომელიც მათ შესვენდრას ნაკლებად არ აედევებინა.

— ეს ბედია კობიძეა, თამარ, ჩემი და, მამასადავ, სოსოს მეგობარიც. — თამარს უსიტყვო შეკითხვაზე უპასუხა ბაადურმა.

— ბედია კობიძე გავებით მგონი გამოვიდა, მაგრამ სახეზე არ მახსოვს. — საწყლად მოიბოდიშა თამარმა. — ძალიან ვიწროდ რომ ვცხოვრობდით, სოსოს ყველა ამხანაგი ალბათ იმიტომ არ მოდიოდა ხოლმე ჩვენსა. შენ კი, — ისევ ბაადურს შესცქირა მან, — უცებ რომ ვერ გიცანი, ეს მაპატიე. მე ხომ ჩემი უბედურების გამო ერთხანს გონებაზე ბურუსი ვადამეფარა და მთლად გამოკეთებული ახლაც ვერ ვარ. დიდი ხანიცაა აღარ მინახიხარ. ცოტა შენც გამოცვლილხარ. ისე კი, რაც ხანი განგებამ ისევ საამქვეყნოდ დამაბრუნა, შენთან მოსვლა ბევრჯერ დაეპირე, მაგრამ ყოველთვის მოგერიდე. უკვე გაყუჩებული სატიკივარი სხვას რადღა ავუშალო-მეთქი! მაგრამ აი, ეურნალე შენი წერილი წავიკითხე სოსოზე და როგორღა შემეძლო არ მოვსულიყავი, თუნდაც მარტო იმის სათქმელად, რომ მე, დეიძლ დას ისე არ მცნობია სოსო, როგორც შენ, რაც არ უნდა იყოს, სხვა დედ-მამის შვილს. ხოლო ძმებმკვდარ დას თუ კიდევ რამე ვამახარებდა, აღარ მეგონა, მაგრამ, აი, ახლა მე სულელივით ვიციანი.

სამი ძმის ჭირისუფალმა დამ თავისი მწუხარებით სახლი კი არ დასუდრა, სახლში მეტად ადამიანური სიბზო შე-

მოიტანა და შემდგომი სამთა გრძელი გულითადი საუბარი გატაცებულ მოქმედთა მხურვალე მეცადინეობით ერთი გარდასული ღირსეული ახალგაზრდა კაცის ძეგლად გამოკვეთას დაემსგავსა. უმცროსი ძმის მეგობრებთან შეხვედრით და საუბრით გულგამთბარი თამარი მათ გვიანდამა ძველრბეული ბოდიშებით დამშვიდობა, ამდენი დრო რომ წაართვა.

— ახლა კი თვალისა აღარ დაგაკარგავ. ოღონდ, ხშირად არ შეგაწუხებ ხოლმე. — წასვლის წინ ერთხელაც სიყვარულით შეხვდა მან ბაადურს, ორივეს კი შეეხვეწა არ გაცილებინათ, რადგან თითქოსდა ამდამინდელ წარუშლელ შთაბეჭდილებებთან მართო დარჩენას ეწურებოდა. თამარი მართლაც აჩქარებული წავიდა. ბაადური და ბედია კი ერთმანეთს ისეთი სახით შეაჩერდნენ, რომ აშკარა იყო ორივე მხოლოდ ერთი და იგივეს ფიქრობდა: აი, მთლად სასწაული თუ არა, ნახევრად სასწაული ხომ მაინც მოხდა ჩვენს წინაშე!

27

შემდეგსავე კვირა დღეს კი უკვე ბაადურმა და ბედიამ გააოცეს თამარი.

ბაადური და ბედია დაბიდან განაპირებული გრძელი ფიცრული ბარაკის წინ იდგნენ და უცდიდნენ ფანჯრებში ვინმეს გამოეჩნას, რომ თამარის ოთახი ეკითხათ. პირველივე კი, ვინც ერთ-ერთი ლამაზფარდიანი ფანჯრიდან გამოიხედა, თვითონ თამარი იყო და იგი მათ ადღევებული გარეთ გამოეგება. — ჩემთან ჩამოხვედით, ჩემო საყვარლებო? ეს რა გულთბილი ბიჭები ყოფილხართ! მე კი ნეტავი მოვკვდე, რომ ოთახში ვერ შევიყვანო. ჩვენს ვიწრო უჯრაში სამი ვცხოვრობთ და იმ ჩემ ორ მეგობარს ახლა სძინავთ.

— სახლში შემოსვლას არც თვალისწინებს ბაადურის რაღაც ჩანაფიქრი,

**ვიორობი ბალაშვილი**  
გვიზარავს მრავალი ჰერი



რომელიც პირადად თქვენ შეგეხებათ, მაგრამ რა წინაარსისაა გეგმა, ეს ჯერ მეც არ ვიცი. — უპასუხა თამარს ბედიამ, ბაადურმა კი სთხოვა მათ გაპყოლოდა.

დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ სამივე გიტოს სახლის წინ იდგა. სახლს თამართან ერთად პირველად ხედავდა ბედიაც, მაგრამ ბედიამ ყურმონაკრავიდან მაინც იცოდა, რომ ასეთი სახლი არსებობდა, თამარისათვის კი ეს სრული მოულოდნელობა იყო.

მყუდრო კარმიდამოს შემოდგომის პირზე ახალი იერი მისცემოდა და საუცხოო სანახავი იყო. ტყეში ჩამალული კობწია სახლი სრულიად საღადაც გამოიყურებოდა, ეზო-ბოსტანი კი სასიამოვნოდ კრიალებდა, ხოლო გარშემო ყველაფერს თითქოს ცეცხლი წაჰკიდებოდა, ისე წითლად და ყვითლად ბრიალებდნენ მალა აზიდული ხეები.

თამარისა და ბედიას თვალში ეს პატარა სამოთხე იყო. ბაადურთან ერთად ისინი მოხიბლული უმზერდნენ პატარა სამოთხეს, როცა მათ შეუერთდათ ბაადურისაგან წინასწარ გაფრთხილებული თაყა მინდაძე და ოთხივე სახლში შევიდა.

— აი, ეს სახლი და კარმიდამო, თითქმის შენ გეანდერძა. — უთხრა ბაადურმა თამარს, როცა საღად მოწყობილი და სუფთად დალაგებული ერთი თვალი სახლი შეივინდანაც დაათვალიერეს. თამარმა უცნაურ ცნობას აზრი ვერ გაუგო და ერთი პირობა წამოენთო, ხომ არ დამეცინიანო. ბაადურმა კი სევდანარევი ღმილით მშვიდად განაგრძო. — ეს ყველაფერი გიტოს ნაცოდვილარი და საკუთრებაა. ოღონდ აღარ არის თვითონ გიტო. არის მარტო მისი ანდერძი, რომლითაც სახლი თურმე მომაკუთვნა მე, როგორც სოსო მოლოდინის მეგობარს. აი, ახლა კი, როცა გამოჩნდი შენ, შენ კი თითქმის უსახლკარო ხარ, ამავე დროს ხარ სოსოს უფრო ახლობელი ადამიანი — ღვიძლი და, ვიდრე მე, რაც არ უნდა

იყოს, სხვა დედ-მამის შვილი, <sup>სახლის</sup> შენ უნდა დაეპატრონო. მით უმეტეს, რომ მე და ჩემ ცოლ-შვილს სახლ-კარი გვაქვს და სხვა სახლი აღარ გვჭირდება. ეს სიმბოლიურიც იქნება! მრავალი წლის წინ სწორედ მოლოდინების ოჯახმა მიუჩინა ბინა უსახლკარო გიტოს, ახლა კი გიტოს უპატრონოდ დარჩენილ სახლში შევა მოლოდინების ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

— უქანასკნელი წარმომადგენელი! — მწარედ ამოიკენესა თამარმა და სახეზე ხელები აიფარა. შემდეგ მან ცრემლები უცებ შეიმშრალა და ამაყი სახე მიიღო. — მთავარი ეს არ არის. ჯერ გიტოს საფლავი მაჩვენეთ და ეს მერე გადავწყვიტოთ.

28

გიტოს საფლავთან თამარს ცრემლი აღარ გადმოვარდნია, მაგრამ დიდხანს მწუხარებით გარინდული იდგა.

— ასე, ჩემო დაო, — ფრთხილად და გულისსმიერად დაარიგა იგი თაყამ, როცა სამმა კეთილმყოფელმა მამაკაცმა ქალი სასაფლაოდან გაიყვანა, — ბაადურმა ყველაფერი კარგად გითხრა. სამადლოდ არავისაგან არაფერს დებულობ. თითქოს თვით განგებას უნებნია ასეთი თანამთხვევა. აქვე ახლოს გქონია სამუშაოც. მე არ ვიცი, რა დარგის აგრონომი ხარ, მაგრამ, ცხადია, ტყის საქმეც გეცოდინება და თუ არ დაიზარებ, მიხედავ ხოლმე ამ მოზარდულ ტყესაც, რომელსაც გიტო უვლიდა. ქალი ხარ და იქნებ თავისთავად მხოლოდ ღამის სიბნელემ შეგაკრთოს ხოლმე. სხვა აქ საშიში არაფერია. ადამიანები არავის არაფერს ერჩიან. არც ძალიან შორს გეყოლებით მეზობლები. ტყიურთაგან კი აქ მარტო შეველი თუ ჩამოივლის ხანდახან, მაგრამ ქალი და შეველი ერთმანეთს კარგად შეეჩვევიან. ასე რომ, დასახლდი. მოვირიდით?

თამარმა არც „პო“ თქვა და არც „არა“.



— ვნახოთ. ხოლო, თუ დაგიჯერებთ, მაშინ მე ამ სახლს საბავშვო ბაღივით გავხდი. დამახვიეთ ხოლმე მაშინ თქვენი უჭულ-ბუჭულები და მე ჩემ სამსახურსაც აუვალ, ტყესაც და ბავშვებსაც. თქვენ ხომ გყავთ ბავშვები? — ბაადურსა და ბედიას ისეთი თვალით შეხედა თავათ უქმარწვილოდ ლამის დაბერებულმა თამარმა, რომ თუ კარგ პასუხს ვერ გაიგებდა, ალბათ გული საშინლად დასწყიდებოდა. — ეს იმდამესვე უნდა მეკითხა, როცა მოულოდნელად სახლში მყოფდნობა დაგირღვიეთ. მაგრამ მოგვრიდეთ, ემანდ რაიმე მტკივნეულზე არ დავაჭირო-მეთქი. ან-ლა ვითარებამ მოითხოვა მეკითხა.

— გვყავს რა თქმა უნდა. — უბასუხა ბაადურმა. — ორი — ბედიას. ორიც — მე.

— ჰოდა, კეთილი — თქვა თამარმა ზედ გზავასყარზე, საიდანაც მის ბარაკამდე სულ ახლო იყო, და დაფიქრებული იქით გაემართა.

გზავასყარზე ეყენა თავისი უცხო ჩიტი-მანქანა თაყასაც და მან პირვევლად ბედია ააქანა მის სოფელში. მთელი ეს გზა სამივე რაღაცას ფიქრობდა და ჩუმად იყო. პირველმა დაილაპარაკა ბედიამ და ისიც მაშინლა, როდესაც მანქანიდან ჩადიოდა.

— უნდა ასე გეთქვა: ბედიას სამი შვილი ჰყავს, მე კი — ორი. — გაუსწორა მან ბაადურს თამარისთვის ნათქვამი, თვითონ კი პასუხს არ დაუცადა.

— სწორე გითხრა? — მოიცნობის-მოყვარა თაყამ, როცა მანქანა მოაბრუნა.

— სწორე მითხრა. ის ერთი ბავშვი, რომელიც ბედიას შვილია, მაგრამ უბედურების გამო ჩემ შვილთან იზრდება, ორივესთვის უნდა მიმეთვალნა.

— ვიცი მე ეგ თქვენი ამბავი... — სინანულით თავი გააქნია თაყამ. — ყასილად ვიკითხე. რაც მე და შენ შევრიგდით, შენზე და შენ მეგობრებზეც ბევრი ვავიგე... კარგი ბიჭები ხართ.

ბაადურმა კი იცოდა, რომ თაყას არა

თუ გაგებული ჰქონდა მის მეგობრებს შუა, კერძოდ, ბედიას ხშირად აკითხავდა კიდევ სოფელში და გაჭირვებაში ყურადღებას არ აკლებდა.

როდესაც მანქანა ისევ დაბას უახლოვდებოდა, უკვე სწრაფად ბინდებოდა. თაყამ მანქანას სვლა შეუწედა და ორივემ საგულისგულოდ მდინარის გაღმა მადლობ ტყეს გახედა. ტყე უკვე საკმაოდ შეფერთხილი იყო და თავის ყველა საიდუმლოს საიმედოდ ვეღარ ჩქმალავდა. ამიტომ დაკვირვებული თვალი ტყის შორეულ სიღრმეში გააჩჩევდა ერთადერთ მბუჭტავ წერტილსაც, რომელიც გიტოს სახლის სარკმელი იყო. იმ სახლში კი, თუ არა თამარი, სხვა სინათლეს ვერავინ აანათებდა.

ბაადურმა და თაყამ ერთმანეთს გამარჯვებულივით გაუღიმეს. თაყამ თან მანქანის სიჩქარე ისევ გადართო.

— იცი, მე მავ ქალს ვიცნობ.

— არ მიკვირს. შენ დაბაში თითქმის ყველას იცნობ.

— არა. თამარი მე დაბაში არ მინახავს. სურათიდან ვიცნობ.

— რომელი სურათიდან?

— იმ სურათიდან, რომელსაც გიტო ბალიშის ქვეშ მალავდა. მიხვდი, რაში ყოფილა საქმე?

ბაადურმა პასუხი დიდხანს დააყოვნა.

— მიეხვდი. — ხმადაბლა თქვა მან ბოლოს. — მერე, შენ რამე ცუდს ხედავ იმაში, თუ გიტოს თამარი თავისთვის ჩუმად და მალულად უყვარდა?

— არაფერს ცუდს არ ვხედავ! — საჭის კვერი ციბრუტივით დააბზრიოდა თაყამ. — სურათის მიხედვით, თამარი თავის დროს უფრო დიდებული შესახედაობის ქალი ყოფილა. მაგრამ, სჩანს, სხვა ლამაზმანებივით ზვიადი არ იყო, თუ კი ბედისაგან დასეტყვილ სახიარს მისთვის თუნდაც უიმედო ტრფობა შეუბედნია. საწყალ გიტოს

გიორგი გელაშვილი  
გვიზარავს მრავალი ვაჟი



ბედნიერებად ალბათ მარტო ესეც ჰყოფნიდა.

მანქანა კი თანაბრად მიგორავდა და თბილისს უახლოვდებოდა.

მიუხედავად ვიტოზე გულში გავლუბული კიდევ ერთი სევდისა, ბაადურს მთელ გზაზე თბილისამდე თავისთვის სიამოვნებით ეღიმებოდა. ეს იმის გამო, რომ თითქმის დავიწყებიდან მოვლენილ, ცხოვრებაში უმკაცრესად დაჩაგრულ სათნო და გულთბილ თამარს ბოლოსდაბოლოს ერთი სიკეთე მაინც ერგო. და იმის გამოც, რომ ასევე ბოლოსდაბოლოს ბედისას თავის ნაბოლარა გოგონაზე გული უბრუნდებოდა. თუმცა პატარა ნანის სხვის ხელში გადაცემა ქეთევანს და ბაადურს გაუჭირდებოდათ. ინალვლებდა ნანიკოზე მათი ჯერ უქკუავონებო სოსიკოც.

ოდესღაც, ჭაბუკობის ხანს, ბაადური და ბედია, როგორც ბევრი მათი თანატოლი, თავგამოდებით გაიძახოდნენ, რომ ოჯახის უღელს ქედზე არასდროს დაიდგამდნენ. მაგრამ ამტკიცებდნენ მაშინ ამას არა თავქარიანობით, არა უზრუნველობით. მათ ნამდვილად სჯეროდათ, რომ ასეც იქნებოდა, რადგან ცხოვრების ბევრი კანონი არ გაეგებოდათ.

ახლა კი ისინი შეურევბული ფიქრობდნენ შვილებზე და მომავალსაც გასტკეპროდნენ. ცხოვრების კანონიც ეს არის. ეს არის ცხოვრების აზრიც.

ბაადური თავის ფიქრებს უკავშირებდა თავსაც. თავსაც, რომელიც თანდათან ისე მოსწონდა, რომ მთელ გულსაც გადაუწლიდა. ადრე კი, იგივე პიროვნებას ურიგო კაცად თვლიდა, რაკი მასთან წაყინულაგება მოუხდა. თაყა მის წარმოდგენაში ასეთივე დარჩებოდა, თუ არა მოვლენათა ბოლოდროინდელი ვითარება, რომლებმაც ამ კაცის ნამდვილი სახე დაანახვეს. მაშასადამე, არსებითი მნიშვნელობა

აქვს კაცი ერთი ანაზღეული შთაბეჭდილებით არ გასწირო.

— შენ ერთ კარგი ბიჭი ვავიზრდია. — სიჩუმე თაყამ დაარღვია, თითქოს შეატყო, რომ ბაადური ლეგაზე ფიქრამდე უნდა მისულიყო. — ახლა კი, მგონი, გულში ებუტები, რომ წერილებს არ გწერს.

ბაადურმა გულთმისან კაცს გაოცებით შეხედა.

— მართლაც არ მწერს და გული მომდის.

— მაგაში სწორი არ ხარ. მე ვფიქრობ, მჯერა კიდევ, რომ უცდის ცხოვრებაში რაიმე არსებითი გააკეთოს და მოგწეროს მაშინ, როცა მოსაწერი ექნება.

თაყას უბრალო განმარტებამ ბაადურს ერთი აბეზარი საგონებელი აღვილად მოაწორა და იგი უფრო კარგ გუნებაზე დადგა. კმაყოფილმა ბაადურმა მანქანა თავის მოედანზე გააჩერებინა თაყას და მადლიერი ღამემშვიდობისა უსურვა.

საგრძნობად, გრილი, მაგრამ წყნარი საღამო იყო. ბაადურს სახლში არ ეჩქარებოდა, გუნებაში კი უჯდებოდა ვინმე კარგ თანამოსაუბრესთან შეხვედრა. მაგრამ მარჯანიშვილის მოედანზე დაუთქმელი შეხვედრები დიდი ხანია მოიშალა. აი, ასე საღამოობით ხანდახან მოედანზე მარტო ბაადური გამოჩნდებოდა ხოლმე, მაგრამ ძველ ნაცნობებს ვეღარ ხვდებოდა და ისევ სახლში მიდიოდა. ის შეხვედრები, მართალია დაუთქმელი იყო, მაგრამ გარკვეულ პირთა შორის წესად ქცეული ჩვეულება ხომ დაუწერელ კანონს ეთანაბრება! ამიტომ დალატს ჰვავდა ძველი ამხანაგებისაგან კარგი ჩვეულების დავიწყება. ისე გამოდიოდა, რომ მათ უკვე მიადწიეს ასაკს, როდესაც უერთმანეთოდ ადვილად სძლებენ ან ოჯახმა და სამსახურმა ამხანაგებთან შეხვედრის ხალისი გაუბათილა. მაგრამ, ვანა ბაადურს ვინმეზე ნაკლები საზრუნავეი ჰქონდა? მასაც უკვე აწეა



ოჯახი და სამსახურშიც საქმე არ ელედოდა. ამის მიუხედავად, არ შეეძლო ცოტა ხანს მაინც არ გასულიყო ხოლმე საყვარელი მოედნისთვის თვალის შემოსაგლებად. ხოლო რას აკეთებდნენ ასეთ საღამოობით ისინი, ვინც წინათ უამმოედნოდ ერთი დღეც ვერ სძლებდა? ისინიც წერდნენ და კითხულობდნენ, რაც სჭირდებოდათ. მაგრამ, ცხადია, ერთით თუ მეორეთი ისე არ იყვნენ შეპყრობილი როგორც ბაადური და მთელ თავისუფალ დროს ამაზე არ გააცდენდნენ. მაშასადამე, თავისუფალ დროს უთმობდნენ ახალ ნაცნობებს, რომლებიც ბაადურს ერჩიათ.

ერჩიათ და ერჩიოთ!  
და მაინც ამხანაგებზე ჩუმად ნაწყენი ბაადური მოედანს არ დაივიწყებდა. როცა კი შეეძლებოდა, მას ყოველთვის მოეველინებოდა, განურჩევლად იმისა, ექნებოდა თუ არა აქ ვინმეს გამოჩენის იმედი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მაინც ვინღა უნდა გამოჩენილიყო, როცა ძველი ამხანაგებიდან ზოგი თბილისში აღარ ცხოვრობდა, ზოგიც ცოცხალი აღარ იყო! მაგრამ, აი, საერთოდ, კარგი ნაცნობები რალამ გამოლია? უბრალოდ კარგი ნაცნობები, რომლებიც ზოგ დიდიხნის მოტმასნილ დვარძლიან პიროვნებებს სჯობიან!

ახლა დრო არც აქეთ იყო, არც იქით — დამის ათი საათი. ისინი, ვისი დანახვაც ბაადურს გაეხარებოდა, თუ სახლში ისხდნენ, ახლა გარეთ აღარ გამოვიდოდნენ. ხოლო თუ გამოსული იყვნენ, ალბათ ისხდნენ კინოში ან თეატრში, ანდა სხვაგან სადმე ერთობოდნენ და ბაადური მათ მაინც ვერ შეხვდებოდა. რა თქმა უნდა, შეეძლო გაეღვამოეღვლო მარტოსაც, მაგრამ ასე თუ იზამდა, იქნებ მას გულში დამაკვირებელ თანაგრძნობას გამოუცხადებდნენ გარეშე ნაცნობები, ვინიცობაა ძველი მეგობრებისაგან მიგდებულ კაცად ჩათვლიდნენ. ბაადურმა მოედანზე ცაცხვის ქვეშ დგომა გადა-

წყვიტა. თუმცა ისევ მარტო იქნებოდა და ასეც გარეშე ნაცნობთა სიბრაულულს გამოიწვევდა. ოღონდ, თუ ნამდვილ მოკეთებთან შეხვედრა ამ დამით მაინც ელოდა, მათ უფრო მოედანზე გადაეყრებოდა, რადგან ყველაზე საგარაულო შეხვედრის ადგილი სწორედ მოედანი იყო. ბაადური დიდხანს მაინც არ იდგებოდა, მოსწევდა ორად-ორ სიგარეტს და თუ ამ დროში არავინ გამოჩნდებოდა, მაშინ უკვე ეძინებოდა თუ არ ეძინებოდა, ეწერებოდა თუ არ ეწერებოდა, სახლისკენ გასწევდა. თუმცა, აღარც მთლად ახალგაზრდა კაცის ერთ ადგილზე უქმად ტყეპნას თუ ვინმენი რალაც კულებს არ წააბამდნენ, ბაადურს მარტოც კი გათენებამდე შეეძლო მდგარიყო მოედანზე, რომელიც ცოცხალივით უყვარდა და არასდროს მოგებზრდებოდა.

ამ მოედანს კი უწინ რალაც კირკა ერქვა, შემდეგ ეწოდა ეორესის სახელი და ბოლოსღა ებოძა ყველაზე უფრო კუთვნილი და კანონიერი — მარჯანიშვილისა.

სახლში წასვლაზე ბაადურს უცებ ყველაზე საშინელი ფიქრი მოუვიდა. ბაადური და ქეთევანი დიდი ხანია როგორღაც გაყოფილებივით ცხოვრობდნენ. ქეთევანი ბავშვებით უმეტესად სოფელში იყო. წავიდოდა ხოლმე თითქოს მხოლოდ რამდენიმე დღით ან ორიოდ კვირით, სინამდვილეში კი მთელი თვეები აღარ ჩამოდიოდა. ხოლო ბაადური თბილისში ძველებურად მარტოხელა კაცივით ცხოვრობდა. საშინელი ფიქრიც სწორედ ამ გარემოების გაზარებამ წარმოშვა. მათი ასე გაყოფილი ცხოვრება შეიძლება საექვო კურკურის საგანი გამხდარიყო. შეიძლება უკვე ლაპარაკობდნენ კიდევ, რომ მათ შორის შავმა კატამ გაირბინა. უფრო მეტად ააღელვა ბაადური ამ პირველ ექვზე აგებულმა მეორე ექვმა. ვაი თუ, ასე ცალ-ცალკე ცხოვ-

**გიორგი ვალაშვილი**  
გვიზარაზს მრავალი ჰერი

რებას შესჩვეოდა ორივე და ოჯახიც  
ნელ-ნელა დარღვეულიყო. ამის მარტო  
წარმოდგენაზეც კი ბაადურს გული ცუ-  
დად შეუთამაშდა. მაგრამ ბაადური  
გაამხნევა უმალ მიღებულმა გადაწყვე-  
ტილებამ, რომ ოჯახის საქმეს დაუყოფ-  
ნებლივ მოაგვარებდა. ბაადურს ხელათ  
გუნებაც ისევ გამოუკეთდა.

უცებ ჰაერი ოდნავ შეტოკდა. ცა-  
ხვის ფერნაცვალი და ყუნწში მოფა-  
ფალებული ფოთლები უღონო სიომაც  
კი ერთი დაბერვით დაბლა ჩამორეკა  
და ხისა და ბაადურის ირგვლივ ტრო-  
ტუარი ერთბაშად წრიულად გადააყ-  
ვითლა. ფოთლები ისედაც ქარვისფერი  
იყვნენ, ნათურის შუქმა კი მთლად  
დააოქროვა.

ბაადურმა ჩათქმული ორი სიგარეტი  
მოწია. უკვე წასვლაც დააპირა, როცა  
მის წინ მოულოდნელად ისევ ნაცნო-  
ბი უცხო ჩიტი-მანქანა გაჩნდა.

— შენ კიდევ აქა დგახარ? — გა-  
მოსცინა მას მანქანიდან თაყამ.

— აქა ვდგავარ. ვდარაჯობ, რომ ჩე-  
მი საყვარელი მოედანი არავინ დამი-  
ჩაგროს.

— მაგრამ ყოფილა ერთი სოფელი,

სახელად იღუმალი, რომელიც შენამდე  
მოედანზე ნაკლებად არ გიყვარს.

— მე იღუმალი მართლაც მიყვარს.

— მე კი ის იღუმალი თვალითაც არ  
მინახავს.

— საქარველოში ყველა სხვა სოფე-  
ლი გინახავს?

— ყოველშემთხვევაში, შენი არ  
იყო, უნახავი ბევრი არ დამრჩენია.  
ის იღუმალი კი ტვინში იმიტომ ჩამე-  
ჭედა, რომ შენ ძალიან გყვარებია.  
მოვრიგდით?

— რაში უნდა მოვრიგდეთ?

— გატყობ, რომ მოვრიგდით! შენ  
მხოლოდ გზა მიკვლიე და ნახე თუ  
ამალამვე ცოლ-შვილს არ ჩაგახუტო.  
მე ბენზინით ყელამდე მოვმარაგდი.

— მოვრიგდით! — საჰის კვერზე  
ლაღად მუშტი დაჰკრა ბაადურმა, რო-  
ცა წამში თაყას გვერდით სავარძელზე  
გაჩნდა.

მანქანა თავის თანაბარი სვლით გა-  
გორდა.

წინ იღუმალი იყო, სოფელი, რომე-  
ლიც ბაადურს დაბადების ადგილივით  
სწამდა და უყვარდა, რადგან მასთან  
ცხოვრების ყველაზე არსებითი მოვ-  
ლენები აკავშირებდა.



ყველგან თქვენ თავს მავედრებენ  
საალაზნოს ხავერდები.  
მწვანე, მოსალბუნე ველი,  
სულის მოსაბრუნებელი.

საალაზნოს ხავერდები,  
ვაზის ფოთლის მწვანე ქობა,  
მოკვადები თუ დაგებრდები  
არც არადროს დამეთმოზა.

## შ ე ნ მ ა კ ა ტ ი ე

ფეხით შევდგომივარ უმადურად,  
ყვავილს უწყინარს და სანდომიანს,  
გული მიტკენია უნებურად,  
ვისი გულისტკენაც არ მდომია.  
ბევრჯერ შევლევვივარ ჩემთვის ძვირფასს,  
სხვისთვის მიმიცია მაგალითი.  
კაცის გულის ფსკერზე ჩამიყვინთავს  
და შიგ მიპოვია მარგალიტი.  
ბევრჯერ უნიათო გაჭირვებას  
თავი დავადწიე სასახელოდ,  
ალბად ამიტომაც არ მჭირდება

ვინმეს თანაგრძნობა გამახსენონ.  
და თუ შევდგომივარ უმადურად  
ყვავილს უწყინარს და სანდომიანს,  
გული მიტკენია უნებურად  
ვისი გულის ტკენაც არ მდომია.  
ვინმე თუ ზედმეტად მეცოდება,  
ჭირში თავი ჩემით  
თუ ვერ ვძლიე,  
ღმერთო, მაპატიე შეცოდება,  
ნებისმიერი თუ უნებლიე!

## შ ე ბ ო ნ ე ბ ა

შენ თუ სხვის თვალბეჭეში დაინახავ  
ფარულ ტკივილებს და მწუხარებას,  
რწმენით გაუნათებ სათნო სახეს,  
იმედდაკარგულს და უკარებას.  
შენ თუ დაინანებ უპატრონოდ  
სადმე მიტოვებულ ეზო ყურეს,  
თუ ძაღლს ხმას არ გასცემ უპატრონოდ,  
ხელში მშვიერი თუ შემოგყურებს.  
შენ თუ ტკივილებმა გაგახელოს,  
შეძლე უბოროტო გაცინება

და კაცს წამოიჩიოს სანახევროდ,  
შენ ნუ გაუბედავ დამცირებას.  
რა გინდ ფეხქვეშ იგრძნო ღიღი რწევა,  
მანც არ დაკარგო მიწის რწმენა,  
მოყვასს აპოვინე გზა და ფონი,  
სიტყვა ტკივილების მოსაფონი.  
შენ არ გაიხადო სასაცილოდ,  
კაცის ჭირვარამი, გაჭირვება,  
თუ გსურს მწუხარება ამაცილო,  
შეგძლო სიხარულით ატირება!

## ერთი თბილი სიტყვა

გავა დრო,  
დავიწყებას შევძლებთ,  
დამშვიდდი,  
ძვირფასო, ნუ თრთი,  
მეც ხელში გამჭრობია ბევრჯერ,  
იმედის ფერადი ბურთი.  
მანც უმეგობროდ შეთენილს,

ერთი გაღიმება მყოფნის  
შუბლზე შევიმშრალე შევებით  
მწარე უნდობლობის ოფლი!  
რაგინდ გავღარიბდე რწმენით,  
სისხლი გამომწურონ მისხლივ,  
ძეო აღამისავ, შენი  
ერთი თბილი სიტყვა მისხნის!

## მ ი ვ ღ ი ვ ა რ

მივდივარ, განშორების ტკივილი  
ჩემდაუნებურად მალონებს,  
და უცებ ნაცნობი ღიმილი  
მიმატებს დაკარგულ ძალღონეს.  
მივდივარ, ნაღველი მაქვავებს,  
შორს გზებზე მანიშნებს რელსები,  
ვიღაცა ხელს მიქნევს ბაქანზე.  
თვალეში ცრემლებით ვესება.

მიცინის,  
ხელს მიქნევს მსურვალედ,  
ფეხდაფეხ მოჰყვება ვაგონებს,  
და ასე მგონია, მწყურვალი  
წყაროს წყალს პეშვებით ვაგროვებ!  
მივდივარ, უსაზღვრო ველების  
თავბოლოს არ უჩანს საზღვარი,  
მიმყვება დაქნულ ხელების  
სითბო და ღიმილის საგზალი!

## გუკამ კლიაგვილი

### ლექსი ლექსის მეფეზე

როგორი საწერია ლექსი  
ლექსის მეფეზე?!  
როგორი სათქმელია სიტყვა  
სიტყვის ბატონზე?!  
უნდა მოვისროლო ბადე,  
როგორც მეთევზემ,  
უნდა დავდო თავი  
ბედის სასწორზე.

ვას თუ, დამიწუნოს ლექსის კილო?!  
ვას თუ, მცირე სიტყვა ითაკილოს?!

მაშინ რალა წყალში გადავარდე?!  
ქვეყნის რომელ მხარეს გადავბარგდე?!

თუმცა... ლექსმაც იცის მოძალემა.  
ჩემად!  
გალაკტიონი მობრძანდებო...

დღესვე უნდა მოხდეს მოსახდენი,  
უნდა მოვიხადო მოსახდელი;

დამდგარა ჟერი, ლექსი ვწერო  
ლექსის მეფეზე,  
ვაი თუ, სიტყვა გამიგრძელდეს,  
ანდა დამოკლდეს,  
უნდა მოვისროლო ბადე  
როგორც მეთევზემ, —  
იქნებ კალმასივით  
სიტყვა ამოყვეს...

უნდა გავიარო ბეწვის ხიდი,  
მეტის მოთმინებით, მეტის რიდით;

უნდა ვუთხრა სიტყვა შესაქები,  
თავის საკადრისი, შესაფერი;

### რ ვ მ ე ნ ა

„ბრწყინავდეს ტახტი  
ურყველ რწმენის...“

რწმენათ ჩვენო,  
უწმინდესო ნათელი მიზნით,  
შენი აზრით და შენი ტვინით მზესთან მივედით;  
აი ამ მზისთვის,

ამ რწმენისთვის,  
აი ამ დღისთვის  
გაგვიწვევია სამსახური შენთვის მცირედი.

გაუტანლობის,  
ორპირობის, ვიყავით მოწმე,  
გვემახსოვრება იგი ჟამი უამინდობის;  
ის იყო გუშინ,  
ჩაიარა...  
და გავხდით მომსწრე  
ძმობის,  
გატანის,  
ერთპირობის,  
ერზე მინდობის.

გვართმევდნენ შენს თავს,  
დაგვწიოდნენ მუქარით, რისხვით,  
გადავიტანეთ დღე ციების და დამცირების;  
აი ამ მზისთვის,  
ამ რწმენისთვის,  
აი ამ დღისთვის,  
გაგვიწვევია სამსახური შენთვის მცირედი.

კვლავ შენთანა ვართ,  
რწმენავ, ჩვენო,  
კვლავ ერთად ვივლით,  
როგორც სინათლის და სიმართლის დიდი მთესველნი;  
რადგან უშენოდ არ გვექნება ნათელი დილის,  
რადგან უშენოდ დაგვიხმება ხვალის ფესვები.

რწმენაო ჩვენო!  
ყველა მერყევს,  
ყველა ურწმუნოს,  
შთაბერე ძალა, რომ მოვიდეს ახლებურ აზრზე;  
ვინაც ზურგით დგას,  
ვინაც ყბედობს,  
ვინაც წუწუნობს, —  
შემოაბრუნე, დააყენე უმართლეს გზაზე.

ჩვენ არ ვიწყებით დღეს და გუშინ,  
და არ ვთავდებით,  
განსაცდელ ჟამად გვიცოცხლია შენის იმედით;  
მამათა გზებით,  
მათი გზნებით,  
მათი თავდებით,  
გაგვიწვევია სამსახური შენთვის მცირედი.

შენ ხარ ქვეყანა —  
დედამიწა,  
მზეცა და მთვარეც,  
შენი სინათლე მოგვეფენია კიდით კიდემდო;  
შენს სახელს ვარქმევთ არსობის პურს,  
წყალსა და ჰაერს,  
და გვემცირება სამსახური შენთვის მცირედი.

## მ ა რ ტო მ ბ ა

„დღესაც მარტო ვარ,  
სიუვარულის არ შესმის ნანა...“

მონატრებია ფანჯრები ღია,  
ჩარაზულ კარებს მეორედ კეტავს.  
ღმერთო! აჩუქე ნათელი დილა,  
თორემ გადარევეს ცხოვრება კენტად.

ხმაში და გულში გაუჩნდა ბზარი,  
თუმცა სიკვდიმდე სიმღერა სურდა.  
გარეთ ეძახის სიცოცხლის ზარი,  
შინ კი უსახო კედლები გუდავს.

არ იყო წინათ ხარბი და ბნელი,  
დღეს ეხარბება შიშსა და ძრწოლას.  
ნეტავ რა არის იმაზე ძნელი,  
როგორც საწოლში მარტოკა წოლა.

ვეღარ გაუძლებს დამშეულ თვალებს,  
იდუმალ ლტოლვას და სისხლის ყვივლს.  
ის მარტობას გადუხდის ვალებს,  
ოღონდ იხილოს საწუთროს სხივი.

ვერარა ჰბოვა უგონო ლოცვით,  
ჩამოედგენთა სანთლები ხელში.  
ღმერთო! განწმინდე სულით და სორცით  
და გაიყვანე საყდრიდან მზეში.

მიეცი ხარკად სითბო და შვება,  
აუნთე ლამპრად რწმენა და სატრფო.  
...  
ადამიანი მოითხოვს შველას,  
ადამიანი აღმოჩნდა მარტო.

## მ თ ე ბ ი

„გინახავთ თქვენ ფერი  
დაბინდულ ქლიავის? —  
ეს ჩემი სამშობლო მთებია...“

რა საღამოა!  
ღმერთო ჩემო! — სისხლი აყვივლდა.  
მთები ნაცემი დევებივით ბინდში დაყრილან.

გადაჯაჭვულან ახმახები, კუზიანები,  
თითქოს ერთმანეთს საიდუმლოს უზიარებენ..

მამულის მთებო!  
გაქდენთილნო უზღვავი სისხლით,  
თქვენს ტკივილებში გარდასული ტკივილი ისმის.

ვინ იცის, ჩვენსკენ მოდიოდით ოღრო-ჩოღროთი  
და საქართველოს კარიბჭესთან როცა მოგროვდით,

როცა დახედეთ მომხედურების მდაღველ ნაბიჯებს,  
ვაზი და კაცი როგორ ჩეხეს, როგორ დაგლიჯეს,

შემოგვესალტეთ, დაგვიფარეთ სალი მკერდებით,  
მთებად იქეცით...

ნაომარი ფიცები მხედრები.

მერე დაბინდულ ქლიავისფრად შეიმოსენით  
და დგახართ მთები — ვით ბუნების გენიოსები...

## ს ა ნ თ ე ლ ი

„მე პოეზიამ

დავიწეების ცელს ამარიდა...“

საოცარია მრავალი,  
უსაოცრესი — ერთი:  
ქვეყნად ბევრია მავანი,  
მაგრამ ერთია ღმერთი.

ვინ არს სანთელი აღენტოს, —  
არ დამთერალიყოს ღვენთით?!  
ყველას აქვს თავის საღმერთო  
და საღმერთოში — ღმერთი,

ასე იტყოდნენ ძველები, —  
ზოგიერთს ახლაც ეთქმის.  
მათ ნათქვამს ვედარ ველევით,  
თორემ ვით არის ერთი?!

სულით ხორცამდე ქართველის  
მაცოცხლებელო ფევო,  
ერთი მინთხარ სანთელი —  
ჩაუქრობელო ლექსო.

## ო დ ა ლ ე ქ ს ს

„თითქოს ლექსია.

მაგრამ მაინც არ არის ლექსი...“

ბევრი მომკვდარა წიგნის თაროზე  
უდღერე და უსულო ლექსი,  
ამღერებული ზურნა — გარმონზე,  
ლექსი, რომელსაც არა აქვს ფესვი.

იბრძოლოს, როგორც ცოცხალმა კაცმა  
ლახვარი დასცეს ორგულს და ბოროტს,  
გადაიტანოს ათასი ჯვარცმა  
და უკვდავება ამაში პოვოს...

ბევრი გაყვითლდა წიგნის თაროზე,  
არ შეხებია მკითხველის ხელი,  
არ შესწევს ძალა ფეხზე წამოდგეს,  
გადაიაროს ზღვები და ხმელი,

ქალღმერთი უტყვევი ყველაფერს იტანს  
და მოფრთხილება სჭირდება მეტად,  
ის ვინც დააწერს მაღლიან სიტყვას,  
არ უწერია სიკვდილი ქვეყნად.

მოედოს ქვეყნის ოთხივე კიდეც,  
ჩაიდგას ერის სული და გული,  
სიკეთეს სთესდეს, სიკეთეს მკიდეს.  
არ მოეკაროს თვალბეზე რული.

ბევრი მომკვდარა თაროზე ლექსი,  
არ ღირსებია მკითხველის თვალი,  
და ლექსს, რომელსაც არა აქვს ფესვი,  
არ მოუხდია მამულის ვალი.

## შენი სურვილი...

„მაქვს მკერდს მიღებული  
ქნარი როგორც მინდა...“

არა ჭყვიშით და არა გადიდით,  
არა სულორით, არა რიონით,  
შენით ამაღლდი,  
შენით გადიდდი,  
და შენით გახდი  
გალაკტიონი.

შენი სურვილით მოხდა ყოველი,  
რაიც შეიტკბე, რაიც იწვნიე,  
და დღეს ძეგლს გიდგამს ერი მშობელი  
ასე ზეციერს, ასე მიწიერს.

არ აპყობიხარ წყალთა დინებას,  
არ გიცხოვრია გზებით იოლით,  
თვითონ ისურვე,

თვითონ ინებე,  
რომ გამხდარიყავ  
გალაკტიონი.

გვყავდი საფიცრად, გვყავდი სამშურლად,  
ახლა შენს სურათს ხატად ვუყურებთ,  
შენი სურვილით მოხველ სამშეოს,  
შენი სურვილით წახველ უკუნეთს...

არა ჭყვიშით და არა გადიდით,  
არა მტკვარით და არა რიონით,  
შენით ამაღლდი,  
შენით გადიდდი  
და შენით გახდი  
გალაკტიონი.

## ქ ა ხ ი ლ ი

„შენს აჩრდილს, სიცოცხლეთ.  
ვეღარ ვშორდები...“

ტკბილია წუთისოფელი, —  
რაგინდ მოგვეპყროს ავად.  
ცხოვრების უარყოფელი  
უარყოფილ არს თავად.

თვალში რომ გვიდგას ცისკარი,  
მარტო ამაღ ღირს ყოფნა.  
რა ეშველებათ, მიძნარით,  
ვინც არ მოსულა სოფლად!

## დალილა ხადინიძე

## ა ლ ს ა რ ე ბ ა

მე მთებს ვიგონებ  
და მთადქცეულ კაცებს ვიგონებ,  
და სალუტებით ჩამოფლეთილ  
ღამებს ვიგონებ.  
ვიგონებ ხელებს,  
წყალდიდობის ჟამს რომ ხიდობენ,  
მადლობას ვამბობ  
და წაქცეულ ხეებს ვიგონებ.

მე ვუფრთხილდები  
საქართველოს ღიმილს და ვიცი,  
წინაპრის მკერდზე  
როდის არის ლოდები მჩატე.  
მისი ძახილი  
ძარღვებიდან ძარღვებში ივლის  
და ყოფნას ჩვენსას  
უკვდავების სივრცეში ჩატევს.

ჭალარა უფსევებს,  
მზიან ვაზებს,  
ტყეებს ვიგონებ  
და ვეფერები  
დაკოორილ მიწას,

მე გავენდობი ნორჩი ყანის  
მწვანე სტრიქონებს:  
და ის ვიქნები,  
ვინც სამშობლოს  
სიცოცხლე მისცა.



მესამე დღეა,  
გრძელდება ასე:  
მუხლზე დაჩოქილ ზეცას შეფყურებ  
და აივანზე ლანდებით სავსე  
ბინდი შემოდის,  
როგორც — მებურე,  
და მოაქვს სითბო,  
კვამლისფერ გზაზე  
დაჭრილ ყვავივით მიხტის სიცივე.  
ტირის მარტი და როგორც სანთელი —  
აყვავებული ნუში ციმციმებს.  
ჩვენი ზამთარიც ბინდში გათავდა,  
თოვლმა ცრემლებში დაიხრჩო თავი...  
და შორეული ტყის განაკაფთან  
დაცალებული ქორბუდა ბღავის.

## დ ე ლ ა ს

როგორც მოცარტი,  
მსუბუქი და პარმონიული,  
ქუჩაში მოდის  
თხუთმეტი წლის  
ლამაზი გოგო.  
სევდას, შეპარულს ნაოჭებად,  
წუთით იურვებ,

ოღონდ სულ ასე მოდიოდეს,  
სულ ასე, ოღონდ!  
ფერუმარილი და ცისფერი ქუთუთო  
გშენის  
და თაკარაა  
მეორმოცე ზაფხული შენი.

## გამაფხულის პირველი დღე

„მრავალჟამიერ!“ — ისმის სოფლიდან...  
(მოვარე ჩამომდნარ თოვლის გუნდას  
წააგავს ცაზე).

დღეს გაზაფხულმა  
ყინულები მიფლით-მოფლითა,  
ახლა ბუხართან სასმისებს ავსებს.  
ქარს მოუხრია ქედი და ვაზზე  
სამაბულე რქას და კვირტებს ეძებს,  
და ვაზი მღერის ისე ლამაზად,  
ვით ნოემბერში —  
შემთვრალი მესვრე.

## ოთარ შალაგბერიძე

### დასაბამით ამაყობს

დასაბამით ამაყობს  
ერი ჩვენი აი რით:  
დაბინდული ჰაერით,  
ფერით სულ სხვანაირით,  
რუსთაველის შაირით, —  
გულის გულს რომ გაივლის...  
ყოვლად წმინდა სამებთ,

ერთადერთ სამაიით...  
მთვარიანში მთვარულად  
მოთამთამე დაირით,  
ორ მოქიშპე ვაჟს შორის  
ჩაღრენილ დარაიით...  
რა დღეის დღით, რა ხვალით,  
რა ვარდით და რა იით.

### გ მ ი რ ო ბ ა

მას არ სჩვევია თავისით მოსვლა,  
ვით სიყვარული მოდის თავისით;  
გმირობა ჩნდება აშკარად, როცა  
საქვეყნოდ გრგვინავს შრომის ხალისი.

იგი მედგარი ბრძოლის გზით მოდის  
და მხარში უდგას ადამიანებს;  
ის წლობით უძლებს ყოველგვარ ლოდინს,  
მაგრამ წამითაც არ აგვიანებს.

### ლექსი უფრად თქმული ვანის სამარსებთან

ვანის ქებას მე მავალეებს  
უხსოვარი დროის ქვანი,  
კლდეებს შორის ქვის კიბეთა  
მიკიბვანი-მოკიბვანი...  
ამ უძველეს სამარსებში  
ჩაკიდული მზის მტევანი  
ვის, ვის სახელს აჩახახებს,

ვისზე დავრჩე გულმტკივანი?!  
ვერ ინატროს კაციშვილმა  
უკეთესი სულის ვანი,  
თითქოს გიქნევს მწვანე შილას  
მკერდმაღალი ბანოვანი...  
ხმააწეულ სიმღერას ჰგავს  
ჩემი სათაყვანო ვანი.



ბიოგრაფიული

მედიის ლუკმა

უცბადი სიკვდილით თავზარდაცემულებს ისღა დარჩენოდათ, რომ ღირსეული პატივით დაეკრძალათ ნადრევად წასული კაცი. დიდძალ მოცრემლეს მოელოდნენ და დიდ გაწამაწიაში იყვნენ მწუხარე მოთადარიგენი.

საჩქაროდ დაეცარიელებინათ ის ღიდრონ-ღიდრონი ოთახები, სადაც ახალსახლობის ნადიმს იპირებოდა აწვანსვენებული, უამრავი მომლოცავის თავშეყრა განეზარახა და საგულდაგულო სამზადისსაც შესდგომოდა. მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. ახალთახალი ავეჯი, რომლის ცქერითაც თვალი ვერ გაეძლო პატრონს, ფართო აივანზე გამოეტანათ და ცალ მხარეს მიეხინცათ ზურგშექცევით. იმ დიდ სასტუმრო დარბაზში, როგორც იტყვიან, ცხენი რომ გაჭენდებოდა, შუა ადგილას, ვეება ჭადის გასწვრივ დაესვენებინათ შავ კუბოში დამშვენებული ცხედარი. ნაირ-ნაირი ხალიჩებით აჭრელებული კედლების ძირში რამდენიმე რიგად ჩაემწყრივებინათ ზურგიანი სკამები, ერთბაშად მომწყდარი მომსამძიბრებლები ჩამოსხდებიანო. მაგრამ დამბრძანებელი არაეინ ჩანდა ჭერჭერობით. მხოლოდ კუბოს გარშემო ისხდნენ, ისიც ხალვათად, მარტო თავისიანებს გაეწეწათ თმები, მოზარენიც თვითონ იყვნენ და ჭირის გამზიარებელნიც. ყასიდად

მოვიშვიშენიც ენატრებოდათ. უცრემლო მკვდარი უბედურიაო, მწარედ გაივლებდნენ გულში და რომ ზარი არ ჩანელებულიყო, თავდაუზოგავად გოდებდნენ.

— თავი შეინახეთ, გასვენების დღეს უფრო დაგჭირდებათ ცრემლი! — მორიდებით აფრთხილებდნენ ხანმოკლეი დედაკაცები.

მაგრამ ღუმილიანი გლოვა ეუხერხულებოდათ. კვლავ დაიწიოკებდნენ გულსაკლავად, კვლავ ამოიტირებდნენ გაბეჯითებული სიტყვებით და გულმოქანცულნი, თვალდაღლილნი ერთბაშად დაიდუმებდნენ ენას, თითქოს თვით მიცვალებულს უწევდნენ ჭიბრსა, ახლა შენ ამოიღე ხმაო.

სიცოცხლეში სიტყვაუხვი მელიტონი კი სანდო მესაიდუმლესავით ღუმდა. დარუმბებულ მუცელზე ღონღლოდ ეწყო ბალნიანი, გამკცნარი ხელები. მარცხენას ციღის ყუაზე მოუჩანდა ლურჯი ტვიფრი „მ+ე“, ხელის ზურგზე ეხატა ისარგაყრილი გული, მის მიღმა კი, ამ სიმბოლოს დედააზრის საწინააღმდეგოდ, ბლაგვი ასოებით ეწერა: „ნუ ენდობი ქალს“, ხოლო მარჯვენა მკლავა დასვირინგებული ჰქონდა თავის ბიჭობაში გაგონილით: „საქმე ფულია, მშაკაცი ტყუილია“ და რომ არ გამოსჩენოდა უხვი ნატიფთრალეები, მტევნის

ნახსრებამდე ჩამოეჩანათ ზოლიანი პერანგის სახელოები. ის გადმოკარკლული თვალები განაბვოდა, ის გაფაფხული ცხვირი აპრეხვოდა, ის მოკლე პირი ოღნავ ღიად დარჩენოდა და უღვაშეზის კიდეებზე შეყინული მქრალი ხაზები ისეთ შეხედულებას აძლევდნენ, თითქოს ხალხს ახლაც გამოუცნობი დიმილით გადასცქერისო.

ეზოში ათიოდე კაცი ღივლივებდა, ისინიც უახლოესი ნათესავნი.

გვიან-გვიან გამოჩნდებოდნენ ახალი მომსამძიმრებელნი. შორიდანვე დაიდრუბლებოდნენ და თითქოს ისინი ყოფილიყვენ და მნაშავენი, თავჩაღუნულნი და გეზუდებოდნენ სიკვდილიანი სახლისაკენ. ჯერ მიცვალებულის მამას ეახლებოდნენ, აივნის კედელს რომ მიპყუდებოდა და საბრალოდ ოხრავდა ხელჯონზე დაყრდნობილი. ქუდს მოუსდიდნენ, მორიდებით ჩამოართმევდნენ ხელსა და თითქმის ჩურჩულით დააყოლებდნენ.

— გვეწყინა, ძია აბრამ!

— გეწყინებოდათ, მა რა იქნებოდა! — ბურტყუნით შეარხედა უღვაშებიან ტუჩებსა და ცხარე ცრემლი მოეუჩნებოდა დაწითლებულ თვალებში.

— ოხ რა კაცი წაგვექცა! — თავის რხევით იტყუდნენ და მძიმე ნაბიჯით გასწევდნენ ცხედრისკენ.

ჭირისუფალნი შორიდანვე შეამჩნევდნენ წუხილის გამოზიარებლებს, ქარდაკრული ყანასავით მიმოიხრებოდნენ და მიმოიქელებოდნენ კუბოს გარშემო, ერთბაშად ამოხეთქავდნენ და გროვილ ბოდმას და ვაიუშველეგელის მოთქმით შეხვდებოდნენ საცრემლოდ მობრძანებულებს.

— ეს რა დიდი მეზი დაგვეცა, ხალხო! — თავში წაიშენდა სახელაჩამიჩებული დედა და საცოდავად აჩიფჩიფდებოდა, აღარც სატირლად მოსდევდა ძალა, აღარც ჯიშინი სიტყვები მოუდიოდა, მაგრამ მაინც არ იტყებდა იბტიბარს. გულდათუთქული მოსთქვამდა უღროდ დამტყდარ უბედურებაზე და მღუღარეში ნასველებ-ნალბობი სიტყ-

ვებით სწყევლიდა უსამართლო სიკვდილს.

ფაშფაშა ცოლს ზარივით ხმა კი ჰქონდა, მაგრამ მოთქმით ტირილი ესირცხვილებოდა და უხმოდ გლოვობდა. ის მოკლე, წაბლისფრად შეღებილი თმა გაეწეწა, ფუმფულა ლოყები დაეკაწრა, დაწითლებულ დაწვებზე ცხელი ცრემლი ჩამოსწურვოდა, სიყრმეში ნაჩუქარ ცხვირსახოცს მალ-მალ გადაუსვამდა მელოტ თავზე და ახალმოსულთა გასაგონად უფრო საყვედურობდა და დუმებულ ქმარს:

— გრცხვენოდეს, მელიტონ, გრცხვენოდეს, რომ ასე უღროოდ მიმატოვე! კუბოში დამშვენებულ მელიტონს კი არც ამჯერად აწუხებდა სირცხვილი და სინდის-ნაშუსი.

— ჩვენო იმედო და ნუგეშო! — ამოიკვნესებდა ერთადერთი და.

— ჩვენო სიამაყე! — ამოიტირებდა ღვიძლი ბიძაშვილი.

— ეჰ, რა კაცი დაეკარგეთ! — თავს გააცანცარებდა კარის მეზობელი.

„ვია, რად დაეკარგეთ, ძვირფასი ლალი, სისხლის ცრემლი მდის, არ შრება თვალი!“

— გულსაკლავად ამოიმღერებდა ცალთვალა არტუშა და კუნტულა თითებს სევდით დაუწყაუნებდა ილიაში ამოჩრილ შავქარა დოლსა.

ლოყებდაბერილი თათეოზა და ქაჩალი დიანოზაც ზურნის ტირილით იმეორებდნენ მედოლის სიტყვებს.

— დოლი და ზურნა ძალიან უყვარდა ამ საცოდავსა!

— ეჰ, რაც მაგითი დრო უტარებია!

— მეტი რა შერჩა! — წაელაპარაკებოდნენ მომსამძიმრებლები. ერთს კიდევ გადახედავდნენ კუბოში გაფუხებულ ცხედარს, ერთხელ კიდევ მოიქურავდნენ ცრემლსა და თავის რხევით გასცილდებოდნენ ცოდვის ხილვას.

კვლავ სევდასავით ჩამოწვებოდა უხერხული ღუმელი.

დაოსებულ ჭირისუფლებს იმის ბოღმა უფრო ებჯინებოდათ ყელში, რომ ასე ცოტა მოსდიოდათ სევდის გამქარ-

გებელნი: ქურდულად გამოაპარებდნენ ცრემლიან თვალებსა და რაკი ამ დილას მოსულებს გარდა ვერავის დალანდევდნენ, ნაღველი ნაღველს ემატებოდა.

ეს შეუმჩნეველი არა რჩებოდათ მწუხარების მემუსიკებს და რომ ცოტათი მაინც ეშვლავათათ, მალ-მალე შეენაცვლებოდნენ. თვალნაღალატევი არტუშა სიმღერას არ დალატობდა. თითქოს კბილის ტკივილი აწუხებდნენ, გაფარჩხულ ხელს მიიდებდა დაყვიფირებულ ლოყაზე, დოლის ქარას დაეჭინებოდა იდაყვით, ერთ წუთს გატვრინებოდა და უცებ ამოიკვენესება:

„მიღის, მიფრინავს წუთისოფელი,  
ბრუნავს ქვეყანა, ტრიალებს ჩარხი,  
მოქპრის ხიცოცხლე, მისღვეს ხიცვილი,  
ათანაირად ირევა ხალხი“.

- ვაი, რა უბედური დედა ვარ!
- ვაი, რა უბედური ცოლი ვარ!
- შენ მოვიკვდეს ერთადერთი დაი, ძმაო! — ბოლმას ამოატანდნენ თანა.

ორი დღის წინ მოასვენეს თბილისიდან. იქ დაელია სული.

ასეთ დროს მთელი სოფელი შეძრწუნდება და შეწირალდება ხოლმე.

— მოჰყავთ, მოჰყავთ! — შეატყობინებენ ერთურთსა, დიდიან-პატარიანა დავიშვიშდებიან, პირწმინდად გაიკრიბებიან, შორს გაეგებებიან და ცხელი ცრემლით უნამავენ საბოლოოდ გასასვლელ გზას. მანქანაზე რაზრას როგორ აკადრებენ, რიგრიგობით შეუდგამენ მხარსა და ქვეთინით გაიმძღვარებენ. მწუხარებაში ჩაეზიარებიან გულდათუთქულ მახლობლებსა, მხარი მხარს მიდგმულნი მიაბიჯებენ სიკვდილის ჩასაქოლად.

მაშინ კი ყური არავის შეუბერტყია, ობოლი ცრემლიც არავის მოსწყვეტია, თითქოს ახლოს მიმსვლელს თან გაიყოლიებდნენ, სათოფეზე არ გაჰკარებია. ნანგრევ კედელს ამოჰფარებოდნენ და იქიდან ყელყელობდნენ ცნობისმოყვა-

რნი. კაცის მკვლელებით უკრთოდნენ გულხელდაკრეფილ ცხედარსა, რომელსაც ათიოდე კაცი თუ მოაკვიკვიებდა.

მოსახმარებლად ხომ ფეხი არავის წასცდენია.

სამარის გამოხრელების შოვნაც კი გასჭირვებით.

სოფელში განტქმულმა მესაფლავებმა — კიკრიანთ კაკოლამ და ტყემალანთ შაველამ შეაგდეს ქვა და შეუშვირეს თავი. საბაბ-მიზეზი არ დაილიეს. ფულს დაახარბეს, — ცივი თვალთ გადახედეს, დამუქრნენ კიდევ, წარბი ვერ შეუტოკეს, ისევ მოუტკბნენ და ძლივს მოუღბეს გული, დაიყაბულეს, მაგრამ სულ ყვედრებითა და ბუზღუნითა თხარეს. კლდიანი ადგილი შეუხვდათ და მთელ დღეს იგინეს და იფურთხეს. ტაბლას კი ისე მოუღზინეს თითქოს ქორწილის ძღვენი ყოფილიყო.

მზარეულების დაყოლიება უფრო გაუჭირდათ. ამ საქმეში დახელოვნებულმა ჭაღაროსნებმა ზურგი ადრიკეს. უღვაშა შალიკომ წელი აიტკია, ჩაგველა სანდრიამ მარჯვენა ხელი ჩამოიბა კისერზე, ვერც სხვებს დააცდევინეს ყასიდი თანხმობა მაინც. ისევ ქალაქელი მზარეულები დაიქირავეს, იმათაც ძლივსძლივობით დასწერეს პირჯვარი.

ქუტუქულელის მოზიდვაზე, შეშის დაჭრაზე, მაგიდებისა და სკამების გაწყობაზე ბიჭ-ბუჭებს ატრიალებდნენ. ისინიც რომ გაეპარებოდნენ, სტუმრები შინაურობდნენ.

მთელი სოფელი გაჯიქებულიყო.

აჰა, გასვენების ჟამმაც მოაწია. ადგილიდან დასძრეს.

ღრიალითა და წიოკობით ჩამოაკიკიკეს მარმარილოს კიბეებზე: მაინც არ ეთმობოდათ. ეზოში დაასვენეს, იმ ხეივანში დააციმიციმეს, სადაც ლხინის სუფრის გაშლა და გულის გალაღება უყვარდა თავის ამფსონებთან.

გიორგი სოროგოშვილი  
მიფის ლუკმა

ახლა აქ შემოუსხდნენ გარშემო და-  
ოსებული ჭირისუფალნი.

— კარგად დახედე შენს კარ-მიდა-  
მოს, თვალი გაიძღე აქაურობის ცქერი-  
თა! — დასჩიფჩიფებდა დედა.

— ვის უტოვებ ამ ცხრათვალა სახ-  
ლსა! ვის უნდა დარჩეს ეს აყვავებუ-  
ლი ბაღნარი! — ტირილით საყვედუ-  
რობდა და.

— შვილი მაინცა ჰყოლოდა ამ უბე-  
დურსა!

— თვითონ თუ არ აღირსა მაღალმა  
ღმერთმა, სხვისი მაინც აეყვანა ვისიმე!

— მაშ, კაცო!

— ჯერ ეადრევებოდა ამ საცოდავსა,  
ესე მალე არ მოელოდა სიკვდილსა!

— ნეტა ვის დარჩება ამხელა ქონე-  
ბა ან აქა ან ქალაქში! — ჩურჩულებდ-  
ნენ განზე გამდგარნი მახლობელნი.

„შვიდობით, ჩემო სახლ-კარო,  
მშვიდობით, არე-მარეო“

— კვლავ შემოიდო ყვრიმალზე ხე-  
ლი მედოლე არტუშამ.

კვლავ აატირეს ზურნები თათეოზამ  
და დიანოზამ.

აქაც დიდხანს იტირეს და ივავიავ-  
ლახეს ჭირისუფლებმა, დათქმულ დროს  
გადააცდინეს, განგებ შეავგვიანეს.

— გეყოფათ, ხალხო, ყველას თავისი  
დრო აქვს! — თავს წამოადგნენ მეზო-  
ბელი ელიზბარი და დათა, დაკრძალვის  
საქმიანობას რომ თავკაცობდნენ.

ძლივს გამოაშორეს ჭირისუფლები,  
ძლივს დასძრეს კუბოც.

— გატყუებენ, მელიტონ.

— დედა შეიცოდე!

— ცოლი შეიბრალე! — თავში იცემ-  
დნენ სახედაკაწრულნი.

მაგრამ მათს ვედრებას აღარავინ  
უწევდა ანგარიშსა და სასაფლაოსაკენ  
უყვეს პირი ცხედარსა.

ღიახ, ცოტაზე ცოტანი იყვნენ სამა-  
რის კარამდე გამცილებელნი. კუბოს  
თავის ამწვევიც ძლივს მოქებნეს, თა-  
იგულების წამძღვარებაც სტუმრებს  
ხელათ წილად. თვით ცხედრის წაღება-

ზედაც „უცხონი“ თუ უშეღავათებდნენ  
კარის მეზობელ ტილასა და ხოხონას.

„რა მძიმეა ეს სამარეში გასახარე-  
ბელი!“ — თავის თავს ეჩურჩულებოდა  
ტილა.

„მე ხომ არ მოვკალი ეს ცოცხალ-  
ძალი, რომ ამხელა გზაზე მარტო მე  
მაზიდინებენ!“ — ხოხონაც გულში გა-  
ივლებდა და ამოდ ეძებდა თანასოფ-  
ლელ შემშველებელს დაღვრემილი თვა-  
ლებით.

ისევ შემორჩენოდათ წესად: სოფ-  
ლის განაპირას ცოტახნობით უნდა და-  
ესვენებინათ ცხედარი. გზის პირას  
მცხოვრებნი წინასწარ გამოარბენინებ-  
დნენ სკამებსა, ორიოდე წუთს დააციმ-  
ციმებდნენ და ისევ გაუყენებდნენ იმ  
გრძელი სოფლის გზას.

ახლაც განეზრახათ ამ წესის შესრუ-  
ლება. წასჩურჩულეს და შეჩერდნენ კუ-  
ბოს მზიდავები, ის მცირე პროცესიაც  
შეტბორდა.

„სკამები“ — ხმადაბლა ბრძანეს  
დაკრძალვის მოთავენმა.

სკამებზე არავის შეუწუხებია თავი.

— ტლამაანთა მიირბინე! — პატა-  
რა ბიჭი დასაქმა ელიზბარმა.

ტლამაანი შინ არ არიანო, — მოარ-  
ბენინეს პასუხი.

— გადახტი, თომაანთა გამოართვი!  
თომაანთ სახლიც დაკეტილიაო,  
კვლავ ქაქანით მოვარდნენ.

ახლო-მახლო ყველა ოჯახში მიგზავ-  
ნეს, ვერავისგან გაემართათ ხელი.

ტილას, ხოხონას და ორ სტუმარს  
მხრებზე ებჯინათ დამძიმებული კუბო  
და ერთი სული ჰქონდათ, როდის უბრ-  
ძანებდნენ დაძვრას.

ჭირისუფალნი კი გარშემო შემოხვე-  
ოდნენ და საცოდავად შებლაოდნენ  
„უიღბლო“ ცხედარს.

— იარეთ! — გაისმა ხმადაბალი ბრძა-  
ნება და უმაღვე დაიძრნენ.

სამარის პირას დააციმციმეს ცხე-  
დარი.

გაყრის ყამი იყო და კვლავ აწიოკ-  
დნენ და აქვითინდნენ მოცრემლენი,  
ახლა მუხლისჩოქვით შემოეჯარნენ კუ-

ბოს, არ ეთმობოდათ, ვერ წარმოედგინათ, რომ თვალთ ვეღარ დაინახავდნენ სათაყვანებელ სახეს, კვლავ მოურიდებლად დაემხოზოდნენ „გაბუტულ“ მელიტონსა და ცხელ ცრემლებს აპკურებდნენ გაციებულ გვამზე. რიგრიგობით გადაეკონებოდნენ და ძლივს ააშორებდნენ ერთმანეთს.

„დღეო, გადიდდი, გადიდდი, შვილი ეყრება დედას!“ — კვლავ გულსაკლავად დასძახოდა ცალთვალა არტუშმა და კიდევ უფრო ამოუღულდებოდათ გული ჭირისუფლებს.

— გეყოფათ, ხალხო, გამოეთხოვეთ, დროა! — გაუბედა ელიზბარმა.

დამტირებლები კი ყურშიც არ უშვებდნენ თხოვნას.

— როგორ ბავშვებივით იქცევით!.. ბარემ ყველას გვენანება ეს პატიოსანი კაცი, მაგრამ რას ვიზამთ! კარგი იყო, არ მომკვდარიყო, მაგრამ რაღა ეშველება!

ჭირისუფალნი კი უფრო გაჭირვეულდნენ.

ცოტა გავულგარილებული მოცრემლებით მკლავებში ჩაეჭიდნენ მოვავაგლანებებს და ძლივს აავლიჯეს კუბოს.

— ერთი წუთით სიწყნარე, ხალხო! — ისე ხმამაღლა დაიძახა დათამ, თითქოს კრებულის ბოლოზე ჭირდა ხმას მიწვდენა.

ხმაური და ტირილი ჩანელდა. მიხვდნენ რაზეც აწყნარებდნენ და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა სამარესთან.

კუბოს თავთან შეიმართა ერთი ხნიერი, გამხდარი და მელოტი კაცი, რაღაცა ნაწერი ფურცელი დაიძრო უბიდან, სათვალეები შესისწორა და გაბზარული ხმით დაიწყო კითხვა. აქებდა და აღიდებდა მიცვალებულს, ცამდე აპყავდა მიწაში ჩასაშვებად გამზადებულს.

„წყნარად იძინე, უწყინარო კაცი, მშვიდობით ძმავ და მეგობარო!“ — ცრემლები წამოსკდა და გამოიგანა.

ისევ აქვითინდნენ გულაჩუყებული მოცრემლენი.

— კიდევ ხომ არავინ არის მსურვე-

ლი! — სასხვათაშორისოდ თქვა ელიზბარმა, მაგრამ ენა აღარავის დაუძრავს.

— დეპეშები! — გაიცა ბრძანება.

ერთადერთი დეპეშა იყო, ისიც მიცვალებულის ღირეჭტორისაგან. წაიკითხეს და ჭირისუფლებს კვლავ გადმოსკდათ ბოღმა, მაგრამ ახლოს აღარავინ მიუშვეს.

ელიზბარმა და დათამ სახურავი მობარგეს კუბოს. სახელდახელოდ დალურსმეს, სხვა არავინ გასარჯეს სამარეში ჩასაშვებად.



გრძელი თოკი ამოუყარეს კუბოს. ელიზბარი თავში ამოუღდა, დათა — ბოლოში.

ციმციმ ჩაუშვეს თოკზე დაკონწიალებული ჩასასვენებელი.

თავი დაუყირავეს. დედავენ, ოფლის ქენჭი ჩამოსდით, გულიც უკანკალებთ და ხელებიც. უფრო და უფრო აკორიკავებენ მძიმე კუბოს. არავის ენიშნება, თავჩაქინდრულნი ჩასცქერიან სამარეს, ყველა თავის ფიქრს გაუტაცუნია, სიკვდილზე ფიქრით გაბრუებულან.

ნახევრობამდის რომ ჩაუშვეს, ჩამსვენებლები შეეყოვნდნენ და ერთურთს მიხედეს.

ელიზბარმა შეუმჩნევლად შეანჯღრია კუბო, ცალი ქიმი მძიმედ მიეჯახა სამარის კედელს და...

გაწყდა თოკი.

დათამ კი დაბლა დაშვების მაგიერ მაღლა ამოჰქნია ღონიერად, დაბარგანებული კუბო ახლა მეორე მხარეს მიეხეთქა, ფომფლედ დაჭედილი სახურავი გაეყარა ჩასასვენებელს, მიცვალებული გადმოყირავდა კუბოდან, დაეხეთქა სამარის ძირში ჩარჩენილ ლოდსა და მაღლა ამოფშოკა ფეხები.

„გაჭიმე ყირა?! აღრე იყავი გასაჭიმი, შე სულსაჯოჯოხეთეე!.. შენზე კიდევაც ცოტაა ესა... ან ამ მიწისა რა ღირსი ხარ, ან ცრემლისა... უღრან

გიორგი ხორვათაშვილი  
მიწის ლშკმა



ტყეში უნდა დაგვევადე და ყვაე-ყორანს დაეკორტნე!.. მაინც ბედნიერად იმარ-ნები... შენიანები მაინც მოგივლენ ხოლ-მე საფლავზე, ცრემლს გადმოგივადებენ, ღვინოს წამოგიქცევენ, მამაჩემი კი... არ ვიცი, სადა მარხია. ანდა ეღირსა კია სამარე?! შენმა ენამ მოაშორა აქაუ-რობას... დამნაშავე მაინც ყოფილიყო... რამდენი ალალ-მართალი კაცის ცოდვა გაწევს კისერზე!" — ელვის სისწრა-ფით გაურბინა ამ ფიქრმა ელიზბარს.

მიცვალებულის ყირამალა ჩახეთქება ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხ-და, რომ დაძახება და ხელის წაშველე-ბაც ვერავინ მოასწრო.

ხალხი აჩოჩქოლდა.

გაიკვირვეს, შეიცხადეს.

ავტომანქანები კი ისევ განაგრძობდ-ნენ გაბმულ ყვირილს. ცალთვალა არ-ტუშა ისევ გასძახოდა გულსაკლავ სიმ-ღერებს.

— მკვდარი არ დავიმარხიათ, თქვე ოჯახქორებო?!

— საიმედო თოკი არ გემოვებოდათ ამხელა სოფელში?!

— რა ღმერთის წყრომაა! — წყრე-ბოდნენ მახლობელნი.

— ნწ, ნწ, ეს რა დაგვემართა! — თვითონაც ჰკვირობდნენ დამმარხავები.

მაგრამ სჯისა და ბოდვის დრო აღარ იყო. ფიცხლად ჩახტნენ სამარეში, ჯერ ცარიელა კუბო და სახურავი ამოადდეს მალა, მერე მიცვალებულს დასწვდნენ და ზენეშით ააწოდეს მიმშველებელთ.

ახლა მაგაზე იცემეს თავში ჰირისუფ-ლებმა!

— რა უბედურები ვართ, ხალხო! — ამოიბოდმა ცოლმა.

— რატო არ გეცოდებით, ქრისტიანე-ბო! — ამოიჩიფჩიფა დედამ.

— ეს რა მეხის დაცემაა! — გული ყელში ებჯინებოდა დას.

ხელმეორედ ჩააწვინეს კუბოში. ხე-ლები კვლავ დაუკრიფეს გულზე. ახლა კი საიმედოდ დაქედეს სახურავი და ფრთხილად ჩაუშვეს სამარეში.

გამცილებლებმა თითო მუტა მიაყა-რეს. „ჩემი ჰირი შენ წაიღეო“. ბუტ-

ბუტით მიაყოლეს. ნიჩბები მოიხრკვეთ და ბრახა-ბრუხი აუყენეს. ერთმანეთს წაეშველებოდნენ და ჩქარ-ჩქარა ავსებ-დნენ ღრმა სამარეს.

— ისე არავინ წავიდეს, რომ შესან-დობარი არ დალიოს! — ყველას გასა-გონად დაიძახა ელიზბარმა.

სხვებიც აფრთხილებდნენ წამსვლე-ლებს, გადაელობებოდნენ, ეხვეწებოდ-ნენ, ანამუსებდნენ, მაგრამ ანგარიშს არ უწევდნენ მათს მუდარას და გასხლ-ტომა-გაპარვას ცდილობდნენ. გულის-გულის ნათესავებილა შემორჩნენ.

დიდ ეზოში გაემართათ გრძელი მა-გიდები. უხვად დაემძიმებინათ ხორაგე-ულით, რვაასი კაცის სამზადისი ჰქონ-დათ. ცნობილი კაცია, ასგან ნამუშე-ვარია, უამრავი პატივისცემელი ეყო-ლებაო, მთელი სოფელი მოუვაო, მაგ-რამ ოციოდე შემანდობელი თუ შემო-უჯდა მაგიდას. ისინიც ცალ მხარეს მი-ყუყუილიყენენ და ბუტბუტით იხსენებ-დნენ მიცვალებულს, მის მამა-პაპათ, საგვარეულოში გარდაცვლილებს, სა-ყოველთაოდ წასულებს. შავი სუფრის თამადა ორიოდე სიტყვას იმყოფინებდა ხოლმე სადღეგრძელოზე, იმასაც უღო-ნოდ იტყოდა, მესუფრენიც უხმოდ დაურხევდნენ თავსა და უგემურად ყლურჰვადნენ საგულდაგულოდ მოტა-ნილ ღვინოს. ერთი სული ჰქონდათ, როდის ჩათავდებოდა სავალდებულო სადღეგრძელოები, რომ წამოშლილიყ-ვნენ და გასცლოდნენ იქაურობას.

მეორე მხარეს კი მთელი უბნის ძაღლები შეგროვილიყვნენ, უზრდელად წამოსკუპებულიყვნენ და ენაგადმოგ-დებულნი, საცოდავის ქასქასით შესც-ქეროდნენ გაშლილ სუფრას. მალმალე გაუტყვრიალებდათ ლასლასა მუცლები, სული წასძლევათ, ზეზე წამოიჭრე-ბოდნენ, მაგრამ შინდის ჯოხებით და-დარაჯებული ბიჭები ახლოს არ იკა-რებდნენ და სამღურავიანი წკმუტუნით-ლა იკლავდნენ კბილის გასისხლიანების დაუოკებელ ნდომას.

ყველა სასუფრე წესი შეუსრულეს. შილაფლავიც ჩამოატარეს, ხელმეორე-

დაც დალიეს შესანდობარი, წამოიშალ-  
ნენ და სათითაოდ ემშვიდობებოდნენ  
ჭირისუფალთ. ანუგეშებდნენ, მაგრამ  
სანუგეშებელს ვერასა ხედავდნენ,  
კვლავ უტიროდათ და უღუღღებოდათ  
გული.



გულდათუთქულმა მეოჯახეებმა  
ალარც მერე მოაკლეს პატივი და დი-  
დება ნაადრევად წასულ კაცს. უკლებ-  
ლივ შეუსრულეს ყველა წესი, რაც კი  
მიცვალბულის საპატივეცემოდ მოუგო-  
ნიათ წინაპრებს. საფლავის გარშემო  
შემოავლეს ისეთი შეუვალი რკინის მე-  
სერი, გეგონებოდათ, საიქიოს გასტუმ-  
რებული სამარადქამო ციხეში ჩაუს-  
ვამთო. საფლავის თავზე დაადგეს ვე-  
ება მარმარილოს ლოდი, თითქოს პა-  
ტარას და მსუბუქს წამოუღებოდა.

მოპრიალებული წინაპირიდან  
ლივით გამოიციკირებოდა ცინიკურად  
მომღიმაბრი მელიტონი.

ვარდ-ყვავილებითაც მორგეს და მო-  
თესეს იქაურობა, საფულადაგულოდ არ-  
ჩიეს ჯიშები. დარგეს და დათესეს განა  
ერთხელ და ორჯერა, წყალი არ მოაკ-  
ლეს და ხამი მიწა, მაგრამ ვერა და ვერ  
გაახარეს. სხვათა საფლავებზე თვალსა-  
სიამოდ ღაღანებდა ყვავილები და მცე-  
ნარეები. მელიტონის საფლავზე კი  
გამხმარი ვარდებისა და კიპარისების  
ტოტებილა ქანაობდნენ.

სოფელი რომ დაგველოთ, ვერ გაი-  
გებდით, რატომ ხდებოდა ეგრე. ან სუ-  
ლაც „არას“ გიპასუხებდნენ, ანდა ამას  
გეტყობდნენ:

ბოროტი კაცის ცხედარი ნაღვლად  
ექცევა ხოლმე დედამიწას. ნაღველნა-  
უნ მიწაზე კი რა გაიხარებსო.





## ზ უ ა ვ ხ ო

### გ მ ა ნ ე ბ ა

შენ მეჩვენებ: ჭალაში ხარ და თივას თიბავ,  
პირიქითელი გადმოგხედავს მომტერე კაცი,  
გაგხვრიტავს თვალით და მოგინგრევს სახლაკის ლიბოს,  
დავარდები და მოგედება ბარდი და ქაცვი.  
ცელი დაგირჩა ჭალის თავში, და ჭალის ბოლოს  
სალესი ქვისა, — ჩამხოზილხარ ბალახში პირქვე,  
ხან მეჩვენება: გსურს ფრინველი დააფრთხო მხოლოდ, —  
ხარ მოკუნტული და მიწიდან გორახებს იღებ.



ზამთრისპირია ჭალაკეთში და თოვლი ბარდნის,  
მარტო ხარ ქოხში და საყვარელ ვან-ვეის თარგმნი.

დაჩნდება თვალწინ — მოჩითული ძიანის ველი,  
გაზაფხულია და ციმციმებს ბალახი სველი.

წინ მიდის წყარო ჭალაკისა, ისმის ჩხრიალი,  
სალამოს ხანს მოგესმება კარის ჭრიალი.

გამოიხედავ, კაციშვილი არაა გზაზე,  
ღამეა ქვეყნად, წყვდიადი და ოხერ-ტიალი.

### ჩ ი ტ ი

ხეზე ჩიტუნა სტვენს,  
მზე არის ოქროსფერი,  
რა კარგი არი წელს  
გვიანი ოქტომბერი.

თუკი აიქნევ ხელს  
ჩიტუნა გაფრინდება;

რა ცუდი არის დღეს  
ამგვარი გაფიქრება.

ხეზე ჩიტუნა სტვენს,  
მზე არი ოქროსფერი,  
რა კარგი არი წელს  
ჯვანი ოქტომბერი.

## ღ ა რ - ა ე ლ ა რ ი

ილბალი ჩვენი ქვეალმა ქრის გაჩენის დღიდან,  
ის ჭამი მასხოვს, ფოთოლივით გვითრთოდა მტერი,  
ხან უმოწყალოდ გვირისხდება უფალი წმინდა,  
გარდასულიდან რა შემოგვრჩა — მარტოდენ მტვერი!  
ამ სიწყინარეში ფშავის მთები ბოლავენ ისე,  
თითქოს ამ წუთას გაიყარა მებრძოლი ჯარი,  
მზე ბრწყინავს ტყეში, როგორც მოყმის დაღვრილი სისხლი,  
და ურჩხულივით მიირხევა არაგვის წყალი.  
გადარჩა ვინმე? შორს დაჩნდება ჭინჭველის მსგავსი  
მომცრო ფხოველი, — აღარ უწევს დამხობა სოფელსა,  
გაივლის ხანი, დაყრის ლეკვებს, და ქუდზე კაცი  
გამოვა ისევ და ჩვეულად შეჰკრავენ კოპებს.  
რკინის ფერია მოყმეების მდუმარე სახე,  
წინ-წინ მიფრინავს ბაირალი გაშლილი მზეში,  
შუბების ტყე დგას, არწივები ჩაჰფრენენ ქვახვეს,  
არ დაეცემა ვე ლაშქარი განგების წესით!

## გ ა ე მ ო ს ა თ ს ო ვ ა რ ი

„მადაროსკარს რომ გასცილდებით, ახლოა მერე!“  
პირველად მივალთ ფშავის მთებში, ნელი სიმწვანე  
მოგვეყვება გზა-გზა, აპრილია და ჩიტნი სტვენენ,  
გრილია სიო დაბინდული ჭიუხისანი.

ორწოხებს შუა მივტაატებთ ხმაგაკმედილი,  
და ცის გუმბათი, ვით უფლის თვალი  
დაგვეცქერის მაღლით, მთაზე ნისლი მიდის წყვეტილი,  
ჩქეფს იწროებში არაგვის წყალი.

ხელმარჯენივ, მთისპირს, გზა არი და სოფლელი მიდის,  
ჩვენ მარცხნივ მივალთ, მიეფარა მგზავრი მოსასხვეს,  
თუ დავინახავ ნეტა იმ კაცს ოდესმე კიდევ?  
ოდესმე კიდევ თუ წამოვალ შუაფხოსაკენ?

## შ ე კ ი თ ს ვ ა

ხომ სულ უბრალო ამბავია, მაგრამ მითხარი  
რატომ დაარქვი მაინც შენს ძეს პაპის სახელი?  
ასე თუ იყო, შენ ამჯერად რასაც გულისხმობ,  
შენ ხომ შეგეძლო დაგერქმია მისთვის ალუდა,  
ან კიდევ ვაჟა. ან ჯოყოლა, ანუ აფშინა?  
თუ ის გინდოდა, რომ მამაშენს დამგვანებოდა  
მაინც და მაინც ძეა შენი და სხვას არავის,  
ეს ხომ არ ნიშნავს — ძმავ ჩემო რომ ჩვენ ნაკლებად  
ვგავართ ჩვენს მამებს და სჯობდა კი,  
რომ ვგვანებოდით!

## ახალგაზრდული

ვაშა ამ ახალს! ბურუსებში შთაინთქა ძველი,  
გამაგრდა ფუძე, გადიაღდა, ამაღლდა ჭერიც,  
რაც მთავარია, ავმაღლდით სულით,  
ავმაღლდით აზრით, ავამაღლეთ მამულის ბჭენიც,  
ბედნიერებაც ეს გახლავთ სრული!

მომავალ დღეთა მძლავრი სუნთქვაც ჩვენ უკვე გვესმის,  
ჩვენ უკვე გვესმის მათი გულის ძალუმი ფეთქება,  
ჩვენში ჩურჩულებს უამრავი ახალი ფესვი,  
რომელიც მალე წალკოტების ზღვად ამოხეთქავს.  
გვიხმობს უამრავ ელსადგურთა მძლავრი გუგუნი,  
გვიხმობს! საამოდ ჩაიჭროლა ძარღვებში სისხლმა.  
ქარხნების მილთა დიად ტყეებს უკვე ვუყურებთ  
ცისკენ აღმართულთ ჩვენს იმედად და მტერთა რისხვად!

პარტიის სიტყვა გვმატებს უზღვავ ძალას და ღონეს,  
ლენინის სიბრძნე წინ მიგვიძღვის მარად უკვდავი,  
მთებს მკერდს გადაუხსნით, შმაგ მდინარეს თან გავიყოლებთ,  
მწვანე სიმღერას ვათქმევინებთ გადამხმარ ყამირს.  
ახალგაზრდული მძლავრი მუსლით, გონებით, მკლავით,  
ჯერ ფეხდაუდგამ, ჯერ უხილავ სივრცეებს ვზევერავთ,  
ხმა სტალინგრადთან ვაჟაკურად დაცემულ მამის  
გვიხმობს, მიგვიძღვის ვით მომავლის უდრეკი რწმენა.

ვაშა, ამ ახალს! ბურუსებში შთაინთქა ძველი,  
გამაგრდა ფუძე, გადიაღდა, ამაღლდა ჭერიც,  
რაც მთავარია, ავმაღლდით სულით,  
ავმაღლდით აზრით, ავამაღლეთ მამულის ბჭენიც,  
ბედნიერებაც ეს გახლავთ სრული!

## გ ა გ უ ლ ი

შენ ამაყობდი, მამულო,  
მკლავლონიერი მეხრითა,  
ზვრებით, ჭურით და მარანით,  
პირთამდე სახვე ბედლითა,  
შენ ამაყობდი გმირებით,  
მომხედურთან მათი შეხლითა...

ისე კვდებოდა ქართველი  
შენთვის, წარბსაც არ შეხრიდა...  
თავი მოჰქონდათ ლომგულებს  
ვაზის და პურის ქვეყნითა,  
თუ იკვებნიდა რაიმეს,  
ისევ შენ დაგიკვებნიდა!..



# წ ე რ ი ჯ ე ბ ი

კახა ძიძიგური

## ქართული გარემოსტრუქტურული ლიტერატურული პრობლემის ისტორიიდან

ქართული პროლეტარული მწერლობის განვითარების პირველი საფეხური ოციანი წლების პირველ ნახევარში ორგანიზაციული ჩამოყალიბებისა და ძალთა შემქმნელობის გვემინი გზით წარიმართა. შემდეგ დადგა დრო შემოქმედებით — მხატვრული პლატფორმის გადასინჯვის და გადახალისებისა. მკვეთრად დასევა საკითხი შემოქმედებითი მუშაობის გაღრმავების და მხატვრული პროდუქციის თვისებრივი ზრდისა.

უნდა ჰქონდეს თუ არა პროლეტარულ მწერლობას საკუთარი შემოქმედებითი პლატფორმა, საკუთარი მხატვრული ფორმა? — ეს საკითხი ყველასთვის ნათელი არ იყო. საკმაო პოპულარობით სარგებლობდა შეხედულება: არ არსებობს პროლეტარული მწერლობა, რადგან პროლეტარულ ლიტერატურას არა აქვს თავისი განსაკუთრებული ფორმა! ეს თვალსაზრისი დაყრდნობილი იყო თეორიაზე, რომლის თანახმადაც, „ხელოვნების ისტორია — ეს არის ისტორია ფორმის და არა შინაარსის!“

ჯერ კიდევ 1925 წელს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოველთვიურ ორგანოში (მერკსალი) ამ პრობლემას გამოეხმაურნენ მარქსისტული კრიტიკის წარმომადგენლები.

ბ. ბუაჩიძე იცავდა დებულებას, რომ ფორმა და შინაარსი მხატვრულ ნაწარმოებში შედუღებული და განუყოფელია. ავტორს ძირეულად მცდარ შეხედულებად მიანდა ფორმისათვის თავისთავადი მნიშვნელობის მინიჭება და მისი გამოყოფა სოციალური არსის, შინაარსისა და, საერთოდ, გარემოს გველენადამოკიდებულებისაგან. ავტორის სიტყვებით: „ხელოვნების ისტორია და მისი აწმყო განისაზღვრება და დამოკიდებულია საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარება-მდგომარეობისა-

გან; ამასთანავე ამ ისტორიის განხილვა შესაძლებელია არა ფორმის სქოლასტიურ გამოცალკეებით, არამედ სინთეზური მთლიანობის დაშვებით.“

კრიტიკოსი იცავს დებულებას, რომ ნამდვილი პროლეტარული ხელოვნება მიიღება მხატვრული შემოქმედების კრიტიკულად გაღრმავების შედეგად. „პროლეტარული ლიტერატურა ისარგებლებს წარსულის ფორმათა სახეობით, განსაკუთრებით იმ ეპოქების, როდესაც პროგრესული მდინარება საზოგადოებისა ქმნიდა ჯანსაღ ფორმას. ივულისხმება კლასიკურ ფორმათა გამოყენება. ამრიგად, პროლეტარულ ლიტერატურას თავის არსებობის პირველ პერიოდში ახასიათებს წარსულის და არსებულ ფორმათა სინთეზური გაღრმავება, მათი სრულ-ქმნა“ (გვ. 98). აქვე ხაზგასმულია, რომ ახალი ცხოვრების ძველ მხატვრულ ფორმებში არსი უთუოდ მოითხოვს ახალი ხერხებით თვისებურ მხატვრულ ფორმაში გამოქვადვინებას.

ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ წარსულ ეპოქათა კულტურული საუნჯის მთლიანად და სავსებით მიღება არ არის გამართლებული. „მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ხელაღებით ყველაფერი უარვყოთ. კულტურული მემკვიდრეობა, კლასიკურ კრიტიკას ბრძმელში გატარებული, გაღრმავებული მომავალს დარჩება. ის მარადიულ-კაცობრიული ნაკეთები, რომელიც მოკლებულია კლასიკურებას“ (გვ. 99).

შ. რადიანი თავის კრიტიკულ წერილში „პროლეტარული კულტურის პრობლემები“ ფორმის პრობლემას ეხება ლიტერატურაში მემკვიდრეობის საკითხთან დაკავშირებით.

როგორ უნდა გავყოთ კლასიკურ ლიტერატურასთან დამოკიდებულების საკითხს, რა მი-



მართებაშია ახალი ფორმაციის ლიტერატურა— პროლეტარული მწერლობის კულტურულ მემკვიდრეობასთან, როგორ უნდა შევადგათ ახალი მხატვრული ფორმის ძიებები? — ამ კითხვები, რომლებიც აღძრულია ზემოხსენებულ კრიტიკულ წერილში.

ჭარბულმა ფუტურისტებმა ასე ჩამოაყალიბეს კლასიკურ მწერლობასთან პროლეტარული ლიტერატურის დამოკიდებულების საკითხი: „როგორ შეიძლება რამოდენიმე ისტორიული საფეხურით გადაღმით დარჩენილ კულტურის მიღწევები პროლეტარულ მშენებლობისათვის გამოსადეგი გახდეს?“ (ეურნ. „დროული“, № 1).

ფუტურისტებმა ძველ ლიტერატურასთან დამოკიდებულება „ტერორის“ სახელით მონათლეს. 1924 წელს ეურნალ „მნათობის“ ფურცლებზე ერთ-ერთი მთავანი სრულიად ნათლად და თანმიმდევრულად გამოხატავდა ფუტურისტული მიმდინარეობის თვალსაზრისს კლასიკური ლიტერატურისადმი დამოკიდებულების საკითხში. მოკუსმინით ავტორს: „პირველი პოლიუსი პოეზიაში არის ტერორი, რომელიც უნდა გავიგოთ, როგორც გარდასულ შკოლების წინააღმდეგ საბოლოო წარმოებული ბრძოლა უბრალოთ: ფორმა, რომელიც ემსახურებოდა გარდასულ ეპოქას, არ არის მისალბე თანამედროვეობისათვის. კარლ მარქსმა გარკვევით სთქვა: „წარსულთან რევოლუციონურ განხეთქილების და ორგანიულ აღმშენებლობის კლას-პროლეტარიატს, არ შეუძლია ისარგებლოს ისეთი მხატვრული ფორმებით, რომლებიც ორგანიზაციული იარაღი იყო გადასული, ისტორიული, სოციალური სისტემისა“. აქედან გამომდინარე თვისებური დასკვნა: „ხელოვნებას, ისე როგორც სოციალურ მოძრაობას, აქვს ორი პოლიუსი, პირველი — რევოლუციის და მეორე — აღმშენებლობის. პირველი გულისხმობს მოძრაობის გარდასულ ფორმებს ფაბულის გასანადგურებლათ, მეორე — ახალი სისტემის და ფორმების აგებას. ქართული პოეზიის განყოფილება ოდნავადაც ვერ აღწევს თავს იმ ლიტერატურულ ნაგავის დაგროვებას, რომელიც კომუნისტურ რევოლუციამდე არსებობდა, თუ კომუნისტური ეპოქა საჭიროებს ხელოვნების ახალ ფორმებს და ეპოქალურ ფაბულას, — განაგრძოს წერილის ავტორი, — მან უნდა მოსძიოს ყველა ლიტერატურული გემოვნება, მისალბეა მეტი სახელით, ეპოქალური დაწმენდით. აქედან გამომდის პირველი დებულება: ტერორი კომუნისტურ სახელმწიფოში დარჩენილ ლიტერატურულ ნაგავს წინააღმდეგ“ („მნათობი“, № 14, 1924).

შ. რადიანი მკვეთრად დაუპირისპირდა წარსულის მემკვიდრეობის იმ გავებას, რომელიც ასახულია ქართული ფუტურისტების წარმომადგენელთა სპარაგრამო ხასიათის წერილებში.

ავტორი, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ფუტურისტების მსჯელობაში წარსული ლიტერატურა „იდებულებაა როგორც მონოლიტი“. ვი მსჯელობს „ფეოდალურ-თავადაზნაურული ლიტერატურის“ განვითარების სამ საფეხურზე, იმეწმებს გ. პლენანოვს, რომელიც აღნიშნავდა: „ხელოვნების ყოველ დიდ ნაწარმოებში მოქმედ პირთა ფსიქოლოგია იმიტომ იპყრობს ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ ის არის მთელი საზოგადოებრივი კლასების ან ფენების ფსიქოლოგია“ და სხვა (გვ. 104). ამ თვალსაზრისით გაკრიტიკებულია წარსული ლიტერატურის უარყოფელი.

შ. რადიანი ცალკე გამოყოფს ფორმის საკითხს და ავითარებს დებულებას: „ახალი, პროლეტარული შინაარსი თანდათან გამოიმუშავება ახალ ფორმებს“, ხოლო პროლეტარიატმა მხატვრული ტექნიკა უნდა ისწავლოს თავის წინამორბედთან“ (გვ. 107). ოღონდ აქ არის გზიდან გადაციდენის საშიშროება. მხატვრული ტექნიკა უნდა ვისწავლოთ არა ფეოდალური ლიტერატურის დაცემის პერიოდთან, არამედ „ხელოვნების დიდი მემკვიდრისაგან, რევოლუციონერ რომანტიკოსებისაგან და სხვადასხვა დროის კლასიკოსებისაგან, რომლებიც შექმნა დღეს უკვე წარსული კლასების აღორძინების ხანა“ (გვ. 107).

დ. რონდელი თავის სტატიაში „პროლეტარული ლიტერატურის განვითარების გზები“ (ეურნ. „პროლეტარული მწერლობა“, № 5—6, 1927 წ.) აღიარებდა, რომ „პროლეტარული მწერლობა საერთო იდეოლოგიურ საკითხებს ამუშავებს, მაგრამ ამ შინაარსობრივ მასალის პროლეტარული ლიტერატურის მხატვრულ ფაქტთა გადაქცევისათვის ის განსახარული ხერხების მოხმარებას ემყარება. მხატვრული ნაწარმოები შინაარსობრივი მასალის და მხატვრული ფორმის დიალექტიკური მთლიანობის მოვლენა“ (გვ. 157). ეს აძლევს საფუძველს კრიტიკას, არ მიიღოს მხატვრული პლატფორმის საჭიროების უარყოფელთა შეხედულება.

წერილში ხაზგასმულია, რომ პროლეტარული მწერლობის მასლობრივი მხარე (რევოლუციური თემები, კლასობრივ-იდეოლოგიური ასექტები...) არ არის საემარისო, — ვადაწყვეტო მნიშვნელობისაა მასალის მხატვრული დამუშავების (გაფორმების) საკითხი. პროლეტარული მწერლობის პირველი თაობის ლიტერატურული პრაქტიკა აღბეჭდილია სქემატურობით და ფორმალური პრიმიტივიზმით. რევოლუციის მშვიდობიან სოციალისტურ აღმშენებლობაში

კახა ძიძიუშვილი  
 ძირითადი მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიკოსი

გადასვლის შემდეგ პროლეტარულ მწერლობაში შემოსულ ახალი ყოფის ჩვენებასთან ერთად მწერლობამ კონკრეტული ხელვა გამოამყვანა და თანამედროვე ადამიანის მხატვრული ჩვენების საკიროება წარმოაჩინა.

კრიტიკოსი აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ საკიროა დაირღვეს ძველი ღირიკის კრიტიკა („ღირიკის ლექსალური ფორმა“). პროლეტარული ღირიკის პოეტის ჩამოყალიბება, დ. რონდელის აზრით, უნდა დაეყრდნოს პრაქტიკულ-სასაუბრო ენის სტრუქტურას; ამ გზით განიღვენება ძველი ღირიკის მელოდურ-რიტმული წყობა და ახალი რიტმი მოთავსდება სალაპარაკო ენის სისტემაში, ავტორის სიტყვით. „სასაუბრო ენის დინამიურ სინტაქსის შიგნით (გვ. 162).

იგივე კრიტიკოსი („ლიტერატურული კვალიფიკაციის საკითხი პროლეტარულ მწერლობაში“, ეურნ. „პროლ. მწერლობა“, № 8, 1927) აყენებდა ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის საკითხს მხატვრულ ლიტერატურაში. „...სიმბედა საკითხი იდეოლოგიის და ტექნიკის ურთიერთობისა მხატვრულ ფაქტებში... ნაწარმოების იდეოლოგიური ზეგავლენა მისი გამოსახვის საშუალებათა ჯამის, მისი ტექნიკური კვალიფიკაციისა და მიზან-მიმართების ფუნქციონა“.

დ. რონდელი ამბობს, რომ „პროლეტარული მწერლობა პოლიტიკური მემარცხენეობის (ბოლშევიკურ-კომუნისტურ იდეოლოგიის) დამდვილი და პირდაპირი მოთხოვნაა თავის მხატვრულ პრაქტიკაში გამოსახვის საშუალებათა მემარცხენე მეთოდებს საკიროებს, ე. ი. ისეთი მხატვრული კონსტრუქციების აღმოჩენებს, რომელიც მაქსიმალურათ უზრუნველყოფს ახალი სოციალური ზემოქმედების ფორმას“ (გვ. 82). ავტორის სიტყვით, ლიტერატურული კრიტიკის დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს „მასალის მხატვრული ინტერპრეტაციის (დამუშავების)“ მეთოდის გამოყენებას ლიტერატურული ფაქტების კონკრეტულ ანალიზს დროს.

პროლეტარული კრიტიკის სისწრაფე დასმულია ამოცანა — ლიტერატურულ დაჯგუფებათა დამდვივა და ჰეგემონობის მოპოვება, — ეს კი შეუძლებელია, თუ პროლეტარული მწერლობა არ დადგა „ლიტერატურულ დაჯგუფებათა მხატვრულ-კულტურულ“ დონეზე როგორც მასალის შერჩევის, ისე მხატვრული შესრულების მეთოდების მიხედვით“.

საკულისხმია, თუ როგორ აფასებს დ. რონდელი „ცისფერ ყანწელთა მხატვრულ მეთოდებს. მისი სიტყვით, „ძალიან ადვილი გამოსაცნობია „ცისფერი ყანწელების“ ლექსალური მეთოდი, ტრადიციულ მებრძოან ლექსის ვიწრო კულტურა, მითოლოგიური ლექსიკონი, სენტიმენტალური დამდვირების რიტმული შტამები

და საერთოთ ყველა იმ ელემენტების კომბინაციით, რომელიც ხელს უწყობენ არა ამქვეყნიურ მოფლმხედველობის გამოშუშავებას, ჭურუმობის იდეის დანერგვას და სულიერი დაცემულობის ყველა ნაკადებს“ (გვ. 83).

ფუტურისტების პოეტია კი ასეა შეფასებული: მათ სცადეს „ქართული პოეზიის ლექსალური რეფორმა მოეხდინათ“, მაგრამ ეს ცდა „თვითმხნურ ტექნიციზმის საფეხებზე შეჩერდა, ანდა სავსებით უუხედებულ ექნა და „კონსერვატიულ აუდიტორიასთან“ მცირე წინააღმდეგობის გზით კვლავ განაახლეს გადამდრეებულ თემების დამუშავება“ (გვ. 84).

რა მხატვრულ მეთოდებს ეყრდნობიან პროლეტარული მწერლობა? პროლეტარული პირველი პერიოდიდან „ქართული პოეზიის ძველი ლექსიკის სფეროში დაიწყო პროლეტარულ რევოლუციით აღბეჭდილი ახალი მასალის სემანტიური (აზრით) დამკრა, მაგრამ თვით ლექსალობის მოვლენა ნაწილობრივ ეკლექტიზმისა და პრიმიტიულ შენებით ხასიათდებოდა, ამიტომ შემოქმედებითი მასალა სქემატიზმის და განყენებულ რომანტიკის რაკლში იყო მოქცეული“. ახალი თაობის შემოქმედება კი უმოთავსებლად აღინიშნა რევოლუციური თემიკური მასალის დამუშავებით, „კლასიკური ემოციონალური კუთხის გამახვილებით“. მხატვრული ისტატიზმის სფეროში კი ჩამორჩენილობაა. აი სქემა, რომელსაც გვაწვდის ავტორი პროლეტარული ლიტერატურის ჩამორჩენილობის დასახასიათებლად: 1. მასალის უციოდანარობა, 2. სქემატიზმი, 3. მხატვრული ფრაზის ეკლექტიკური შენება და მთლიანობის უქონლობა, 4. მომძლავრება „ემოციონალური ღირიკისა“, რომელიც პოეტით ახლოსაა „ცისფერყანწელთა“ დეკადენტობასთან, 5. ნაადრევით გაპროფესიონალიზება — სათანადო ექსპერიმენტული მუშაობის ჩაუტარებლად.

ავტორი გმობს საავიტაციო ხასიათის ლექსებს (საკლენდარო თემებზე) რომლებიც სქემატიზმით ხასიათდება.

ჩვენ გვესაჭიროება წარსული ლიტერატურული კულტურის (კლასიციზმიდან — დღევანდლამდე) ნიმუშების ცოდნა, მათი მასალასთან დამოკიდებულების მეთოდები... ტრადიციული ფორმით არ შეიძლება ვიმუშოთ ახალი ისტორიულ გარემოცვაში. უნდა გავაღრმავოთ კონფლიქტი... ლიტერატურული გარემოცვის მხატვრულ სისტემასთან“.

ახალი მხატვრული ფორმის საკითხები აღძრულია ავრთვეთ ვ. ქიქოძის წერილებში. ეურნალ „პროლეტარული მწერლობაში“ (1927, № 1) გამოქვეყნებულ სტატიაში კრიტიკოსი მიუღებლად მიიჩნია დედალება, რომ პროლეტარული მწერლობის შექმნა მისი მხატვრული ფორმის გამოშუშავებით უნდა დაიწყო, თითქოს „მწერლობის სპეციფიკურობა მხოლოდ

მისი ფორმის მხატვრულობაში მდგომარეობდეს. ავტორის აზრით, „აუცილებელი არ არის, რომ ახალმა მხატვრულმა აზროვნებამ წარმოშობის პირველი დღიდანვე ახალი ფორმა პოოს. შესაძლებელია, და ასეც ხდება, რომ საკუთარი ფორმის გამომუშავებამდე ახალი მხატვრული აზროვნება ტანთ იცვამს ნაწილობრივ ძველ ფორმას“. ქიქოძისავე სიტყვით „ამას ფორმის საკითხში ულტრა „მემარცხენეები“ და არსებითად კი მემარცხენეები „ფორმალურ კონტრევოლუციას უწოდებენ“. რაკი, ავტორის რწმენით, პროლეტარული მწერლობა „გამოსავალ წერტილად იღებს კლასიკების რეალიზმს“, ასეთი „მემარცხენეობა“ საფუძველს მოკლებულია. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ პ. ქიქოძე ილაშქრებს „ფორმით ვტაცების“ წინააღმდეგ და მიუთითებს პროლეტარულ მწერლობაში ფორმალურ გადახრებზე.

რ.კ.პ. ცეკას დადგენილებაში (1925 წ.) მხატვრული მწერლობის შესახებ ნათქვამია: „თუ პროლეტარიატის ხელში არსებობს დღეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის შეუცდომელი კრიტერიუმი ყოველგვარი ლატერატურული ნაწარმოებისათვის, მას არ მოეპოვება ასეთივე განსაზღვრული პასუხები ყველა საკითხში მხატვრული ფორმის შესახებ“. პ. ქიქოძე ეკამათება იმათ, ვინც აქედან ასკვნის, რომ „მთავარი გულისყური უნდა მიექცეს ფორმალურ ამოცანებს. ფორმალურ გადახრების ნიშნულად დასახელებულია ა. მამაშვილის „დარიალი“.

დაისვა საკითხი მხატვრული ფორმის ეროვნული კოლორიტის შესახებ.

ამ საკანზე გარკვეული შეხედულებები აქვს გამოთქმული, მაგალითად, პ. ქიქოძეს. მისი აზრით... „ფორმით, კოლორიტით. ნაწილობრივ თემატკითაც პროლეტარული მწერალი საქართველოსი უნდა განსხვავდებოდეს რუსეთის ან სხვა ეროვნული პროლეტარული მწერლები-სგან... ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყანა გეოგრაფიულად და ისტორიულად განსხვავდება სხვა ქვეყნის ყოფა-ცხოვრებისაგან, აძლევს შემომქმედს განსაზღვრულ მხატვრულ ფორმას: სახეების, რიტმის, წყობის და ლექსიკონის მარაგს“. ნიშნულად დასახელებულია კ. კალაძის შემომქმედება (ყურნ. „პრ. მწერლობა“, № 1, 1927). საერთო დასკვნა ასეთია: „ორი მთავარი ხაზით უნდა წავიდეს ჩვენი ფორმალური ძიება: პროლეტარულითა და ნაციონალურით“.

მხატვრული ფორმის პრობლემა ქართულ პროლეტარულ კრიტიკოსთა ნააზრევში ორგა-

ნულად დაუკავშირდა პროლეტარული მწერლობის ჰეგემონობის კითხვას.

ამ თვალსაზრისით აქ დავიმოწმით ბ. ბუაჩიძის ნაშრომი „პროლეტარული ლიტერატურის ხარისხობრივობისათვის“ (ყურნ. „პრ. მწერლობა“, № 2, 1927).

ავტორისათვის ამოსჯალია საერთო დებულება, რომ გარდაავალი პერიოდის ისტორიული აუცილებლობით ჰეგემონიას ყველა სფეროში პროლეტარიატს აუფრთხვებს. აქედან გასაგებია, რომ ლიტერატურა, ხელოვნება გამონაკლისი არ შეიძლება შეადგენდეს — პროლეტარული ლიტერატურული ჰეგემონია ისტორიული აუცილებლობით არის ნაყარანხევი!

ზოგიერთები აღიარებდნენ, რომ ახალი ლიტერატურა ჰეგემონობას ახერხებს ხელოვნური ძალადობით. ბ. ბუაჩიძე გარკვევით უპირისპირდება ამ შეხედულებას: „ადვილი აქვს პროლეტარული ლიტერატურის ჰეგემონიის პრინციპის დამახინჯებას და ვერაგვებას, — ამბობს ის, — ჰეგემონიის მიღწევა დეკრეტით დეკლარაციაში გამოთქმული სურვილებით არ შეიძლება“ (გვ. 87). ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჰეგემონობა მიიღწევა „ხარისხის უმადლეს დონემდე აძლებით“; ჰეგემონია უნდა გავაიგივოთ ლიტერატურული ხარისხის, მხატვრული ოსტატობის საფუხურთან, — ასეთია ავტორის თვალსაზრისი.

რა გზით უნდა იქნეს მიღწეული მხატვრული დაოსტატება, ლიტერატურული ხარისხის უმადლეს საფუხურზე აყვანა? საჭიროა კულტურული მემკვიდრეობის ათვისება, დაუფლება, რასი „ქვეყნთხედიც სწავლის აუცილებლობა“.

ბ. ბუაჩიძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პროლეტარული ლიტერატურა თავისი ბუნებით მოწინავეა ლიტერატურულ მიმართულებათა შორის და ამიტომ „ხარისხით უფრო მაღლა უნდა იდგეს“, ვიდრე სიმბოლიზში, ფუტურისში თუ სხვა რომელიმე მიმართულება. აღნიშნულია ისიც, რომ სხვა მიმართულებანი

1 პროლეტარული მწერლობის ჰეგემონობისკენ მისწრაფებას ხშირად აღნიშნავდნენ პროლეტარული კრიტიკოსები. ამ თეზისის პოეტური ფორმულებების ნიშნულია ა. მამაშვილის შემდეგი სიტყვები: „გამემარცხებულვართ ლექსში მხატვრულად ბრძოლით, იდეით, არა დებოზით, ლექსით ვამყარებთ ჩვენ დიქტატურას ლიტერატურულ საქართველოში“. ეს ლექსი ვაყარტიკა ბ. ბუაჩიძემ ერთ-ერთ თავის წერილში.

**ბახხ ძიმინაშვილი**  
 მართული მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიიდან



ერთმანეთს უპირისპირდებიან მხატვრული ხერხების მიხედვით, — მათი „სოციალური სარჩული“ ერთნაირია. პროლეტარული ლიტერატურა მთლიანად უპირისპირდება ყველას, როგორც დიდი მოძრაობა, ძირითადად განსხვავებულ სოციალურ-ლიტერატურული ბუნებას.

როდესაც პროლეტარული ლიტერატურული კრიტიკის წარმომადგენლები აღიარებენ, რომ ახალი ტაძის მწერლობა იყენებს წარსული ლიტერატურული მიმართულების ხერხებს, მეოთხედს და ახდენს მათ შერჩევას კრიტიკული გადაწყვეტებით, — ეს თეზისი ზოგიერთი თეორეტიკოსის მიერ ასე იქნა გაგებული: პროლეტარული მწერლობა ლიტერატურული მიმართულებების სინთეზის გზით მიდის, მას არა აქვს თავისი მხატვრული კრედიტო, თავისი ფორმა. ბ. ბუაჩიძე უარყოფს ამგვარ გაგებას და აღნიშნავს, რომ თავდაპირველი მიზანი პროლეტარული ლიტერატურისათვის მიდგომის საკითხია, „ეს, თუ როგორ აითვისებს მოვლენებს, მიდგომის განმსაზღვრელი კლასიკური ბუნებაა“, მაგრამ საკუთარი ფორმის მოძიება კი „მტკიცეა და მხარეა პროლეტარული ლიტერატურის განვითარების პროცესში“. მნიშვნელოვანია აგრეთვე ავტორის მიერ გახაზული დებულება: რევოლუციური განწყობილების გადმოცემა „შეუთავსებელია კამერულ ტონალობაში, სინეტიტ და სხვ.“ თვითმყოფადი ფორმა კი, ავტორის აზრით, არ ახასიათებს ლიტერატურის განვითარების არც ერთ საფეხურს.

ლიტერატურის განვითარების რომელ პერიოდს უნდა დაეყრდნოს პროლეტარული მწერლობა, რათა ჰქონდეს სრულყოფილი ფორმა? ყველაზე უფრო საშინაო ბურჟუაზიული ლიტერატურის დეკადანსის ხანა, — აღმავალი და დაქვემდებარების ხანის ლიტერატურა და პროლეტარული მწერლობის გამოყენების უნარი პირველსავე უნდა გადახაროს. ავტორი ნათლად აყენებს დებულებას: პროლეტარული ლიტერატურა უნდა დაეყრდნოს კლასიკურ ლიტერატურას.

ამრიგად, პროლეტარულმა კრიტიკოსებმა მკვეთრად დააყენეს პროლეტარული მწერლის პროტესტიანილიზმის საკითხი. ბ. ბუაჩიძის სიტყვით, „პროლეტარული მწერლისთვის არ არის აუცილებელი დაზგასთან დგომა... პროლეტარული ლიტერატურის მუშაკი მთავარ ენერჯის ლიტერატურულ მუშაობაზე უნდა ხარჯავდეს“.

1928 წელს განსაკუთრებით მწვავედ დაისვა საერთოდ პროლეტარულ ლიტერატურაში მხატვრული ფორმის, ტექნიკის, სტილის პრობლემა. მარჩვენებელი ახალი მწერლობის ზრდისა და ჰეგემონობისკენ მძლავრი მისწრაფებისა. ეურნალი «На литературном посту» აღნიშნავდა: «...Мы все больше внимания уделяем

проблеме специфически-творческого, литературно-политического порядка, это то новое, что принес 1928 г. пролетарской литературе».

ჩვენშიც იყო ტენდენციები „წმინდა შემოქმედების“ საკითხების“ მიმდინარე პოლიტიკურ-ლიტერატურული საკითხებიდან ასეთი გამოყოფისა. იმავე ეურნალში ნათქვამია იყო: «Необходимо отличить форму как метод отбора и конструирования в образ элементов действительности, и от формы, как совокупности технического према».

ქართულმა პროტარულმა კრიტიკოსებმა ხაზი გაუსვეს ზოგად დებულებას, რომ ახალი კლასის ახალი მხატვრული იდეოლოგია წმინდად ჯერ კიდევ ძველ ფორმებს იყენებს, მაგრამ განვითარების პროცესში, როდესაც ახალი მიმართულების წარმომადგენლები ღრმად აითვისებენ ცხოვრების და თანდათან დაძლევენ ძველ ლიტერატურულ შტამს, ახალი საზოგადოებრივი იდეებისა და ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების ზეგავლენით შემუშავდება ახალი მხატვრული სტილი, ძველისაგან რადიკალურად განსხვავებული. ეურნალი „პროლეტარული მწერლობის“ ფურცლებზე ნათქვამია, რომ „მწერლის უშუალო კავშირი მიმდინარე საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ახალი მხატვრული ფორმების წარმოშობას უფრო იწვევს, ვიდრე ცხოვრებიდან მოწყვეტილი — ლიტერატურული სწავლა“ (№ 6-7, 1929, გვ. 74).

ლოზუნგი — „სწავლა“ ფართოდ გაისმის პროლეტარული კრიტიკის ნაწილებში. საჭირო ვარდასული ფორმების დაუფლება, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, ისევე, როგორც არ არის საკმარისი მხოლოდ ანაზის ისწავლო აღამიანმა! ანაზისის სწავლის პროცესი ძველი ეულტურისადმი დიდი კლასიკური უნდობლობის (სეცეცისის) გრძობით უნდა იქნეს წარმოებულა. მხოლოდ „სწავლა“ პედაგოგია, მხოლოდ ცხოვრების ცოდნა და ლიტერატურული კვალიფიკაციის უქონლობა უეულტურობა, ახალი იდეოლოგიისთვის შესაფერი მხატვრული ფორმის არქონობა — ცალმხრივობა, ხოლო მხატვრული ძველი ფორმების, თუ ვინ რადიკალური „გარდაქმნით“, ახლის შექმნისა — რეფორმატორობა და რევოლუციონერობა! — ასეთია ფუნდამენტური მნიშვნელობის დებულება გამოთქმული ეურნალი „პროლეტარულ მწერლობაში“ (№ 6-7, 1929).

ამრიგად, სრულიად ნათლად მოიხაზა ახალი ლიტერატურული მეტყველების ჩამოყალიბების ფორმულა: საზოგადოებრივ ცხოვრებასთან უშუალო კავშირი მხატვრული იდეების მარჯვს დავტოვებს იწვევს; ამავე კავშირის შედეგად ახალი „სახეების“, ე. ი. ახალი მხატვრული ფორმების სხვადასხვა ელემენტების დავტოვება ხდება.



ამ დებულების გონებასმხვილურ ფორმულად ხშირად იხსენიებოდა ალ. ბეზიმენსკის წიგნის სახელწოდება: «Как пахнет земля!». ყოველი მწერლისთვის, განსაკუთრებით პროლეტარულითვის მთავარი საქმეა იცოდეს, თუ როგორი გემოა აქვს ცხოვრებას. ცხოვრების გამახვილებული ყნოსვა და პირდაპირ მგლისებური ნიჭით „ისტორიის ნაბიჯების მოსმენა — აი ეს არის მთავარი მწერლობაში“ (ქიქოძე).

1929 წლიდან მოყოლებული პროლეტარიტუკოსები განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი ხანების პროდუქცია მოწმობს ქართული პროლეტარული მწერლობის ზედერთი წონის ზრდას, რომ ეს ზრდა დაკავშირებულია როგორც შემოქმედებით ნაყოფიერებასთან, ისე მხატვრული ღირებულების დონის აწევასთან. გამახვილებულია ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ თანდათან მკვიდრდება ახალი პროზა, მაშინ როდესაც ჩვენში წარსულში ლექსი ყოველთვის სკარბობდა ბელეტრისტიკას. ამ სფეროში ნიჭიერ ძალეზბად მიჩნეული არიან კ. ლორთქიფანიძე (უპიკრეველს ყოვლისა), ე. პოლუმორდვინოვი, პ. სამსონიძე, ნ. ზომლეთელი, კ. კალაძე. აღინიშნებოდა უარყოფითი მხარეებიც პროზის განვითარებაში. მაგალითად, გაკრიტიკებული იქნა ე. პოლუმორდვინოვის „ორი მზე“, სადაც ავტორი გვიხატავს ახალდამწეებლობას და ცდილობს ახალი ცხოვრების ფონზე გამოძერწოს მუშის სახე, მაგრამ ახალი ადამიანის ჩამოყალიბება სუსტად არის მოცემული; ზოგიერთი ბელეტრისტი გატაცებულია ზედმეტი ადამიანის ჩვენებით („ხავის“ კ. ლორთქიფანიძისა). ბ. ბუაჩიძე ასოციაციის 1928 წლის ნოემბრის პლენუმზე წაკითხულ მოხსენებაში აცხადებდა, რომ პროლეტარულმა ბელეტრისტებმა ვერ შეძლეს ჭერჭერობით ცხოვრების ფართო ტილოების მოცემა, და ეს იმიტომ, რომ ისინი არ იცნობენ ღრმად ჩვენს ცხოვრებას.

ამავე მოხსენებაში კრიტიკოსი ამბობს, რომ პროლეტარულმა პოეტებმა დასძლიეს თემატური შემოფარგულობა და ცდილობენ დამუშავონ ახალი მასალა, მოგვეცინონ კონკრეტული ლირიკის ნიმუშები. მიუხედავად ამისა, ჩვენ კიდევ უნდა შევებრძოლოთ ნაკლოვანებებს: ზოგიერთი პროლეტაროეტი ჭერ კიდევ არ გაცვილებია პლაკატს, „რევოლუციის ზოგად გადაძვრებას“, რევოლუციური დღესასწაულებისა დუხსრულბეულ დიფირამებებს. მომხსენებელი იმომწმებს გამომუშავებულ სტანდარტების მაგალითებს (ეული, ვაკელი და სხვ.).

ბ. ბუაჩიძე პლენუმზე ხაზგასმით ლაპარაკობს იმის თაობაზე, რომ პროლეტარული მწერლობის მხატვრული დონე ჭერ კიდევ არ დგას ჭეროვან სიმაღლეზე. ამასთან დაკავშირებით აღძრულია პროლეტარული ლი-

ტერატურის მიერ დამოუკიდებელი მწერლობის შემუშავების პრობლემა. პროლეტარული მწერლობა დასაწყისშივე ვერ შექმნის საკუთარ სტილს, როგორც ამას ფუტურისტები მოითხოვენო, აცხადებს ბუაჩიძე. საჭიროა ჭანსალი ტრადიციები მხატვრული სტილის სფეროში, რათა თანდათან შემუშავებულ იქნეს დამოუკიდებელი მხატვრული მეთოდები! როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოყოლებული იმ დროიდან, როდესაც პროლეტარულ ლიტერატურას უხდებოდა ბრძოლა თავისა არსებობის განმტკიცებისათვის, როდესაც იგი სუსტ ლიტერატურულ მოძრაობას წარმოადგენდა, ყოველთვის ყურადღების ცენტრში იდგა შემოქმედებითი გზების საკითხები. აღვინდელ კრიტიკულ ლიტერატურაში აშკარად იყო შეცნობილი ის გარემოება, რომ იდეური პეგემონობის მოპოვება მხოლოდ იდეოლოგიური ბრძოლით არ შეიძლება და საჭიროა პრინციპულად და კლასობრივად ახალი ლიტერატურის შექმნა, რომლის „შემოქმედებითი გზები და საშუალებები არ ემსგავსებოდეს წარსული ფეოდალურ-ბურჟუაზიული ლიტერატურის გზებსა და საშუალებებს და მუშათა კლასის ბრძოლებთან და მოთხოვნილებებთან იქმნებოდა შეფარდებული“.

ღრთა ვითარებაში მწეველ და ფართოდ დაისვა შემოქმედებითი მეთოდის, ლიტერატურული ყანრების პრობლემა, ოღონდ ლიტერატურული კრიტიკოსები ხაზს უსვამდნენ შემდეგ გარემოებას: შემოქმედებითი საკითხებისათვის ინტენსიური ბრძოლა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ პროლეტარული ლიტერატურა თავს ანებებს იდეოლოგიური ხასიათის ბრძოლას ლიტერატურის საერთო ფრონტზე. ა. სულავას სიტყვებით: „შემოქმედებითი მეთოდებისათვის ბრძოლა — ეს ნიშნავს მტკიცე კლასიკურ მსოფლმხედველობისათვის ბრძოლას, მარქსიზმისა და ლენინიზმის მარქსისტული ფილოსოფიის ღრმა და რთული საკითხების ცოდნით შეიარაღება. ცდება ის, ვინც ფიქრობს, — განაგრძობს იგივე ავტორი რომ შემოქმედებითი საკითხები — ეს წმინდა ლიტერატურული საკითხებია და მათ არა აქვთ მკიდრო კავშირი პროლეტარული ლიტერატურის საერთო ლიტერატურულ-პოლიტიკურ ამოცანებთან... შემოქმედებითი საკითხები — ეს პროლეტარული მწერლობის მსოფლმხედველობის, კლასიკურ პრინციპებში გარკვევის, სინამდვილის შემეცნების და მასში მოწაწილობის საკითხებისა, ეს მისი პეგემონის საკითხია“.

პროლეტარული მწერლობის მხატვრული

**პაპხა ძიმიშვირი**

მართლული მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიიდან



პლეტფორმასთან დაკავშირებით დაცვა შემოქმედებითი კრედოს საკითხები. „პროლემაფის“ დეკლარაციაში (1925 წ.) აღძრულია საკითხი რეალიზმის შესახებ, ნათქვამია, რომ ახალი ფორმაციის მწერლობის ყურადღების ცენტრშია, ბრძოლისა და შრომის იდეალიზაციის გარდა, მუშურ-გლეხური ყოფა-ცხოვრებისა და ფსიქოლოგიური მომენტების მხატვრული ასახვა“. ამრიგად, აქ მხატვრული რეალიზმის ცნებაა ნაულისხმევი. ორიოდე წლის შემდეგ (1927 წ.) ეურნალ „პროლეტარულ მწერლობაში“ (№1) იბეჭდება პ. ქიქოძის წერილი „რომანტიული რეალიზმი და ქართული პროლეტარული მწერლობის პერსპექტივები“.

ავტორი აღნიშნავს, რომ უნდა შეტანილი იქნეს კორექტივები რეალიზმის იმ გაგებაში, რომელიც ჩამოყალიბებულია „პროლემაფის“ დეკლარაციაში, სადაც წამოყენებული იყო ლიხევი მხატვრული რეალიზმის შესახებ. წინათ პროლეტარული მწერლობის მხატვრულ რეალიზმში იგულისხმებოდა მიმდინარე ყოფა-ცხოვრების დოკუმენტური აღწერა და ეს ფორმულა მოკლებულია პერსპექტივას. „მხატვრული რეალიზმი არის არა მარტო ასახვა სინამდვილისა, არამედ განსაზღვრული მხოლოდობა“. „ყოფაცხოვრების ასახვა არ არის აუტოლეტი რეალისტი პროლეტარულ მწერლობათვის, იგი იქნება რეალისტი მიზნად, თუ მის შემოქმედებაში პროლეტარულ-რეალისტური პათოსია (პათოსი აქ ნაგულისხმევია შინაარსის გაგებით. კ. ძ.) გვიყვება“ (გვ.74). პროლეტმწერალი არ შეიძლება იყოს მხოლოდ რეალისტი, მასში უნდა ცხოვრობდეს, უნდა ვითარდებოდეს რომანტიზმისა და პრაქტიკული იდეალიზმის ზოგიერთი დღეებითი მხარე. რომანტიზმის გარდა პ. ქიქოძე აღიარებს ფსიქოლოგიური რეალიზმის საჭიროებას. პოეზია ფაქტების, ფსიქიკის, იდეების — აი რა უნდა ასახაობდეს პროლეტარულ მწერალს. ავტორისათვის მისაღებია პლეხანოვის ფორმულა: ახალი კლასი იღწვის გათავისუფლებისაკენ, იგი თვით არს იდეალი; ამიტომ ახალი ხელოვნება იქნება ერთგვარი ნარევი იდეალიზმისა რეალიზმთან. პ. ქიქოძე ასკვნის, რომ პროლეტარული მწერლის მხატვრული აზროვნება რომანტიკულ-რეალისტურია, ესაა გვირუკი რეალიზმი.

აქ ავტორისათვის ამოსავალია დებულება, რომელიც კვალიფიცირებულია რევოლუციონური რუსეთის მხატვართა ასოციაციის დეკლარაციაში.

პ. ქიქოძეს ამ კონტექსტში მოჰყავს ეორე სანდის სიტყვები, მიწერილი ბალზაისადმი: „თქვენ იღებთ ადამიანს ისე, როგორც იხატება იგი თქვენს შთაბეჭდილებაში; მე კი ვგორძნობ წყნად მოყოლებას — განვასახიერო

იგი ისეთად, როგორაც მინდა გხედდეთ“ ავტორის დასკვნით, რომანტიკული რეალიზმი შეარჩევს „ნდომასა“ და „არსებულს“, ხდება იდეის და სინამდვილის, რაც შესაძლებელია ჩვენს პროლეტარულ ლიტერატურაში, სადაც სინამდვილე არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ იდეას და პირიქით.

პ. ქიქოძე ეხება მხატვრული აზროვნების სტაბილიზაციის საკითხს და აღნიშნავს, რომ, თუ რუსეთში პროლეტარულ საზოგადოებრივობას დიდი ტრადიცია აქვს და ამის შესაბამისად განვითარებულია და ძლიერი პროლეტარული მწერლობა, საქართველოში პროლეტარული მხატვრული აზროვნების სტაბილიზაცია არ არის დამთავრებული და მომწიფებულია.

ავტორი ახასიათებს „პროლემაფის“ გამოცემის შემდეგ ქართულ პროლეტარულ მწერლობას. მისი აზრით, სამი მთავარი გზით წავიდა პროლეტარული მხატვრული რეალიზმის განვითარება: ფსიქოლოგიური რეალიზმის, რომანტიკული რეალიზმის და ახალი ყოფაცხოვრების ასახვის გზით. ფსიქოლოგიური რეალიზმი ყველაზე უფრო განვითარდა კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში, ნაწილობრივ კ. კალაძის, კ. ფეოდოსიშვილის, ა. შამაშვილის შემოქმედებაში, გვირუკი რეალიზმი მოცემულია ამავე პიუტების, ხოლო ამავე ავტორებს და ე. პოლემორფინოვს აქვთ ცდები ყოფა-ცხოვრების ასახვისა.

პროლეტარული მწერლობის მხატვრული მეთოდის საკითხს ეხებოდნენ სხვა კრიტიკოსებიც. მაგალითად, შ. რადიანი აღნიშნავდა, რომ პროლეტარული ლიტერატურის რეალიზმი ძირითადად განსხვავდება ბურჟუაზიული მწერლობის რეალისტური სკოლისაგან. მისი სიტყვით, „პროლეტარული რეალიზმის სტილისათვის დამახასიათებელია: დინამიურობა, ორგანიზაციულობა და სახეთა კონკრეტულია“. ავტორი დანახს, რომ ახალი რეალისტური სტილი შესატყვისი იქნება ახალი ეპოქის, პროლეტარიატის დემკრატურის ეპოქისა (ქართული პროლეტარული პროზა“, ეურნ. „პრ. მწერლობა“, №12, 1929).

რომანტიზმის ელემენტების შეტანის ცდა პროლეტმწერლობის მხატვრულ მეთოდებში ზოგიერთმა კრიტიკოსმა სასტიკად ვაკვირებდა.

გ. ნატროშვილი ასაბუთებდა დებულებას, რომ „არავითარი რომანტიული და არც ნატურალისტური „რეფორმა“ რეალიზმისა არაა ნაკარნახევი ობიექტურ გარემოებათა გამო. რომანტიკული დანახს დღევანდელ დამკვირვლებულ ეპოქაში შეუძლებელია შესარულის მხოლოდ რეაქციული როლი“. ავტორი ამ საკითხში დგას ნაპოსტოველთა მხარეზე. გ. ნატროშვილი ეკამათება გორბაჩევის რომანტიზმის ცნების გაგებაში, მაქსიმ გორკის „დე-



დას“ შეფასებაში (ქართული თვალსაზრისით) და სხვ., იცავს პროლეტარული რეალიზმის შემოქმედებით მეთოდის შეკახვბს“. ჟურნ. „პროლ. მწერლობა“, №10-11, 1930).

გ. ნატროშვილი იმსაც ამბობდა, რომ ეგზალტაცია ეწებს „ღამადარ“ ბოლშევიკურ საქმიანობას.“ ამ გზით მოცემული ახალი ადა-მიანის ტიპი ბოლშევიკის კარიკატურა და არა მისი რეალური მხატვრული ანარქიკი“.

როგორც ვიცით, საერთოდ, პროლეტარულ მწერლობისათვის 1927-28 წლებამდე დამახასიათებელი იყო სქემატიზმი, შტამპი, ამბტრაქტულობა და ნატურალიზმი.

ი. ლიბედინსკი ასე ახასიათებდა პროლეტარული ტერატურის დასაწყის პერიოდებს: „წინათ ადამიანებს ჩვენ ამ სახით გვაძლევდნენ: აი, ასეთი და ასეთი კომისარი, მას უნდა პქონდეს ასეთი და ასეთი განსაზღვრული ნიშნები. ჩვენც ვაძლევდით ასეთ ნიშნებს და ვუშვებდით მოქმედებაში. მსგავსად იმისა, როგორც სრულად ურყევი ლოგიკით ვითარდება გეომეტრიული თეორემა, ისევე ვითარდებოდა ჩვენთან სიუჟეტი“. ასეთი ვითარება პროლეტ-მწერლობის განვითარების გარკვეულ საფე-ხტრზე გასაგებიც იყო.

ამგვარი მდგომარეობის საწინააღმდეგოდ წარმოიშვა ლოზუნგი „ცოცხალი ადამიანის“ ჩვენებისა. იგი უპირისპირდებოდა „კუნზი-ცის“ სქემატიზმს, კოსმიზმს და შტამს.

ი. ლიბედინსკიმ საკავშირო პროლეტმწე-რალთა ასოციაციის პირველ ყროლობაზე წა-მოაყენა შემდეგი დებულება: „...ეს სწირად შეუცნობელი შთაბეჭდილებანი უმეტეს შემ-თხვევაში (თუმცა იგულისხმება აგრეთვე კლასობრივად განსაზღვრული სახით) ვაღმო-ვცემენ ადამიანის ობიექტურ მდგომარეობას სინამდვილის მიმართ, ვიდრე, ერთი შეხედვ-ით, წინაპართა ცდით შემოწმებული ყოფითი სენტენციები... რამდენადაც უშუალოა შთაბე-ჭდილება, რომელიც საფუძვლად უდევს ხე-ლოვნურ ნაწარმოებს, იმდენად ის ღრმაა ათ-ვილებით, იმდენად ხანგრძლივია მისი ბუნება ...უშუალო შთაბეჭდილება — აი ხელოვნების საფუძველი“.

„ფსიქოლოგიური რეალიზმის“ მეთოდი პროლეტარული ლიტერატურული კრიტიკოსე-ბის ნააზრევში სადავო პრობლემად იქნა მი-ჩნეული.

ზოგიერთი პროლეტარული მწერალი ამ ტერმინმა ვაუგებრობაში ჩაადო და ამიტომ თავის მხატვრულ შემოქმედებაში ბურჟუაზი-ული ფსიქოლოგიზმი, დოსტოევსკის მსგავსი განწყობილებები განავითარა. საკავშირო პრო-ლეტარული მწერლების ასოციაციის პირველი ყროლობის ანგარიშში, მაგალითად, ნათქვამია: აღენიშნავთ ყოველგვარი ვაუგებრობის თა-ვიდან ასაცილებლად, რომ ეს ტერმინი („ფსი-

ქოლოგიზმი“. კ. ძ.) ჩვენ მაინცდამაინც ვაზღა-ვერ გვაწყობს, რადგანაც იყო ღრო, როდესაც იგი იხმარებოდა პროლეტარული მწერლობი-სათვის მიუღებელი შინაარსით“.

ა. ფადეევი ლენინგრადის პროლეტმწერალ-თა კონფერენციაზე აღნიშნავდა: „როდესაც გამოდის ზოგიერთი წრის წევრი და ჩვენი მეთოდი ესმის, როგორც მეთოდი რალაც ფსი-ქოლოგიური რეალიზმისა, ჩვენ არ შეგვიძლია ვიდგეთ „ფსიქოლოგიურ რეალიზმზე“. ჩვენ უნდა გვეწონდეს სხვა, ახალი მეთოდი“.

„ცოცხალი ადამიანის“ თეორიას დიამეტ-რალურად დაუპირისპირდნენ „ბლოკის“ წარ-მომადგენლები და იგი უშარტით ლოზუნ-ვად გამოაცხადეს. თავის დეკლარაციაში „ბლოკი“ აღიარებდა: „ჩვენ ვიბრძვიტ „ცოც-ხალი ადამიანის“ ლოზუნგის წინააღმდეგ ლი-ტერატურაში, ვინაიდან ის უშარტით ლოზუნ-ვია. მასში დღეიყუებოდა მთავარი, ძირითა-დი, სავალდებულო თითოეული პროლეტარუ-ლი მწერლისათვის, სახელდობრ — მოთხოვნი-ლება გარკვეული პოლიტიკური, კლასობრი-ვად მოქმედი დამოკიდებულებისა სინამდვი-ლისადმი“ („Литературная газета“, 1930, 19 მაის).

„ბლოკი“ მოქეცა მეორე უკიდურესობაში, მეტაფიზიკაში ვადიქრა და უკიდურესი რაცი-ონალისტური შეხედულებით დაუპირისპირდა „ცოცხალი ადამიანის“ კონცეფციას. იგი პრიმატს ხელოვნებაში რაციონალისტურ თვალ-საზრისს ანიჭებდა. სწორედ ამან მიიყვანა „ბლო-კი“ წერილობტრუჯუბიული „ლფის“ მშრალი და მსჯელობითი მეთოდის აღიარებამდე.

„ნაპოსტოველებმა“ წამოაყენეს ლოზუნგი «Срывание всех и всяких масок» (ფორმულა ვ. ლენინისა!). როგორ უნდა ვა-ვიგოთ ეს მოწოდება? ეს ნიშნავს, რომ დი-ალექტიკური მატერიალიზმის მეთოდით შეიკ-რადებული პროლეტარული მწერალი ჩასწე-დება მოვლენების სიღრმეში, გამოარკვევს სი-ნამდვილის მოძრაობის კანონზომიერებას, და-გვეხმარება — ძირეტლად შევიმცნოთ რეალ-ობა, რათა ის შევცვალოთ პროლეტარიატის ინ-ტერესების მიხედვით, იმ მიმართულებით, რაც დავგახლოვებს სოციალისტურ საზოგადოე-ბას. ასე ესმოდათ „ნაპოსტოველებს“ ამ ლო-ზუნგის შინაარსი.

ცოცხალი ადამიანის, „ფსიქოლოგიზმის“ თეორიული საფუძვლები ფართო მსჯელობის საგნად იყო მიჩნეული ქართული პროლეტარ-ული კრიტიკოსების ნაწერებში.

„ვოაპპ“-ის პლენუმზე (1930 წ., 28 მაისს) ამ საკითხზე სავანებოდ შეჩერდა ბ. ბუაჩი-

**ბაბა ძიმბიშნი**  
ქართული მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიიდან



ძე, რომელმაც აღნიშნა: „ღრთა ნაპოსტოველ ხელმძღვანელებს მტკიცედ და აშკარად დაეუწყათ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოძრაობდა დღემდის და საითკენ მიდის ამჟამად ფსიქოლოგიური რეალიზმი. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოვარკვიოთ, — აცხადებს კატეგორიულ ტონით ბუაჩიძე, — ჩვენი დამოკიდებულება, ან მოვხსნათ, ანდა კატეგორიულად განვაცხადოთ, რომ ყველა „უშუალო შთაბეჭდილებანი“ და „ცოცხალი ადამიანები“ შეცდომას წარმოადგენს“. კრიტიკოსი განაგრძობს: „საჭიროა მოისხნას დრომოქმედი, შემცდობი“ შემოქმედებითი ლოზუნგების მთელი რიგი, როგორცაა, მაგალითად, უბადლებული „ცოცხალი ადამიანის“ ლოზუნგი, რომელზედაც ყველა უარს ამბობს, მაგრამ რომელსაც ყველგან გრძნობენ“ („პროლეტარული მწერლობა“ №6, 1930, გვ. 118-119).

პროლეტარული სტილის თეორიულ პრობლემებს მიეძღვნება აგრეთვე გ. ნატროშვილის წერილი „პროლეტარული ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდების შესახებ“ (ე. „პრ. მწერლობა“, №9, 1930), სადაც მოცემულია „უშუალო შთაბეჭდილებათა“ თეორიის კრიტიკა.

გ. ნატროშვილის მტკიცებით, ლიბედინსკის თეორია უახლოვდება ინტუიტივიზმს. დებულება „უშუალო შთაბეჭდილება — ეს არის ხელოვნების საფუძველი“ თავისი არსებით მტკიცებულებათა ასეთივე ვიზორისკის შეხედულებაც: „რამდენადაც უშუალო, ინტუიციურად შეიგნებს მხატვარი გარემოცულ ცხოვრებას, მით უფრო ღრმად ჩასწვდება მას, მით უფრო კარვად გადავივლის მას“ (ვიზორისკის). ამასთანავე, ვიზორისკომ დასვა თანასწორობის ნიშანი ქვეცნობიერსა და უშუალო შთაბეჭდილებათა შორის. გ. ნატროშვილის ვრცელ მსჯელობაში ამ საკითხის გარშემო ყურადღებას აქცობს დასკვნა: უშუალო შთაბეჭდილებათა თეორია უახლოვდება დავით იუშის შეხედულებებს.

აქვე გ. ნატროშვილი აღნიშნავს, რომ მას წინათ ტერმინები „ანტიფსიქოლოგიზმი“ და „ფსიქოლოგიზმი“ არასწორად ესმოდა. „პროლეტარული რეალიზმის მეთოდის გარშემო დამუშავებული შეცდომების აღიარება ჩემი წინა წერილების ძირითადი საფუძვლების სწორად აღიარებასთან ერთად აუცილებლად მიმაჩნიაო“, თვითკრიტიკულად აღიარებდა ავტორი. ლაპარაკია „ღროშის“ ფურცლებზე გამოთქმული ზოგიერთი ფორმულების შესახებ.

„უშუალო შთაბეჭდილებების“ თეორიის კრიტიკული განხილვა მოცემულია აგრეთვე შ. რადიანის წერილში: „პროლეტარული მწერლობის შემოქმედებითი საკითხები“ (ეურნ. „პრ. მწერლობა“, № 10-11, 1930). ლიბედინსკის შეხედულებები მონათლულია ბერგსო-

ნისტულ თეალსაზრისად. ავტორისათვის მისი ლიტერატურული ლოზუნგი „ნიღაბთა ჩამოხევის“ შესახებ.

ქართველი კრიტიკოსები ფართოდ გამოემართნენ, აგრეთვე, დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე აგებული შემოქმედებითი მეთოდის საკითხს (ბ. ბუაჩიძე, ა. სულავე, ვ. ლუარსაბიძე, გ. ნატროშვილი და სხვ.).

ბ. ბუაჩიძე „ვოაპპ“-ის სამდივნოს პლენუმზე (1930 წ.) აცხადებდა: „საჭიროა ენერგიული მუშაობა დიალექტიკური მეთოდის კონკრეტიზაციისთვის. საჭიროა გაჩაღდეს მუშაობა დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდის მხატვრული შემოქმედების სფეროში კონკრეტული გამოყენების ირგვლივ და აგრეთვე ხელი შეეწყოს ამ მეთოდის დაკავშირებას შემოქმედებით მუშაობასთან“.

გ. ნატროშვილი წერილში „ისევ პოეზიის შესახებ“ („პრ. მწერლობა“, № 12, 1930) ვრცლად დააპრაკობდა მწერლობაში დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდის შემოტანაზე. აქვე გამოილა მსჯელობა თანრების შესახებ. არ მიაჩნია ავტორის სწორად „ბოლოკის“ კრიტიკადაცხადებდა აზრი, თითქოს პროლეტარული ლიტერატურის მთავარ მიზანს წარმოადგენდეს სატირის, პუბლიცისტიკური პოეზიის, ფილოსოფიური რომანის და სხვ. ენარების წინ წამოწევა.

„დიალექტიკურ-მატერიალისტურ შემოქმედებითი მეთოდის“ თეორია ფილოსოფიური და შეშეცნებას მხატვრული მეთოდების იგავებობას ნიშნავდა. მისი დამცველები ამტკიცებდნენ, რომ მხატვრული მეთოდი — ეს არის მსოფლმხედველობა პრაქტიკაში“ თეზის წამოაყენა ავტორმა. ამან გამოიწვია შემოქმედებითი პროცესის ვულგარიზატორული გაგება და სალიტერატურო კრიტიკაში ფსევდოფილოსოფიური სქოლისტიკის გაბატონება.

თანდათან ჩნდება პროლეტარულ აზროვნებაში ტერმინი: „პროლეტარული რეალიზმი“.

ბ. ბუაჩიძეს მიაჩნდა, რომ ჯერ კიდევ გაურკვეველია და ბუნდოვანი „პროლეტარული რეალიზმის“ ცნება (1930). ვ. ლუარსაბიძის სიტყვით, „პროლეტარული რეალიზმი“ ჯერ კიდევ ალგებრული ფორმულაა, რომელიც კონკრეტული, არითმეტიკული პროლეტარული შინაარსით შეესებას საჭიროებს“ (1931).

„სოციალისტური რეალიზმის“ შესახებ ვრცლად არის მოცემული მსჯელობა ბ. ბუაჩიძის ნაშრომში: „ერთი რომანტიული მარტხის შესახებ“ (კრიტიკული წერილების კრებული, 1960). ავტორი ასკვნის: „ენამდილი, უღრმესი, პერსპექტიული, უფართოესი რეალიზმი მხოლოდ ჩვენი სოციალისტური რეალიზმია“.



## საკრის საიხილი

# ვაჟა-ფშაველას სიბრძნის სამყაროში

„მაგრამ ვაფიქვებთ ერთხელაც,  
ვინ ახლო ვსდგევართ ღმერთთანა“...

ვაჟა-ფშაველას ამ ცხოვრებიდან ბევრი გულსიტყვილი გაჰყვა. მათ შორის განსაკუთრებული იყო უკმაყოფილება მისივე თანამედროვე კრიტიკოსთა მიმართ. გულწრფელი ქება და აღტაცება ვერ შეელოდა საქმეს. სახალხო მგონის ეპითეტებით ამკობდნენ პოეტს. კემ-მარიტი სიღრმისეული შრეები კი თვალთახედვის მიღმა რჩებოდა. ცთუნების ერთი მიზეზი, უნდა ვფიქროთ პოეტის მარტივი ვარგნული ყოფა და მისივე პოეზიის სადა პოეტური ფორმა იყო. კერძოდ, ხალხურ კილოზე ამღერებული მისი ლექსები განამტკიცებდნენ ასეთ თვალსაზრისს. ვაჟა-ფშაველას რამდენიმე წერილი ამ გაუგებრობის გაფანტვის ცდა იყო უთუოდ.

ერთადერთი გამონაკლისი, შეიძლება ითქვას, ილია ჭავჭავაძე იყო, რომელიც სხვა პროექციით შერეტდა ვაჟას გოლიათურ შთაგონებას, სამწუხაროდ, ილიას წერილობით არ გამოუთქვამს თავისი აზრი, მაგრამ მისი ცალკეული გამოთქვამები, რომელიც ზემიარად იცის ყოველმა ქართველმა და ბოლოს სიტყვები — რუსთაველის შემდეგ ჩვენ ასეთი ნიჭით და-ჭილდობული პოეტი არა ვეყოლია — თავისთავად ცხადყოფენ, თუ რა პოეტურ სიმაღლეებს უკავშირებდა იგი „ბახტრიონისა“ და „გველის მკამელის“ ავტორს.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება სიბრძნისა და პოეზიის უშრეტეი წყაროა. უღრეკი ტალანტის ძალა მის თითქმის ყოველ ქმნილებაში გამოსჭვივის, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ვაჟას რთული და მრავალი ასპექტების შემცველი პოეზია ჯერ კიდევ გამოცანად რჩება. ალბათ თაობებია საჭირო, რათა ყოველმხრივ იქნას გააზრებული იდუმალებით დაღდასმული დიდი პოეტის უცნაური შთაგონება.

ამიტომაც არის, რომ ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი ყოველი ახალი ნაშრომი ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. მით უფრო, თუ ეს უკანასკნელი გამოირჩევა საკითხის ორიგინალურად დასმით და კვლევა-ძიებათა სიახლეებით. მე ვფიქრობ, რომ უეშველად ასეთი ნაშრომი თამაზ ჩხენკელის წიგნი „ტრაგიკული ნიღბები“, რომელიც არც ისე დიდ ხანია, რაც გამოქვეყნდა.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში თანამედროვეობა და წარსული რაღაც უცნაურად არის გადახლართული. ხედვის სიღრმე და სამყაროს მთლიანობაში აღქმის წარმართული უნარი ისევე ბუნებრივია მისთვის, როგორც თანამედროვეობის იჭვითა და ტკივილით გამსჭვალული მსოფლშეგრძნება. სხვადასხვა კულტურული შრეებიდან მომდინარე ნაქალთა ეს იშვიათი შერწყმა კარგად არის დახასიათებული გერონტი ქიქოძის შემდეგ სიტყვებში: ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ორგანიულად შეერთებულია კაცობრიობის დილისა და მწუხრის, გულუბრყვილო სიკაბუკისა და მომწიფებული ვაჟაკობის შეგრძნობა, მისი გმირებიდან ზოგიერთნი ბედნიერ ბავშვებს ჰგვანან, ზოგიერთნი კი დაფიქრებულ ბრძენთ, რომელთაც მუბლი დანაოჭებული აქვთ მტანჯველი იჭვით“.

ეს თავისთავად სწორი დებულება მიგვანიშნებს, მაგრამ არ კი გვიხსნის პოეტის იდუმალებით მოცულ შემოქმედებას. ვაჟა-ფშაველას პოეზიის მთლიანობაში გააზრების მომავალ გზაზე მის შემოქმედებაში დადასტურებული ცალკეული ასპექტების შესწავლა პირველი და გადაუდებელი ამოცანაა.

კვლევის ერთი ასეთი ასპექტია ვაჟა-ფშაველა და მითოსური სამყარო. მართლაც, ვაჟას შემოქმედების ერთი უმთავრესი ნიშანთვისე-



ბა უქვეყნულად მისი პოეტური აზროვნების არქაულ იერს გულისხმობს. სამუშაოდ, კვლევამ ამ მიმართულებით მხოლოდ უკანასკნელ ხანებში აღორძინდა. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ცალკეული და საკმაოდ მნიშვნელოვანი წერილები ანალოგიურ საკითხებზე უფრო ადრეც, ამ ნახევარი საუკუნის წინ, აღიწერა და რაც შემთხვევაში მათი გამოძახილია თანამედროვე მკვლევართა ნაშრომებში გამოთქმული ასეთივე თვალსაზრისი.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების უღრმესი კავშირები ქართულ წარმართობასთან საკმარისად არის ხაზგასმული გერონტი ქიქოძის, სერგი დანელიას, გრიგოლ კიკნაძის ნაშრომებში. საგულისხმო მოსაზრებებია წარმოდგენილი ამ თვალსაზრისით სიმონ ჩიქოვანის, მიხეილ კვესელავასა და განსაკუთრებით აკაკი ვაწარღლიას წერილებში, რომლებიც აგრეთვე ბოლოხანებში გამოქვეყნდა.

საკითხის ასეთივე დასებით და რაც, ჩემის აზრით, ძალზე ფასეულია, კონკრეტული კვლევა-ძიებით გამოირჩევა თამაზ ჩხენკელის ლიტერატურულ-კრიტიკული მონოგრაფია „ტრადიციული ნიღბები“, რომელშიც კვლევის ძირითადი ობიექტად აღებულია ისეთი მნიშვნელოვანი პრიბლემა, როგორცაა პიროვნების ვარდამენის მითოსური საფუძვლები ვაჟა-ფშაველას პოემებში.

ვაჟა-ფშაველას რთული პოეტური მეგვიდრობა, როგორც ითქვამს, მრავალი სიძნელის წინაშე აყენებს მკვლევარს. ეს ეხება როგორც ღრმა ქვეტექსტების შემცველ პოეტურ ენას, ისე აზროვნების სრულიად უნიკალურ ფორმებს. ავიღოთ თუნდაც ისეთი საკითხი, როგორცაა ვაჟას პოეტური სემანტიკა, რომელიც ღრმა ჩაკერებებს მოითხოვს. თავის წერილში სიმონ ჩიქოვანი შენიშნავდა ვაჟას პოეზიის განსაკუთრებულ სიახლოვეს ხალხის მხატვრულ აზროვნებასთან. ამ თვისებათა გათვალისწინებით ვარაუდობ ჩვენ შესაძლოა მცდარი კვალიფიკაცია მივსცეთ ამა თუ იმ პოეტურ სახესა თუ ცალკეულ გამოთქმას. ვაჟა-ფშაველას ერთ პირველივე ლექსში, მაგალითად, ასეთ სტრიქონებს ვკითხულობთ: „შვეთში გაზავარებულსა ცხენი წამქეტეს გზაში; ქვეყნისგან შაჩვენებულმა ბინა დავკარგო ავაში, გამოწყდეს ბეწვის ხიდა, ჩავეარდო კუპრის ზღვაშია“. აქ გამოყენებული სოციოეტიური სახეწვეულებრივ მეტაფორებად მოგჩვენება მკითხველს, თუ მათ მოგწყვეტთ იმ ბუნებრივ გარემოს, რომელთანაც პოეტი სისხლსორცეულადაა დაკავშირებული. „შვეთში“ აქ მიცვალებულთა ქვეყანას ნიშნავს, სადაც ფშაველთა მითოლოგიური წარმოდგენით აღმანიშნა ცხენით უნდა გადალახოს „ბეწვის ხიდაი“, რომელზე მშვიდობით ვაჟა მხოლოდ „მართალ-

თა“ ხედრიო. „ცის ბინა“ სამოთხე, ხოლო „კუპრის ზღვა“ ჯოჯოხეთის ხალხურწოდებითაა დგენა — ასეთივე ღრმა ქვეტექსტების მატარებელია ვაჟასთან სიტყვები თუ გამოთქმები, როგორცაა „სამზეო“, „სულეთის ბატონი“, „დავლათიანი“, „მბედვატუტელი“ და სხვა მრავალზე მრავალი, რომელთა ერთობლიობა თავისი მნიშვნელობით ამკარად სცილდება მხოლოდ და მხოლოდ სტილურ მახასიათებლებს, როგორც ეს ზოგ მკვლევარს ახლაც მიაჩნია.

ვაჟას ასეთი გაგება აუცილებელი და პირველი საფეხურია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ქვემარტივი სირთულეები აქედანვე იწყება. საქმე ის არის, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების უღრმესი კავშირების გამოვლენა ძველ ქართულ-წარმართულ აზროვნებასთან საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. იგი, როგორც ითქვამს, არც პოეტური სტილის ჩარჩოებში თავსდება და ვაჟა-ფშაველას მსოფლშეგერაძენების, მხატვრული აზროვნების სპეციფიკას განეკუთვნება.

მართლაც, მხოლოდ გენიოსის უკიდურესი ტალანტის სფეროშია შესაძლებელი თანამედროვეობისა და არქაულის ასეთი, ერთი შეხედვით, უცნაური შერწყმა, რაც თვალნათლად დასტურდება ვაჟა-ფშაველას მხატვრულ წარმოსახვაში. ვაჟა-ფშაველას თანამედროვეობის განცდით დაძუტული პოეზია მარადიული პრობლემატიკითაა დატვირთული, ხოლო ასეთი მხატვრული ამოცანების პოეტისათვის, და სიღრმეობების სათავე სწორედ აქ არის დამარხული, მითოსური მასალა შეუდარებლად ფართო ასპარეზს სთავაზობს შემოქმედს. ცენტრალური თემატიკის ერთიანობა მითოსის უმთავრესი ნიშან-თვისებაა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ასპექტს წამოწვევს წინ გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი კლოდ ლევი-სტროსი, როცა მითის ზოგად ბუნებას ეხება: „მითი ყოველთვის დაკავშირებულია წარსულ ამბებთან... მაგრამ მითის შინაგანი ღირებულება იმაში გამოიხატება. რომ დროის გარკვეულ მომენტში მომხდარი ეს ამბები ქმნიან მულდამოვ სტრუქტურას, რომელიც შესაბამისდროულია, როგორც წარსულისათვის, ისე აწმყოსა და მომავლისათვის“.

ვაჟას უღრმესი პოეტური ინტუიცია, ამ შემთხვევაშიც, უტოლოდ აღმოჩნდა. მით უფრო, რომ ობიექტური ვითარებაც აქეთვე წარმართულად მიინიშნავს სიბრძნით შთაგონებულ პოეტს. თამაზ ჩხენკელის წიგნის — „ტრადიციული ნიღბების“ უმთავრესი პათოსი სწორედ ამ დღებების დამტკიცებაში მქლავნდება და შესაველსივე იგი მოხდენილად შენიშნავს, რომ „არ არის ვასაკვირი, რომ სწორედ აქ, კურთხეული ფშავის თბილისა და პოხიერ ნიდავზე, სადაც სასწაულებრივად ჯერ კიდევ იშვემნებოდნენ



წინარე ქრისტიანული იბერიის წარმართულ-მითოსური ფესვები, დაბადებულიყო პოეტი, რომლის დიონისურმა შთაგონებამ კვლავ მკვდრეთით აღადგინა მივიწყებული ღმერთები და ვიმორები, თანამედროვეთა მტკივნეული განცდით აღბეჭდილი ნიღბები ააფარა მათ სახეებს და თვალნათლევ დაგვანახა ტრაგიკული ხეყდრის მქონე ადამიანის მარადიული სახე“.

როგორ და რა დონით იყენებს ვაჟა მითოლოგიურ მასალას. ახდენს მათ მოდერნიზებას, თუ პირიქით აღადგენს არქაულ სტრუქტურებს, ყოველივე ეს მკვლევარისაგან მოითხოვს სხვადასხვა სპეციფიკური საკითხების გათვალისწინებას. პირველ რიგში, ვაჟასთან დადასტურებული მითოლოგიური პასაჟების კვლევის დროს შესაძლებლობის ფარგლებში უნდა აღდგეს არქაული სტრუქტურები. კვლევის თანამედროვე დონე ტბოლოგიურ კვლევა-ძიებას გულისხმობს და ქართულ მასალასთან ერთად სხვა ხალხთა მითოლოგიური მასალის გამოყენებასაც. ქართული მითოლოგია ამ თვალსაზრისით საკმარისად არის შესწავლილი და თამაზ ჩხენკლი მიზნის შესაბამისად უხედავ და წარმატებით იყენებს ამ შედეგებს და, რიგ შემთხვევაში, საკუთარი დაკვირვებებითაც ამდბდრებს მათ. ქართულ მასალაში დადასტურებულ ზოგად სტრუქტურებს საგულგნლსხმო პარალელები მოგებრება ანტიკურ და სხვა კულტურულ წრეებში აღმოცენებულ მითოლოგიაში. მითი რამდენადაც ეთნიკურია, იმდენადვე ზოგად ხანებში ზეეროვნულიც. იგი, ფაქტურად დაწურული ფორმით უძველესი ადამიანის წარმოადგენაში მოცემულ სამყაროს სურათია.

აშკარა უნივერსალიტების დონის ფაქტებად იღიქმება, მაგალითად, სრულიად სხვადასხვა ხალხების წარმოდგენებში დადასტურებული მსგავსი ანტიროფომორფისტული შეხედულებები უსულყო თუ ცხოველური ბუნების შესახებ, თითქმის იდენტურია გზა ბუნების ვალმერბებიდან ასტრალური პანთეონის ჩამოყალიბებამდე. ძველი კოლხური პოეზიის იშვიათი ნიმუში „მზე დედია ჩემი, მთვარე მამია ჩემი“... ასეთივე მახლობელი მოჩანს სრულიად განსხვავებული ხალხთა მითოლოგიისათვისაც. ქართული მითოლოგიის იზოლირებული შესწავლით ჩვენ უძველესი ვაგვიქირდებოდა ისეთი საკრალური აქტების ვაცნობიერება, როგორიცაა ვაჟა-ფშაველასთან ასე ხშირად წარმოდგენილი „გველის ზორცისა“ თუ „კაცის ზორცის“ შექმნა—ფერის. ცვალობა, რაც მიღებული ტერმინოლოგიით დიონისური ორგიაზმის კულტს უკავშირდება.

თუ რამდენად სანდო მასალას გვაწვდის კვლევის ასეთი მეთოდი, ეს ჩანს ვაჟას შემოქმედების ცალკეული პასაჟების ანალიზის დროს. მე აქ ერთ დაკვირვებას შევეგებო მხოლოდ. ვაჟა-ფშაველას პოეტური ხილვის სიღრმე და იდუმალება გამჟღავნდა ჯერ კიდევ მის ერთ

ადრეულ ლექსში „დევების ქორწილი“, გარკვეულწილად 1886 წელს დაიწერა. ეს ხილვა, მართლაც, ფანტასტიკურია და ძალზე დამახასიათებელია პოეტის მხატვრული აზროვნების შინაგანი მდგრეტილებებისათვის.

ბუნების გრანდიოზული მღვლვარების ფონზე შემდეგი სურათია ვადმოცემული. დევების ქორწილზე შინატიებულს კაცის ზორცს თავაზობენ. შეპრწუნებულ სტუმარს ვილაცის განწირული კენესა მოესმის „უკვენას ყურეშითა“, რომლისთვისაც ალბათ ასევე კაცის ზორცი დაუშალბიათ დევებს, აქ თითქმის ყოველ სახეში მითოლოგიური დეტალი გამოსტევივს. „ბუნების არეულობა“ აქ იგივე გაზაფხულის ავდარს უკავშირდება, ხოლო დევები ქართული მითოლოგიით ნაყოფიერებისა და ვეგეტაციის დემონებს განასახიერებენ. „კაცის ზორცის დაძალება“ ორგინასტული პასაჟია და აღმინაურზე დევური საწყისის ზიარების მცდელობაა. თამაზ ჩხენკლის მართებული დაკვირვებით დრახა: „სამპირად ცეცხლი დანთოთ, ზედ სამი ქვაბი შზიოდა“, ქართული „ამირანიანის“ გამოძახილია (სამი ქვაბი ზადრი, უსუპ და ამირანისთვის უნდა იყოს ვანკუთენილი). უფრო მეტიც, ვაჟა ადრმავებს ფოკლორულ წყაროს, რომელშიც ასეთივე პასაჟები „ბუნების არეულობის“ ვარეშეა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში, ისევე როგორც რიგი სხვა შემთხვევებში, ვაჟა საოცარი შთაგონებით აღადგენს სავარაუდებელ მითოლოგიურ არქეტპის. მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს დეტალი „უკვენა ყურეშითა კვენსის ხმა გამოდიოდა“? ფაქტია, რომ წინამორბედ სტუმარს ურჩობა გამოუჩენია და ამიტომ „მას კაცის ზორცის ანშუქმის ალტერნატივად თვითონ მოელის დაცვლა“ და თამაზ ჩხენკელი აქ მარჯვედ იყენებს ანალოგიური პასაჟების შემცველ სხვა ხალხთა მითოლოგიურ მასალას. პროპი თავის ცნობილი წიგნში „ჯადოსნური ზღაპრების ისტორიული ძიარბები“, ასახელებს არაერთ ფაქტს, როცა ასეთივე ორგინასტულის პასაჟი „მეზობელ ოთახში“ (დაუტუტური ზღაპარი), „საკუქნოში“ (გრემი) ზდება იქ, სადაც აგრძალულია შეხედვა. აღსანიშნავია, — დასძენს თამაზ ჩხენკელი. — რომ პროპის მიერ მოტანილი მასალა უცნაურ, წვრილმანებამდე ემოხვევა „დევების ქორწილის“ ზოგიერთ დეტალს... „უკვენა ყურე“ — ადამიანის მსხვერპლშეწირვის უძველეს რიტუალში (რომლის ფორმები ისტორიულად ცვალებდი იყო) ყველაზე მდგრადი ელემენტია... როგორც ჩანს, ვაჟა სწორ და ღრმა ვაგებბას იძლევა მითისას, რომლის არქეტპულ მოდელს იგი გენიალური ინტუიციით წვდება. მითოლოგიური მასალების ასეთი ფართო პლანით კვლევა საცნაურს ხდის არამარტო

სარკის ცანიზილი  
ვაჟა-ფშაველას სიბრძნის სამშაროზი

ცალკეული დეტალების მნიშვნელობას, არამედ გარკვეულად მიგვიანიშნებს მხატვრობის მნიშვნელობის დედაზარზე. ეს ამ ლექსის ანალიზის დროსაც ხელშესახებდად გამოჩნდა. დეკლარირებული და ადამიანური საწყისების მარადიული მეტოქეობა, რომელიც „დედთა ქორწილის“ ფანტასტიკურ ხილვებშია წარმოდგენილი, ერთ უმთავრეს ლიტერატურად გასდევს ვაჟა-ფშაველას მთელ შემოქმედებას.

მითოსური მასალა კიდევ უფრო ღრმად და მრავალფეროვანი ასპექტებით არის დამუშავებული ვაჟა-ფშაველას ისეთ დიდებულ კმნიღებებში, როგორცია „კოპალა“ და „აღუდა“ ქეთელაური“.

კოპალა — დევებთან მებრძოლი, კაცობრიობის განმასახიერებელი გმირია. კოსმიურ ძალთა კიდილის ფონზე გადმოცემულია დევთა მიერ კაცთა მოდგმის დამორჩილების შემზარადი სურათები, მართებულად შენსწავს ავტორი, რომ ვაჟა-ფშაველას ამ, მართლაც, განსაკვივრებელ „კოპალას“ რატომღაც ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მკვლევარები, მაშინ როცა, იგი ყველაზე ხელშესახებდად ავლენს ვაჟას მითოსური აზროვნების ძირითად თვისებებს. გარეგნულად კოპალას სახე წარმართული პანთეონის ღვთაებათა (კოპალა-იასხარია, წმინდა ვიორგი, კვირია), მოდელის მიხედვითაა შექმნილი, მაგრამ შინაგანად იგი ახალ რწმენასა და ახალი ღვთაების ნებას განასახიერებს. სწორედ მისი შემოქმედებით აზარტებებს იგი დემონიურ ძალებს და ახალი რწმენისათვის ათავისუფლებს კაცთა მოდგმას. ეს ახალი ღმერთი ქრისტიანულია და და „დევებისა და დეკლარირების დამარცხება პოემის სასტიკი და დროშობული მსოფლმხედველობის ახალ ეთიკურ ღირებულებებთან დამარცხების ბადალია“.

თავის ქართული მითის მითოლოგიური მასალა, რომელშიც, როგორც ცნობილია წარმართულისა და ქრისტიანულის მსოფლგანცდის უნიკალური შეჯვარების მდიდარი ნიმუშებია წარმოდგენილი, თავისთავად იძლეოდა ნაყოფიერ ნიადაგს, მაგრამ ვაჟასთან ეს მომენტები კონცეფციის ძალას იძენს და, როგორც წიგნის ავტორი შენიშნავს, „კოპალაში“ გაშლილი ფილოსოფიურ-ეთიკური ხასიათის კოსმოსური დრამა თვითველი ადამიანის გულში მიმდინარე შინაგანი ბრძოლის ანარქულიცაა და ამ აზრით, ეს პოემა ახალი დროის სულით აღმუქვდილ მისტიკრიად წარმოგვიდგება.

თამაზ ჩხენკელის წიგნის ერთი დიდი ნაწილი ეძღვნება ვაჟა-ფშაველას შემოქმედების უპირველეს შედეგს „აღუდა ქეთელაურს“. ეს გასაგებებია, რადგან გარდაქმნა-ფერისცვალების კათარტიკული აქტი ყველაზე რელიგიურად სწორედ ამ პოემაშია გამოკვეთილი. „აღუდა ქეთელაური კაცია დაღუდათიანი“, — ვკითხვოდა პოემის დასაწყისშივე და ეს უკვე მინიშნებაა, რომ აღუდა შინაგანად გამოჩენილი პიროვნებაა („დაღუდათიანი“ იღბლიანად, უკვე დასრულებულია, წინაშეა სიტყვის ეს საკარგო მნიშვნელობა. სხვათა შორის, ამ სიტყვის ეს საკარგო მნიშვნელობა მხოლოდ უკანასკნელ ხანებში შეიქნა ცნობილი, იხ. ალ. კინკრაძის ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი), ხოლო მისი თავგადასავალი „სხვა-რგვის“ ვნებებითაა პირობადებული.

„აღუდა ქეთელაურზე“, და ეს გასაგებებია, ბევრი დაწვრილა, კარგია და ავიცი, კვირიაურია და უმეტრულიც. აქ აღძრული მარადიული პრობლემები არაერთგზის ვიწრო თემატურ საიუთხების დონემდე ჩამოუქვეითებიათ და ხელის მოკვეთა-არმოკვეთის აზრი პირველყოფილი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ჩვეულებათა გადმონაშთების უარყოფაში დაუუნახავთ. თამაზ ჩხენკელის წიგნში ამ საკითხებს ეძღვნება — ერთ-ერთი ცენტრალური ნაკვეთი „აღუდა ქეთელაურის ვნებანი“ და აქვე ეტყვი, მე არ მეგულება სხვა ნაშრომი, რომელშიც ასეთი მთლიანობით, ორიენაციური დაკვირვებებით იყოს წარმოდგენილი „აღუდა ქეთელაურის“ მხატვრული ანალიზი.

სკრუპულოზულ დაკვირვებათა საგნად არის ქვეული პოემის თითქმის ყველა პასაჟი, ცალკეული გამოთქმა თუ ღვთაული და ყოველივე ეს პროციტირებულია სწორი მიდგომით, ვაჟას მსოფლგანცდის მართებული შეფასებით. აქ მე მინდა ორ უმთავრეს მომენტს გავუსვა ხაზი. უნივერსალური პრობლემატიკით ვატყვება ბედნიერებისათვის თანდაყოლილი თვისება ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედებისათვის. ყველაზე უფრო კონცენტრირებულად და მხატვრული შთაგონებით ეს განხორციელდა „აღუდა ქეთელაურში“ და ვაჟას უდიდესი მხატვრული მიღწევა სწორედ ეს არის, რომ იგი ძალზე მიიწერ, ხელშესახებდად ცხოვრებისეულ სახეობაში ახერხებს არაჩვეულებრივად მასშტაბურ განზოგადებებს, აღუდა ქეთელაური ახალი რწმენის დამკვიდრებისათვის შეუპოვარი მებრძოლის უნივერსალური სახეა. სწორედ ასეთ, შემართების მძიმებელ გმირთა გამო შენიშნავდა უილიამ ჯემსი, რომ „ასეთი გმირები არღვევენ უკუნს, ისინი არიან წინამორბედნი ახალი ცხოვრებისა... მათი ცხოვრების მოწოდებაა განაყოფიერონ მსოფლიო, გამოაცხადონ სიკეთის მისი მარცხები, რომლებიც უმითაოდ ვერ გაიხარებს. იმის შემდეგ, რაც (ასეთი კაცი) გაივლის ჩვენს წინაშე, ჩვენ მეტად აღარ შეგვეძლება ისეთიანობები ვიყოთ, როგორებიც მანამდე ვიყავით, ცეცხლის ალი ყოველთვის ცეცხლსა ვიყავით“. ამასთან დაკავშირებით ანალოგიურ პრობლემათა მკვლევართა დამოწმებით თამაზ ჩხენკელი მართებულად დასძენს: „ისინი (ეს პიროვნებანი) რეალურად იმარჯვებენ, ვინაიდან პიროვნება შეუქმნული ანუ დაწერილი სახით მოცემული საზოგადოება და პიროვნების ზნეობა საზოგადოების შინაგანი

საწყისია... და ამდენად პირველის შინაგანი მონაბოგარი, ადრე თუ გვიან, მეორის მონაბოგრად იქცევა“. მხოლოდ ამ კონტექსტშია შესაძლებელი „აღუდა ქეთელაურის“ კათარტიკული ზუნებისა და დალოკებული იმპულსების ახსნა და შეფასება.

მაგრამ რა გზით, როგორი შთავგონებით ვაღწევითა ბოტემა მის წინაშე აღმართული უძნელესი მხატვრული ამოცანა. ეს არის ყველაზე ფასეული მომენტი ადინანსულ გამოცვლევაში.

ავიღოთ მაგალითისათვის თუნდაც ისეთი ფაქტი, როგორცაა მტრისათვის ხელის არმოკვეთა, რომელიც თვით ვეპასევე მოწმობით ხალხის თქმულბეგში არაა და საკუთარი ფანტაზიის ნაყოფია. მაგრამ საქმის ის არის, რომ ვეპასე, და ეს არის სამომხმის ერთ-ერთი ცენტრი, იმით გაამძაფრა ეს კოლოზია, რომ იგი შედარებით არქვეულ თემაში გადაიტანა. ვეპა ამას ყოველთვის არ აკეთებდა. ზუსტი მხატვრული ინტუიცია კარნახობდა ბოტეს, რომ ამით ეს კოლოზია ღრმა და ამასთან საკარალურ იერს შეიძენდა, ხოლო ბოტემაში ვაშლილი მითოსური პლანი ბევრად უფრო ნოყიერ ნიადაგს მისცემდა ზოგადადამიანურ ენებათა განზოგადებისათვის.

ავიღოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პასაჟი პოემიდან, რომლის სწორი გაგება, ტექსტზე დაკვირვება, რადიკალურად ცვლის ადრეულ ინტერპრეტაციას. გავიხსენოთ ალუდას თითქოსდა უცნაური საქციელი მოკლული ქისტიმულელის ცხედართან: „გულზე ძეგლივი დაადევა, მკლავეზე ფრანგული ხმალო, მარკვენას არ სჭირს მუცალსა, იტყოდა ცოდვა არიო“. აქ ეს სიტყვა „ცოდვა“ სწორად არ ესმოდათ: ალუდას კი არ შეეცოდა მუცალი, არამედ ცოდვა მძინინია მისთვის მკლავის მოჭრა. რომ ეს ასეა, მისგანვე სხვაგვარს თქმული ადსტურების: „ეპაჲ, ეგეტას სამართალს, მონათლულს ცოდვებრალითა“. ეს დაკვირვება სრულიად სხვაგვარ შეუქს ჰფენს ამ ეპიზოდის გაგებას, საიდანაც იწყება ალუდას ფერისცვალების მძიმე და მტანჯველი გზა, რომელსაც გვირი ახალი რწმენის აღიარებამდე მიჰყავს. მუცალმა თავისი შეუპოვრობით დაუმტკიცა ალუდას, რომ იგიც „კაი ყმაჲ“, მას არაფრით ჩამოუვარდება, მისი მსგავსია და მისივე მსგავსის მოკვლა მით უფრო საფრთხილად იქნება, ანაკატურ, ადამიანური საწყისის შეურინადმდელო ქმედება და ალუდას პიროვნებაში პირველად იღვიძებს ახალი და დიდი გრძნობა..

ასეთი საინტერესო დაკვირვებები სხვადასწავრთვით, მაგრამ ჩემის აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტორის მიგნება „ალუდა ქეთელაურში“ წარმოდგენილი მოქმედების პარალელურ შრეებზე. მხოლოდ, ფაბულური პლანი ჩვენ ვერ აგვიხსნის ალუდას ფერისცვალების რეალურ მიზეზებს, თუ ჩვენ თვალს არ გვაკადევნებთ გარეგნულ მოქმედებაში ჩამარ-

ხულ ფარულ აზრს. გარეგნული დაპირისპირებანი და კონფლიქტები ფაქტიურად მოტივირებულია შინაგანი, რიგ შემთხვევაში თვით გმირისათვის გაუცნობიერებელი კონფლიქტებით, რომლებიც კონტრაპუნქტივით ბოლოს ერთ წერტილში იყრიან თავს. ფაბულისათვის თავისთავად მნიშვნელოვანი პასაჟები, როგორცაა ალუდასა და ხევსურთა შეპაქირება თუ კონფლიქტი ხევისბერთან, არ იძლევა მთლიან წარმოდგენას ალუდას საქციელის რეალურ ხარისხზე, მართლაც, ისეთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი, როგორცაა ხატობაზე ალუდას მიერ გამოვლენილი ურჩობა, ფაქტიურად ცრუ ფაბულურ კვანძს წარმოადგენს, რადგან ალუდას პიროვნებაში ვარდებხა უკვე ფაქტად არის ქცეული და ხატობაზე ჩვენ უკვე მისი ქცევის მხოლოდ ერთ-ერთ შედეგს ვაწყდებით. ეს მოქმედება გაუგებარია ფაბულური პლანის ფარგლებში, რაკი მისი ფეხვი ალუდას ქვეცნობიერებაშია დიდფარული, რაც ბოტემაში ეპიზონითა და სიზმრით არის პროეცირებული და ავტორის დასკვნით: „ალუდა ქეთელაურის“ შინაგან ცენტრს სწორედ ეს ადგილები წარმოადგენს.

„ალუდა ქეთელაურის“ მხატვრული ანალიზის დროს სიზმარში მოცემულ ფანტასტიურ ხილვებზე აქცენტირება მკვლევარს აძლევს საშუალებას გასაგება გახადოს დიდი მხატვრული ნაწარმი. ხელმეასებები ხდება აგრეთვე აქ გამოყენებული მითოსური მასალის შინაგანი ფუნქცია. ბრძოლდან დაბრუნებული ალუდას შემსხარავი ჩვენება „ვისაც მტერობა მოსწყურდეს გაალოს სახლის კარია, სისხლ დაიგვბოს კერაში, თვითონაც მიგვე მდგარია“ და დიონისური ორგიაზმით დაღდასმული სიზმარი („ესქამდი, მზარედა თუმცადა კაცის თავ-ფეხი ძლიანე“) ალუდას სულში ადრიატულილი მორალური ტანჯვის უკუფენა და ამავე დროს კათარტიკული ფერისცვალების უდიდესი ნიშანსეტი. ბოტემის ყველა მხატვრული ასპექტის გათვალისწინებამ მკვლევარს მისცა საშუალება ამავე დროს თვალის გადღევნებინა ალუდას სულიერი ზეადსვლის ცალკეული მონაკვეთები-სათვის, რის მხატვრული მოდელიც წიგნში ასეა გადმოცემული: „ბოტემაში ალუდას ინდივიდუალა. მისი პიროვნული თვითდადგენის ცალკეული ეტაპები ასეთი გრადაციით საინოვდება: ფერისცვალების იმპულსი (ბრძოლა) — იქვი (ხევსურებთან დიალოგი) — წუთისთფლის ხილვა (იმედის ქაეი, მტერობა) — ახალ ღმერთთან ზიარება (სიზმარი) — გადაწყვეტილების მიღება (უჩინარი პაუზა) — რწმენის განსორცოლება (ხატობა)“. აქ ჩემის აზრით, სრულყოფილად წარმოსახული მიზეზ-შედეგობრივ ჩაქვით შეკავშირებული მოქმედების შინაგანი და გარეგანი პლანი, რომელთა მეშვეობით შეუ-

**სარბის ცანიშვილი**  
 ვაჟა-ფშაველას სიზმრის სავარდნი

პოეზიის მხატვრული ძალითაა წარმოჩენილი ახალი პიროვნების დაბადება. ალუდა ქეთელაური, როგორც ითქვა მიძიებელის სულისა და თავისუფალი ვნების მატარებელი გმირის უკადვად სახედ აღიქმება.

ამავე საკითხებზე წიგნში არაერთი სწორი და საგულისხმო დაკვირვებებს შეხვდებოდა მკითხველი ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედების გათვალისწინებით ავტორი მართებულად ასყენის, რომ ალუდას ახალი ღმერთიც ასევე უკუმიანიზირებული ქრისტიანობის წიაღშია სიძიებელი. ასევე საგულისხმო მოსაზრებებია წარმოდგენილი ამავე თავში მუცალისა და ალუდას მიქინვარე შერკინების ანალიზის დროს და ვაზარებულა იმ ბრძოლის განსაკუთრებული მნიშვნელობა ალუდას სულში ჩახსენებული იქნისა და ახალი რწმენის შემდგომ განვითარებაში, მაგრამ მათი უბრალო ჩამოთვლაც აქ შორს წაგვეყვანდა. მე მინდა მხოლოდ აღვნიშნო ერთი ძალზე სასიათოვანო მოვლენა, რომელითაც ჩვენ არც ისე ვართ განვივირებულნი. განსაკუთრებით ეს ითქმის სწორედ იმ თავზე, რომელიც მთლიანად „ალუდა ქეთელაურს“ ეხება. ეს არის არჩევულებრივი ტაქტი და ფაქობი მიდგომა მხატვრული ფაქტებისადმი და ეს ანალიზი იმდენად ოსტატურად არის შესრულებული, რომ მთელი ეს თავი თავისთავად მხატვრული ქმნილების შთაბეჭდილებას ახდენს. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით წინა თავებზე, რომლებშიც ზოგჯერ მასალობრივი სიჭარბე ხელს უშლის მკითხველს თხრობის ძირითადი ძარღვის ბოლომდე აღქმასში.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში პიროვნების ფერისცვალების მითოსური საფუძვლების ცკელის დროს, რასაკვირველია, განსაკუთრებით უნებ მასალას შეიცავს ისეთი მნიშვნელოვანი პოემა როგორცაა „გველის მკამელი“, რომელიც ფაქტიურად ასრულებს ანალოგიური ციკლის ვაჟასეულ ქმნილებებს. მინდას სიბრძნე და ტრაგედია ასევე მითოსურ პლანშია მოაზრებული და აღამიანის დანიშნულების უნივერსალურ საკითხს დასტრიალებს თავს. ალუდას სახე — შენიშნავს ერთ ადგილას სიმონ ჩიქოვანი — შორეულად ავტორის მიდრეკილებათა ანარეკლია და მისი ხასიათის ორეულობა. ეს კიდევ უფრო დაბეჭიოთებით უნდა ითქვას მინდას სახეზეც. მე აქ არ ვუღლისხმობ მხოლოდ ბუნებასთან თანაზიარობის საოცარ დამახებვეებს. სიბრძნისა და შთავინების მიმოქცევა თვით პოეტისავე სულში აღძრული შინაგანი ტრავმის ერთგვარი გამოძახილია. შინაგანი წუხილისა და დვთაებრივთან თანაზიარობის ცვალებადობას ვაჟას არაერთ ქმნილებაში გამოუყოფავს. თითქოს მინდას ტრაგედია ტრანსფორმირებული პოეტის ერთ გვიანდელ ლექსში „მარტობა“, რომელშიც ასეთ სიტყვებს ვკითხულობთ: „როცა არწივი წამო-

ვა, ჩვარი ვარ, მცირე ჩვარზედა. დამსკლავი, ნუ გამომაჩნეთ, არ შესცდეთ, დამსკლავი ნუხედა“.

„გველის მკამელთან“ დაკავშირებული ძირითადი საკითხების მთელი წყება ასევე ფართო პლანითაა განხილული. სწორია ავტორის წინასწარი დებულება პოემაში წარმოჩენილი მითოსურ საფუძვლებზე: „გველისაგან გმირის შთანთქმა და პირიქე. გველის ზორცის შექმა ერთი და იმავე მნიშვნელობის ფაქტისა და ორივე მის ქვეყენულში ყოფისა და მითოსურ პლანში მის ინიციაციანზე, მაგიური ცოდნის მოხვეჭაზე და ზეგარდმო გულთმისნობაზე მიგვიითიფებს“, ასევე დამაჯერებელია ავტორის დასკვნა, რომ მხოლოდ უდიდესი ტანჯვის საზღაურად შეიძლება ვადალბახს კაცმა აღამიანური საზღვარი და როგორც ეს ადრე იყო შენიშნული, ტრაგადული ვნებაც სწორედ აქედან იღებს სათავეს. დვთაებრივ ცოდნასთან აღამიანის თანაზიარობის შეუძლებლობის პირველ მაგალითს, ჩემის აზრით, მიზიღური ლეგენდა გვიცხადებს და გარკვეული თვალსაზრისით მინდას ტრაგედიაც მისი ერთგვარი გამოძახილია. მე ვფიქრობ, რომ ასეთივე ასექტი იგულისხმება წიგნის ავტორის სიტყვებში, როცა იგი მინდას ტრაგადული ბედის ვარდუვალობაზე საუბრობს: „აღამიანური ყოფისა და დვთაებრივი არსებობის შერიაგება კრახით დასრულდა, ბუნებას, სამყაროს პირველ დასაბამს, დვთაებრივ წიაღს მოწყვეტილი აღამიანი თავს იცლავს და ეს ბუნებრივი დასასრულია, რაკი ბუნებისა და ღმერთის საესებასთან ზიარებულისათვის მასთან თანაზიარობის დაკარგვა თავისთავად უღრის სიკვდილს“.

ისევე როგორც „ალუდა ქეთელაურის“ მაგალითზე ვნახეთ, აქაც არჩევულებრივი სიზუსტითაა ვაანალიზებული მნიშვნელოვანი ეპიზოდები, თითქოსდა ერთი შეხედვით შემოქმედული დეტალები. მაგალითად, ავტორის სიმო დაკვირვებად მეჩვენება გარეგნულად თითქოსდა უმნიშვნელო დეტალი, მინდას ცოდნისაგან გამოძახარი „მოწამლული ქადა“ ქამა და თანდათან დევურ ცხოვრებას ეზიარა, ისევე როგორც ფშაურ „ამიანისაში“ დვთაებრის მიერ გამოცხობილი ქადა, რომელშიაც კაცის თავფეხია ჩატანებული, მაცთუნებელ შექამანდს განასახიერებს. სხვა დეტალებთან ერთად ამ დაკვირვებითაც ნათელი ხდება, რომ მინდას მდგრადულ-მატერიალური ყოფისაგან მოცთუნებული აღმოჩნდა და საკუთარი რწმენის ლატის გზას დაადგა. ასეთისავე მნიშვნელოვანი ქვეტექსტებია გამოვლენილი პოემის ისეთ პასაჟებში, როგორცაა მზიან სიზმარი, მინდას ფანტასტიური ხილვები და ა. შ. რომელთა ანალიზის დროს გათვალისწინებულია ვაჟას მთელი პოეტური სამყარო და მდიდარი ქართული (და არა მარტო ქართული) მითოლოგიური პარალელები.

ასევე საგულისხმოა ავტორის მოსაზრება, როცა იგი ორ უმნიშვნელოვანეს პოეტურ სახეს აღუდასა და მინდიას ურთიერთმიმართებაში ახსიათებს. ამ შემთხვევაში უფრო რელიგიურად იყვებება მათი, როგორც გამორჩეულ გმირთა მარადიული პროფილები: „აღუდა ზე- აღმბათა გმირია, მინდია ქვედალმავალი. აღუ- და ტიტანური ძალისხმევით არღვევს საზოგადოების დასწულ მორალსა და რელიგიის გაქ- ვავებულ დამკვებს. უნივერსალურ ღმერთთან ზიარებულად, იგი ზეკაცურ თავისუფლებას ის- ვავს. ხოლო ზეკაცურ ცოდნასა და ბუნების სიღრმულოსთან წილნაყარი მინდია ჰკარგავს ღეთებრივ ზედნობას, რაკი საზოგადოებაში ცხოვრება შეუძლებელს ხდის მის შენარჩუნე- ბას და თავისავე თავში დამარცხებული თავს იკლავს“. აქ და სხვა შემთხვევაში, სწორი თვალთახედვით არის დანახული ტრაგიკუ- ლი ხედრის მქონე ბრძენი მინდიას სახე და უქველად, აქ გამოთქმული მოსაზრებები თავის წვილის შეიტანს ამ ურთულესი პოე- ტური ქმნილების შემდგომ ცვლევა-ძიებაში.

მე აქ მინდა შევეხო აგრეთვე ზოგიერთ სხვა საკითხსაც, რომელიც აღძრულია თამაზ ჩხენკელის წიგნის ფურცლებზე და რომელ- სიც, ვფიქრობ, გარკვეული მნიშვნელობა ენი- ჰება ვეუა-ფშველას მრავალმხრივი შემოქმედე- ბის სწორი შეფასებისათვის.

პირველ რიგში მინდა ისევ დაუბრუნ- დე „გველის მკამლის“ მხატვრულ თავისებუ- რებებს. მიუხედავად იმისა, რომ პოემაში თით- ქმის თავიდანვეა მინიშნებული უმთავრესი პრობლემა და გამოკვეთილია კიდევ ვიზრის სახე, აშკარად შესაბამისია რიგი წინააღმდე- გობა, რომელიც ერთგვარად აძნელებს მხატვ- რული ჩანაფიქრის ბოლომდე ათვისებას. ეს მომენტი შენიშნულია კიდევ ჩვენს კრიტიკაში და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებიც მოი- პოვება ამ საკითხზე. ერთი რამ ცხადი უნდა იყოს: ცალკეული ეპიზოდები აქ ვაჟასული წვდომით, დიდი მხატვრული ძალით არის გად- მოცემული (მაგალ. მინდიას ბუნებასთან თანა- ზიარობა, კონფლიქტი ოჯახთან, მზიას სიზმარ- თი, ქალთა კრებულის დიალოგები, მინდიას სიკვდილი და ა. შ.), მაგრამ პოემას ახასიათან გარკვეული ხარვეზები დაჰყვება, რაც ხელს უშლის მის ერთ მთლიანობაში აღქმას. ამ მო- საზრებას იზიარებს წიგნის ავტორიც და მიუ- თითებს კიდევ ამის ზოგიერთ მიზეზს. „გვე- ლის მკამელში“ ბოლომდე არაა მიყვანილი მითოსური პლანი და მასში არაორგანულად იჭრება სხვა ვარეშე ნაკადები, რის გამოც აქ უქველად შეინიშნება შინაგანი წინააღმდეგო- ბანი (ეგრძოდ, მითოსური და სოციალური პლანი შეუთავსებელი რჩება). ეს ჩანს, მაგალი- თად, პოემის იმ მოტივებში, სადაც მინდია ბუნების ქომაგად გვევლინება, მაგრამ ამავე დროს იგი აქ ბოლომდე თანმიმდევრული არაა

(მეტოდ. იგი „ქვეყნის სარგოდ“ კაცსაც კნის რაც ღვთაებრიობის საწინააღმდეგო ქმედება). თამაზ ჩხენკელის დაკვირვებით ასევე არაზუს- ტი, უფრო მეტიც, თვით ვაჟას შემოქმედებე- სათვის უცხო მოტივია, როცა მინდიას თავთა- ეები მომკას შესთხოვენ ისევ და ისევ „კაც- თა სარგოდ“, მაშინ როცა მითოსური შინაარსი ამ პასაჟისა უფრო ღრმა და საკრალურ ქვე- ტექსტებს უნდა შეიცავდეს (მარცხლის დაღუპ- ვა ვააზრებული უნდა იყოს, როგორც ნაყოფი- ერების ღმერთის დაღუპვა). აქ „მიზანი“ შეცვ- ლილია და მიზას ისეთ პროფანირებასთან გვაქვს საქმე, რაც ვეუა ჩვეულებრივ არ მი- მართავს და მისთვის სრულიად უცხო მხატვ- რული ხერხია. ასევე გონივრული ჩანს დაკვირ- ვება თვით პოემის სტილურ თავისებურებებზე, მითოლოგიურ ჩარჩოში ნაჩსოვილ უტილიტა- რისტულ მოტივებს, ბუნებრივად, თან დაჰყვა უცხო ინტონაციები და როგორც მკვლევარი დასძენს, მავიურობას მოკლებული, პუბლიცის- ტური ხასიათის ლექსიკა და ფრაზეოლოგია (ამის დამადასტურებელი რამდენიმე საუბროს- ხმო მაგალითია მოტამილი მარშოში). უნებ- ლივით თუ იქნებ შეგნებულად დაშვებული ასეთი მხატვრული „უზუსტობანი“ უქველად გარკვეულ დღს ასევეს პოემის მხატვრულ მთლიანობას და ერთგვარად გამაარჩევს მას ვაჟას სხვა პოემებისაგან.

პიროვნების გარდაქმნის მითოსური საფუძ- ვლები ასევე ფართო მასშტაბითაა გან- ხილული ვაჟას სხვა პოემების მავალითებზე და არერთი საგულისხმო დაკვირვებებია მო- ტამილი ისეთი პოემებიდან, როგორცაა „სტუმარ-მასპინძელი“, „მახტიონი“, „ახუნ- დი“, და სხვ. მაგრამ ჩემის აზრით, ავტორი ზოგჯერ ისეა გატაცებული მითოლოგიზაციის პრობლემით, რომ აშკარად ზედმეტ დატვირთ- ვას ანიჭებს სრულიად სხვა პლანში მოზ- რებულ ცალკეულ პასაჟებს, სხვას რომ თავი დაეანებოთ, აშკარად მითოლოგი- ური მოდელების თარგუთა წარმოდგენილი წიგნში „გოგოთურ და აფშინას“ ანალიზი, მა- შინ როცა მითოლოგიური შრე აქ ძალზე მცო- რე დობითაა წარმოდგენილი. თვით აფშინას სახეც ნაკლებ არქაულ იერს ატარებს და პოე- მის საერთო ფაქტურაც ბევრად უფრო აღმუქ- დილია თანამედროვეობის ნიშნით, ვიდრე ეს ზემოთნახსენებ სპეციფიურ პოემებში დას- ტურდება. ასევე, ჩემის აზრით, ნამალადვი ჩანს აფშინას პიროვნების გარდაქმნის მითო- ლოგიურ დონეზე განხილვა და მისი აღუდას მსგავსად „ზეადმავალ გმირად დასახვა. ამაზე მიუთითებს თვით პოემის ფინალი (აფშინას ხმა: „ეკა, მკვდარი ვეკაცობაო, ცოცხლად დამარბ- ვეუ თავისა“), მითოსური შრე ერთი დიდი, მაგ-

სბრძის ცანიშვილი  
ვაშა-ფშაველას სიბრძნის სამყაროში



რამ არა ერთადერთი შენაკადი ვაჟა-ფშაველას მრავალმხრივ პოეტურ სამყაროში. ამანვე მეტყველებს სხვა მხატვრული ქმნილებები და განსაკუთრებით კი მისი ლირიკული შედევრები, მაგრამ მათზე საუბარი აქ შორს წაგვიყვანდა.

წიგნის დიდი ნაწილი, როგორც ითქვა, საკუთრივ მითოლოგიური მასალის კვლევა-აღდგენას ემსახურება და ზოგადი სტრუქტურების ტიპოლოგიურ დასასიათებლს ეძღვნება. მაგრამ ზოგადი სტრუქტურების წილ მითოლოგიაში, ისევე როგორც ყოველი სულიერი ფენომენში, აშკარად დასტურდება, და არც შეიძლება სხვაგვარად წარმოვიდგინოთ ამა თუ იმ ხალხისათვის, თუ ეთნიკური გუთფისათვის და მასსიათებელი სპეციფიკური თვალთახედვა, გეომატიკის ფორმები (ე. წ. ველტრლიდი), რომელთა უფულებვედყოფის აშკარად აღიარებებს მთლიან წარმოდგენას ამა თუ იმ ხალხის საკუთარ წვლილზე.

მით უფრო რომ ვაჟა-ფშაველა მთლიანად და არსებითად სწორედ ქართული მითოლოგიის არსენალით საზრდოობს და მისი პოეტური ენა თუ მხატვრული აზროვნება ყველა ნიუანსში ეროვნულ ძირებს უკავშირდება. ისიც ნიშნავდა, რომ სწორედ ფშაველურულმა (და საერთოდ ქართულმა მთა) შემოგვიანა მითოლოგიური არქეტიპი, რაც ვანაპირობა მთლიანი საქართველოს ისტორიულმა ცხოვრებამ (საქართველოს მაგალითი ბარისა და მთის თავისებური ისტორიული ცხოვრების უნიკალურ სურათს ვაჟაველს). აქ არ უნდა დავივიწყოთ დიდი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის ფუძემდებლური დასკვნა, რაც მან ქართველ ტომთა მითოლოგიის რეტროსპექტული კვლევის შედეგად გამოიტანა: „ყველა ქართულ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სხვათათვისცა საერთო წარმართობა არსებობდა... ამ წარმართობის საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონია“. ვაჟა-ფშაველა ამ თვალსაზრისითაც, მიუხედავად ქართული მთის მიკროლოკალის მითოლოგიური ჩარჩოსი ფაქტიურად ზოგადი ქართული ეროვნული ძირებით საზრდოობდა. ისევე როგორც მის მხატვრულ შემოქმედებაში აღიბეჭდა თავისი დროის საქართველოს სულიერი ტიპიკები.

ვაჟა-ფშაველას პოეზიის მითოლოგიური ძირების კვლევაში, როგორც ითქვა, თამაზ ჩხენკელს ჰყავს წინამორბედები, მაგრამ ასეთი უხვი და მდიდარი მასალა საკვლევი ობიექტის გარშემო მანამდე არ იყო წარმოჩენილი. ამავე დროს ავტორის უბრუნველესი დამახატრება თვით ამ მასალის მხატვრული ფუნქციის ზუსტი კვალიფიკაციები. ნათლად გამოჩნდა არა მარტო ის, თუ რა დოზით, არამედ რა მხატვრული ამოცანების გადასაწყვეტად იყენებდა მათ გენიალური პოეტი.

და ამ ფონზე მოულოდნელი ჩანს, ჩემის აზრით, ავტორის დებულება, რომ „საექვთა 27 წლის ვაჟის ბოლომდე ჰქონოდა გაცნობიერე-

ბული მითოსური საფენელი „აღუდა ქველურისა“, რომლის უმნიშვნელოვანეს მხარეებს ახალი დროის დიდი შემოქმედის ინტუიცია და უკველესი მითოსის ხილვები ურთიერთს ერწყმან, რათა განადიოზული პოეტური მასშტაბით წარმოგვისასონ ადამიანის ფერიცვალების სიღრმე და მისი ამაღლება წარმავალზე“. აქ არ შეიძლება არ ვავიხსენოთ კეგელის ცნობილი შენიშვნა იმის თაობაზე, რომ აშკარად შეუდგამა ვიფიქროთ, რომ თითქოს ნამდვილმა ლეოვანამა არ იცის რას და როგორ აყეთებს. თვით ვაჟის კრიტიკული წერილები აშკარად მეტყველებენ ამ აზრის სასარგებლოდ.

ინტუიციური წვდომის აგრერიგად წინ წაშვების გამო, უნდა ვიფიქროთ, წიგნის ავტორის მხედველობიდან გამორჩა ვაჟის როგორც ძალზე თავისებური შემოქმედის ერთი თვისება. მაგრამ ვიდრე ამ თვისებაზე შევირდებოდე მე მინდა აქ ვაუკეთო ერთი ამონაწერი აკაკი გაწერელის ნაშრომიდან, რომელიც მახვილდაკვირვებას შეიცავს: „ვაჟა-ფშაველა თავისი დროის თვალსაზრისით აფასებს ფშაველთა ყოველგვარ ცრუმორწმუნეობას ფინგრაფიულ ნარკვევებში. მაგრამ პოეზიაში იგი ახდენს ფშაველი წარმოდგენების მხატვრულ ფიქსაციას თავისი გმირების სულიერი ვითარებისათვის შესაფერი ფსიქოლოგიური პრინციპი და ყოველგვარი ავტორიტეტისა და სკეპტიკური შენიშვნების გარეშე“. ამ შენიშვნას იცნობს „ტრაგიკული ნიღბების“ ავტორი, მაგრამ მე არ ვცივი როგორ ხსნის თვით ამ ფაქტს მოტიანი შენიშვნის ავტორი. თამაზ ჩხენკელი კი ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, იზიარებს სერგო დანელიას და კორნელი ზელინსკის მოსაზრებას, რომლითაც ვაჟის მითოლოგიური წვდომები რელიქტურ საოცრებად აღიქმება, ხოლო თვით ვაჟა უკანასკნელ დიდ პოეტად ციკლობრიობის პარაფრაზშილი დაეშვობისა“. აქედან კი არც ისე შორია ამ მცდარი შეხედულებებისკენ, რომლითაც ვაჟა ჩამორჩენილ თუ პრიმიტივისტის დონის მოაზროვნედ ცხადდებოდა.

მე აქ არ ვაბიარებ ამ საკითხებზე ვრცლად შეჩერებას, (შემდგომ წერილში გვექნება მათზე საგანგებო საუბარი), მაგრამ დავისახელებ იმ თვისებას, რომელსაც ვადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ამ საკითხის სწორ ვაგებაში. მითოლოგიური წარმოდგენების ზუსტი წარმოსახვების დროს, ჩემი დაკვირვებით, უპირველეს როლს ვაჟის არაჩვეულებრივი გარდასახვის უნარი თამაშობს. მას ისევე როგორც ანტიკური ტრადიციის რეტროსპექტული განცდილი დაჯილდოებულ მკურნებელს, გავიანგებულ და რწმენის სიმაღლემდე აქვს აუვანილი შემოქმედებითი აქტის ფაშს მითოსურ ნიადაგზე გათამაშებული ტრაგიკული კოლიზიები და ამით ღრმა დამაჯერებლობის ილუზიას ქმნის. ამ შემთხვევაში კიდევ უფრო სრულყოფილად იჩენს თავის ვაჟის შეუპოვარი ტალანტის ძალმისილება.

# სამშობლო ქართველისა...

რამდენიმე წლის წინათ საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულ საბუთებზე მომიხდა მუშაობა — თურქეთ-საქართველოს ურთიერთობათა შესახებ ოსმალური პირველწყაროები მაინტერესებდა. სხვადასხვა ფონდების გაცნობამ დამარწმუნა, რომ ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო და იმედიანი მეფისნაცვლის კანცელარიის დიპლომატიური უწყების საქმეები უნდა ყოფილიყო. ამის მიზეზი შემდეგია.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობათა და საგარეო პოლიტიკის გენერალური პრობლემები პეტერბურგში, რუსეთის მეფის კარზე იგეგმებოდა და წყდებოდა. მიუხედავად ამისა, ტფილისში მეფის ნაცვალთან არსებობდა დიპლომატიური კანცელარია, რომელიც საკმაოდ ფართო უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი: წარმართავდა მეზობელ თურქეთთან, ირანთან და არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ყოველდღიურ საკითხებს, განაგებდა სავაჭრო-ეკონომიურ კავშირებს, ავგარებდა სასაზღვრო ინციდენტებს, რუსეთის ქვეშევრდომებზე გასცემდა საზღვარგარეთულ პასპორტებს და ა. შ. ინტენსიურ დიპლომატიურ ურთიერთობათა არსების როლს ასრულებდა რუსეთის საკონსულოები ტრაპიზონში, ერზერუმში, სამსუნში, თაფრიზში, თეირანსა და სხვა ქალაქებში.

განსაგებია, რომ დიპლომატიური კანცელარიის საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რუსულიდან აღმოსავლურ და აღმოსავლურიდან რუსულ ენაზე თარგმნის საქმეს. საბჭირო მასალიდან ირკვევა, რომ კანცელარია მაღალი კვალიფიკაციის მთარგმნელების ქრონიკულ ნაკლებობას განიცდიდა და იძულებული იყო ძირითადად აღმოსავლური წარმავლობის სპეციალისტებს დაყრდნობოდა. ვინაიდან ადგილობრივ მკვიდრთა შორის, განსაკუ-

თრებით ქართველთა შორის, აღმოსავლური და რუსული ენების თანაბრად კარგად მყოფნი დიდ იშვიათობას წარმოადგენდნენ. ამიტომ იყო, რომ დიპლომატიური კანცელარიის უამრავ ქალაქებს შორის ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით ერთმა, 1843 წლის 18 სექტემბერს ამავე კანცელარიის მმართველის, მრჩეველ პ. ლელის მიერ შედგენილმა საბუთმა მიიქცია. პ. ლელი მთავარმართველს საგანგებოდ ატყობინებდა: „დიპლომატიურ კანცელარიას არაბული, თურქული და სპარსული ენების ნამდვილი წყარობითი მთარგმნელი არ გააჩნია, ამიტომ ძალიან ჭირს საქმიანი ქალაქების თარგმნა“.

არაბული და თურქული ენებისათვის 1833 წლიდან კანცელარიაში იყო მისი უდიდებულესობის იმპერატორის განკარგულებით ს. — პეტერბურგიდან მოვლენილი გურიის მკვიდრი წილოსანი... იქიდან მოყოლებული წილოსანი ბევრიად და სასარგებლოდ მუშაობდა, საფუძვლიანად იცოდა არაბული და თურქული ენები, ჩახედული იყო სპარსულსა და თათრულში, ამასთან ერთად იცნობდა კავკასიის გარეშე მოცხოვრებულ აღმოსავლელი ხალხების დიალექტებსაც. ჩვენს მოხელეებსა თუ სხვა პირთა შორის არ გვეგულება ისეთი, რომელსაც წილოსანის შეცვლა შეეძლოს. საბუღალროდ, წილოსანი სადგურების (მშენებლობაზე) საიჯარო სამუშაოებში ჩართეს და ამით ჩამოაცილეს თავის ნამდვილ საქმიანობას“ (ქვევით ენახავთ, რომ ი. წილოსანის „ნამდვილი საქმიანობა“ სწორედ იმეინობა იყო და არა ლინგვისტიკა — ა. ე.).

„მისი ადგილი, — განაგრძობს პ. ლელი, — დღემდე ვაკანტურია, ვინაიდან არ აღმოჩნდა პიროვნება, რომელსაც შეეძლოს შეცვალოს შტაბს-კაპიტან წილოსანის ნიჭი და ცოდნა, რაც კანცელარიას თურქეთის სასაზღვრო



მოხელეებთან მიმოწერაში უდიდეს სიმწიფეებს უქმნის“.

ამრიგად, გასული საუკუნის შუა ხანებში დიპლომატიურ კანცლარიაში მთარგმნელად მუშაობდა იოსებ წილოსანი, რომელმაც იცოდა არაბული, თურქული, სპარსული (ქვემოთ ენასავთ, რომ ი. წილოსანმა იცოდა ქართული, რუსული, ფრანგული და იტალიური ენებიც).

აღმოსავლური ენების შესწავლის სირთულე საყოველთაოდაა ცნობილი და მითუმეტეს საინტერესოა დაეძინოთ, რომ ი. წილოსანი ფლობდა არა მხოლოდ ამ ენებს, არამედ მათ დაილექტებდაც კი (მაგ., შამილთან მიმოწერას იგი აწარმოებდა). ამგვარი ცოდნა დღესაც სასარბიელოა და მითუმეტეს საოცრებად მოჩანს იმდროინდელი უწიგნურობის ფონზე.

ვინ იყო იოსებ წილოსანი? სად შექმლო ასეთი განათლების მიღება? ან რა ბედი ეწია მას?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ჯერ კიდევ 1946 წელს მიზნად დუსახავს მკვლევარ ივანე არჯვანიძეს. მას დიდი შრომა გაუწევია და უტყუარ საბუთებსა თუ სხვა წყაროებზე დაყრდნობით სასიკადალო თანამემამულის ცხოვრების დამაჯერებელი აღწერა შეუდგენია და დაუსტამავეს აქად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ბეჭდვით ორგანოში („მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1946 წ., ნაკვეთი I, გვ. 21-95). ამ ნარკვევსა და ზოგიერთ ახალ საბჭოურ თუ ლიტერატურულ მასალაზე დაყრდნობით გვიჩვენა კიდევ ვადმოგვტო უცნობი, მაგრამ საინტერესო და დამაფიქრებელი ისტორია ქართველი კაცისა, რომელმაც სამშობლოს სიყვარული ყველაფერზე მაღლა დააყენა და ამდენად განადიდა კიდევ იგი.

1812 წელი. ლანჩხუთი. გურული გლეხის ლახარე წილოსანის ოჯახს თავს დაატყდა დიდი, მაგრამ იმ დროისათვის ხშირად შორიერი უბედურება — ავაზაკებმა კერძის მოსტაცეს მწლის ბიჭუნა, სახელად იოსები. პატარა ტყვე მომტაცებლებმა ფოთში ჩიყვანეს. იმხანად ფოთი ჯერ კიდევ ოსმალთა სამფლობელო იყო და საქართველოდან გატაცებული გოგონებიც ბის უტყობთში ვაყვანის ცენტრს წარმოადგენდა.

იოსები ფოთში შეგზდა მისავე ბედის მქონე თანატოლ ბიჭუნას, რომელიც სამეგრელოდან იყო გატაცებული (ამ უკანასკნელის ქართული სახელის და გვარის დადგენა არ ხერხდება, ტყვეობაში კი სელიმი შეარქვეს და ქვემოთ ჩვენც ასევე მოვიხსენიებთ).

სულ მალე იოსები და სელიმი ოსმალ ტყვისმყიდველს, ქართველი გოგონების შესაძენად ფოთში სპეციალურად ჩამოსულ დიდგვარის ჰასან-აღას მიჰყიდეს და სხვა

ტყვეებთან ერთად, იალქინანი გემის წყაროებში გამოწყვედულნი, სტამბოლის გზას გაუყვეს. უბედურების ეს გზა ათასობით, ათეული ათასობით ქართველს გაუვლია. ეს იყო მონღოი ცხოვრების საწყისი გზა. მაგრამ ბევრი ქართველისთვის იმავე გზას აღმოსავლეთის რომელიმე ქვეყნის მშრანებლის, სარდლის თუ დიდი მოხელის ბედიც შეუღობებია...

ჰასან-აღამ ტყვეების დიდი ნაწილი სტამბოლის „ცოცხალ მონათა საქონლის“ ბაზარზე გაყიდა, იოსები და სელიმი კი გემზე დატოვა და კურსი ეგვიპტისაკენ აიღო. და ვიდრე გემი პირამიდების და იღუპალი ღიმილის სფინქსის საოცარ ქვეყნას მიაღწევდეს, გვიჩვენა მშინდელი ეგვიპტის შირე ისტორიული ქარვა წარმოგვიდგინოთ, რაც ჩვენი ბიჭების მომავალსა და ბედის უკეთ გაგებაში დაგვეხმარება.

საუკუნეთა მანძილზე ეგვიპტის ისტორია მამლუქობასთან იყო დაკავშირებული. იქ მამლუქების აღზევება მე-13 საუკუნეში იღებს სათავეს და მეტ-ნაკლები სიძლიერით მე-19 საუკუნის დასაწყისამდე გავრცელდა. ეგვიპტეში მამლუქების ბატონობის დასასრული ნაოლეონის სახელთანაა დაკავშირებული — ეგვიპტის დასაყრობად ამხედრებული ფრანკთა „აღმოსავლეთის არმია“ გენერალ ბონაპარტეს მეთაურობით მამლუქებს გადამწყვეტ ბრძოლაში 1798 წელს პირამიდებთან შეხვდა. ამ ბრძოლაში ეგვიპტის არმიას ცნობილი მამლუქი ბელადები ხელმძღვანელობდნენ. მათ შორის იყვნენ: იბრაჰიმ-ბეი დიდი (მარტყოფლი შინჯიკაშვილი, რომელსაც ამ სოფელში ეკლესიის ასაგებლად დიდძალი ფული გამოუგზავნიან), სულიმან-ბეი (წარმოშობით ქართველი, გვარად ტარბაიძე უნდა ყოფილიყო), ასევე ქართული წარმოშობის მურად-ბეი და სხვანი. მამლუქები ნაოლეონთან ბრძოლაში დამარცხდნენ და დაყარვეს ეგვიპტეზე პოლიტიკური ბატონობა, თუმცა ფრანგებმაც ვერ შეინარჩუნეს ეგვიპტე და სულ რამდენიმე წელიწადში იმულებულნი შეიქნენ შინ დაბრუნებულიყვნენ. ოსმალეთის იმპერია შეეცადა შექმნილი ვითარება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და ეგვიპტეზე ბატონობა ვანეგტაციებინა. თურქეთის სულთანმა კაიროში ახალი ვალი (სუბერნატორი) გამოგზავნა. ეს იყო მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის თურქეთში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ხოსროვ მეჰმედ ფაშა, რომელიც ასევე ქართველი (ხოსროშვილი) იყო, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მამლუქებისათვის სამეგრეო-სასიცილი ბრძოლა გაემართა. როგორც ჩანს, ხელისუფლებისათვის მამლუქების და ოსმალეთის მომხრე ძალების ურთიერთბრძოლა ყველაზე კარგად გამოიყენა მესამე ძალამ, რომლის მოთავეც წარმოშობით ალბანელი მეჰმედ ალი (1769-1848) გახლ-

დათ. მეკმედ-ალიმ ჯერ მამლუქებს სძლია, 1806 წელს კი ეგვიპტიდან გააძევა ზოსროვ-ფაშა და თავად დიკაევა ვალის სავარძელი. აქედან მოყოლებული ოთხი ათეული წლის მანძილზე ეგვიპტის ისტორია მის სახელთანაა დაკავშირებული. ენერგიული და ცბიერი, გონებაგახსნილი და დესპოტი მეკმედ-ალი-ფაშა კარგად გრძნობდა, რომ მისი ძალაუფლება ყოველსმეძმე არ იქნებოდა მანამ, სანამ არ გაანადგურებდა მამლუქებს.

საქმე ისაა, რომ მარცხის მიუხედავად მამლუქები მნიშვნელოვან ძალას ინარჩუნებდნენ და ოპოზიციამი ეღვანენ ახლად აღზევებულ მბრძანებელს — მეკმედ-ალის. ამიტომ იყო, რომ მეკმედ-ალი-ფაშამ შეიმუშავა და განახორციელა საშინელი გეგმა: 1811 წლის 1 მარტს (ე. ი. ჩენი ბიჭების — იოსების და სელიმის ეგვიპტეში ჩაყვანამდე ერთი წლით ადრე) მეკმედ-ალიმ კაიროში თავისი სასახლის ციტადელში სამხედრო აღლუმი დანიშნა. სხვებთან ერთად ზეიმზე 500-მდე მამლუქი ბეი მიიწვია. ჯერ კარგად გაუმასპინძლა და შემდეგ ერთიანად გააულებინა. მეკმედ-ალი მამლუქთა თავკაცების განადგურებით არ დაკმაყოფილდა — მისი ბრძანებით მთელ ეგვიპტეში იწყეს რიგითი მამლუქების შეუწყნარებელი ელცეა. ეს იყო ეგვიპტეში მამლუქთა ისტორიის დასასრული (იხ. დ. ჭანელიძე და ბ. სილაგაძე — ქართული მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში, თბილისი, 1967 წ.). თუმცა მამლუქთა მბრძანებლობა ჯერ კიდევ გრძელდებოდა მეზობელ ერაყში. სწორედ ამ დროს იქ აღზევდა და სულ მალე ერაყის ფაშა გახდა სახელგანთქმული და ნიჭიერი მოღვაწე დაუდ-ფაშა, რომელიც ქვემო ქართული გიორგი და მარიამ მანველაშვილების ერთ-ერთი ვაჟიშვილი იყო. (სხვათა შორის, ბაღდადის მბრძანებელმა დაუდ-ფაშამ შეძლო საქართველოში დარჩენილი ახლო ნათესავების ყმობიდან განთავისუფლება). მაგრამ ეს იყო ერაყში. რაც შეეხება ეგვიპტეს, როგორც ვნახეთ, იქ ქართველთათვის უაღრესად არახელსაყრელი პირობები შეიქმნა. სწორედ ამ დროს ჩაიყვანეს იქ იოსები და სელიმი. მითუმეტეს საინტერესოა მათი ბედი.

ტყვისმყიდველმა ჰასან-ალამ ეგვიპტეში ჩასვლისთანავე კაიროს მიასურა და, როგორც ჩანს, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე იოსები და სელიმი იქაურ დიდმოხელეს მუჰამედ-ალას მიჰყიდა. ამიერიდან ჩენი ბიჭების ბედში გადაამწყვეტ როლს სწორედ ეს მუჰამედ-ალი შეასრულებს და ამდენად საჭიროდ მიგვაჩნია მასზე რამდენიმე სიტყვის თქმა.

მუჰამედ-ალი ეგვიპტის მბრძანებელი ალი-ფაშასთან დაახლოებული პიროვნება იყო და მის კარზე მალაღობა პოსტები ეცავა. გარდა ამისა, იგი მთელ ეგვიპტეში ცნობილი იყო თავისი სიმდიდრით: კაიროში ფლობდა სასახლეებს, შემოსავლიან სახლებს, მნიშვნელოვან სავაჭრო გზებზე ქარვასლებს, კაიროს მახლობლად ბაღ-ვენახებს, დიდი რაოდენობით ოქროვერცხლსა და სხვა მოძრავ ქონებას. ასე რომ, ამ სიმდიდრის აღრიცხვა-შენახვის საქმეს სპეციალური ხაზინადარი განაგებდა. ამავე დროს მას ერთადერთი ქალიშვილი, ასაკით ოთხსება და სელიმზე უმცროსი სეთ-ზეინაბი გააჩნდა. როგორც ჩანს, ფსიქოლოგიურად სწორედ ამ მომენტებმა (მუსლიმანური კანონმდებლობით ქალი სრულფასობიან მემკვიდრედ არ ითვლებოდა) განაპირობა ის, რომ მუჰამედ-ალი მონებდა ნაყიდ ქართულ ბიჭებს მამობრივი მზრუნველობით მოეკიდა — მათ ბრწყინვალე აღზრდა-განათლებაზე სახსრებს, დროს, ენერჯიას არ იშურებდა. მუჰამედ-ალს კიდევ უფრო ახალისებდა ის ფაქტი, რომ ბიჭებმა ჩინებული ბუნებრივი ნიჭი, ათვისების უნარი, დიდი სულიერი და ფიზიკური ძალა გამოიჩინეს.

მუსლიმანურ რჯულზე მოქცეული იოსები (ალი ამედი) და სელიმი გამოცდილი აღზრდების ხელმძღვანელობით ინტენსიურად ეუფლებიან სამხედრო საქმეს, არაბულ და თურქულ ენებს, დიდ დროსა და ენერჯიას ანდომებენ ზოგადსაგანმანათლებლო საგნების, მუსლიმანური კანონმდებლობისა და ღვთისმეტყველების შესწავლას. შედეგამაც არ დააყოვნა და უკვე 16-17 წლის იოსები და სელიმი განათლებით, აღზრდითა და ვაჟკაცური შემართებით აშკარად გამოირჩეოდნენ თანატოლებში და საერთო ყურადღებაც დაიმსახურეს.

აქ გვინდა დავსვათ ერთი საკითხი: საერთოდ უნდა აიხსნას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში საქართველოდან გატაცებული ყმაწვილების ხშირი წარმატება-დაწინაურება? მხოლოდ მათი ბუნებრივი ნიჭითა და ძალღონით ამის ახსნა ხომ შეუძლებელია. არც ის არის საკმაო არგუმენტი, რომ მუსლიმანურ ქვეყნებში არსებული სოციალურ-ეკონომიური წყობა მდობითა აღზევების საშუალებას იძლეოდა. როგორც ჩანს, უაღრესად მნიშვნელოვან მომენტად შემდეგი უნდა მივიჩნიოთ: დედამამას, ახლობელ-ნათესავებს და მშობლიურ გარემოს მოწყვეტილი ბავშვები გრძნობდნენ, რომ სა-

ამირან ბავალიანი  
სამშობლო ქართველისა...

კუთარი ბედი მათ ხელთ იყო და მომავალი მხოლოდ მათ უნდა გამოეყვანათ. აქ იოლოზისა და ზეტელის გზით სიარული აღარ შეიძლებოდა. მკაცრი რეჟიმი, თავდადებული შრომა, სენტიმენტალიზმს მოკლებული ცხოვრება, იმავითვე გარემოს აღქმის კრიტიკული ჩვევები და მხოლოდ საკუთარი ძალებისადმი რწმენა ძარბვიანი აღზრდის საფუძველი და წარმატების წინაპირობა იყო.

ეს კარგად ჩანს იოსების და სელიმის მავალითზეც — სამშობლოდან გატაცების სულ რაღაც 6 წლის თავზე (1818 წ. ?) იოსებმა სპეციალური გამოცდები ჩააბარა, მიიღო დიპლომი და მასთან ერთად ეფენდის წოდებაც (ცოტა მოგვიანებით იგივე წოდება მიიღო სელიმაც). ეს იყო მოვლენა, რომელმაც მათი დაწინაურების გზა გახსნა და მართლაც სულ მალე მამობილი მუჰამედ-ალა სპეციალური სიგელით იოსების და სელიმს მონობიდან ანთავისუფლებს, შემდეგ იოსებს (ალი ამედ-ეფენდის) თავისი ქონების ხაზინადარად ნიშნავს და, რაც მთავარია, წერს სათანადოდ დადასტურებულ ანდერქსს, რომლითაც ქალიშვილის სეთი-ზეინების სიკვდილის შემთხვევაში მთელი თავისი უძრავ-მობრავი ქონების სრულ მემკვიდრეებად იოსები და სელიმი გამოაცხადა. ამავე დროს განსაკუთრებით ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მუჰამედ-ალამ იოსები დანიშნა თავის პატარა ქალიშვილზე სეთი-ზეინაზე და მათ შეუღლება აღუთქვა როგორც კი სრულწლოვანი გახდებოდნენ.

უკვე ამ პერიოდში იოსების და სელიმის მომავალი თითქოს გარკვეული იყო. მაგრამ არაქართული ბიჭების ქებას ეგვიპტის მრისხანე მბრძანებელ მეჰმედ-ალი-ფაშამდე მიიღწია და მათთან შეხვედრა მოასურებინა. შეხვედრა 1821 წელს გაიმართა მეჰმედ-ალი-ფაშას სასახლეში. როგორც ჩანს, 17-18 წლის იოსებმა და სელიმმა ეგვიპტის ფაშაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს და მისი საგანგებო ყურადღებაც დაიმსახურეს. ამის უტყუარი საბუთებია შემდეგი: იმავე 1821 წელს მეჰმედ-ალი-ფაშას ბრძანებით იოსები და სელიმი კასრიაინეს სამხედრო სასწავლებელში ჩარიცხეს. 1823 წელს, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იოსები და სელიმი ოფიცრის ჩინით არმიაში გაამწყესეს და ამიერიდან ეგვიპტის მბრძანებლის მეჰმედ-ალი-ფაშას უშუალო განკარგულებაში გადავიდნენ. მაგრამ მეჰმედ-ალი-ფაშას ყურადღება ამით არ ამოწურულა. მან გადაწყვიტა ყმაწვილებისათვის ევროპული განათლება მიეცა და მისი ბრძანებით იოსები და

სელიმი იტალიურ ენას სწავლობდნენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ თავდაპირველად მათი იტალიაში გაგზავნა იყო გამიზნული. მაგრამ შემდეგ ორიენტაცია შეცვლილა და ეგვიპტის მბრძანებელმა იოსები და სელიმი სასულიერო ხარჯზე ევროპული საშუალო და უმაღლესი განათლების მისაღებად პარიზს მიავლინა, რაც 1826 წელს უნდა მომხდარიყო.

ასე დაიწყო იოსების და სელიმის ცხოვრებაში ახალი პერიოდი — აღმოსავლურ მეცნიერებას ნაზიარებნი ევროპული განათლების გზას დაადგნენ. ძნელია იმის თქმა, თუ როგორ შეხვდა ყოველივე ამას მამობილი და სასიამაორო მუჰამედ-ალა. შეიძლება გულის სიღრმეში თავისი აღზრდილების მიმართ ეგვიპტის მბრძანებლის მომეტებული ყურადღების გამო ნაღვლობა და ექვიანობა კიდევ, მაგრამ აბარა უნდა გაეწყო ყოვლისმცლემ მეჰმედ-ალი-ფაშას წინააღმდეგ?

პარიზში ყოფნის პირველ ორ წელში იოსები და სელიმი ეგვიპტიდან მივლენილ სხვა ახალგაზრდებთან ერთად ბურბონთა კოლეგიურ სასწავლებელსა და ბუამოს პანსიონში სწავლობენ ფრანგულ ენას, ისტორიას; ლიტერატურას, ხელოვნებას, ბუნებისმეტყველებასა და ზუსტ მეცნიერებებს იმ მოცულობით, რასაც მაშინდელი ზოგადეგროპული დონე ითვალისწინებდა უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის. მოსამზადებელი კურსის გავლის შემდეგ მათ მიიღეს მითითება ეგვიპტის მბრძანებლისა სურეისლამიხედვით შეერჩიათ უმაღლესი სასწავლებელი და სწავლა განეგრძოთ იქ. გამოწაკისი იყო მხოლოდ იოსებ წილოსანი — მეჰმედ-ალი-ფაშამ მას არჩევანის უფლება ჩამოართვა და პირდაპირ უბრძანა უმაღლესი განათლება საინჟინრო განხრით მიეღო. ყველა ჩემი ამხანაგი შეუღდა სწავლა-განათლებას თავისი სურვილის მიხედვით, ხოლო მე, მიუხედავად იმისა, რომ სურვილი მქონდა შეესულიყავი სამხატვრო დარგის სასწავლებელში, ამის საშუალება და ნებართვა არ მომეცა; ვინ ან რა იყო ამის მიზეზი, ჩემმა ამხანაგებმა კარგად იცოდნენ — დაწერს შემდეგ ი. წილოსანი.

საერთოდ იოსებ წილოსანის პიროვნების შეფასებისას ყურადღებას იქცევს ერთი მოვლენა: იგი ხშირად გამოირჩევა და პირველობს თავის ტოლ-ამხანაგებში, რომლებიც ასევე დაწინაურებულნი და პრივილეგირებულნი იყვნენ. იოსებმა პირველმა მიიღო ეფენდის წოდება. სწორედ იგი გახდა მუჰამედ-ალას ხაზინადარი, სწორედ იგი შეარჩია აღ-

შრდელმა სასიძოდ და, რაც მთავარია, ეგვიპტის მრისხანე მპრქანებელმა მექმედალი-ფასამ პარიზს მივლენილ ყმაწვილთა მთელი დასიდან ისევ იოსები გამოარჩია და ეგვიპტისათვის დიდალ საჭირო საინჟინრო საქმიანობის შესწავლა უბრძანა. ეს არის იოსების დიდი ნიჭისა და კულტურის, შრომისუნარიანობისა და მიმზიდველი შინაგანი ძალის უტყუარი დადასტურება.

1832 წელს იოსებმა დაამთავრა პარიზის უმაღლესი საინჟინრო სასწავლებელი (როგორც ჩანს, იგი პირველი ქართველია, რომელმაც უმაღლესი განათლება დასავლეთ ევროპაში მიიღო) და ის-ის იყო ეგვიპტეში დაბრუნებას აპირებდა, რომ მიიღო აღმზრდელის და სასიამაოროს მუქამედ-ალას მოულოდნელი სიკვდილის ცნობა. ეს იყო დიდი პირადი ტრაგედია, ვინაიდან, როგორც თვითონ წერს, „მე იმ კაცს, როგორც ჩემს აღმზრდელს, პატავს ეცემდი, მე ის მიყვარდაო“. მუქამედ-ალას გარდაცვალებამ იოსებში უდიდესი სულიერი შემფოთება გამოიწვია, რაც მხოლოდ საყვარელი ადამიანის დაღუპვას არ განუბრბობება.

საქმე ისაა, რომ იოსებს არასოდეს დაეწყინა სამშობლო, საქართველო და მისდამი სიყვარულს იღმემალი ტანკუთ მუდამ თან ატარებდა. ეგვიპტისთან მას აკავშირებდა გარდაცვალებრი გრძნობა სიყვარულისა იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც შეიფარა, მშობლიური მზრუნველობით აღზარდა, გაანთავისუფლა მონობიდან და ცხოვრების ფართო შარავნაზე გამოიყვანა. მაგრამ მუქამედ-ალა გარდაიცვალა. კიდევ რა დარჩენილა ეგვიპტეში? ბევრი, ძალიან ბევრი რამ: დიდი სიმდიდრე, რომლის მემკვიდრეც უნდა გამხდარიყო, სეთი-ზეინაბი, რომელიც ცოლად უნდა შეერთო და რაც მთავარია, ეგვიპტის მრისხანე გამგებლის მუქამედ-ალი-ფასას კეთილმოსურნეობა და პირადი სიმპათია, რაც ბრწყინვალე მომავლის უტყუარი საწინდარი იყო. მაგრამ სამშობლოს ფასი არ გაანია და იოსებიც პარიზში გატარებული უძილო ღამეების შემდეგ იღებს ძნელ, მაგრამ ერთადერთ კაცურ გადაწყვეტილებას — დაუბრუნდეს სამშობლოს, თავის ერს, დაუბრუნდეს იმ მთელს, რომლის შემადგენელი ნაწილაკიც თვითონ იყო.

ამ გადაწყვეტილებას საიდუმლოდ ინახავს. ბოლოს განუყრელ მეგობარს სელიმს გაანდობს და სულ მალე მათი გზებით გაიყრება — სელიმი ბრუნდება ეგვიპტეში, იოსები კი საქართველოს გზას დაადგება. იმავე 1832 წელს იოსებ წილოსანი სტამბოლში ჩადის და საქართველოში დაბრუნების ნებართვის მისაღებად

რუსეთის ელჩს გრავ მედემს ეახლა. რუსეთის ელჩი დაინტერესებულა ალი-ამედ-ევფენდის პიროვნებით, ყურადღებით მოკიდებია მის თხოვნას რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების თაობაზე და საჭირო ქაღალდები პეტერბურგს გადაუგზავნია. იქიდან შეწყყარების მიღების შემდეგ ალი-ამედ-ევფენდი დაადიციეს რუსეთის ერთგულებაზე, იქვე, სტამბოლში გამოიცვალა, უფრო სწორად აღიდგინა, ნამდვილი გვარა და სახელი (იოსებ წილოსანი) და საქართველოში მთავარსარდალ ბარონ როზენისადმი სპეციალური მიმართებით აღტურელი სამშობლოსკენ გამოეშურა.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე იოსებ წილოსანმა მოინახულა მშობლიური ლანჩხუთი, მაგრამ დედ-მამა ცოცხალი აღარ დახვედრია...

1832 წლის 2 ნოემბრის ბრძანებით იოსებ წილოსანი ტფილისში მთავარსარდალს კანცელარიაში წერილობით მთარგმნელად გაამწესეს, ისე რომ არავითარი სამხედრო ჩინი არ მიუნიჭებიათ, რაც გასაკებია, ვინაიდან რუსეთის აღმინისტრაციისათვის იოსები „უცხო“ იყო და მისი დამსახურება ეგვიპტეში აქ მხედველობაში არ მიიღებოდა. ასე რომ, სამშობლოში დაბრუნებულ იოსებს ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდა... როგორც ჩანს, მნიშვნელოვან მატერიალურ სიმწიფეებსაც განიცდიდა და ამან აიძულა წამოეწყო დაეა ეგვიპტეში დარჩენილი ქონების გამო, რომლის მემკვიდრე უნდა გამხდარიყო სელიმთან ერთად. მუქამედ-ალას ერთადერთ ქალიშვილის, იოსების ყოფილი საცოლის სეთი-ზეინაბის სიკვდილის შემთხვევაში. (ტრაგიკული აღმოჩნდა სეთი-ზეინაბის ბედი — მას შემდეგ, რაც საქმრო იოსებ წილოსანი ეგვიპტეს განუდგა და სამშობლოს დაუბრუნდა, სეთი-ზეინაბი გათხოვილა ვიღაც ეგვიპტელზე, რომელსაც იგი მოუწლავს ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო).

იოსებ წილოსანმა დახმარებისათვის თხოვნით მიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, თან წარუდგინა თავისი ბიოგრაფია, მემკვიდრეობის და სხვა ოფიციალური საბუთები (სწორედ ამ საბუთებმა შემოინახეს ჩვენამდე იოსებ წილოსანის ცხოვრების დეტალები).

რუსეთის აღმინისტრაციას აღუძრავს ეგვიპტის ხელისუფალთა წინაშე შუამდგომლობა მემკვიდრეობის მიღების თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ, ვინაიდან იოსებს იქ სარწმუნოების მოღალატედ მიიჩნევდნენ. 1839 წელს იოსებმა

ამირან ავალიანი  
სამშობლო ქართველისა...

ღანმარების თხოვნით პირადი ბარათი გაუგზავ-  
ნა ყოფილ განუერელ მეგობარს, მის მსგავსად  
საქართველოდან გატაცებულ სელიმ-ფეხენდის,  
რომელიც სამსახურში დაწინაურებულია და უა-  
ვე იმხანად ეგვიპტეში გენერალური შტაბის  
უფროსი გამხდარა. მაგრამ არც აქედან გამო-  
ვიდა რაიმე — სელიმს საბასუხო ბარათიც კი  
არ გამოუგზავნია...

იოსებ წილოსანს ისღა დარჩენოდა, რომ გა-  
ნეგრძო მუშაობა დიპლომატიურ კანცელარია-  
ში, მტვერსა და ქაღალდებში, აღმოსავლური  
ენებიდან მთარგმნელის მომქანცველ შრომა-  
ში. თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე  
თავდადებული შრომით მან განვლო რუსული  
წოდებრივი იერარქიის რთული კიბე — იცე-  
ლებოდა ჩინები და უმდაბლესიდან პოლკოვნი-  
კობამდე მიიღწია. მაგრამ ეს არ აკმაყოფი-  
ლებდა დიდად გრუდირებულ პატრიოტს. იგი აქ-  
ტიურად მონაწილეობდა თავისი ქვეყნის საზო-  
გადოებრივ ცხოვრებაში და, რაც მთავარია,  
სერიოზულ სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა.

მკიდრო კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა აკად.  
მ. ბროსესთან, პლატონ იოსელიანთან... განსა-  
კუთრებით უნდა აღინიშნოს მისი წვლილი  
ქართულ სააღმოსავლეთმცოდნეო მეცნიერება-  
ში. იოსებ წილოსანმა ერთ-ერთმა პირველმა  
რუსეთის იმპერიაში შეადგინა და გამოსცა  
არაბული, თურქული და სპარსული ენების სა-  
ხელმძღვანელოები (თვითმასწავლებლები), რო-  
მელთა შესწავლა-შეფასება ჯერ კიდევ მომავ-  
ლის საქმეა.

ღვაწლმოსილი მამულიშვილი და მოღვაწე,  
მოქალაქე და მკვლევარი ისებ წილოსანი გარ-  
დაიცვალა ტფილისში ასი წლის წინ, 1873 წელს  
გარდაცვალების თვე და რიცხვი ჯერჯერობით  
უცნობია; დასაფლავეს ვერის ლურჯი მონას-  
ტრის მიდამოებში, მაგრამ საცხოვრებელი სახ-  
ლების მშენებლობის გამო საფლავის კვალიც  
წაიშალა).

ასეთია ბედი კაცისა, რომელიც მუსლიმანებმა  
ალი ამედ-ფეხენდად მონათლეს, მაგრამ სიკვდი-  
ლამდე ქართველ იოსებ წილოსანად დაწია.



## ქართველი საზოგადოების ბრძოლა საბრძოლო თვითმმართველობისათვის

(1909 წლის საბრძოლო თათბირი)

გ. ი. ლენინი წერდა, რომ 60-იანი წლების ყველა ბურჟუაზიული რევოლუცია და მათ შორის საერო რევოლუცია, განვირობებული იყო რევოლუციური სიტუაციით. ცარიზმი იძულებული გახდა ობოლიერული ძალების მიმართ ერთგვარ დათმობაზე წასულიყო, რათა თავის მხარეზე გადაებირებინა ლიბერალები, განემტკიცებინა მთავრობის სოციალური ბაზა და დაესუსტებინა რევოლუციის ბანაკი<sup>1</sup>.

1864 წ. 1 იანვარს აღექანადრე მეორემ დაამტკიცა დებულება საერო დაწესებულებათა შემოღების შესახებ. რუსეთის 35 გუბერნიისა და ირანის საგუბერნიო და სამაზრო ერთეულები, რომელნიც განაგებდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის სამეურნეო და კულტსავანმანათლებლო საქმეებს. მათ ფუნქციებში შედიოდა, კერძოდ, ადგილობრივი ბიუჯეტის გამგებლობა, ერობის კუთვნილი შენობების, გზა-ხიდების აგება-შეკეთება, ზრუნვა ეპრობა-მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების ქსელის გაფართოება, ამა თუ იმ მხრის საქირთებაზე სათანადო ცნობების შეგროვება და უმადლესი მთავრობის წინაშე სხვადასხვა სახის შუამდგომლობების აღწერა და სხვ.<sup>2</sup>

გუბერნიებსა და მაზრებს ოფიციალური თვალსაზრისით თვითმმართველობა მიენიჭა, მაგრამ საერო თვითმმართველობის მოქმედების სფერო ვიწრო იყო, ხოლო მისთვის ბოძებული ძალაუფლება — სუსტი. მართალია, ერობის განკარგულებაში გადავიდა საერო შესაკრებელი მიღებული თანხები, მაგრამ მთავრობამ დააგაღებულა საერო დაწესებულებანი, რომ პირველ რიგში თანხები გამოეყო მათ რაიონში მდგარი ჯარის შენახვის, მთავრობის და სასამართლოს ორგანოთა დაფი-

ნანსების, დიდმნიშვნელოვანი გზების გაყვანა-შეკეთების და სხვ. სახელმწიფოებრივი საქირთებისათვის.

მიუხედავად იმისა რომ ერობას ვიწრო ასპარეზი და შეზღუდული, მთავრობის კონტროლს დაქვემდებარებული ძალაუფლება მიეცა, საერო თვითმმართველობა დადებითი მოვლენა იყო. ერობა თავისი ორგანიზაციის ფორმით აშკარად დაუპირისპირდა თვითმპყრობელობის ძველ პოლიტიკურ შენობას. აქამდე რუსეთის აბსოლუტურ მონარქიულ სახელმწიფოსათვის სრულიად უცნობი იყო საერო ჩვენი პრინციპზე დამყარებული დაწესებულების არსებობა. საერო თვითმმართველობის ორგანოები კი სწორედ ამ პრინციპის საფუძველზე ჩამოყალიბდნენ. ამიტომ ცარიზმი ყოველნაირად ავიწროებდა და მთავრობის კონტროლს უქვემდებარებდა საერო დაწესებულებებს.<sup>3</sup>

საერო თვითმმართველობის არსის ამოწურავი განმარტება მოგვცა გ. ი. ლენინმა: ერობას იმთავითვე არგუნა ბედმა რუსეთის მართვა-გამგეობის ურმის მეხუთე თვალი ყოფილიყო, ასეთი თვალი, რომელსაც ბიუროკრატია მხოლოდ იმდენად იომენდა, რამდენადაც მისი ყოელისშემძლეობა არ ირღვეოდა, ხოლო მოსახლეობისაგან არჩეული დებუტატების როლი განისაზღვრებოდა მარტოღებ პრაქტიკით, იმ ამოცანათა უბრალ ტექნიკურა შესრულებით, რომლებიც იმავე მოხელეებმა დასახეს. ერობებს არ გაანდიათ თავიანთი ამასრულებელი ორგანოები, მათ უნდა ემოქმედათ პოლიციის საშუალებით; ერობები არ იყენენ ურთიერთშორის დაკავშირებული და ერთმანად დაქვემდებარნენ აღმინსტრაციულ კონტროლს და თავისთავად უნებელი დამომობის შემდეგ, მთავრობა ერობის შემოღების

მეორე დღესვე შეუდგა მის სისტემატურ შე-  
წერებას და შეზღუდვას: ყოვლისშემძლე მო-  
ხელთა ხროვის არ შეეძლო შეგუებოდა  
ყველა წოდებათაგან არჩეულ წარმომადგენლო-  
ბას და ყოველწინადად სდევნიდა მას.<sup>4</sup>

აღნიშნულის მიუხედავად საერობო თვით-  
მმართველობანი საქმოდ ნაყოფიერად საქმიან-  
ობდნენ. მათ დიდი რაოდენობით გახსნეს და-  
წყებთი სკოლები და გიმნაზია-სემინარიები,  
საავადმყოფოები და საკრედიტო ორგანიზაციე-  
ბი, გაიყვანეს ბევრი გზა, ხელს უწყობდნენ  
სოფლის მეურნეობის განვითარებას.

მეფის მთავრობამ რუსეთის იმპერიის განა-  
ბირა მხარეები მოუშაზღებლად მიიჩნია ერო-  
ბისათვის. პოლონეთს, ბალტიისპირეთს, ბე-  
ლორუსიას, ციმბირს, კავკასიას, ყაზახისტანსა  
და შუა აზიას საერობო თვითმმართველობა არ  
მიუღია. ცარიზმის კოლონიაური პოლიტიკით  
შევიწროებული ამ მხარეთა ხალხები კი გან-  
საკუთრებით საკირობდნენ თუნდაც შეზღუ-  
დულ ადგილობრივი თვითმმართველობის ორ-  
განოებს. ბუნებრივია, ეს ხალხები, მათ შორის  
ქართველი საზოგადოება იბრძოდა საერობო  
თვითმმართველობის მოპოვებისათვის.

ქართველი საზოგადოების ბრძოლა საერობო  
თვითმმართველობისათვის 60 წელი ვაგრძელდა.  
ამჟერად ჩვენი კვლევის ობიექტია ამ ბრძოლის  
ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, კერძოდ,  
1909 წლის საერობო თათბირი, რომელშიც გან-  
საკუთრებით აქტიური მონაწილეობა მიიღო ლი-  
ბერალურმა ინტელიგენციამ.

1909 წლის საერობო თათბირის მუშაობა და  
ამის შედეგად დაგროვილი მრავალიცხოვანი  
მასალა დღემდე არ გამხდარა მეცნიერული შე-  
სწავლა-ანალიზის ობიექტი. ჩვენი მიზანია  
შევაესოთ ეს ხარვეზი, შევისწავლოთ ქართვე-  
ლი ლიბერალების მოღვაწეობის ერთ-ერთი  
უბანი, დავადგინოთ საერობო ოპოზიციის რო-  
ლი და მნიშვნელობა საქართველოს საზოგადო-  
ებრივ ცხოვრებაში.

1905 წელს, რევოლუციის ხანაში შედგენილი  
საერობო პროექტები ითვალისწინებდნენ არა  
მარტო ადგილობრივი თვითმმართველობის ორ-  
განოთა გაფართოებას, არამედ საერთოდ სახე-  
ლმწიფოს პოლიტიკური წყობილების დემოკ-  
რატიზაციას. რეაქციის ხანაში ლიბერალურმა  
ინტელიგენციამ სხვაგვარი პოზიცია დაიკავა.  
მან თავი დაანება ბევრზე ოცნებას და გადა-  
წყვიტა მცირე დათმობაზე მაინც წაეყვანა მე-  
ფის მთავრობა.

რუსეთის ცარიზმს რეაქციის ხანაშიც კი არ  
შეეძლო სრულიად უპირობოდ დაეტოვე-  
ბინა ლიბერალების მოთხოვნები. მას ჯერ კი-  
დეც არ განულებოდა სახალხო რევოლუციის  
შიში და მომავალში თავის დაზღვევის მიზნით.  
შესაძლო რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში  
საიმედო მოკავშირის შექენისათვის, საკიროდ

ჩათვალა მოსახლეობის ზედაფენების წინაშე  
გარკვეულ დათმობებზე წასვლა.

1909 წლის 31 მაისს მეფის ნაცვალმა ვორო-  
ნცოვ-დაშოვმა ცირკულარი დაუბავნა ამიერ-  
კავკასიის გუბერნიებში და ქვემდგომ მოხე-  
ლევებს დაიავლა საერობო თათბირების მოწვევა.  
მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგე-  
ნელთა ამ თათბირებს პასუხი უნდა გაეცათ  
შემდეგ კითხვებზე: 1) როგორი უნდა იქნეს  
მხარეში შემოღებულ საერობო დაწესებულე-  
ბათა ტიპი, აქამდე რუსეთში მოქმედ რომელი  
დებულების საფუძველზე უნდა მოეწყოს ისინი,  
2) საკიროდ თუ იქნება ცნობილი ერობის  
წერილი ერთეულის დაარსება, განისაზღვროს  
მისი სამოქმედო ტერიტორია, 3) გაირკვეს  
ქონებრივი ცენზის ფორმისა და ოდენობის სა-  
კითხი, დასაბუთდეს ცენზის შემცირების მო-  
ლოვნა, 4) განისაზღვროს ცალკეულ ერობათა  
ხმოსწენების რიცხვი, 5) რამდენსაფეხბურთანი  
ერობა იქნეს შემოღებული. საკირო ხომ არ იქ-  
ნება სამხარეო საერობო დაწესებულების  
შექმნა, 6) როგორი უნდა იქნეს მთავრობის  
კონტროლი საერობო დაწესებულებების საქმი-  
ანობაზე, 7) შემუშავდეს ერობებში მოსახლეო-  
ბის უმცირესობის, კერძოდ, რუსების ინ-  
ტერესთა დაცვის ღონისძიებანი.

ცირკულარისადმი თანდართულ ბარათში  
გადმოცემული იყო მეფისნაცვლისა და მისი მო-  
ხელეების თვალსაზრისი. მათი აზრით მხარის  
ერობა უნდა შემდგარიყო ოთხი თვითმმართ-  
ველი, თვითდამფარავი, უწოდებრივ, საზოგა-  
დობრივ-სამეურნეო ერთეულისაგან. წერილ  
ერთეულებად ნაერალუდვეი იყო სოფლისა და  
უბნის, ხოლო მსხვილ ერთეულად კი — მახ-  
რის საერობო დაწესებულება. უნდა დაარ-  
სებულყო აგრეთვე საოლქო ერობა, რომელიც  
გააერთიანებდა მთელ ამიერკავკასიის გუბერნი-  
ებს.

1909 წ. 14 ივლისის ბრძანებით მეფის ნა-  
ცვალმა საერობო თათბირების მოწვევისათვის  
წინასწარი სამუშაოების ჩატარება დაავალა სამ  
სექციას, რომელიც შეიქმნა კავკასიის სოფლის  
მეურნეობის საზოგადოების, იურიდიული და  
სამედიცინო საზოგადოების ბაზაზე. პირველი  
სექცია მუშაობდა საერობო დაწესებულებათა  
ტიპის დადგენაზე, მეორე — მომავალი ერო-  
ბის შემოსავალ-სასავლის ბიუჯეტის გარკვევა-  
ზე, მესამე — საარჩევნო ცენტრის განსაზღვ-  
რაზე. სექციების მუშაობაში მონაწილეობდნენ:  
პ. გოთუა, ს. ტიმოფეევი, ა. სააკოვი, ვ. რციხ-  
ლაძე, ნ. არლუთინსკი, მ. მანაბელი, გ. გვაზა-  
ვა, ვ. ყიფიანი, ა. მდივანი, პ. თუმანიშვილი,  
გ. ლასხიშვილი, ე. იოსელიანი, ფ. გოგინიშვი-  
ლი, ი. აფხაზი, დ. ჩოლოყაშვილი, ს. ვახვაშიშ-  
ვილი, ა. ხარლამოვი, ა. ფირალოვი, ა. ხატი-  
სოვი და სხვ. სექციებმა მიიღეს სათანადო რა-  
დგენილებანი ერობის ტიპის, ერობის წერილ-

ერთეულთა რაოდენობის, ერობის გამოსავალ-გასვლის ბიუჯეტის და სხვა საკითხებზე, რაც უფრო დეტალური განსჯის საგანი გახდა საერთო თათბირებზე.<sup>6</sup>

თბილისის გუბერნიის საერობო თათბირი გაიხსნა 1909 წ. 5 ოქტომბერს. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა თათბირის ოფიციალურმა თავმჯდომარემ თბილისის გუბერნატორმა ლოზინსკიმ. იგი მოკლედ შეეხო საკითხის ისტორიას, გაიხსენა 1905 წელი, როცა ვორონცოვ-დაშკოვმა გადაწყვიტა ამიერკავკასიაში ერობის შემოღება და მოუწოდა მოსახლეობას საკითხი განეხილა სხვადასხვა წოდების წარმომადგენელთა თათბირებზე. მაგრამ მაშინ ამიერკავკასიის ადმინისტრაციის სარეფორმო საქმანობა ჩაშალეს შემარცხენე პარტიებმა, რომლებიც ხალხს არწმუნებდნენ, რომ რეფორმების განხორციელება უნდა მოხდეს არა თათბირებით, არამედ სახალხო რევოლუციით. ამჟამად ბევრნი, რომლებმაც თავის დროზე ვერ გაიგეს მეფისნაცვლის განზრახვის მნიშვნელობა, გონზე მოვიდნენ და დაადგინეს სწორი გზას, რეფორმების მოწაღების გზასო.<sup>7</sup>

შემდეგ თათბირს მიესალმა თბილისის გუბერნიის თავადანაურთა წინამძღოლი პ. თუმანიშვილი. მან განაცხადა, რომ ქართველ თავადანაურობას ერობის შემოღება დიდხანსა გადაუდებელ საქმედ მიაჩნია, მაგრამ ჩვენი არაერთგზისი შუამდგომლობა უარყოფილი იქნა. ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი თვითმომჯდობა განუვითარებელია, რის გამო ინტელიგენციის მძლავრი ფენა ვერ პოულობს სამოღვაწეო ასპარეზს. მთელი ჩვენი ცხოვრება, აღნიშნავდა პ. თუმანიშვილი, საცვა წინააღმდეგობებით. ერთმანეთს მტრულად უპირისპირდებიან არა მარტო წოდებები, კლასები, ქალაქი და სოფელი, არამედ სხვადასხვა ეროვნებაც. სასურველია, რომ მომავალ ერობაში ერთად იმუშაონ თავადანაურებებმა, ვლახებმა, მოქალაქეებმა, რუსებმა, ქართველებმა, სომხებმა, მუსლიმანებმა. ერობა არის ის ნიადაგი, რომლის საფუძველზეც აღმოცენდება ნამდვილი საზოგადოებრიობაო.<sup>8</sup>

თბილისის ქალაქის თავმა ხატისოვმა განაცხადა, რომ ერობის შემოღებლობის მიზეზი მთავრობის უნდობლობა იყო ამიერკავკასიის ხალხებისადმი. ახლა ეს უნდობლობა ქრება და ჩვენ საერობო თვითმმართველობას გვაძლევნო.

7 ოქტომბრის სხდომაზე მოხსენება საკითხზე — „გვესაპირობება თუ არა ამიერკავკასიის სამხარეო ერობა“ — გააკეთა ე. გვაზაევამ. მან გაილაშქრა ერობის ცენტრალიზაციის წინააღმდეგ. „ბატონებო, — ამბობდა ორატორი, — ჩვენ გვესაპირობება ხელისუფლების დეცენტრალიზაცია, ჩვენ ეხარობთ და მივესალმებით ამ მომენტს, სახელდობრ, იმტომ, რომ ევლუტობით რაღაც თავისუფლებას. ნთუ ჩვენ

დავთანხმდებით თავისუფლების ახალ შეზღუდვაზე, რაც უდავოდ მოყვება ერობის სამხარეო დაწესებულების შექმნას. ამიერკავკასიის საერო საპირობებათა დამაყოფილება შესაძლებელი იქნება დროებითი კავშირის შექმნით, რის უფლებაც აუცილებლად უნდა მიეცეთ საკუბერნო ერობებს. აღნიშნულ საკითხზე სხვებმაც გამოთქვეს აზრი. ორატორთა ნაწილი მიუთითებდა საერთო სამხარეო ამოცანებზე (გზები, მორწყვის საქმე, უმაღლესი განათლება და სხვ.) და მხარს უჭერდა სამხარეო ერობის შექმნას. მაგრამ, საერთოდ, თათბირმა უარპყო სამხარეო საერობო დაწესებულების შექმნის იდეა.<sup>9</sup>

სამაგიეროდ, თათბირის მონაწილეებმა ერთსულენად დაუქირეს მხარი წვრილ საერობო ერთეულების შექმნას, რომლის საპირობებაც კარგად დასაბუთა თავის მოხსენებაში ა. არლუთინსკი-დოლოგორუკოვმა. მან აღნიშნა, რომ ეს საკითხი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იან წლებში, რეფორმის მომზადების დროს დაისვა. მაგრამ დღემდე რუსეთში მხოლოდ საკუბერნო და სამხარეო ერთეულები იქნებოდა, ერობის წვრილი ერთეულის შექმნა კი კვლავ საკითხად რჩებოდა. მომხსენებლის აზრით, წვრილ საერობო ერთეულში უნდა გაერთიანებულიყო სამეურნეო მდგომარეობით მსგავსი სოფლები. წვრილი საერობო ერთეული უნდა ყოფილიყო უწოდებრივი დაწესებულება, რომელიც შეცვლიდა გაუქმებულ წოდებრივ ორგანიზაციებსა და შექმნიდა პირობებს ყველა წოდების წარმომადგენელთა ერთად მუშაობისათვის. ერობის წვრილი ერთეული უფრო ახლო იქნება მოსახლეობასთან და უკეთ დაამაყოფილებსო მის მოთხოვნილებებს.

ერობის წვრილი ერთეულის ორგანიზაციის საპირობების შესახებ მოხსენებით გამოვიდნენ აგრეთვე ა. მდივანი და დ. ჩოლოყაშვილი. ა. მდივანის აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა სასოფლო საზოგადოება ეცნოთ წვრილ საერობო ერთეულის ჩვეულებრივ, ნორმალურ ტერიტორიად. მაგრამ დასაშვები უნდა ყოფილიყო მოსახლეობის სურვილის შესაბამისად ორი ან მეტი საზოგადოებების ერთ საერობო ერთეულში გაერთიანება. ა. კალანტარის განცხადებით, ერობის წვრილი ერთეულის დაუყოვნებლივ დაარსებით, ამიერკავკასია სწრაფად ამოყვებდა იმ ნაბრალს, რაც გაჩნდა ერობის შემოღების დაგვიანებით და თავისი განვითარების დონით სწრაფად მიუახლოვდებოდა ცენტრალური გუბერნიების ერობებს. ერობის წვრილი ერთეულის დაარსების იდეას მხარი დაუჭირეს კამითში გამოსულმა პირებმა — ი. გულისაშვილმა, ა. ხატისოვმა, ა. გულისაშვილმა, ა. სავაკოვმა, დ. გონაშვილმა და სხვ.<sup>10</sup>

### ვლადიმერ მანიშვილი

ქართველი საზოგადოებების ბრძოლა სამართო თვითმმართველობისათვის



თბილისის გუბერნიის საერობო თათბირის მონაწილეებმა მოითხოვეს მოხვედრა საერობო დაწესებულებების პოლიციის შესანახი ხარჯებისაგან განთავისუფლება. ფ. გოგიჩაიშვილმა განაცხადა, თუ ეს წინადადება არ იქნა მიღებული, ერობის შემოღება შეუძლებელი გახდება. ამჟამად ამიერკავკასიის საერობო შესარებლიდან დგება წლიურად 5.701.000 მანეთი, საიდანაც 2.703.000 მან. მთავრობის დაწესებულებებზე და პოლიციაზე იხარჯება. თუ ეს ხარჯები დარჩა, აცხადებდა ფ. გოგიჩაიშვილი, მაშინ აუცილებელი გახდება საერობო გადასახადების გადიდება, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას გამოიწვევს. ვააკრიტიკა რა დემონსტრაციის გამოსვლა (რომელმაც განაცხადა, რომ ამიერკავკასია ცოტას აძლევს სახელმწიფო ბიუჯეტს და მეტს იღებსო მისგან თავის საქირებისათვის), ფ. გოგიჩაიშვილმა მოიყვანა კონკრეტული ფაქტები, საიდანაც ჩანდა, რომ 1898-1902 წლებში ამიერკავკასია იმპერიის საშემოსავლო ბიუჯეტს აძლევდა წლიურად 70 მილ. მანეთს და სავსაყლო ბიუჯეტიდან ღებულობდა 55 მილ. მანეთს. 15 მილ. მანეთი რჩებოდა სახელმწიფოს სუფთა შემოსავლის სახით. ამიტომ, განაცხადა ბოლოს ფ. გოგიჩაიშვილმა, თათბირს უფლება აქვს აღძვას შეამდგომლობა პოლიციის შენახვის ხარჯის სახელმწიფოსათვის დაკისრებისა და ამიერკავკასიის ერობების მისგან განთავისუფლების თაობაზე.<sup>11</sup>

თბილისის გუბერნიის საერობო თათბირმა წინდგომლობა წარმოადგინა საერობო თათბირის სისტემისა და ქონებრივი ცენზის საკითხების განხილვისას.

ა. მდივანმა, ეირონოვმა და სხვებმა წამოაყენეს საყოველთაო-საარჩევნო სისტემის შემოღების მოთხოვნა. თავმჯდომარემ (გუბერნატორი ლონინსკი) შეაკრია შენიღბა, რომ ამაზე სიტყვის თქმაც არ შეიძლება და ა. მდივანს სიტყვა ჩამოართვა.<sup>12</sup>

საარჩევნო კურიების შესახებ მოხსენება გააკეთა ვ. გელდვანმა. მოკამათოვან ლ. ფალანდისშვილმა მხარი დაუჭირა მოდერნიზაციის შემქმნის იდეას, ა. ხატისოვმა და ტომასევიჩმა კი გაილაშქრეს მის წინააღმდეგ. საბოლოოდ თათბირი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ერობის წვრილ ერთეულში საქირი არ იყო საარჩევნო კურიების დაწესება. სამაზრო ერობის ხმოსანთა არჩევნები კი კურიებში უნდა მოხდესო. კენჭისყრის დროს უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა ორ კურიად გაყოფას. პირველ კურიაში უნდა შესულიყვნენ ყველა მიწათმფლობელები (მათ შორის მონადევე გლეხები), მეორეში კი — ქალაქის მცხოვრებნი და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა პატრონები.<sup>13</sup>

11 ოქტომბრის სხდომაზე მოსმენილ იქნა არლუთისკი-დოლოგორუკოვის მოხსენება ხმოსანთა რაოდენობის შესახებ. მისი აზრით, სა-

გუბერნიო და სამაზრო ხმოსანთა რაოდენობის განსაზღვრულიყო მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად. ახალქალაქის მაზრის მოსახლეობას ერობაში უნდა აერჩია 35 ხმოსანი, ახალციხის — 35, ბორჩალოს — 42, გორის — 45, თიანეთის — 35, თბილისის — 60, დუშეთის — 35, სიღნაღის — 35, თელავის მაზრის მოსახლეობის — 35 ხმოსანი, საგუბერნიო ერობაში მაზრებს უნდა გაეგზავნა სულ 58 ხმოსანი, არლუთისკის განავარიშებით სამაზრო ერობებში გარკვეული პროპორციით უნდა შესულიყვნენ ყველა წოდებათა წარმომადგენლები. 118 ადგილი უნდა მისცემოდა მიწათმფლობელებს, 158 ადგილი — სასოფლო საზოგადოებებს (გლეხობას) და 81 ადგილი — ქალაქთა მოსახლეობას.<sup>14</sup>

13 ოქტომბრის საღამოს სხდომაზე გეგზავამ ილაპარაკა საერობო თვითმმართველობის ორგანიზებისა და ცენტრალური მთავრობის ურთიერთობის სასურველ ფორმაზე. მისი აზრით, საერობო თვითმმართველობის საქმიანობა მაშინ იქნებოდა ნაყოფიერი, თუ იგი არ შეზღუდებოდა მთავრობის მხრივ გადაშეშებული კონტროლით. 1864 წლის დებულებასთან დაკავშირებით, 1890 წლის დებულებამ საგრანტოდ გააფართოვა გუბერნატორის უფლებები ერობებზე და თანაც შექმნა კონტროლისათვის ახალი კოლეგიალური ორგანო — საერობო საქმეთა საგუბერნიო საკრებულო. ეს ახალი ორგანო, — განაცხადა გეგზავამ, — ზედმეტია და უნდა გაუქმდეს. მიზანშეწონილია შეიზღუდოს აგრეთვე გუბერნატორის უფლება ერობების მუშაობაზე კონტროლის გაწევის სფეროში.<sup>15</sup>

1909 წლის 14 ივლისს ჩატარდა ქუთაისის გუბერნიის საერობო თათბირის მოსამზადებელი წინასწარი სხდომა. განიხილა რა მეფისნაცვლის 1909 წლის 31 მაისის ცირკულარი, სხდომამ საქიროდ მიიჩნია პირველ რიგში შეეკრიბათ სტატისტიკური ცნობები, რისთვისაც აირჩია კომისია ნ. ნიკოლაძის, პ. თუმანიშვილის, კ. გოციორძის, ნ. ნაყშიძისა და აკიმოვის შემადგენლობით. ამ კომისიამ კეთილსინდისიერად შეასრულა დაკისრებული ამოცანა, შეაგროვა არა მარტო სტატისტიკური ცნობები, არამედ საერობო დაწესებულებათა დაარსების გეგმა-პროექტიც შეადგინა.

1909 წ. 10 ნოემბერს ქუთაისის გუბერნატორის ა. სლავინსკოვის თავმჯდომარეობით შედგა ქუთაისის გუბერნიის საერობო თათბირის პირველი სხდომა. ესწრებოდა 48 კაცი — თავდაზნაურთა, ვაჭარ-მრეწველთა და გლეხთა წარმომადგენლები.

თათბირმა განიხილა კომისიის მიერ წარდგენილი გეგმა-პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ამიერკავკასიაში სამსაფეხურიანი ერო-

ბის შემოღებას. უნდა ჩამოყალიბებულიყო სა-  
გუბერნიო, საუბნო და სასოფლო საერობო  
დაწესებულებები. ი. მელიქიშვილმა ექვი გა-  
მოთქვა რუსეთში არარსებული ერობის წვრი-  
ლი ერთეულების (სასოფლო და საუბნო) შექ-  
მნის მოთხოვნა დაავიანგებო ჩვენს მხარეში  
საერობო რეფორმის ვატარებას. ამაზე ნ. ნი-  
კოლაძემ უპასუხა: ასეთი საწინაშობება არ  
არის, რადგან ცირკულარის ძალით ჩვენ შეგ-  
ვიძლიან საერობო დაწესებულებათა გამართ-  
ვება. პირველი იქნება სოფლის მოსახლეობის  
ყველა წოდებისათვის საერთო წვრილი ერთეუ-  
ლები, მეორე — სამაზრო ან საგუბერნიო ერო-  
ბებიო.

კომისიის მიერ შედგენილი გეგმით ნაგარა-  
უდგვი იყო ერობის წვრილი ერთეულების  
შექმნა 10-20 ათასი მცხოვრებისათვის. გამგეო-  
ბის თავმჯდომარეს უნდა მინიჭებოდა როგორც  
სამეურნეო, ისე ადმინისტრაციული ფუნქცი-  
ები. ამის წინააღმდეგ ვაილშქრა სავადსახადო  
ინსპექტორმა ი. ჩიქოვანმა. მან აღნიშნა, რომ  
ერთი პირისათვის ძველი იქნება ორი ფუნქ-  
ციის შესრულება. ეს შენიშვნა გაიმეორეს ი.  
ფანცხავამ და დ. ნაზარაშვილმა.

დაიცვა რა კომისიის მოსაზრება, ნ. ნიკოლა-  
ძემ განაცხადა: ამჟამად სრული ქაოსია სოფ-  
ლის მმართველობაში, საჭიროა მისი დაქვემდ-  
ებარება ერობისათვის. სოფლის მამასახლისის  
ერობის წვრილი ერთეული გამგეობის თავმჯ-  
დომარედ დანიშნით, ერობის გამგეობაში გა-  
დავეცით უშიშროების პოლიციას, რომელიც  
დაიცავს საერობო მეურნეობას. ყველა დაწი-  
ნურებულ ქვეყნებში გამგეობის თავმჯდომარ-  
ებზე ორივე ზემოაღნიშნულ ფუნქციებს ას-  
რულებენო.

ნ. ნიკოლაძის გამოსვლის შემდეგ თათბირმა  
მიზანშეწონილად მიიჩნია მოეთხოვა სამსაფე-  
ხურიანი ერობა. თათბირმა ხმის უმრავლესო-  
ბით მიიღო დადგენილება წვრილი საერობო  
ერთეულის გამგეობის თავმჯდომარის ხელში  
ადმინისტრაციული და სამეურნეო ფუნქცი-  
ების გაერთიანების თაობაზე. ამასთან ერთად,  
თათბირმა მოითხოვა ერობის კომპეტენციის  
გაფართოება.<sup>16</sup>

საერობო თათბირის 12 ნომერის სხდომაზე  
ს. წერეთელმა განაცხადა, რომ ერობის არჩე-  
ვებში მამაკაცების თანაბრად, ხმის უფლება  
უნდა მიეცეს ქალებსაცო. ამ მოთხოვნას მხა-  
რი დაუჭირა ი. ფანცხავამ და დ. ლორთქიფანი-  
ძემ, თუმცა ამ უკანასკნელმა შეუძლებლად ჩათ-  
ვალა ქალებისათვის პასიური ხმის მიცემა, მა-  
თი არჩევა თანამდებობაზე. ამასთან დაკავში-  
რებით, წუთუკიძემ აღნიშნა, რომ რაკასა და  
სენათნიში მამაკაცთა საშოვარზე სიარულის გა-  
მო, სამეურნეო საქმეებს ქალები ხელმძღვანე-  
ლობენ. ამიტომ დაუშვებელია მათთვის საზო-  
გადოებრივ საქმეებში მონაწილეობის უფლე-  
ბის ჩამორთმევაო. ნ. ნიკოლაძემ მხარი დაუჭი-

რა ქალთა სრული ემანსიპაციის იდეას, მაგრამ  
არ მოითხოვა მისი პრაქტიკული ვატარება ამ  
კონკრეტულ შემთხვევაში, რათა პროექტის წი-  
ნააღმდეგ არ ამეხედრებინათ „გარკვეული პი-  
რები“.<sup>17</sup>

ქუთაისის გუბერნიის საერობო თათბირმა  
მთავრობაში ორი პროექტი წარადგინა. ერთის  
ავტორი იყო გუბერნიის თავადაზნაურობა, მე-  
ორისა — ნ. ნიკოლაძის თავმჯდომარეობით არ-  
სებული კომისია.

საერობო დაწესებულებების შემოღების თა-  
ობაზე თავადაზნაურთა მოხსენების შესავალ-  
ში გარჩეულია ერობის შესახებ არსებული თე-  
ორიები. ავტორები აკრიტიკებენ საზოგადოებ-  
რივ თეორიას, რომლის მიხედვითაც საერობო  
თვითმმართველობა სახელმწიფო მმართველო-  
ბის შემადგენელ ნაწილს კი არ წარმოადგენს,  
არამედ საზოგადოების კერძო ინიციატივის ნა-  
ყოფია და ამიტომ სახელმწიფო არ უნდა იყოს  
დანიტერესებული მისი საქმიანობითა და წარ-  
მატებით.

სამაგიეროდ, მოხსენების ავტორები იწონებენ  
საერობო თვითმმართველობის სახელმწიფო თე-  
ორიას, რომლის მიხედვით ადგილობრივი სა-  
ზოგადოება კი არ უპირისპირდება სახელმწი-  
ფოს, არამედ მიწვეულია საუშუალოზე ზოგიერ-  
თი სახელმწიფოებრივი ამოცანების შესასრუ-  
ლებლად. ამ თეორიის მიხედვით თვითმმარ-  
ველობა არის სახელმწიფო მმართველობის გან-  
საკუთრებული ორგანიზაცია, რომლის მეშვეო-  
ბით ხორციელდება ადგილობრივი მეურნეობის  
ხელმძღვანელობა. ადგილობრივი საქმეების კარ-  
გად წარმართვით დანიტერესებულია თვით  
ადგილობრივი საზოგადოება. თითქმის არ არის  
სახელმწიფო, რომელსაც სახელმწიფო ამოცა-  
ნების ნაწილი შესასრულებლად არ გადაეცეს  
ადგილობრივი საზოგადოებისათვის. ინგლისში  
თვითმმართველობის ორგანოებზე აღჭურვილი  
არაინა ხელისუფლების სახეობა უფლებით. სწო-  
რედ ასეთი თვითმმართველობა იყო საქირო,  
ავტორების აზრით, საქართველო-ამიერკავკასი-  
ისათვის.

XIX ს. 60-იან წლებში, განაგრძობენ ავტო-  
რები, რუსეთის საერობო თვითმმართველობებს  
თითქმის სრული დამოუკიდებლობა მიენიჭა,  
მაგრამ მათ თანდათან ჩამოერთვა დამოუკიდებ-  
ლობა და უკანასკნელ ხანებში, მთავრობის გა-  
დაამტკებულ კონტროლისა და ჩარევის წყა-  
ლობით, დაკარგეს თვითმმართველი ერთეულის  
ხასიათი.

მოხსენების ავტორებს არც 60-იანი წლების  
მდგომარეობა მოსწონთ და არც გვიანდელი  
ხანისა. პირველ პერიოდში ერობებს უხელო-  
სუფლებო დამოუკიდებლობა კი ჰქონდათ, მაგ-

### ვლადიმერ პანიშვილი

მართმედი საზოგადოების ბრძოლა  
საერობო თვითმმართველობისათვის

რამ ბედის ანბარა იყენენ მიტოვებული, სახელმწიფო მათ არაერთად დახმარებას არ უწყებდა. მეორე პერიოდში ვ. ბუზობრაზოვმა, მარათალია, ჩამოაყალიბა ერობების შესახებ სწორი სახელმწიფოებრივი თეორია, მაგრამ 1890 წლის დებულების შემდგენლებმა არასწორად გაიგეს ამ თეორიის არსი და ერთბა თითქმის მთლიანად დაუმორჩილეს სახელმწიფო აპარატს. ამჟამად რუსეთი მოკლებულია ადგილობრივ თვითმმართველობასა.

შემდეგ თავდაზნაურობა ეხება უშუალოდ ამიერკავკასიის ერობის ორგანიზაციის სპიობებს და ქუთაისის გუბერნიისათვის საკუთრად მიიჩნევს ერობის 30 წვრილ ერთეულს და საგუბერნიო ერობას. მოხსენებაში მოცემულია საერობო დაწესებულებათა აგების ძირითადი საფუძვლები:

1. ამიერკავკასიის საერობო დაწესებულებათა დებულების პროექტის შედგენისას უნდა ვიხელმძღვანელოთ თვითმმართველობათა სახელმწიფოებრივი თეორიით. ცენტრალური მთავრობის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ერთმანეთს უნდა ავსებდნენ, ერთმანეთს უნდა ეხმარებოდნენ.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს გადაწყვეტი ჰქონდა უნდა ჰქონდეს ადგილობრივი საქმეების გამგებლობაში.

3. 1890 წლის დებულება მიუღებელია ამიერკავკასიისათვის, ვინაიდან იგი ატარებს წმინდა წოდებრივ ხასიათს და უარპყფს თვითმმართველობის იდეას.

4. მედინსიკვალს მიზანშეწონილად შიანია ჩვენთან ოთხსაფეხურიანი ერობის შემოღება. ეს თეორიულად სწორია, მაგრამ ამისათვის ფინანსიური სახსრები არ იკმარებს. ამიტომ, ამჯერად, უნდა დავჯრდეთ ორსაფეხურიან ერობას. უმოდლევი ერთეული იქნება საგუბერნიო, ხოლო დაბალი — საუბნო ერობა.

5. ქონებრივი საარჩევნო ცენზის სხვადასხვა ფორმიდან უპირატესობა უნდა მიენიჭოს საგადასახადო ცენზს.

6. საგუბერნიო ერობის კრებაში ყოველი უბნიდან გაგზავნილ უნდა იქნეს ორი ხმოსანი.

7. ერობის ფუნქციებში შევა ადგილობრივი სამეურნეო საქმეების გამგებლობა.

8. მთავრობას უნდა ექნეს მხოლოდ ერობის მოქმედების კანონიერებისადმი კონტროლის უფლება.

9. მთავრობისა და საერობო თვითმმართველობის დავა უნდა გადაწყვიტოს სენატმა.

10. მიზანშეუწონელია შიანგან საქმეთა მინისტრს მიეცეს ერობის თანადგობის პირთა ლანიშენა-გადაყენების უფლება. გუბერნატორს არ უნდა ჰქონდეს ერობის მოღვაწეთა პასუხისმგებლობაში მიცემის უფლება. ეს უნდა შედიოდეს საერობო კრების კომპეტენციასში.<sup>18</sup>

მოხსენების შინაარსი საფუძველს გვაძლევს

დავსაკენათ, რომ დასავლეთ საქართველოს ბერალური თავდაზნაურობა საკმაოდ გაბედულად აკრიტიკებს ცენტრალური მთავრობის პოლიტიკას ერობების მიმართ. ილაშქრებს წოდებრივი პრინციპის წინააღმდეგ და იძლევა საერობო დაწესებულებათა მოწყობის ბურჟუაზიულ პროგრამას. იგი მოითხოვს ხელისუფლებაში აღკვეთილი და დამოუკიდებელი, კემპარტიდ თვითმმართველი საერობო დაწესებულებების ორგანიზებას.

კომისიის მოხსენებაში, რომლის წამყვანი ავტორი ნ. ნიკოლაძე იყო, ნათქვამია: XIX ს. 60-იან წლებში საერობო დაწესებულებანი რუსეთის მხოლოდ 35 გუბერნიას დააარსდა. მთავრობის განზრახვა ჰქონდა საერობო რეფორმა სხვაგანაც გაეტარებინა, მაგრამ ამას ხელი უშუალო პოლიტიკურმა ვითარებამ. მთავრობა შეფიქრიანდა იმის გამო, რომ მრავალი საერობო დაწესებულება ვერ ჩაეტია სამეურნეო-საეკონომიო მოქმედების სფეროში და მოისურვა საკანონმდებლო საქმეებში, უმოდლეს პოლიტიკაში ჩარევა. ამჟამად, წერენ შემდეგ ავტორებმა, ქუთაისის გუბერნიისაში ერობის შემოღებას არც ფინანსიური დაბრკოლება ელბება და არც პოლიტიკური. „უწინ თუ ერობა სახელმწიფოს სხვა საქმეებში გარეყვას ცდობაა და, ეს გარეყოფა იმით აიხსნება, რომ რუსეთის მეტოგრებთა წარამომადგენლებს სრულიად აკრძალული ჰქონდათ საპოლიტიკო ასპარეზზე გამოსვლა. ახლა კი, 1905 წლის ძირითადი რეფორმის წყალობით, საერობო დაწესებულებებს მცირე მიზეზიც კი ალბა აქვთ გზა აუხვიონ მოქმედების იმ ასპარეზს, რომელიც მინიჭებული აქვთ.“

„ერობის სარგებლობა და საჭიროება, ნათქვამია შემდეგ კომისიის მოხსენებაში, ერთხმად არის აღიარებული. ამიტომ კამათი შეიძლება მხოლოდ იმაზე, თუ რა სახის და რა ტიპის ერობა უნდა იქნეს შემოღებული“. თითქმის ყველა იწუნებს 1890 წლის დებულებას, მაგრამ საქმის დაჩქარებისათვის თითქმის ყველას მიზანშეწონილად მიიჩნიათ საერობო დაწესებულებათა მის საფუძველზე მოწყობა, მხოლოდ საჭიროა მასში შევიტანოთ ადგილობრივი თავისებურებით ნაკარნახევი ზოგიერთი ცვლილება.<sup>19</sup>

რუსეთის ერობების სისუსტის მიზეზი, წერს კომისია, ის არის, რომ იქ არ დაარსებულა წვრილი საერობო ერთეულები. XIX ს. 80-იან წლებში წარმოიშვა წვრილი საერობო ერთეულის დაარსების იდეა. მაგრამ ეს „მოწინავე, ლბებარულ აზრად იქნა მიჩნეული“ და მთავრობამ ექვეით შეზღადა ამ საქმეს, „აქვე უნდა გაიხსენოთ, — ნათქვამია შემდეგ მოხსენებაში, — რომ ის, რითაც ცოცხლობს და არსებობს ერობა და თვით სახელმწიფო, რაც მას ასაზრდოებს, ყოველივე ეს არის სოფელი... „სოფლის სამმართველოს თითქმის ერთადერთ-

თი საქმეა ხარჯების აკრეფა და სსკადასხვა ბე-  
გარის გადახდები, რაც მას მოაქვს, მეტად ძვირი უჯ-  
დება სოფელს“. კომისია უარყოფით მოვლე-  
ნად მიანიჩნის, რომ სოფლის გარდა, სოფ-  
ლის მოსახლეობის სხვა ფენებს არაერთი მო-  
ვალეობა არ აწევს სასოფლო მმართველობის  
მიმართ, რომ სოფლის სასამართლოს არ შეუძ-  
ლია დასაჯოს დანაშაულისათვის სხვა წოდება-  
თა წარმომადგენლები. ამიტომ გლეხები თან-  
დათან ითვალისწინებენ სოფლის მმართველო-  
ბას და დამკირებელ მიჩინაობა იმ ხარჯის გა-  
დება, რისგანაც ყველა სხვა წოდება თავისუ-  
ფალია. „საქმის ასეთი ვითარების დროს, —  
დაასკვნინა მოხსენების ავტორები, — საერობო  
რეფორმის ამოცანას უნდა შეადგენდეს ხა-  
ფუძეკლიანად მოწყობა სოფლის ცხოვრების  
უმაღარესის ძარღვისა — საერობო წვრილი ერ-  
თეულისა. ამ ერთეულად უნდა გახდეს ახლან-  
დელი სოფლის მმართველობა. ეს ერთეული  
უნდა იყოს წოდების განურჩეველი. ისინი  
ჩვენშიც ისე უნდა მოეწყოს, როგორც არის კე-  
თილმოწყობილ სახელმწიფოში“. ამით, კომი-  
სიის აზრით, მიღწეული იქნება სამი დადებით-  
ი შედეგი: 1) საერობო შესაკრებელი ყველა  
წოდებაზე გაიწერება; 2) მოწყობილება გადა-  
სახადების აკრეფა-დახარჯვის საქმე; 3) სოფ-  
ლად განიღბება ძლიერი ხელისუფლება, რე-  
მელსაც ხალხს აირჩევს და რომელიც აღმი-  
ნისტრაციულ საქმეებში მთავრობას დაემორ-  
ჩინება, სამეურნეო-საფინანსო საქმეებში კი—  
ერობას.

ამ საწყისებზე გატარებული რეფორმა, ირწ-  
მუნება კომისია, არავითარ არეულობას არ გა-  
მითქვამს. სოფლის თვითმმართველობას დარ-  
ჩება იგივე უფლებანი, მას სათავეში ჩაუდგება  
სათათბირო, რომლის ხმოსნების არჩევნებში  
მონაწილეობას მიიღებს ყველა წოდების პირი.  
სათათბიროს ხმოსნები, თავის მხრივ, აირჩევენ  
მამასახლისს, მის თანაშემწესა და გამგეობას.  
ორი ან მეტი სოფლის წარმომადგენლები აირ-  
ჩევენ საგუბერნიო ერობის თითო ხმოსანს.

პროექტის განხორციელებას, მოხსენების ავ-  
ტორთა აზრით, ისიც აადვილებდა, რომ საერო-  
ბო თვითმმართველობის ხარჯები დიდი არ იქ-  
ნებოდა. წერილ საერობო ერთეულების აბარა-  
ტის შენახვას წლიურად დასპირდებოდა 370  
ათასი მან., საგუბერნიო ერობის დაწესებულე-  
ბებს კი — 63000 მანეთი. ერობის დანარჩენი  
თანხები გამოყენებული იქნებოდა გზების კე-  
თილმოწყობის, მიწების მორწყვა-ამოშრობის,  
ეკონომიურ და კულტურულ ღონისძიებათა და-  
ფინანსებისათვის.<sup>20</sup>

ქუთაისის გუბერნიის სოფლის მოსახლეობის  
უკიდურესი სიღარიბის შესახებ მსჯელობა,  
წერს შემდეგ კომისია, გადაკარბებულია. ამ  
მხარის ცხოვრებაზე ყურადღებით დაკვირვება  
საფინანსო-საგარეო ურთიერთობების მინისტრის

ბეგერი რაიონის მცხოვრებნი ეკონომიური კე-  
თილდროებით რუსებზე მალა დგანან. შეიძ-  
ლება გადაუქარბებლად ითქვას, რაც კი შეიძ-  
ლება გაკეთდეს ცალკეულ პირთა ცალკებით,  
კერძო ინიციატივით ეკონომიური ცხოვრების  
სფეროში, ჩვენთან უკვე გაკეთებულია. თუ  
ქუთაისის გუბერნიის საერობო დაწესებულე-  
ბანი ისევე შრომისმოყვარეობით მოეციდებან  
საქმეს, როგორც აქამდე კერძო პირები იყი-  
დებოდნენ, იგი შეძლებს უმოკლეს ვადაში ისეთ  
კეთილდღეობამდე აიყვანოს მხარე, როგორის-  
თვისაც კერ არცერთ გუბერნიას არ მიუღწე-  
ვიაო რუსეთის იმპერიაში.<sup>21</sup>

განხილული მოხსენების ანალიზის საფუძველ-  
ზე შეიძლება დავასკვნათ: ნ. ნიკოლაძე და კო-  
მისიის სხვა წევრები ითვალისწინებენ იმ გა-  
მოებას, რომ რეაქცია გამარჯვებას ზემოებს და  
მეფის მთავრობა არ დამტკიცებს რადიკალურ  
კანონპროექტს. ამიტომ ისინი იძულებული არი-  
ან შეზღუდონ თავის მოთხოვნებში-მისწრაფე-  
ბანი, უარი თქვან მაქსიმუმზე, რათა მიიღონ მი-  
ნიმუმი — უზრუნველყონ უახლოეს მომავალში  
საერობო დაწესებულებათა დაარსება. თუნდაც  
1890 წლის დებულების საფუძველზე.

საერობო თათბირების მუშაობის შედეგად  
დაგროვილი მასალა სტამბურად გამოვიდა. მის  
საფუძველზე უნდა შედგენილიყო კანონპრო-  
ექტი ამიერკავკასიაში საერობო დაწესებულე-  
ბათა დაარსების შესახებ. მაგრამ მეფისინაცვლი  
არ ჩქარობდა, სხვადასხვა მოტივით კვლავ აქი-  
ანურებად საერობო რეფორმის გატარებას.

ამასობაში დაიწყო პირველი მსოფლიო ომი.  
რუსეთის მხარდამხარ ფრონტზე იბრძოდნენ  
სხვა ერების ასიათასობით წარმომადგენლები.  
გ. თუმანიშვილი იმედს გამოთქვამდა, რომ  
მეორე ერების პატრიოტიზმი გაზრდის ცენტრ-  
ის ნიადაგს პერიფერიებისადმი, რაც ბიძგს  
მისცემს ამიერკავკასიაში საერობო რეფორმის  
გატარებას. მაგრამ საზოგადოებრიობის ეს იმე-  
დი არ გამართლდა. ომით დაკავებულმა მთავ-  
რობამ დრო ვერ გამოიწია საერობო საქმიან-  
ობისათვის. ამიტომ საქართველოსა და ამიერ-  
კავკასიის ლიბერალურმა საზოგადოებრიობამ  
თავის ხელში აიღო ინიციატივა და გ. თუმანი-  
შვილის ხელმძღვანელობით შეადგინა კანონ-  
პროექტი ამიერკავკასიაზე საერობო დაწესებულე-  
ლებათა დებულების გავრცელების შესახებ.

ილინშვილი პროექტი შედგენილ იქნა 1909  
წლის საერობო თათბირების მასალის საფუძ-  
ველზე. გაითვალისწინეს აგრეთვე 1912 წელს  
დამტკიცებულ-გამოცემული კანონები, რომელ-  
შიც ეხებოდა სტავროპოლის, ასტრახანისა და  
ორენბურგის გუბერნიებს. პროექტი განხილულ  
იქნა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგა-

ვალადიმირ მანინშილი  
მართვლი საზოგადოების ბრძოლა  
საერობო თვითმმართველობისათვის

დობის სხდომაზე და შემდეგ გაგზავნა სახელმწიფო სათათბიროს ამიერკავკასიელ დეპუტატებს.

პროექტში ნათქვამია (მოგვეყავს ძირითადი მუხლები):

I. 1890 წ. 12 ივლისს უმაღლესად დამტკიცებული საერობო დებულება გავრცელდეს ამიერკავკასიის გუბერნიებზე, ოლქებსა და ოკრუგებზე.

II. აღნიშნული დებულების დამატება-ცვლილება სახით ამიერკავკასიისათვის დაწესდეს: 1) ამიერკავკასიის ერობათა კომპეტენციაში მოქმედ დებულებაში ჩამოთვლილი ფუნქციების გარდა შედის ადგილობრივ წყალთა რესურსების გამგებლობა და მობრძიებელ მოსამართლეთა არჩევა. 2) არჩევნებში მონაწილეობის უფლებით სარგებლობენ პირები, დაწესებულ დებულები, საზოგადოებები, ამხანაგობები და კომპანიები, რომელნიც იხდიან საერობო შესაკრებელს, რა რაოდენობითაც არ უნდა იყოს იგი. 3) ყოველ მაზრაში, ოკრუგსა და რაიონში იქმნება თითო საარჩევნო კრება. 4) ყოველ საგუბერნიო საერობო კრებას უფლება აქვს თავის სხდომაზე მოიწვიოს მუზობელი ერობის წარმომადგენლები საკითხის საერთო განხილვისათვის. თბილისის საგუბერნიო ერობას ეკისრება მოვალეობა მოაწყოს ხოლმე ამიერკავკასიის ერობების წარმომადგენლთა ყრილობებში. 5) ყოველ სამაზრო და საოკრუგო ერობას უფლება ეძლევა დაყოს მაზრა და ოკრუგი წვრილ საერობო ერთეულებად.

III. ახლად ჩამოყალიბებულ საერობო დაწესებულებებს გადაეცეს კაპიტალი, ქონება, შემოსავალი და რეზერვები, რაც კანონით ამ დაწესებულებათა გამგებლობაში უნდა იყოს. მათვე გადაეცეს საერობო სახსრებით დაარსებული დაწესებულებანი.

IV. წინადადება მიეცეს მეფისნაცვალს ჩამოყალიბოს გუბერნიებსა და მაზრებში დროებითი კომისიები პირველი საერობო საარჩევნო სიების შესადგენად. მანვე განსაზღვროს საერობო დაწესებულებისათვის საქმეებისა და ქონების გადაცემის ვადები.

V. თბილისში არსებული საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულო გადაეკლდეს ამიერკავკასიის საქალაქო და საერობო საქმეთა საკრებულოდ.

VI. გუბერნატორისა და საგუბერნიო საკრებულის საკონტროლო ფუნქცია შემოისაზღვროს ერობის დადგენილებათა კანონიერების მეტავალყურობით და საერობო ბიუჯეტების დამტკიცებოთ.

VII. ეს კანონი მოქმედებაში შევიდეს 1911 წლის 1 იანვრიდან.<sup>22</sup>

პროექტისადმი თანდართულ განმარტებით ბართში დასაბუთებულია 1890 წლის დებულების დამატება-ცვლილებათა საჭიროება, რაც

ერთმად აღიარა 1909 წლის საერობო თათბირის ყველა მონაწილემ.

პროექტი ითვალისწინებს საარჩევნო ცენსის შემცირებას, ადგილობრივი პირობების შესაბამისად ერობის კომპეტენციის გაფართოებას, ქალაქების საგუბერნიო და სამაზრო ერობებისაგან გამოყოფას და მათ ბაზაზე ცალკე საერობო ერთეულის შექმნას. 1909 წლის ზოგიერთ საერობო თათბირზე, მართალია, გამოთქვა წერილი საერობო ერთეულის დაარსების სურვილი, მაგრამ პროექტი არ ითვალისწინებს მის დაუყოვნებლივ პრაქტიკულ რეალიზაციას. სამაგიეროდ, ნებას აძლევს სამაზრო ერობებს მომავალში, თუ ამის საჭიროება გამოჩნდებოდა, მაზრა დაეყოთ წვრილ საერობო ერთეულებად. პროექტი მოითხოვს ერობების მუშაობაზე ადმინისტრაციის კონტროლის შემცირებას, რადგან საზოგადოებრიობა ვარაუდობდა, რომ მთელი რუსეთის მასშტაბით მოხდებოდა 1864 წლის ნორმებზე დაბრუნება.<sup>23</sup>

გ. თუმანიშვილის მიერ შედგენილი და საქართველო-ამიერკავკასიის ლიბერალური საზოგადოების მიერ მოწონებული ეს პროექტი მიუღებელი აღმოჩნდა მეფისნაცვლისა და მისი მოხელეებისათვის. მათ გადაწყვიტეს თვით შეედგინათ სპეციალურად ამიერკავკასიისათვის გაცილებით „ზომიერი“ პროექტი და იგი გაეზავნათ ცენტრალურ მთავრობაში დასამტკიცებლად.

მეფისნაცვალმა განსაზღვრულ ფაქტორად მიიჩნია ამიერკავკასიის თავისებურებანი და ამიტომ არსებული დებულების გავრცელება კი არ მოითხოვა, არამედ შეადგინა ამიერკავკასიისთვის ახალი პროექტი. ეს პროექტი, მართალია, ითვალისწინებდა უწოდებრივ ერობის დაარსებას, მაგრამ აწესებდა მძალად საარჩევნო ცენსს და არაფრით არ აღართოებდა ამიერკავკასიის ერობის კომპეტენციას ადგილობრივ პირობებთან შედარებით. სამაგიეროდ, კიდევ უფრო აძლიერებდა ერობაზე ადმინისტრაციის კონტროლს.<sup>24</sup>

კავკასიის ადმინისტრაციის მიერ ამიერკავკასიაში საერობო დაწესებულებათა დაარსების განსაკუთრებული და თანაც რეაქციული პროექტის შედგენა უკმაყოფილება გამოიწვია საზოგადოებრივ წრეებში. ამ ფაქტში მათ დაინახეს მეფისნაცვლის სურვილი კიდევ გაეკიანურებინა მხარეში ერობის შემოღება, რადგან ყველამ კარგად იცოდა, თუ რაოდენ დიდი დრო სჭირდებოდა ახალი პროექტის განხილვა-დამტკიცებას. ეს ასეც მოხდა. 1917 წლის იანვარში პეტერბურგს გაგზავნილი პროექტი დამტკიცებული არ ყოფილა. ცარისტული რეჟიმის პირობებში საქართველო-ამიერკავკასია საერობო დაწესებულებებს ვერ ეღიარა. ეს იყო მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის ვამოგონების ერთ-ერთი ფორმა იმპერიის განაპირა მხარეების მიმართ.

შენიშვნები:

- <sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 40-42.
- <sup>2</sup> Земство, политико-экономический сборник, СПб, стр. 7-51.
- <sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 714-715.
- <sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 42-43.
- <sup>5</sup> Материалы по вопросу о введении земских учреждений в Закавказье, т. VII, Тифл. 1910. стр. 24-36.
- <sup>6</sup> Там же, стр. 24-36, 409-410.
- <sup>7</sup> დასახლებული მასალები, ტ. 7, გვ. 17-24.
- <sup>8</sup> იქვე.
- <sup>9</sup> იქვე, გვ. 71-96.
- <sup>10</sup> დასახლებული მასალები, ტ. 7, გვ. 97-204.
- <sup>11</sup> იქვე, გვ. 246-262.
- <sup>12</sup> Материалы по вопросу о введении земских учреждений в Закавказье, т. VII, Тифл., 1910, стр. 269-280.
- <sup>13</sup> იქვე, გვ. 282-289, 341.
- <sup>14</sup> იქვე, გვ. 290-293.
- <sup>15</sup> იქვე, გვ. 360-362.
- <sup>16</sup> Материалы по вопросу о введении земских учреждений в Закавказье, т. VI, Тифлис, 1911, стр. 4-9, 11-13, 19-21.
- <sup>17</sup> იქვე, გვ. 11-21.
- <sup>18</sup> ნ. ნიკოლაძის არქივი, საქმე 40/608, გვ. 1-18.
- <sup>19</sup> ნ. ნიკოლაძის არქივი, საქმე 15/12, გვ. 1-9.
- <sup>20</sup> ნ. ნიკოლაძის არქივი, საქმე 15/12, გვ. 10-28; საქმე 15/40, გვ. 10-15.
- <sup>21</sup> იქვე.
- <sup>22</sup> Г. Туманов, Итоги земских совещаний на Кавказе, Тифлис, 1915, стр. 93-103.
- <sup>23</sup> გ. თუმანიშვილის დასახლებული წიგნი, გვ. 106-111.
- <sup>24</sup> საქართველოს ცნობა, ფ. 214, საქ. 3807, ფურც. 1-15.



## მუკამ ბათიუაშვილი

# მწერალი თეატრში

მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლ „მოსამართლეზე“ საუბრისას გვინდა განსაკუთრებით გავუსვათ ხაზი თეატრის მოქალაქეობრივ პათოსს, მის ლტოლვას ადამიანებში იქადაგოს სიმართლის ზეიმის, პატიოსნების იდეები, ამ გარემოებას ხაზს ვუსვამთ ერთი მიზეზის გამო — სპექტაკლი კარგა ხანს მზადდებოდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თეატრმა ჯერ კიდევ ადრე იგრძნო იმის საჭიროება, რაც დღეს ყოველი ჩვენგანის თვალწინ მიმდინარეობს, იგრძნო რომ საჭიროა ადამიანებში განამტკიცო სიმართლის, პატიოსნების რწმენა, უამისოდ საზოგადოება ბრბოს დაემსგავსება, ადამიანი მორალურად გაიყვანება. რატომ უნდა ყოფილიყო ეს პიესა დღევანდელი მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარში, რა მნიშვნელობა აქვს ამ პიესას თეატრისათვის, რისთვის და ვისთვის დაიდგა იგი? არ გვინდა გაიოლებულად შევხედოთ საკითხს და მივიჩნიოთ, რომ პიესა თანამედროვეობისადმი მიძღვნილი სხვა ნაწარმოების უქონლობის გამო დაიდგა. როცა თეატრი „მოსამართლის“ ჰკიდებდა ხელს, ბუნებრივია, მას გარკვეული მიზნები ამოძრავებდა. გადავხედოთ, რას სთავაზობს დღეს მარჯანიშვილის თეატრი მსყუარებელს, გავიხსენოთ მისი სპექტაკლები და ამ სპექტაკლებში წამოჭრილი პრობლემები. მარჯანიშვილის თეატრის აფიშაზე შეხედვებით მიღერის „დონ კარლოსს“, კორნეილუსის „საოცნა გულისას“, გუცოვის „ურჩილ აკოსტას“, ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია, დედას“, „ძველ ვოდევილებს“, ნ. გოგოლის „ქორწინებას“, ანტონოვის „მისი დაბნელება“, ა. გეჟაძის „წმინდანებს“. ყველას კარგად მოეხსენება ამ პიესების და აქედან გამომდინარე სპექტაკლების პრობლემატიკა და ძნელი არ არის დასკვნა — „მოსამართლეში“ წამოჭრილი პრობლემები შემთხვევითი არ არის თეატრში. პირიქით — ის გვიკვირს, რომ თეატრმა აქამდე არ იზრუნა ამ ხარვეზის ამოსავებად. რადგან ადღენ კლასიკურ-

სა თუ თარგმნილ პიესებს შორის ერთადერთა „ნუ გეშინია, დედა“ ვერ დააკმაყოფილებს თანამედროვეობის გაშუქების მოთხოვნილებას. ამ ბოლო ხანს მარჯანიშვილის თეატრს სურს ჩამოიბერტყოს ერთგვარი სიძველის მტკერი, თორემ ნახევრად ქართული „მზის დაბნელება“ თუ სხვა პიესები, მართლა მალე დაგეაქარგვინებს მაყურებელს.

შემთხვევით მოვლენად არ მიიჩნევა ის გარემოება, რომ გიორგი ზუხაშვილმა თანამედროვე ქართული ყოფის მორალურ-ეთიკური საზომების განსასაზღვრავად სწორედ მოსამართლე კაცის ცხოვრება გამოიყენა, რადგან თავისთავად მოსამართლეობა, სამართალი ჩვენი ყოფის ის ორიენტირებია, სადაც მრავალი ადამიანის ბედი იყრის თავს. შეიძლება თამამად წარმოაჩინო არა მარტო მოსამართლის სახე, მისი ზნეობრივი თუ მორალური თვისებები, არამედ საზოგადოებისაც. რადგან სამართალთან მუდამ ორი ბედი, ორი ხასიათი, ორი ფილოსოფია, ორი მრწამსი იყრის თავს — ტუყილი და მართალი, ბოროტი და კეთილი, ყოველივე ეს კი საზოგადოებრიობის ცნობიერების განმსაზღვრელია, მაჩვენებელია იმისა, თუ რითი ცხოვრობს ხალხი, რა ამოძრავებს მას, რას ებრძვის, რას ეტანება, რა მიაჩნია ცხოვრების ნორმად.

გიორგი ზუხაშვილს არ აინტერესებს ვიწრო, პარალელი ინტერესებით შემოფარგლულ ადამიანთა ურთიერთობები, მისი პიესების კონკრეტული უმთავრესად გამომდინარეობენ საზოგადოებრივი მოვლენებიდან. ადამიანთა ურთიერთობებს იგი განიხილავს ამ მნიშვნელოვან მოვლენებთან უშუალოდ კონტაქტში: ადამიანი, დიდი სახელმწიფოებრივი მოვლენები და თაობათა ურთიერთდამოკიდებულება ამ მოვლენებთან დაკავშირებით. ასეთია ზოგადად მისი პიესების პრობლემათა წრე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, დიდი სამამულო ომი, თანამედროვე ყოფა, აი, ძირითა-

დად ის მომენტება, რომლებზეც აგებულია გიორგი ზუხაშვილის პიესები და „მოსამართლე“. ხალხის ცხოვრების ამ ისტორიულ მომენტებს უკავშირებს მწერალი თავისი პერსონაჟების ცხოვრებას, ამ მომენტების ფონზე ვეაჩვენებს მათს სულიერ ყოფას, მისწრაფებებს. იდეალების გამარჯვებას თუ მარცხს. ეს ყველაფერი სინტერესოს ხდის გ. ზუხაშვილის დრამატურგიას საერთოდ, მის ყოველ პიესას ცალკე აღებულს, მაგრამ როცა ამ პიესებს ერთად განვიხილავთ, მის ღირსებებში გარკვეულ ნაკლსაც შევნიშნავთ. ნაკლს, რადგან ცხოვრების ერთ სიბრტყეში გაშუქებამ, ერთი რაჟურსით დანახვამ წარმოშვა ფორმის ერთფეროვნებაც. ბოლოს იქამდეც კი მივიდა საქმე, რომ ერთიმეორეს ემსგავსება სხვადასხვა პიესის მნიშვნელოვანი მომენტები. ასე, მაგალითად, ზუხაშვილისეუ პიესებში „გზები“ და „მოსამართლე“. „ზღვის შვილები“ და „სამი გიორგი“. ვავიხსენით „გზები“. პირველი ეპიზოდი. მენშევიერის საქართველო სულს დაფავს, მენშევიეები გარბიან, ეპიზოდი ხდება რკინიგზაზე, ერთ-ერთ მენშევიეთან შეტაკებისას გამოჩნდა საბა ორბნელის პირადი თვისებები. მას არ შეუძლია იტრუოს, იგი მართალია კაცია. აქ მოხდა პირველი აქტი სიმართლის გზებით არ იაროს.

„მოსამართლე“. აქაც რკინიგზაზე ხდება პირველი ეპიზოდი. ერთ-ერთ მენშევიეურ შეტაკებისას ირკვევა დავით ბარათელის პირადი თვისებები. მას არ შეუძლია სამართალი არ ჰქმნას, სიმართლის გზებით არ იაროს.

ორივე პიესაში ამას მოსდევს ეპიზოდები სამაჟული ომამდე, შემდეგ ომი. შვილის წასვლა ამ ქარცეცხლში, ორივემ დაჰკარგა შვილი, საბამც და დავითმაც, ცხოვრების ტანჯვის გზებზე იარეს ამ ადამიანებმა და ბოლოს აღიარეს ორივეს იდეალური პიროვნული თვისებები.

მაშ ასე. სცენაზეა მოსამართლე კაცი, რომელიც თავისი ცხოვრების მიზანს სიკეთისადმი, პატიოსნებისადმი სამსახურში ხედავს. როცა ავტორები ცდილობენ ამგვარი ადამიანის ცხოვრება დავიხატონ, წარმოვიდგინონ წმინდა ზნეობისა და მორალის, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების ადამიანები, დიდ სირთულეს იწყებენ.

გ. ზუხაშვილის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით იდგა ის სირთულე, რომ დავით ბარათელი კეთილის, პატიოსანის სქემა კი არ ყოფილიყო, არამედ პატიოსნების, სიმართლის სამსახურში ჩამდგარი ყოველი ადამიანის სიმბოლური სახე. ამ შემთხვევაში დრამატურგის წინააღმდეგ იყო თვით ქართი — ის, რაც შეიძლება პროზაში ჩვეულებრივ, ნორმალურ დიალოგად იქნეს მიჩნეული, შესაძლოა, სცენაზე რიტორიკად აქცერდეს. ყოველივე ამის გარდა, დრამატურგისა და რქვისორის წინაშე იდგა ერთი სირთულე — ეს იყო ცხოვრებისეული სირთულე — თეატრს სურს აჩვენოს პატიოსანი, მართალი

მოსამართლის ცხოვრება ჩვენი ყოფის ამ ეტაპზე, როცა მოსამართლეობა, რა დასამალია და, არც თუ იშვიათად სუბიექტურობასთან იქნა გაიკვეთებული. ამ სუბიექტურობის მიღმა კი ბევრი რამ იმალება. ასე რომ დავით ბარათელის წინააღმდეგ იყო ბევრი მისი კოლეგა, რომელიც ალბათ, ცინიკურად, ირონიულად მოეკიდება მის ცხოვრებისეულ მრწამსს: ნუ ვიქნებით ასე გულბერკაცილები და თავს ნუ დაიგროვებთ იმაში, რომ დღეს უკვე ყველაფერი მოგვარებულია.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ ენახეთ მოსამართლე კაცის ცხოვრების მართალი სურათები, ენახეთ, რომ დრამატურგმა და თეატრმა სძლიეს ამ სირთულეებს და მივიღეთ სპექტაკლი, რომელიც არამც და არამც არ მოგვცის რიტორიკისა და დიალექტიკის ასოციაციებს, რადგან ის, რაც სცენაზე ხდება. სავესებით ბუნებრივად და დამაყრებლად მიიჩნევა, რადგან თეატრი უბელში არ მოვახლით თავის პოზიციას, იგი მოსამართლე კაცის ცხოვრების ობიექტური ჩვენებით მაყურებელს სთავაზობს თავის თემას — აი, ეს არის ჩვენი დროის მოქალაქე, აი, ასეთი უნდა ვიყოთ ჩვენ ყველანი ჩვენს საქმეში და მაშინ საქვეყნო საქმე მოიგებს. მაგრამ ეს არ კეთდება მშრალად, თეატრი თავის ამ თუზას განამტკიცებს ანტითეზისთან შეპირისპირებაში. კაპია განა მხოლოდ ჩვენი დროის უარყოფითი ტიპია! ამ სახის ასე გაგება პრიმიტიულობისაყენ გვიბიძგებს. კაპია არის სიმბოლური, სახე ბოროტისა, რომელიც კონკრეტულად ჩვენს დროში. სამართლის საქმეში, ამ ასექტში გვევლინება.

დავითისა და კაპიას სახეები ფილოსოფიური სიღრმეებიდან იღებენ სათავეს და მით უმეტეს, სასიხარულოა, რომ თეატრმა ყველაფერი ეს სახეებით სახიერად, თვალსაჩინოდ გვანჩევა, გვანჩევა თუზისა. და ანტითეზის შეპირისპირება და აქედან გამოდინარე თავისი ნათელი პოზიციაც, ყოველივე ამისი ამოკითხვა სპექტაკლში არც ისე რთულია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თეატრი თითქმის წელიწადი მუშაობდა სპექტაკლზე და ამ დროის განმავლობაში მან, მართლაც. ათასჯერ გაზომა და ასწონა ყველაფერი. ამასთან დაკავშირებით რქვისორ ანზორ ქუთათელაძისა და დრამატურგ ზუხაშვილის თანამშრომლობა სანინუმოდ მიგვანჩნა, ამგვარი თანამშრომლობის გარეშე არ იქმნება არაფერი მნიშვნელოვანი. დამეჭობებით ვერ ვიტყვით, თუ ვის რა წილი უძევს იმაში, რაც პიესას სასიკეთო შეემატა, ამას არც აქვს მნიშვნელობა, რადგან ეს ერთობლივი შემოქმედებითი პროცესი იყო — მაგრამ ის კი შეგვიძლია განვაცხადოთ — პიესის თეატრში მისულ გარაინტესა და საბოლოო გარაინტეს შორის გარკვეული სხვაობაა და ეს

**პურამ ბატიაშვილი**  
**მწიბრალი თეატრი**

კიდევ ერთხელ მეტყველებს გ. ხუხაშვილისა და ა. ქუთათელაძის შემოქმედებითი თანამშრომლობის დადებით მხარეზე.

რა იგულისხმება კონკრეტულად ამ სხვაობაში და რა შემატა მან პიესას?

პიესაში ყველაფერ იმასთან ერთად, რასაც ჩვენ ახლა ვხედავთ, იმავე სიტუეტში, იმავე სიტუაციებში პარალელურად მოდიოდა ერთი თემა — იყო თაობათა ურთიერთდამოკიდებულების თემა, რაც კონკრეტულად გამოიხატებოდა დაეითის, ცოტენესა და დათოს ურთიერთობაში, მათს სულიერ ნათესაობასა და კავშირში. ეს, ვიმეორებ, პარალელური ან, თუ გნებავთ, ქვე-თემა. ამ სამი ადამიანის საქვეყნო საქმეებისადმი ერთგულბაში პოულბოდა თავის განსახიერებას და ჩვენ ვგრძნობდით — შეიძლება დღეს ცოტენე და დათო ვერ იყვნენ ამალელებული დაეითის მორალურ-ეთიკურ დონემდე, მაგრამ პოტენციად იგრძნობოდა, რომ ეს ყმაწვილები საბოლოოდ კარგი ადამიანების სახით მოველინებოდნენ ქვეყნიერებას.

თავისთავად, ეს მეტად საინტერესო თემაა, მაგრამ იგი ერთგვარად აქუცმაცებდა ნაწარმოებს, ფრამენტულობის იგრს აძლევდა მას. თეატრში ეს მთლიანად არ მოშლილა, მაგრამ იგი მინიმუმამდე იქნა დაყვანილი და ყველაფერი ერთ მთავარ მიზანდასახულებას დაექვემდებარა. ყველაფერი დაექვემდებარა იმას, რომ მკაფიოდ, კონკრეტულად გამოჩენილიყო დაეითის სულიერი მრწამსი. მისი მოქალაქეობრივი პათოსი. სპექტაკლის შემქმნელმა კოლექტივმა დაიასახ ერთი კეთილშობილური მიზანი — დარბაზიდან გასულ მაყურებელს უნდა ჩაეუნერგოთ რწმენა სამართლიანობისა. მას უნდა სჯეროდეს, რომ მისი, ჩვეულებრივი მოქალაქის ბედს სულიერად და ინტელექტუალურად სასულიეროდ პიროვნებას აბარია და იგი არ იქნება შემთხვევითობისა თუ სუბიექტივის მსხვერპლი. ამ მიზნის მისაღწევად არც თეატრში და არც დრამატურგმა არ იკმარა ის, რაც პიესის ტექსტუალურ მასალაში იდო და თავისი სათქმელის კიდევ უფრო მსაფიოდ გამოსაყვეთად, იმისთვის, რომ მაყურებლისათვის ცხად-ლევ მიეწოდებინა თავისი თეზა, მოაწყო ერთგვარი დისპუტი — ვადაწყვიტა იქვე, ადგილ-ზევე მსჯელობის სავანად გაეხადათ დაეითის ესა თუ ის საქეული. ამით ხაზი გაუსვა კიდევ ერთ მომენტს — ადამიანის ცხოვრება, ადამიანის ყოფა არ არსებობს საზოგადოებისაგან დამოუკიდებლად. იგი საზოგადოებრივი ყოფის გამოვლინებაა და ამიტომაც საზოგადოებრივი მსჯელობის სავანადც ექცევა ხოლმე. მით უმეტეს, ისეთი პიროვნებისა, როგორც მოსამართლეა: მისი საქმიანობა, ცხოვრება ხომ ადამიანის ბედობალთან არის დაკავშირებული.

სპექტაკლის დაწყებისას ჩვენს წინაშე წარმოსდგებიან არა პიესის პერსონაჟები, არამედ

მსახიობები: კოტე მახარაძე, ვანო ოსაძე, ანდრო კობალაძე, მედეა ბიბილიევილი და სხვანი. ისინი საყმაროდ რთულ მდგომარეობაში ჩაავადო რეჟისორმაც და დრამატურგმაც. ჩვენს თვალ-წინ გარდაისახებიან პიესის პერსონაჟებად. აქვე გაითამაშებენ დაეითის ცხოვრების ერთ მოვკვეთს და შემდეგ უკვე არა როგორც პიესის პერსონაჟები, არამედ როგორც მსახიობები, მოქალაქენი, რომლებსაც სათანადო შოზიციო, მოვლენებისადმი დამოკიდებულება გააჩნიათ, განიხილავენ თავთავიანთ საქმეს, განიხილავენ იმას, თუ რამდენად სწორად მოიქცნენ. რამდენად მიზანშეწონილი იყო ამათუმი მოვლენის მათეული შეფასება. რა ვუყოთ, თუ უფრეჩერ ეს კაპაით ერთგვარად ზედაპირულია, მთავარი მაინც ისაა, რომ თეატრმა მიაგნო ხერხს, რომ-ლითაც მრავალი რამ მოიგო, მრავალი სასიკეთო შემატა პიესასაც და სპექტაკლსაც. ამით რეჟისორმა რთული პიესის სცენური გადაწყვეტის ვასალები მოიხანა, თანაც ვასალები, რომლებიც კარგ დარბაზში შეჰყავდა თეატრი.

რეჟისორმა ანზორ ქუთათელაძემ იმისათვის, რომ დრამატურგის ნაზრევი სრულყოფილად გამოეხატა და თავისი, როგორც შემოქმედის პოზიციაც უფრო ცხად-ლევ, ხაზგასმით ეჩვენებინა, კიდევ ერთ ხერხს მიმართა. ჩვენ ვერ ვიტყვოდით, რომ თეატრალურ ხელოვნებაში ეს ახალი ხერხია, რომ დღემდე ამ ხერხით არავის უსარგებლია, მაგრამ ერთი რამ ცხადია. ამ სპექტაკლის მთლიან ქსოვილი, მის კონტექსტში ჩინებულად ჩაჯდა. ეს არის მოქმედების. სიტუაციის გამეორების ხერხი. როცა რეჟისორი, თითქოს ხელში კინოფირი ეჭიროს, მოქმედებას ხელახლა ვაჩვენებს, რათა განსაკუთრებულად გაუსვას ხაზი სპექტაკლის იდეას, იმას, რისთვისაც დადგა ეს ნაწარმოები, თითქოს მას აკრთობს ერთი შიში — სიტუაციითა სიჭარბემ, სპექტაკლში მიმდინარე მოვლენათა სიუხვემ არ შთანთქმის ის, რაც მთავარია, და მნიშვნელოვანი. ეს კარგი რეჟისორული მიგნებაა, და როგორც აღვნიშნეთ ჩინებულად მოეგრგო ამ სპექტაკლის ქსოვილს, მაგრამ ვფიქრობთ, უმჯობესი იყო რეჟისორს უფრო ვაბედულად ესარგებლნა ამ ხერხით. ანზორ ქუთათელაძემ ორჯერ მიმართა სიტუაციის გამეორების საშუალებას — ერთხელ, როცა მოსამართლესთან მოდის დედა — (ზანდა იოსელიანი) და მეორედ მეორე მოქმედების დასაწყისში. მე არა მგონია, პირველ შემთხვევაში სიტუაციის გამეორება ზუსტად ემსახურებოდეს რეჟისორის მიზანს, რადგან ამ დროს მეორდება არა ის, რაც მთავარია, ამ სცენაში, (გარისკაციის სამხედრო ფიცისადმი ერთგულების საკითხი), არამედ ის, რაც მეორეგარისკოვანია — კონკრეტულად ყოფილი ფაქტი. (მამაკითხეთ რომ შევაწუხეთ, მე დედა ვარ" და ა. შ.).

მაგრამ რეჟისორმა ეს ხერხი ბრწყინვალედ

გამოიყენა მეორე მოქმედების დასაწყისში, როცა მეორედება ოჯახის სტეხა; სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ დავითი არ ხელყოფს სამართალს, არ ისარგებლებს თავისი ავტორიტეტით და კოლეგებს არ სახოვს, რომ მისი შეღიშნული ვათავისუფლონ.

„მოსამართლის“ სცენური ავტორი დიდად არის დამოკიდებული დავითის როლის შემსრულებელზე, რადგან დავითი ის მუხა ამ სპექტაკლში, რომელმაც თავის გარშემო უნდა შემოიკრიბოს მრავალი და მრავალი და თუ მუხა თავად იქნა განმარტული, ცხადია, იგი ვერაფერს შეძლებს. აქ საკითხი დგას საქაოდ მწვევედ — მსახიობის ოსტატობამ. მისა სცენურმა თუ პირადმა მომხიბლობამ უნდა შევიქმნას სიმართლის სრული ილუზია. უნდა დავაწიშინოთ ყოველივე მის ჭეშმარიტებაში, რასაც დავითი აკეთებს, ხოლო თუ მსახიობს ერთხელ მაინც შეამჩნიე სიყალბე, თუ იგრძენი, რომ მას თავად არ სჯერა ქმრისა, რომლის ცხოვრებასაც ამ წუთში წარმოვიდგენს, სპექტაკლი უმალ დაცარვავს თავის დანაშაულებას.

ჩვენ ყველანი მოქმენი ვართ კოტე მახარაძის ნამდვილი აქტიორული მიღწევებისა ამ უკანასკნელ წლებში. მარჯანიშვილის თეატრში განსაკუთრებით გამოვლინდა მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობა. დიდო აღექისებმ, შეიძლება ითქვას, სრულყოფილად წარმოაჩინა ის შემოქმედებითი თავისებურებანი, რაც დამახასიათებელი ყოფილა მსახიობისათვის — ეს მოხდა „დონ კარლოსსა“ და „სხოვნა გულისაში“, „პირველი ცოლის მორჯულებაში“ და „ანტიკონენში“. ყველა ამ სპექტაკლზე უკვე თავისი აზრი გამოითქვა, ზოგი მათგანი წარმატებულ იქნა მიჩნეული, ზოგი — უკანდახვედ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ამ სპექტაკლებში წუნი არ დასდებია კოტე მახარაძის აქტიორულ ოსტატობას. იგი ჩინებულად გამოიყურებოდა. ასეთ პლანში განიხილება პეტრუჩიო და გერცოგი. იტალიელი და კრეონი. და თუ ყოველივე ამას დავუმატებთ შარშან ჩინებულად ნათამაშებ ურთელ აკოსტას, ყველაფერი ცხადი გახდება. თვალხილული იქნება ის მოზაიკური მრავალფეროვნება, რაც კოტე მახარაძის მიერ სცენაზე შექმნილ სახეებს ახასიათებდა. ინტერესს ბადებდა ის, თუ როგორი შემსრულებლობითი ხერხებით იქნებოდა გახსნილი თანამედროვე აღმზიანის სახე.

კოტე მახარაძის თამაში, რასაკვირვლია, სპექტაკლის ვადაწყვეტის მილიან მანერას ექვემდებარება და მასთან არის დაკავშირებული. ამიტომ ის პირობითობა, რომელშიც მსახიობს უხდება მოქმედება, კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას. რადგან თავისთავად ყოველი სპექტაკლის პირობითი ვადაწყვეტა — ეს მხოლოდ რეჟისორისათვისაა პირობითი, მსახიობს კი ალბათ მეტი შრომა უწევს, რათა მთითონ შეავსოს ის, რაც მაყურებელამდე თვალხილუ-

ლად, ცხადად არ მიდის, კოტე მახარაძე მსახიობის ილუზიას, მისი აქტიორული ტექნიკა ამჯერად იმდენად არის რაფინირებული, რომ მაყურებელს უმალ იმორჩილებს, უმალ იყოლებს და არ უჭირს თავისი ვადაწყვის მოაქციონ.

სპექტაკლში რეჟისორს აქვს ერთი შენანიშნავი მიგნება — როცა დავითის ხანდაზმულობის პერიოდს თამაშობენ. კ. მახარაძე სათვალეს იკეთებს, ხოლო როცა ახალგაზრდობას ან თუ გნებავთ, თვით დავითთან დამოკიდებულებას გამოხატავენ, ამ სათვალეს იხსნის. საკმოდ მახვილვინიერიული მიგნებაა, კოტე მახარაძის ხელში ამ სათვალემ ჩადოქრული მნიშვნელობა შეიძინა. მან თათქოს სადემარკაციო ხაზა ვადაწყვით ხანდაზმულსა და ახალგაზრდა დავითს შორის.

ვერ დავეთანხმებით ანზორ ქუთათელაძესა და კოტე მახარაძეს ერთი დეტალის ვაზრებაში.

ოჯახში დენერტირად მისულ შეღიშნულ ვანშორების მომენტი მართლაც მძიმეა, თათქოს კოტე მახარაძის დავითი გრძნობს, რომ იგი მეტად ვეღარ ნახავს შეიღს, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც ზედმეტად გვეჩვენება ატირება. ეს მიზანსცენა ამოვარდნილია სპექტაკლის საერთო სტილისტიკიდან. კოტე მახარაძე თავიდანვე ისეთი მანერით თამაშობს, ისე მიჰყავს როლი, რომ ცრემლი უაღვილო ადვილას ჩამოვიდებულ სამკაულად გამოჩნდა და ამ სამკაულმა მთელს ჩაცმულობას ჩრდილი მოსდო. იმის საილუსტრაციოდ, რომ ჩვენი მოსაზრება მართალია, კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანდით. გავიხსენებდით, თუ როგორი შეფასება აქვს კოტე მახარაძეს იმ მომენტისა, როცა ფრონტზე შეიღის სიკვდილი მოახსენებდა. აქ კოტე მახარაძე აკეთებს უაღრესად ზუსტ მოძრაობას, და მთელი მისი არსება სრული სიზუსტით გამოხატავს დავით ბარათელის შინაგან განწყობილებას. არც ცრემლი, არცერთი ზედმეტი ფრაზა, მხოლოდ ერთი წინადადება: „ხელი შემეშველე. იოსებ, შე უღმერთო, არ წაივქციე, არ შევრცხვე კაცი“. აქ მსახიობმა ზუსტად აულო ალო სიტუაციას და ასევე ზუსტი შეფასება მისცა მას.

ვეფიქრობთ, „მოსამართლესი“ ერთ-ერთი რთული სახეა გავა. სწორედ დავითის, გავას და კახიას აღმზიანურ სამყაროთა დაპირისპირება წარმართავს სპექტაკლს, მაგრამ კახიანე უფრო რთული სამყაროს კაცი მაინც გავაა, ამ პიროვნებაში უფრო მეტი დღეარულია, ვიდრე თვალხილული. იაკობ ტრიპოლსკის ჩინებულად ესმის თავისი პერსონაჟის ეს მდგომარეობა. ისიც იცის, თუ რამ შექმნა გავას ასეთი ბუნება. ეს კი მით უფრო ართულებს მსახიობის მდგომარეობას. გავა ბექაური კეთილშობილი პიროვნებაა, სუფთა კაცი, აღმზიანი, რომელიც მეგობრისათვის თავს ვასწირავს, სიკვდილიდან იხსნის

**შურაბა ბატიასვილი**  
მწერალი თეატრში

მას, მაგრამ ცხოვრებამ არ გაუმართლა. უმტყუ-  
ნა სწორედ მან, ვისაც უყვალზე მეტად უნდა  
მინდობოდა, ამიტომ აერია ცხოვრების გზები.  
შემდეგ ეს ცხოვრებაარეული კაცი დაეითის სახ-  
ლში მოდის და გვანცა შეუყვარდება. ხომ არის  
ამაში რაღაც უღამაზო. უსუფთაო, საზოგადო-  
ების თვალში პატივისცემას რომ დაგაქარავნი-  
ნებს, დარბაზში შემოსული მაცურებლისათვის  
გაგა ბეჭაური არის კაცი, რომელიც მეგობარმა  
თავის ოჯახში შეიყვანა და შემდეგ მან ამ მე-  
გობრის რძალზე დაიქორა თვალი. არც მეტი და  
არც ნაკლები. ასეთი ბიოგრაფიისა და ასეთ სი-  
რუაიში ჩაჯარდნილი კაცი შესაძლოა სპექ-  
ტაკლში შეინ სულისკვეთების წინააღმდეგ მოტ-  
რიალდეს და სპექტაკლის პოზიცია ერთგვარად  
შეარეოს, მაგრამ ტრიპოლისკის მიღწევად სწო-  
რედ ის მიიჩნევა, რომ მან შეურყეველად გაიარა  
ბეჭვის ხილზე, სახე აჩვენა იმგვარად, როგორც  
ეს სპექტაკლის საერთო მიზანდასახულებას ეხ-  
მიანებოდა. მაცურებელმა ტრიპოლისკის გავაში  
ის უფრო დაინახა, რაც მის სულში ტრიალებს,  
ვიღრვ ის. რაც მის ირგვლივ ხდება. ამიტომ გა-  
გას სახე მთლიანი და სრულყოფილია.

გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და მსახი-  
ობს ერთ ლავსუსზე მივუთითოთ, ამავე დროს  
დავსძენთ, რომ ეს შენოშენა ერთნაირად უნდა  
გაიზიარონ რეჟისორმა და მსახიობმა. ეს არის  
ტრიპოლისკის გავას ციხიდან გამოსვლის სცენა.  
მიზანსცენა, რომელსაც ტრიპოლისკი ციხიდან გა-  
მოსვლიდან გვანცასთან შეხვედრამდე აკეთებს,  
არ ეხმიანება არც ამ სპექტაკლს და მით უმე-  
ტეს, არ ეხმიანება თანამედროვე თეატრს საერ-  
თოდ. კაცი გამოვიდა ციხიდან, იგი ბედნიერია.  
ამ დროს ტრიპოლისკი თითქოს მთვრალი იყოს,  
ისე დიდის, შესცქერის ცას. ხეგებს, ქვეყნიერე-  
ბას, ჩვენთვის გასაგებია მიზანსცენის არსი —  
პერსონაჟი სიხარულით. ბედნიერებით მთვრალია,  
მაგრამ ამ არის გამომსახველობითი საშუალებ-  
ა უთუოდ არ იმსახურებს მოწონებას. ამ  
დროს დაფიქრება, მწიარე დაფიქრება უფრო  
გემართება იმის გამო, რომ ჩვენს დროში შე-  
იძლება უღანაშულო კაცი რამდენიმე თვე იჭ-  
დეს ციხეში; დაფიქრება და არა სიხარულის აღ-  
ტკინებული გამოხატვა. და თუ მიინცდამიანიც  
სიხარული, რაც ასევე სასებობი ბუნებრივია,  
ამისათვის რაღაც სხვა საშუალებებზე უნდა მო-  
ნახულიყო. თორემ ბედნიერებისაგან მთვრალი  
კაცის ჩვენება რაღაც სიყალბის ასოციაციებს  
ქმნის.

ვანო ოსაძის კაპია ის სახეა. რომელთან ურ-  
თიერთობაშიც, რომელთაგან დაპირისპირებაშიც  
თეატრი თავის თეზას სთავაზობს მაცურებელს.  
კაპია საზოგადოებრივად ბოროტი მოკლუნის  
სიმბოლოური სახეა, მისი მეოცნებით ზუგაშვილს  
სურდა უფრო რელიგიურად გამოეკვეთა დავი-  
თის სახე. ეს ასეც მოხდა. ვ. ოსაძემ არ ითამაშა  
პრიმიტიული უარყოფითი პერსონაჟი, პირიქით  
— იგი ამიტომაც საშიში, რომ ეგრე იოლად არ

აღელენს თავის თავს, ამიტომ საზოგადოებრივად  
ერთგვარი გავლენაც მოუპოვებია. ვ. ოსაძეს  
კარგად აქვს გაგებული თავისი პერსონაჟის ეს  
თვისება, უფრო მეტიც — მას თითქოს ცხოვ-  
რების თავისებური, სუბიექტური სიმართლაც  
უმარგობს ზურგს. ეს სიმართლე კი იმაში ჰპო-  
ვებს გამოხატულებას, რომ მისმა პროტოტიპებ-  
მა. მისმა სულიერმა მეგობარებმა თითქმის დო-  
მინირებული ადგილი დაიჭირეს საზოგადოებაში.  
ამიტომ ჩვენ როლის უფრო კარგ, სრულყოფილ  
გაგებად ჩავთვლიდით იმას, რომ ვ. ოსაძე უფ-  
რო აქტიური ყოფილიყო დავითთან ბოლო სცე-  
ნაში. აქ ხომ ფაქტიურად ნიღაბი ჩამოებნადა მის  
პიროვნებას, აი, ამიტომაც ეს სცენა მეტ სიმ-  
ბოლურს მოითხოვდა.

დოდო ჭიჭინაძემ და შაია მახვილაძემ (ნატო)  
შექმნეს დედისა და მუხლდის კარგი სცენური  
სახეები, მათ გვანცენეს, თუ როგორია უნდა  
იყოს პატიოსანი კაცის მუხლზე, გვიჩვენეს,  
თუ რაოდენ ძნელია და ამავე დროს საპატიო ეს  
მისია. ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა  
დოდო ჭიჭინაძის მიერ ამ როლის წარმატებითი  
თამაში. რადგან უკვე კარგა ხანია ამ ნიჭიერ  
მსახიობს არ შეხვედრია ვერც სცენაზე. ასევე  
კარგა შთაბეჭდილება დასტოვა მედეა ბიბილე-  
იშვილის თამაშმა. ამ როლით მედეა ბიბილე-  
იშვილი თავისი აქტიორული კარიერის სულ  
სხვა პერიოდში შედის და ამიტომ ნიშანდობ-  
ლივად გვეჩვენება მისი მიღწევა. ბიბილეიშვილს  
აქვს ერთი კარგი თვისება — აჩვენოს პერსო-  
ნაჟის ნამდვილი სულიერი სამყარო, აჩვენოს  
მისი ნატურა უფრო ფართოდ, უფრო ღრმად,  
ვიღრვ ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოჩანდეს.  
მსახიობის ეს თვისება ამ სპექტაკლშიც გამოვ-  
ლინდა, განსაკუთრებით კი ტრიპოლისკისთან ჩა-  
ტარებულ ბოლო სცენაში. ამ სცენაში მან წარ-  
მოგვიდგინა თავისი პოეტურობა და ადამიანური  
სიბოძა.

ანდრო კობალაძის იოსები სიყმაოდ ზოგადი  
სახეა. ამ ზოგადობას პასიურობაც თან ახლავს.  
იგი პატიოსანია და მართალია, ეს არის და ეს  
მეტი დატვირთვა მას არ ეძლევა და ალბათ,  
ვერც მოეცემა, რადგან მესამე პლანის პერ-  
სონაჟია. ეს თვისება, ცხადია, როლსაც ვაღნიშ-  
ნავ. ანდრო კობალაძის იოსები ის ფონია, რო-  
მელზეც კიდევ უფრო იკვეთება დავითის სახე,  
სიციხად ეძლევა მას. ამიტომ მსახიობის მოვა-  
ლობაც ერთგვარად შეზღუდულია.

ჯემალ მონიავა და მარლენ ეგუტია. ეს ორი  
მსახიობი თამაშობს ცოტნეს. თითქოს როლი არ  
უნდა იყოს ისეთი, რომ მსახიობის ცთუნებას  
იწვევდეს, განსაკუთრებით აღელვებდეს მას,  
მაგრამ ჯემალ მონიავამ ეს როლი ითამაშა, რო-  
გორც ნამდვილი დიდი როლი, მან თავად გა-  
ხარა და პატარა ბიჭის დრამა აჩვენა ტკივილი  
40-იანი წლების ახალგაზრდობისა. მსახიობმა  
კიდევ უფრო ცხადი გახადა ცოტნეს დრამატუ-

ლა ბედი, ჭეშმალ მონიავას ცოტნე იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც ყველაზე მეტად განიცადა მეორე ომის ტრაგედია, ამიტომ მან სწორედ თაობის ამ სატიკიერს გაუსვა ხაზი.

თვალჩილულია განსხვავება მარლენ ეგუტრისა და ჭეშმალ მონიავასეულ როლის ტრაქტოვკაში. მარლენ ეგუტრის ცოტნე ჭერ კიდევ თითქმის ბავშვია, რომელიც ამ ევება ტრაგედისის შუაგულში მოექცა, ისიც ბავშვური გულუბრყვილობითა თუ სენტიმენტალობით განიცდის თავის მდგომარეობას. ამის ნათელი დასტურია ფროტტიდან გამოპარული ცოტნე — ეგუტრისა და დავითის სცენა. აქ მარლენ ეგუტრია ავლენს ამ როლის თავის — ჭეშმალ მონიავისაგან განსხვავებულ — ტრაქტოვკას.

ფივე შეიძლება ითქვას მ. მიქაძის მიერ შესრულებულ დათოს როლზეც. ა. მიქაძემ კარგად გამოხატა ჩვენის დროის ყმაწვილი კაცის სულიერი სამყარო. განსაკუთრებით შთაშებუდავია იგი რესტორანის სცენაში.

უნდა შევიჩრდეთ ვამყრელიძის მიერ შესრულებულ თენგიზის როლზე. ეს მსახიობი სხვა უფრო მნიშვნელოვან როლში გვინახავს და ამიტომაც ვაკვირდებით მას, გვიანტერესებდა მისი შემოქმედებითი ბედი. თენგიზი ე. წ. უარყოფითი სახეა, რომელიც ერთგვარად სწორხაზოვნად არის მოცემული, თეატრმა ამ სახეს შემატა ერთი ისეთი შტრიხი. რომლითაც გამოხატა თავისი დამოკიდებულება პერსონაჟისა და მისი ბედისადმი — ვამყრელიძემ როლში მოიშველია გროტესკი. ეს კარგია, ეს, როგორც ვთქვით. პოზიციას, მაგრამ არის იმის საშიშროება, რომ ზომიერების გრძნობამ გვიმტყუნოს და გროტესკი შარქად იქცეს. ეს კი ვააყალებს სახეს.

ძალზე საბიერია ზანდა იოსელიანის ეპიზოდი. ეს არის ჩინებულად გააზრებული სახე, რომელიც თავისი დახვეწილობით გარკვეულ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს. მსახიობის თავშეკავება, ზომიერების გრძნობა ამ ეპიზოდის სპექტაკლის მნიშვნელოვან ნაწილად ხდის. იქნებ ამიტომაც იყოს, რომ ამ სცენით გამოწვეული ნაღველი და სევდა შემდეგ კარგა ხანს გასდევს სპექტაკლს.

გიორგი ტატიშვილის ლაში კარგად ცნობილი პიროვნება ჩვენთვის. ამგვარი აღმამანები ქმნიან საზოგადოებაში უნდობლობისა და. თუ გნებავთ, ერთგვარი უთანასწორობის ატმოსფეროს. ხომ ფაქტია, რომ ჩვენში თითქმის შეიქმნა კას-

ტა, რომელმაც ერთგვარი ავტორიტეტული მოიპოვა. ეს ავტორიტეტი კი გავლენას ახდენდა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. ლამის მისი იდეოლოგიით იზრდებოდა მომავალი თაობაც. აი, ამ „კასტის“ წარმომადგენელია ლაში. ტატიშვილი კარგად ვეაჩვენებს ფსიქოლოგიას იმ კაცისა, რომელსაც თვითონ ეკუთვნის. გარემო სამყაროსადმი მისი დამოკიდებულება იგრძნობა მის მოძრაობასა თუ მეტყველების მანერაში, თავდაპირველობაში და ა. შ. ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ კიორგი ტატიშვილმა შექმნა სცენური სახე. მაგრამ ამტრად ჩვენ გვექნება ერთი შენიშვნაც. ეს შენიშვნა სპექტაკლის ავტორებს უფრო ეკუთვნის, ვიდრე მსახიობს — ლაშისნაირი აღმამანები უფრო შორს იხედებიან. ისინი უტყუონი როდი არიან, ისიც კი გვეუკვება, რომ მათ ამდენი გულუბრყვილობა გამოიჩინონ და რესტორანში, სუფრაზე გამოაცხადონ, თუ ვის მისცეს ქრთამი. ასე რომ იყოს, ისინი არც იქნებოდნენ ასე საშიშნი საზოგადოებისათვის. მათი სიფრთხილე, შენიღბულობა და გონიერება სწორედ ის ფაქტორებია, ამ ხალხთან ბრძოლის რომ არაფულეს.

რეჟისურისა და სპექტაკლის გამარჯვებად მიგვაჩინა ის ფაქტი, რომ სპექტაკლში ეპიზოდურ როლებად არ დარჩა პავლე ინჟიკარელისა და კუქური მუავანაძის თოფურისა და ფიროცხალაშვილის, წიკლაურისა, გოგინავასა თუ კვიციანიშვილის მიერ შესრულებული როლები. მათ კოლორიტული შტრიხების მიწვნებით ხელი შეუწვევს სპექტაკლის ანსამბლურობას, გააკეთებს ის, ურომლისოდაც სპექტაკლი არ იქნებოდა.

მარჯანიშვილის თეატრის ამ სპექტაკლმა თეატრალური საზოგადოებრიობის ყურადღება და ინტერესი გამოიწვია. გვინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ ის მომენტი, რამაც საყოველთაო ინტერესიც განაპირობა ამ სპექტაკლის მიმართ — ეს არის რეჟისურის ნამდვილი წარმატება. ამ სპექტაკლში რეჟისურამ, როგორც იტყვიან, აჯობა საკუთარ თავს, რამდენიმე წლის შემოქმედებითი პაუზის შემდეგ ანზორ ქუთათელაძემ ჩვენში განამტკიცა იმის რწმენა. რომ მას ძალუძს მნიშვნელოვანი სცენური ნაწარმოებების შექმნა. „მოსამართლეთი“ მან გასდო ხიდი თავის ადრინდელ კარგ სპექტაკლებს და მომავალ შემოქმედებას შთარის.



# ქურნალ „ნიჰკრის“ 1973 წლის ნომრების უძინარსი

რომანი, მოთხრობა, ნოველა, თარგმანი  
 არდაშელია ციალა — ახმეტ ჩერქეზი (მოთხრობა), № 3  
 ავღანური ჰიქაიათები — თარგმნა ლადო მრეღაშვილმა, № 7  
 ბლარჯიშვილი ბაადურ — კალეიდოსკოპი (მინიატურები), № 9  
 ბატიაშვილი ნელი — ანები ძილის წინ (მოთხრობა), № 4  
 ბეროშვილი ლილა — მოთხრობები (კაშენიკი), № 5  
 ბერიაშვილი ირაკლი — მოთხრობები, № 5  
 ბეჟანიშვილი ლილი — შემობრუნება (მოთხრობა), № 6  
 გელაშვილი გიორგი — გვიფარავს მრავალი ჭერი (რომანი), № 10, № 11, № 12.  
 გელაშვილი გივი — „ბარბიე“ (მოთხრობა), № 9  
 გიგაშვილი ვაჟა — ნადირობა ჩონ-ტაშში (დოკუმენტური პროზა), № 2, № 3  
 გოგია სულიკო — დაქანებული ზევი (დოკუმენტური პროზა), № 2  
 დოჩანაშვილი გურამ — კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა (მოთხრობა), № 7  
 დუმბაძე ნოდარ — დიდრო. (მოთხრობა), № 5, ძალი (მოთხრობა), № 8  
 ინანიშვილი რევაზ — მოთხრობები, № 5  
 კობერიძე კარლო — ბავშვების ოთახის საიდუმლო (ასფურცელას რეველი), № 6  
 კვიციანი ნესტან — სოფელში (მოთხრობა), № 10  
 მონიავა ჭემალ — თეატრალური ნოველები, № 8  
 ომაძე ოსებ — მეწიეთი (მოთხრობა), № 8  
 ბიჰაძე სოსო — უკანასკნელი დღეები (მოთხრობა), № 8  
 პაპუაშვილი გიორგი — შვილი (მოთხრობა), № 7  
 პლატონოვი ანდრეი — პროზა. სემიონი (მოთხრობები), თარგმნა გივი კიკელაშვილმა. ნიკიტა (მოთხრობა), თარგმნა ედიშერ გორგაძემ, № 4  
 რცხილაძე ზურაბ — უცნაური სასჯელი (მოთხრობა), № 5  
 სულაყაური არჩილ — ლუკა (მოთხრობა), № 1, № 2  
 ტყარაძე ჭუმბერ — ბერბიჭა (მოთხრობა), № 1

ქვლივიძე მახვილ — ბავშვობის კუნძული (მოთხრობა), № 8  
 შატაძე ნუგზარ — მოთხრობები, № 5  
 ჩახავა მურთაზ — კაქა ბაქია (ასფურცელას რეველი), № 9  
 ტეიშვილი რეზო — ცისფერი ხიდები (მოთხრობა), № 5  
 ტეიშვილი გოდერძი — იყო ერთი პატარა ჭადარი (ასფურცელას რეველი), № 10  
 ჭილაძე თამაზ — აუზი, (მოთხრობა), № 3, № 4  
 ხერგანიანი მირონ — ოქროსფერი რიყე (მოთხრობა), № 9  
 ხორგუაშვილი გიორგი — მიწის ლუკმა (მოთხრობა), № 12  
 ჭავჭავაძე დავით — მზე და ჩრდილები (მოთხრობა), № 6  
 ჭოსბაძე მაკა — ერთი ბლუქა ვახუტელი (მოთხრობა), № 5  
 ჭიბლაშვილი თამაზ — უკანასკნელი სახსოვარი (მოთხრობა), № 6  
 ჭლარკავა თემურ — მომავალ შაბათამდე (მოთხრობა), № 10

## ლექსები, პოეზია

აბრამიშვილი მარი — ლექსები, № 8  
 აბულაძე თემურაზ — ლექსები, № 10  
 აბშილაძე ბიეტა — ლექსები, № 3  
 არაბული ალუდა — ლექსები, № 8  
 არაბული ბალათერ — ლექსები, № 8  
 აღხაზიშვილი გივი — ლექსები, № 2, № 8  
 ამისულაშვილი შალვა — ლექსები, № 10  
 ასავევი რევაზ — მე საზღვარგარეთ ვნახე ბელადი (ლექსი), თარგმნა ვახტანგ ჭავჭავაძემ, № 8  
 ასმატოვა ანა — ლექსები. თარგმნა ნანა ღვინევაძემ, № 9  
 ბლარჯიშვილი ბაადურ — ლექსები, № 2  
 ბარდაველიძე ბეჟან — ლექსები, № 1  
 ბართაია ნომადი — ლექსები, № 8  
 ბედიანიძე დალილა — ლექსები, № 12  
 ბოზოხიძე კალე — იყოს დღეგრძელი (ლექსი), № 10  
 ბოლქვაძე ზაურ — ლექსები, № 4  
 ბეჟიშვილი თედო — ლექსები, № 1  
 ბერნსი რობერტ — ლექსები. შესავალი წერილი და თარგმანი თამარ ერისთავისა, № 3  
 გაგუა ხუტა — ლექსები, № 2



გიაგური გიორგი — შუქი არავგზე (ლექსი), № 8  
 გვეტაძე ვასილ — საბუნგორა (ლექსი), № 5  
 გელოვანი აკაკი — ლექსები, № 6  
 გორგანელი ვახტანგ — ნაწყვეტი პოემიდან „შირაქის მზე“, ლექსი, № 7  
 გუბლია გიორგი — ლექსები, აფხაზურიდან თარგმნა მურმან ხურცილავამ, № 7  
 გოცაძე იზა — ლექსები, № 9  
 გოგოლაური ირაკლი — ფშავერი მოტივი. (ლექსი), № 10  
 გოტიე თეოფილე — ლექსები. ვრანგულიდან თარგმნა გივი გვეგუქორმა, № 10  
 გაჩეჩილაძე დავით — ქონდაქარის აღსასრული, (ბალადა), № 11  
 გიანჭალი ნოკრუშ — მესობრა (ლექსი), თარგმნა ეშვარ კვიციანიშვილმა, № 11  
 დოღობია ვაჟა — ლექსები, № 4  
 ენანოძე ზაალ — ვსა, საუკუნევე! (ლექსი), № 7  
 თარბა ივანე — ლექსები, თარგმნეს ჯანსუღ ჩარკვიანიშა, ვახტანგ ჯავახიშვილმა, ეშვარ კვიციანიშვილმა, გივი ძნელაძემ, № 1  
 თარბა ნელი — ლექსები, № 12  
 თაგორი რაბინდრანათ — ლექსები. თარგმნა მურმან ჯგუბურიამ, № 8  
 ივარდავა დილარ — ჩემი ცხოვრების ხუთი ფურცელი (ლექსი), № 2, ოცდათორმეტი წლის შემდეგ (ლექსი), № 5, ლექსები, № 9  
 იანტოპოვლუ ფოტულა — სოტირიოს პეტრულას (ლექსი), თარგმნა ნაზი კლასონიამ, № 7  
 კანდელაკი ოთარ — ლექსები, № 8  
 კაკუშაძე თენგიზ — ლექსები, № 1  
 კანბიძე მედეა — ლექსები, № 12  
 კარაიანი ოვანეს — ქართველა ქალი ნანინას მღერის (ლექსი), თარგმნა მორის ფოცხიშვილმა, № 11  
 კუხიანიძე ზურაბ — ლექსები, № 1  
 კუპრავა ოთარ — სანემსე ბალაში (ლექსი), № 7  
 კერძევაძე ელდარ — ლექსები, № 4  
 კლდიაშვილი გურამ — ლექსები, № 12  
 კვიციანია ნიკოლოზ — ლექსები. აფხაზურიდან თარგმნა გივი ძნელაძემ, № 12  
 კორიუნსი მერტინ — ლექსები; თარგმნა ჯანსუღ ნიქაბაძემ, № 11  
 ლორთქიფანიძე კონსტანტინე — ლექსები, № 1  
 მაჭავარიანი მუხრან — ლექსები, № 3  
 მებურთაშვილი ტაგუ — ლექსები, № 7  
 მებრტყელი თამაზ — პური ჩენის არსობისა (ლექსი), № 10  
 მოლაშხია ზაურ — ლექსები, № 1  
 მიდელაური მერი — ლექსები, № 3  
 მინდიაკური გიორგი — ლექსები, № 11  
 მირნელი მირან — სამშობლოს სადიდებელი (ლექსი), № 9  
 მქედლორი დავით — ლექსები, № 7  
 ნეკერიშვილი ნაილი — ლექსები, № 4

ნიშნინაძე შოთა — ლექსები, № 5  
 პეტრევი შანდორ — ლექსები, თარგმნა მორის ფოცხიშვილმა, № 4  
 შალამბერიძე ოთარ — ლექსები, № 12  
 ფხოველი ჯარჯი — ლექსები, № 5  
 ქემერტელი იორამ — ჩაშლილი ნადირობა, (ლექსი), № 5  
 ქავთარაძე შოთა — ლექსები, № 7  
 ყურაშვილი ავთანდილ — ლექსები, № 9  
 შალვაშვილი ბელა — ლექსები, № 4  
 სვანიძე ბეჟან — ლექსები № 12  
 ჩარკვიანი ჯანსუღ — გაფრთხილება (ლირიკული პოემა), № 6, ჩარხი (ლექსი), № 11  
 ჩხიკვაძე ვანო — ლექსები, № 4  
 ცხადია ზოია — ლექსები, № 3  
 ძნელაძე გივი — ლექსები, № 3  
 ძინძინაძე აკაკი — ლექსები, № 2  
 წიკლაური ხვისოს — ლექსები, № 10  
 ქავჭავაძე ლია — ლექსები, № 1  
 ხედელაძე ნოდარ — კოსმონავტები (ლექსი), № 4  
 ხოშტარია ილია — შუქი შორეთის (ლექსი), № 7  
 ხორაშული ვაჟა — ლექსები, № 10  
 ხოლაშენი შოთა — ლექსები, № 8, სურათი (ლექსი), № 11  
 ხეთაგური მზია — ლექსები, № 11  
 ხუროძე დავით — ლექსები, № 2  
 ჯავახიძე ვახტანგ — ლექსები, № 2, № 9  
 ჯანგულაშვილი თეიმურაზ — ლექსები, № 9  
 ჯულუზიძე ვრიგოლ — ლექსები, № 10  
 ჯიბია შუკო — ლექსები, № 1  
 ჯოჯუა ტერეზა — ლექსი, № 11  
 ჯგუბურია მურმან — ლექსები № 12  
 ჰასანი შუკო — კალამი (ლექსი), თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანიშა, № 11

**ახალგაზრდა პოეტთა ფესტივალი**

აბღირაშვილი ურასკან, ალი-ოღლი ჩინგიზ, ბალუკონიძე ონე, ნენცინსკი ანატოლი, კორუენეცკაია ვალინა, კადრია, მირზაევი მირპულატ — (ლექსები), თარგმნეს თეიმურაზ ქორიძემ; პაატა ნაცვლიშვილმა.  
 ნაცვლიშვილი პაატა, შეწირული მზია — ლექსები, № 4

**ნარკვევები, მოგონებები**

ბადალაშვილი არსენ — დიდი ჯაჭვი, № 9  
 ბოტინიანი მიხეილ — პოლიტექნიკური ინსტიტუტი, № 7, მატჩი, რომელიც არ შედგა, № 11  
 გოგოჭური თამარ — ჩემი დღიურიდან, № 7  
 დიდიანი-მასხარაშვილი ბაბო — წარსულის ფურცლებიდან, № 6  
 კობერიძე მზია — სხვადასხვა კუთხის შვილები, № 9  
 კვიციანელი თენგიზ — თბილისი 2000 წელს, № 8  
 კვიციანიშვილი ნინო — მექანიზატორი, № 8



მესხი ნოდარ — ქარლელი ჯაბუკი, № 5  
 მორჩიალი თენგიზ — ყრილობის დღეუგატა, № 11  
 მუჭირიშვილი ბეგლარ — საოტრებათა გულთ-  
 მისანი, № 5  
 მიქიაშვილი ვიტალი — კაცი სამას ითხვისელ-  
 თაჲს, № 8  
 სანადირაძე გიორგი — კვალი მინტ რჩება, № 9  
 წერეთელი პაპუნა — ეძიებდენ და ჰპოვებდენ,  
 № 7  
 კობერიძე შვია — სხვადასხვა კუთხის შვილე-  
 ბი, № 9  
 ხუბუღური ლარისა — ვინ იცნობდა ირინეს!  
 № 5  
 ჯაფარიძე ვლადიმერ — მაიაკოვსკების ოჯახი,  
 № 8  
 ფანჯიქიძე გურამ — თბილისი გუშინ, დღეს,  
 ხვალ, № 3  
 ჩორგოლაშვილი მამია — ქალიშვილი № 17430,  
 № 5

**პრიტიპა, პუბლიცისტიკა, პუბლიკაცია**

აგლაიანი ამირან — სამშობლო ქართველისა...  
 № 12  
 აზნაიანი ზაზა — მეშხანისათვის გაწული სი-  
 ლა, № 6  
 აგიაშვილი ნიკა — № 10  
 ასათიანი გურამ — ჰუმანურობის პრობლემა  
 დღევანდელ ქართულ პროზაში, № 9  
 ადამია ლია — პიპების დასამარება, № 9  
 ამისულაშვილი შალვა — პოეტი მულახის მთე-  
 ბიდან, № 2  
 აფრიდონიძე შოთა, ჯაბიძე დავით — ბრძო-  
 ლაში ნაწრთობი მეგობრობა, № 1  
 ბრეგვაძე ზაჩანა — პლატონის დიალოგი „ნა-  
 დიმი“, № 6  
 ბარდაველიძე ბეჟან — ტრაგიკული დავით  
 კლდიაშვილის პროზაში, № 8  
 ბარამიძე შოთა — იროდიონ ევროშვილი და  
 მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები,  
 № 11  
 ბათიაშვილი გურამ — მწერალი თეატრში, № 12  
 ბერიძე როლანდ — ისევ ქართული ლექსის  
 მიუღწევებელ საზომთა გამო, № 7  
 ბერიძე გულნარა — ოლღოს ჰაქსლის მხატვ-  
 რულ ნაწარმოებთა სტრუქტურის ვაგები-  
 სათვის, № 2  
 ბერძენიშვილი ლალი — ქართული ხალხური  
 აფორიზმების პოეტიკა, № 4  
 გავუა იამზე — ოვიდიუს ნაზონი და კოლხური  
 საწყარო, № 5  
 გიორგაძე პეტრე — 1870 წლის საგლეხო რე-  
 ფორმის გატარება სამცხეში, № 5  
 გოგოჭური დავით — მწერალი და ზეპირსიტყ-  
 ვიერება, № 6  
 გერდელიანი გურამ — დამღეული სიმაღლე,  
 № 6

გორგიძე მიხეილ — „როცა წიგნი მალხაზისა  
 აახლოებს“, № 6  
 გრიცივი დიუშაშვილი — უკრაინულ-ქართული  
 ლიტერატურული ურთიერთობისათვის, № 3  
 გუნცაძე ნანა — პოეტური ტრადიციების წინა-  
 აღმდგე ამზობებელი პოეტი, № 7  
 გოთუა ლევან — № 3  
 დანელია მარინე — თომას ვულფი, № 9  
 ებრალიძე გიორგი — გიორგი ქუჩიშვილის  
 მხატვრული ოსტატობა, № 6  
 ვარდოსანიძე გვი — ბეწვის ხიდი, № 1  
 ვანიშვილი შალვა — ქართველი საზოგადოების  
 ბრძოლა საეროთა თვითმმართველობისათ-  
 ვის, № 12  
 ინჯია თამარ — ზოგიერთი არქაიზმის შესახებ  
 კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის  
 მარჯვენაში“, № 1  
 კენჭოშვილი ირაკლი — ქართული აუთენტი-  
 კური ბაროკოს გამო, № 9  
 კოკია-ფანჯიქიძე დადი — „ქარლევანი ქარ-  
 თული“, № 4  
 კინწურაშვილი კორნელი — ინტელიგენცია  
 ახალგაზრდობის აღზრდის სამსახურში, № 4  
 კვეზერელი-კობაძე ნიკო — ზაფხული პოეტ  
 იროდიონ ევროშვილთან ერთად, № 11  
 ლორთქიფანიძე კონსტანტინე — ტიციან ტაბი-  
 ძის ერთი წერილის გამო, № 8  
 მენაბდე ლევან — რუსთველი ბულგარეთში, № 7  
 მეტრეველი გურამ — ტყუთა სყიდის საკითხ-  
 ხისათვის დასავლეთ საქართველოში, № 7  
 მეტრეველი რიონ — გერმანელი მეცნიერი —  
 საქართველოს ისტორიის მკვლევარი, № 5  
 მაქავარიანი მუხრან — ოდიშის სარდალი, № 9  
 მაისურაძე დავით — გმირული გზა, № 7  
 მირიანაშვილი ანდრო — დიდი ბრძოლების  
 მატანიე, № 4  
 ოქროშიძე თამარ — ფერთა სიმბოლიკა ქარ-  
 თულ ჯადოსნურ ზღაპრებში, № 1  
 ფლენტი ბესარიონ — № 9  
 სიგუა სოსო — „ეესტათი მცხეთელის მარტი-  
 ლობის“ ავტორობის საკითხისათვის, № 11  
 სიღამონიძე ვახტანგ — ფშაური კავების პირ-  
 ველი შემკრები, № 1  
 სტურუა დევი — „და ვგრძნობ არასდროს მოვ-  
 კედების!“ № 4  
 ტარტარაშვილი ვალიკო — საინგილოში ქრის-  
 ტიანული სარწმუნოების აღდგენის ისტო-  
 რიიდან, № 5  
 უბილაჟა ნელი — ლორენს სტერნი და თანა-  
 მედროვე ინგლისური ლიტერატურა, № 3  
 ფრუიძე ლევან — ეპოხის სავალობელი, № 7  
 ქუმისიშვილი დიმიტრი — ისევ პროლოგის გა-  
 მო, № 4  
 ქუთათელაძე ვახტანგ — თანამედროვე რევი-  
 ზიონიზმი და ბურჟუაზიული ხელოვნება,  
 № 4  
 ღვინჯიანი ჭანსუღ — ეფრანლ „ციცკის“ პრო-  
 ზა 1972 წელს, № 8

ყოფიანი ედიშერ — № 2  
 შარაძე გურამ — არგონავტების თქმულება და  
 შედეას პრობლემა ძველ ქართულ მწერლო-  
 ბაში, № 8  
 შარაშენიძე ქემალ, თოფურია კარლო — შე-  
 მერეში და მათი კულტურა, № 2  
 შენგელია ნოდარ — გიორგი სააკაძის ქალიშ-  
 ვილის ანე ხათუნის საფლავი, № 9  
 შენგელია რომან — ზოგიერთი შენიშვნა, № 5  
 ჩარკვიანი ჯანსულ — „ნათღება“, № 8  
 ჩხარტიშვილი ქველი — გენერალი ივანე გუ-  
 რიელი, № 5  
 ციბულავსკი აღუქსანდრე — ბწყარედის მიღმა,  
 № 8  
 ცაიშვილი სარგის — ვეჯა-ფშეველას სიბრძნის  
 სამყაროში, № 12  
 ძიძიგური კახა — ქართული მარქსისტული ლი-  
 ტერატურული კრიტიკის ისტორიიდან, № 12  
 წიფწივაძე თამაზ — წიგნი და რედაქტორი, № 7  
 წოწელია ვლადიმერ — იროდიონ ევლოშვილი  
 რევოლუციამდელ ქართულ სალიტერატუ-  
 რო კრიტიკაში, № 11  
 შანტურია ტარიელ — „დღეს, ჩემი დაბადების  
 დღეა“, № 5, ყულაბა, საესე ოცნებით...  
 № 10  
 შინქარაული აღექსი — „ილიადას“ პირველი  
 ქების თარგმანის გამო, № 3  
 ჭორბენაძე სერგო — რეცენზიის სანაცვლოდ,  
 № 4  
 ჯიბლაძე გიორგი — № 8

**80 — მანიპომსკე — 80**  
 ლაფერაშვილი ვასილ — მაიაკოვსკი და ახალ-  
 გაზრდობა  
 მაქვარიაში მუხრან — ელმოხილია  
 ვორობეიჩიკი ეფიმ — პოეტური ოცი წელი  
 ქვლივამე მიხეილ — ჩემი მაიაკოვსკი  
 შაროფეა ტატინა — „ჩემს ასტომელუს პარ-  
 ტიული წიგნაკებისას“, № 7

**80 — ბალაბტიონი — 80**  
 აბზიანიძე ზაზა — დიალოგი მარადისობასთან,  
 (წერილი)

ბოლქვაძე ზაურ — მარადისობის  
 (ლექსი)  
 ნიშნაიანიძე ფატი — თბილისი ვალაქტონის  
 პოეზიაში, (წერილი)  
 კოროტიჩი ვიტალი — მიხლოება, (წერილი)  
 ჩხიკვაძე ვანო — ვალაქტონი (ლექსი), № 10

**„ცისკრიზ“ ანკაბა**  
 ავალიშვილი ბიძინა, ბაქრაძე აკაკი, ბობოხიძე  
 იაკობ, გაჩეჩილაძე გიორგი, კვიციანიშვილი ემ-  
 ზარ, მაქვარიაში მუხრან, მალულარია გივი,  
 სტურუა ლია — № 10

**ჩვენი კალენდარი**

გამსახურდია ზვიად — პერსი ბიში შელის  
 ლირიკა, № 2  
 ვაგნიძე ჭუმბერ — შანდორ პეტეფი, № 3  
 ტულუში კლარა — ერთი ანონიმური წერილის  
 გამო, № 1

**ხელოვნება**

გურაბანიძე ნოდარ — მუსიკის პლასტიკა, № 2  
 დადიანი აგული — ქართული კლასიკური ლი-  
 ტერატურა და კინოხელოვნება № 2  
 შანტურიშვილი სიმონ — ქართული ხალხური  
 მუსიკალური კულტურის ისტორიიდან, № 1  
 ჩიენი ინტერვიუ — № 11

**საბირა და იუმორი**

კობიძე ბენი — მოდიან მონადირენი, № 1  
 ტია-ტია — საახალწლო სუფრასთან, № 1  
 წულეისკირი ნოდარ — მოთხრობები, № 2  
 ტეიშვილი რეზო — ცისფერი ხიდეები. (მოთხ-  
 რობა), № 5

**სკორბი**

აგიაშვილი დათო — მიხეილ მესხი გუშინ,  
 დღეს, სვალ, № 4

**უმცელი მხრიდან**

უცხოეთის ქრონიკა, № 1, № 2, № 3, № 4,  
 № 5, № 6



გარეკანის მე-2 გვერდზე ნახატი თ. მირზაშვილისა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ჯ. ტყარაძე.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს შიიღებს არა უშეტეს ერთი საავტორო  
თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლემანოვის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75, პ. მგ. მდივნის — 95-08-25. განყოფილებების: პოეზიის  
კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

ვალდებულება ასაწეობად 19/X-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/X 11-73 წ., ქალაქის ზომა  
70 X 108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-სავ.

თაბახი 14,5

შეკეთა № 3435

უე 13638

ტირაჟი 27.000

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფანდი 60 კპპ.



საქართველოს  
საქმიანობა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76236